x1.1	0		503	310	0,01	40		
x1.2	0	75	140	50	0,04	80	75	
x1.3	75		203	0	0	95		
x2.1	90		675	198	0,03	55		
x2.2	0	90	100	46	0,06	60	90	
x2.3	0		45	0	0	65		
x3.1	140		630	210	0,04	45		
x3.2	0	140	105	57	0,07	55	140	
x3.3	0		40	0	0	60		
x4.1	0		330	112	0,01	30		
x4.2	0	60	40	30	0,02	35	60	
x4.3	60		295	0	0	90		
x5.1	0		105	40	0,05	60		
x5.2	154	212	460	32	0,08	60	212	
x5.3	58		120	0	0	70		
x6.1	0		490	105	0,02	35		
x6.2	0	98	55	25	0,03	50	98	
x6.3	98		180	0	0	75		
x7.1	0		705	213	0,02	40		
x7.2	0	113	60	40	0,04	45	113	
x7.3	113		400	0	0	95		
							მერკანი სამოვარი დარჩ. ტერიტ.	
							52148	20,62
								70

ალკოცის მოდელის შესაბამისი წრფივი პროგრამირების ამოცანის რეალიზაციის შედეგად დადგინდა, რომ ნეტოს არსებული ღირებულება იქნება **322,515,000 ლარი**.

*INFORMATIC*

## USING DISTRIBUTION ALGORITHMS IN MANAGEMENT ACCOUNTING

VAKHTANG DONADZE, DAVID DAVADZE

*Batumi Shota Rustaveli State University*

**ABSTRACT** - Each person has to make multiple decisions every day. While making the decision we want the best outcome (optimal). If during decision making process subject is approaching the issue consciously, it means that he/she is analyzing, comparing pros and cons, desired and harmful outcomes and only then takes the final decision. A great help in that process is technique of mathematic modeling. Which aims to optimize the use of limited resources. The paper covers allocation (distribution) model – optimization problem, which approaches the issue of finding the best allocation of the existing resources for a specific purpose. For solving the problem *solver* function of *Microsoft Excel* was used. Solving the linear model of the problem using it, gave the optimal values for a resource allocation.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. T. Sarajishvili, T. Kakhidze, N. Devadze. Time-Cost Trade-off Method in Project Management. - Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 2018. V. 12(4). cc. 41-46.
2. G. Abuselidze, N. Devadze, T. Kakhidze. About One Mathematical Model of Project Management. 2018 IEEE East-West Design & Test. Cc.1-4.
3. E. O. Ayodele M. O. Alabi, Effect of cost control on Building Projects Delivery in Nigeria, Civil and Environmental Research vol. 6 no. 2 pp. 76-79 2014
4. R.L. Rardin Optimization in Operations Research Second Edition 2017
5. F.S. Hiller G.J. Lieberman Introduction to operations research Stanford University 2015.
6. H.A. Eiselt C.L. Sandblom Operations Research a Model-Based Approach, Berlin Heidelberg: Springer-Verlag 2012.

## პრონოზა

### სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თემატური გეგმების შემუშავება სახელმწიფოს სტრატეგიის საფუძველზე უნდა მოხდეს

#### ასლან ღვინაძე

*ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი*

**აბსტრაქტი** - საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ გამოყენებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამას ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და მიღწეული შედეგები. ამა პრიორიტეტული მიმართულების არჩევა და განხორციელება მიღწევადია, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში უახლეს წარსულში მეცნიერების განვითარების დონეს, მეცნიერული კვლევების შედეგების აღიარებისა და გამოყენების მასშტაბებსა და არეალს. დღეისათვის ჯერ-ჯერობით მიუხედავად გარკვეული მცდელობისა სახელმწიფომ ვერ შეძლო ეროვნული მეცნიერების განვითარების სტიმულირება, ხელშემწყობი გარემოს შექმნა, განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის სასურველი შედეგების მიღება. ასეთი მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორები და მიზეზები მრავალგვარია, თუმცა თუნდაც არსებული მწირი სახელმწიფო რესურსების პირობებში სწორი სახელმწიფო სტრატეგიის გატარებით შესაძლებელია პოზიტიური ძვრების მოხდენა.

სტატიაში შემოთავაზებულია ხედვები და მიდგომები მეცნიერული კვლევების სფეროში სახელმწიფო მხრიდან მართვითი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების შესახებ. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ უნდა ამალდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების უკუგება, მეცნიერული კვლევების შემსრულებლები თემატური გეგმების შედგენისას უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოს სტრატეგიის მოთხოვნებით და შესრულების ანგარიშებიც უნდა იყოს ადეკვატური.

**საკვანძო სიტყვები:** განათლება, მეცნიერება, ინტეგრაცია, დაფინანსება, კვლევა, კოორდინაცია, პროგრამა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი თავის მუშაობას წარმართავს ძირითადში ორი პრიორიტეტული მიმართულებით. პირველი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების შემსრულებელი სუბიექტების საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა რესურსების შესაძლებ-

ლობების პოტენციალის გამოვლენა-გაფართოება, მეცნიერება ტევადი ინტელექტუალური პროდუქციის შექმნაში თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის გამოყენების საფუძველზე. მეორე - რეგიონში სხვადასხვა დარგებში და სფეროებში განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა ცალკეული სუბიექტების ინტერესთა გათვალისწინებით, განვითარების მასშტაბების პროგნოზული შეფასებების შესახებ ინფორმაციული ბაზის შექმნა და

მოთხოვნების შესწავლა, რომელთა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ჩართულობა, ადეკვატური თემატური გეგმების შემუშავებისა და განხორციელების გზით.

როგორც განვილილ წლებში გაწეული მუშაობის შედეგები ადასტურებენ რეგიონში მეცნიერული კვლევების განხორციელებისა და შედეგების პრაქტიკული გამოყენების რეალური და მასშტაბური პოტენციალი არსებობდა. მართალია დღეისათვის ეს პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირებულია, გარკვეული მიზეზებისა და ფაქტორების გამო, მაგრამ ქვეყანას კვლავაც შეუძლია უზრუნველყოს წარსულის ტრადიციებისამებრ მაღალ დონეზე განავითაროს ეროვნული მეცნიერება. თუმცა ჯერ-ჯერობით სახეზეა გარკვეული ე.წ. „ცარიელი სივრცე“ რომელიც ქმნის ბარიერებს მეცნიერებასა და მისი შემოქმედების შედეგებისადმი ცნობადობას შორის, პოტენციური მომხმარებლების მხრიდან და პირიქით ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის რეალური სტრუქტურის ადეკვატური პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას. ასეთი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები სხვადასხვაა, მაგრამ მთავარია სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერული კვლევების არსებული გამოწვევების გადაჭრის მიმართულების ვექტორზე დაყენების მიღწევა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გარკვეული თანხები, იხარჯება მეცნიერული კვლევების დასაფინანსებლად. ბევრი სერიოზული კვლევებია ჩატარებული და მიღებული შედეგები მაღალ მეცნიერული დონისაა, თუმცა თუ კომპლექსურ, ობიექტურ შეფასებას მოვახდენთ უდავოა ფაქტი იმისა, რომ გაწეული ფინანსური დანახარჯების უკუგების დონე არასაკმარისია. ერთ ერთი მთავარი პრობლემაა მეცნიერული კვლევების პრიორიტეტული

მიმართულებების ქვეყნის დონეზე საშუალო და გრძელვადიანი პერიოდების კონცეფციის არარსებობა. საქართველოში წინა პერიოდში მოღვაწე მეცნიერთა დიდ ნაწილს მაღალი კვალიფიკაცია მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილება გააჩნიათ.

ერთ პარადოქსალურ მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გავლით ფინანსდება სახელმწიფო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციები. დაფინანსება ძირითადად მაინც შრომის ანაზღაურებაზე და სამეურნეო ხარჯების დაფარვაზეა მიმართული. რაც შეეხება თანამედროვე მოწყობილობა დანადგარების შექმნა დანერგვას ამისი სახსრები შეზღუდულია თუმცა ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯები იდგმება. ამ დროს იგივე ქვეყნის ბიუჯეტიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გავლით ფინანსდება აგროსფეროში მომუშავე სხვადასხვა სტრუქტურები (აგროსერვის ცენტრები, კვლევითი ცენტრები და ა.შ) თუ ჩავიხედავთ ამ სტრუქტურების ბიუჯეტებში ქვეყნის ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი „ნამცხვრის ნაჭერი“ მათზე ნაწილდება. მათ ფაქტიურად მეცნიერული კვლევების თემატური გეგმების იდენტური სამუშაოების შეასრულება აქვთ განსაზღვრული, რომლებიც მათი პრეროგატივა არაა და არც სათანადო რესურსები გააჩნიათ. იმიტომ რომ მათი შესრულება მოითხოვს როგორც თეორიული კვლევების ჩატარებას ისე საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების განხორციელებას. ამისათვის კი საჭიროა სათანადო კადრები მეცნიერთა სახით, ლაბორატორიები და მოწყობილობა დანადგარები, მეთოდოლოგიური ბაზა. სინამდვილეში ეს სტრუქტურები თითქოს ახორციელებენ რაღაც პროგრამებს, რომლის შესასრულებლად

პერიოდულად მოკლევადიანი ხანგრძლივობით ხელშეკრულებით აფორმებენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენელ მეცნიერებს და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს. ასეთი მოდელით მუშაობას არავითარი მნიშვნელოვანი შედეგები არ მოაქვს განათლების, მეცნიერებისა და აგრარული სფეროს განვითარების მხრივ ქვეყანაში. მიგვაჩნია, რომ უნდა შემუშავდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც იქნება ერთიანი დაფინანსების სივრცეში თითოეული ცალკეული სუბიექტების დაფინანსების განშტოებით. დღეისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების თანახმად ახორციელებს საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების მეცნიერული კვლევების ყოველწლიური ანგარიშების რეცენზირებას, სხვადასხვა დარგობრივი პროფილით. მთლიანობაში რა თქმა უნდა ჩანს გარკვეული პროგრესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების მხრიდან მეცნიერული კვლევების, თემატური გეგმების მრავალფეროვნების პრიორიტეტულობით შერჩევის, შესრულების ხარისხის თვალსაზრისით. მაგრამ თუ ყოველივე ამას შევაფასებთ სისტემური მიდგომის პრინციპით რეალობაა ის, რომ არსებობს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა არსებულ გამოწვევათა და კვლევების მიმართულებებს შორის, კვლევების შედეგებსა და საბაზრო მოთხოვნას სახელმწიფო სტრატეგიასა და მიღწეულ ეფექტს შორის. ანუ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება ინერციულობის პრინციპით განვლილი პერიოდების დაფინანსების მოცულობიდან და ტრადიციული პროფილიდან გამომდინარე. ამიტომაც თუ სახელმწიფო აფინანსებს მეცნიერული კვლევების შესრულებას, ე.ი. ის არის პირდაპირი და მთავარი დამკვეთი. ამ შემთხვევაში დაკვეთა

უნდა იყოს კონკრეტული, მიზანმიმართული და ექვემდებარებოდეს, როგორც დაგეგმარებას ისე შესრულების მონიტორინგს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული გაწეული დაფინანსების მაღალი ეფექტი მეორე საკითხია უნივერსიტეტებთან ინტეგრირებული კვლევითი ინსტიტუტების და სასწავლო დეპარტამენტების მეცნიერთა კვლევების ჩატარების აქტიურობა და კოორდინაციის დაბალი დონე. როგორც წარმოდგენილი ანგარიშები ცხადყოფენ ხშირ შემთხვევაში მთლიანობაში სასწავლო და კვლევითი სტრუქტურების კვლევითი თემატიკა ერთმანეთთან თავსებადი არაა და ხშირ შემთხვევაში ურთიერთ განყენებულ ხასიათს ატარებენ. არის ხშირი შემთხვევები, როდესაც სასწავლო სტრუქტურების ანგარიშებში საერთოდ არ მოიპოვება სახელმწიფო დაფინანსებით მეცნიერული კვლევების შესახებ ინფორმაცია. მათი ანგარიშები შემოიფარგლება სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებითა და სტატიებით, რომლებიც ძირითადად სასწავლო პროცესებს ემსახურება და მათში ნაკლებია საკუთარი კვლევების დამატურებული მონაცემები. ანუ ამ შემთხვევაში მდგომარეობა შესაძლებელს ხდის მხოლოდ საერთო ხასიათის შედარებითი არაკონკრეტული რეცენზიის მომზადებას.

ჯერჯერობით ქვეყანაში ძალიან სუსტია კერძო სამართლებრივი სტატუსის მქონე სამეცნიერო კვლევითი პროფილის ინსტიტუტები. ასეთი სტატუსის საგანმანათლებლო დაწესებულებები რა სამეცნიერო კვლევით, საპროექტო და დანერგვით სამუშაოებს ახორციელებენ ამის შესახებ ინფორმაცია მწირია ან საერთოდ არ არსებობს. ალბათ დადგა დრო შემუშავდეს დაკვეთების პორტფელი სახელმწიფოს მხრიდან, თუნდაც კოპცეპტუალურ დონეზე და შემდგომ გამოცხადდეს ტენდერი მათ

შესრულებაზე, რომელშიც თანაბარი მონაწილეობის უფლება ექნებათ ყველა სამართლებრივი სტატუსის მქონე სუბიექტებს. ასეთი სტრატეგიის დანერგვა შექმნის გარემოს კერძო სამართლის კვლევითი სტრუქტურების ჩამოყალიბების სტიმულირებისათვის და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ კომერციალიზაციის გაფართოებისათვის, მეცნიერული თემატიკის რეალური მდგომარეობის ადეკვატური პრინციპით შერჩევისა და განხორციელებისათვის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აქტუალურად შეიძლება ჩაითვალოს და მასზე გამახვილდეს ყურადღება. საქმე ეხება ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი პროფილის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კომერცილიზაციას, მათ მიერ განხორციელებული კვლევების შედეგების ბიზნეს სფეროში მოთხოვნადობის განსაზღვრა და დანერგვის გზების გაფართოებას. დღეისათვის არსებული სხვადასხვა ინფორმაციულ მასალებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ გამოყენებითი ღირებულების მეცნიერული კვლევების შედეგების 3-5% თუ აღწევს გზის გაკვლევას დანერგვამდე. ანუ უდიდესი ნაწილი ე.წ. „თაროს“ კუთვნილებაა და როდესაც მსოფლიო დონეზე სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი ინტენსიური, დინამიური განვითარებით ხასიათდება, ასეთი სახის კვლევების შედეგები ვერ შექმნიან გარანტიებს, ეროვნული ეკონომიკის, სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობისა და თვით მეცნიერების განვითარების დონის ამაღლებისათვის. ისევ და ისევ ერთსა და იგივე წრეზე ვტრიალებთ და მივდივართ დასკვნამდე, რომ განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობი გარემო და სტიმულები

სახელმწიფომ უნდა შექმნას და ეფექტიანად წარმართოს განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების მართვა. დღეს მსოფლიოში მძაფრი როგორც ჯანსაღი ისე არაჯანსაღი კონკურენციის გამოყენების აქტიური პროცესები ვითარდება ყველა სფეროში და მათ შორის მეცნიერებაშიც. მართალია ჩვენი ქვეყნის რესურსები ვერ შეედრება დიდი და მაღალგანვითარებული ქვეყნების რესურსების პოტენციალს და შედეგს, მაგრამ ბევრი რამის გადაწყვეტა არსებული გამოწვევების ადეკვატური პროექტებისა და პროგრამების შემუშავება-განხორციელების გზით ნამდვილად შეგვიძლია. მსოფლიოს ბევრი განვითარებული ქვეყანა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რა თქმა უნდა ყველა მაღლიერი უნდა იყოს მსოფლიო თანამეგობრობის თანადგომით სხვადასხვა სახის დახმარებების და საერთოდ თანადგომისათვის. ამ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. და ამ მხრივ პოზიტიური შედეგები საკმაოდ ბევრია. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების მაგალითზე, მაგრამ ის ფაქტიც აქსიომაა, რომ არცერთი მაღალგანვითარებული ქვეყანა, სხვა განვითარებად ქვეყანას უახლოესი სამეცნიერო ტექნიკური პროცესის შედეგებს არ გადასცემს, უბრალოდ იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ ბაზარზე არ გაიჩინოს კონკურენტი. ამიტომაც ეროვნული მეცნიერული კვლევების მაღალ დონეზე და მიზანმიმართულად წარმართვა უპირატესი ამოცანაა და ამისი რესურსები ქვეყნას გააჩნია. დღეს არსებული საკუთარი რესურსებით ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე დონის მეცნიერული კვლევების დაგეგმვა და შესრულება არის უპირველესი რიგის ამოცანა. ქვეყანაში მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტების განხორციელება, როგორც ფუნდამენტური

ისე გამოყენებითი მიმართულების პროფილით. მათ შორის რუსთაველის ფონდით დაფინანსებული საგრანტო პროექტები. რამდენადაც ცნობილია სხვადასხვა საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილის ორგანიზაციები და დაწესებულებები აფინანსებენ ე.წ. შიდა გრანტებს. საგრანტო პროექტის ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ განხილვის პროცესში ხშირია არაობიექტური ექსპერტული შეფასების ფაქტები. რაც მოითხოვს სისტემური სრულყოფის განხორციელებას.

ყურადღება უნდა გამახვილდეს კიდევ ერთ პრობლემაზე. აჭარის რეგიონში ციტრუსოვანი, ხეხილოვანი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ახალი ჯიშების შემოტანა და დანერგვა. ბოლო წლებში საკმაო ფინანსური და მატერიალური რესურსები იხარჯება ციტრუსოვანთა ახალი ჯიშების შემოტანაზე, საკოლექციო ნაკვეთების მოწყობაზე და მათი ზრდა განვითარების, ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის შესწავლაზე. თუ გასული საუკუნის ისტორიას გადავხედავთ აქ ახალი არაფერია უფრო მეტიც, დღეს შემოტანილი თითქოს ახალი ჯიშები იმ დროისათვის კარგად შესწავლილი იყო და ბევრი მათგანის დარაიონების სქემებში შეტანა მიზანშეუწონლად ჩაითვალა. ბევრი კიდევ დარჩა მაგრამ სამრეწველო გადამუშავების სანდლეულო ბაზისა და სხვა თვისებების გამო მასიური გავრცელება ვერ პოვა და მათი ნედლეულის წარმოება მცირე მასშტაბებით შემოიფარგლებოდა. ასეა დღესაც, მაგალითად ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფრუტი და ა.შ. ის მოსავალი რაც მიიღება საკუთარი მოხმარებისათვის ან ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისათვის არის გამოყენებული. დღეს შემოტანილი და გამოცდაზე დაყენებული ციტრუსოვანთა ჯიშები ძირით

ადში ჰიბრიდულია და დარაიონება გამოყენების პერსპექტივაზე ჯერჯერობით გადაწყვეტილების მიღება ძნელია.

განსაკუთრებით მტკივნეულად დგას საკითხი მეხილეობაში. აჭარა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივ კლიმატური პირობებით, მიწის ნაკვეთების ნიადაგობრივი შემადგენლობით, რელიეფით სპეციფიური და გამორჩეული რეგიონია, სადაც ისტორიულად მოსახლეობა აშენებდა ადგილობრივი ჯიშების ვაშლის, მსხლის, ატმის, ტყემლის, ქლიავის, ლეღვის, კაკლის, თხილის, კომშის, თუთიის, ბალის, ხურმის და ა.შ. კულტურებს, ეს ჯიშები ისე იყო შერჩეული, რომ ყველა ოჯახს ქონდა საშუალება თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ყველა დროს ქონოდა ნედლი ხილი, ხმელი ხილი და მისგან წარმოებული კვების პროდუქტები. განსაკუთრებით ტრადიციული იყო მაღალი კონცენტრაციის შაქრის შემცველი ბეთმეზისა და ლეჩერის წარმოება, რომელებიც თავიანთი ნატურალურობით და ეკოლოგიური სისუფთავით, გემური თვისებებით გამორჩეული იყო. არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც თუთიის სხვადასხვა ჯიშის მსხმოიარე 3-5 ძირი კარგად განვითარებული დიდტანიანი ხე არ ქონოდა ეზოში. დღეს ეს კულტურა ფაქტიურად მივიწყებულია და აქა იქ თუ გვხვდება. მნიშვნელოვანია მებოსტნეობა-მებაღეობის კულტურების ძველი ადგილობრივი ჯიშების გამოვლენა, მათი ნედლეულის წარმოების გაფართოება და გამოყენება ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პროდუქტების წარმოებაში. ამ მიმართულებით არსებობს რეზერვები.

რა თქმა უნდა მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჯიშთა გამოვლენა და მათი ჩანაცვლება ინტროდუქციის ფორმით პროგრესული მიმართულებაა, მაგრამ დღე



ვანდელი მსოფლიო ბაზარზე, სწორედ იმ-  
იათი, გამორჩეული ადგილი წარმოშობის  
პროდუქცია არის მომხმარებლისათვის საინ-  
ტერესო და მათი ორიენტაცია სწორედ  
აქეთკენაა მიმართული. აჭარის რეგიონი  
მცირემიწიანობითა და სხვადასხვა ნიადა-  
გობრივი შემადგენლობის მიწებით ხასიათ-  
დება და აქედან გამომდინარე ცალკეული  
კულტურების ნარგავების შექმნისა და პრო-  
დუქციის წარმოების არეალი შეზღუდულია.  
თუმცა კულტურათა მრავალფეროვნება,  
ნატურალური, სრულიად გამორჩეული  
გემური და ბიოქიმიური თვისებების მქონე  
მცენარეთა ნაყოფები არამარტო საკუთარი  
მომხმარებლისთვის არამედ რეგიონული და  
საერთაშორისო ბაზრებისათვის საკმაოდ  
ძვირადღირებული და მოთხოვნადი  
პროდუქციის მიწოდების გარანტიებს ქმნის.  
ამიტომ კვლევები უნდა გაფართოვდეს  
ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო  
კულტურების სხვადასხვა ჯიშების  
გამოვლენისა და დანერგვის მიმარ-  
თულებით. ადგილობრივი ჯიშები არ არის  
მომთხოვნი რაღაც განსაკუთრებული მოვლა  
მოყვანის ტექნოლოგიებისა, რაც მთავარია  
ხარობს სხვადასხვა რელიეფურ და ბუნებრივ  
კლიმატურ პირობებში.

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს აჭა-  
რის რეგიონში თევზის სატბორე მეურ-  
ნეობების განვითარებასთან დაკავშირებუ-  
ლი საკვები ბაზის შექმნის პრობლემების  
გადაჭრა. გარკვეულ პერიოდში მასიურად  
დაიწყო ასეთი მეურნეობების შექმნა, მეწარ-  
მეობის ეკონომიკური შედეგებიც ნორ-  
მალური იყო. შემდგომ პერიოდში უცხო-  
ელმა მომწოდებლებმა გაზარდეს ფასები  
საკვებზე, ხარისხი გაუარესეს, რამაც გამოიწ-  
ვია თევზის დაავადებების გავრცელება და  
პროდუქციის თვითღირებულებების ზრდა,  
მათი უმეტესი ნაწილი გაჩერებულია ან  
შეწყვიტა ფუნქციონირება. აჭარის რეგიონი

მთის მდინარეების აუზებითა და ჩამო-  
ნადენი წყლის დებეტით ერთ-ერთი გამორ-  
ჩეული და მაღალი პოტენციალის მქონეა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14  
სექტემბრის №468 დადგენილებაში „საქართ-  
ველოს განათლების, მეცნიერების, კულ-  
ტურისა და სპორტის სამინისტროს დებუ-  
ლების დამტკიცების შესახებ“, აღნიშნულია,  
რომ მისი ფუნქციაა მეცნიერების და ტექნო-  
ლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლი-  
ტიკის შესახებ წინადადებების საქართ-  
ველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად  
წარდგენა და განხორციელების უზრუნ-  
ველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფი-  
ნანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო და  
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა-  
თვის თემატური გეგმების შედგენისას მთა-  
ვარი ორიენტირები უნდა იყოს სახელმწიფო  
პოლიტიკის დირექტივები. ეს დირექტივები  
კი უნდა დაიყვანებოდეს სავალდებულო  
ხასიათის რეკომენდაციების ფორმით კვლე-  
ვების შემსრულებელ სუბიექტებამდე, რათა  
მათ ამის საფუძველზე განსაზღვრონ კვლე-  
ვების მიმართულებები. წლიური ანგა-  
რიშების შეფასება სწორედ ამ გარემოების  
გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ასევე  
დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჯარო  
სამართლის იურიდიულ პირებში სამეც-  
ნიერო კვლევითი დაწესებულებების და  
საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებ-  
ლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლე-  
ვით საქმიანობის კოორდინაცია და მონიტო-  
რინგი. გასათვალისწინებელია ის გარე-  
მოება, რომ სამეცნიერო კვლევითი ობიექ-  
ტების თემატურ გეგმებში არ უნდა იქნას  
შეტანილი ისეთი კვლევითი სამუშაოები,  
რომელთა შესრულებისათვის არ არსებობს  
სათანადო რესურსები, პროფილი და არ  
პასუხობს სახელმწიფო პოლიტიკას. ამიტომ  
საჭიროა მეცნიერული კვლევების შემსრუ-  
ლებელთა პოტენციალის მონიტორინგის  
განხორციელება.

მეცნიერული კვლევებისათვის უნდა იყოს შემუშავებული, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტები ისე შეფასების კრიტერიუმები, მეთოდური მითითებები რომლებიც იქნება სახელმძღვანელო კვლევების შესრულებისათვის. ანუ ბიუჯეტის დამტკიცებამდე უნდა განისაზღვროს განსახორციელებელი კვლევების რეალობა და ეფექტურობა, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სხვადასხვა ოფიციალურ შეფასებებში ხაზგასმულია რომ, საჭიროა ქმედითი ეფექტური ღონისძიებები დაისახოს და განხორციელდეს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უნივერსიტეტების ინტეგრაციის ეფექტურობის მიღწევისას როგორც მეცნიერული კვლევების ისე საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების სფეროებში.

ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული მეცნიერების სფეროს განვითარების მკაფიო და მდგრადი ერთიანი პოლიტიკა ეროვნული მეცნიერული პოტენციალის გამოყენების საფუძველზე. მნიშვნელოვანია აზრი მეცნიერების ხარისხის მართვისა და დაფინანსების მოდელის სრულყოფასთან დაკავშირებით - მონიტორინგის გაძლიერების მექანიზმების გამოყენებით.

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილების მიხედვით:

- შეიმუშავებს წინადადებებს სამეცნიერო კვლევისა და დამუშავების მოცულობის შესახებ და განსაზღვრავს ქვეყნისათვის აუცილებელი სტრატეგიული კვლევების პრობლემებს;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტებს;

- უზრუნველყოფს სახელმწიფო სამეცნიერო პროექტებისა და სამეცნიერო ტექნოლოგიური პროგრამებისა და პროექტების დასაბუთებასა და მათ ორგანიზებულად განხორციელებას სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით;

- უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო ექსპერტიზას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებათა საქმიანობას;

ამავე უფლებამოსილების ფორმით სახელმწიფო მართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის ნებადართულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე ხელშეწყობა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ან სხვა სამეცნიერო ტექნოლოგიური განვითარების რეგიონული ან ადგილობრივი ფონდებიდან.

დღეისათვის პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე ზემოთჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში საკმაოდაა სუსტი მხარეები და მათი აღმოფხვრისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ქვეყნის მეცნიერების განვითარების გზების პროგნოზირება. მსოფლიო მეცნიერების უახლოეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მთავრობაში წარდგენა, სამეცნიერო დაწესებულებების მიერ კვლევითი სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია. ამ შემთხვევაში აუცილებელია კვლევით დაწესებულებათა თემატური გეგმების შესახებ ინფორმაციის ფლობა და მათი შესაძლებლობების გამოყენების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე მეცნიერული კვლევების ხარისხის ამაღლებისა და ბიუჯეტის

რესურსების ყირათიანად გამოყენებისათვის მიზანშეწონილია ყოველწლიურად ჯერ შეფასდეს და დასაბუთდეს კვლევების შემსრულებელი სუბიექტების თემატური გეგმების პრიორიტეტულობა და შესაბამისობა სახელმწიფო სტრატეგიასთან და პოლიტიკასთან და შესრულების წლიური ანგარიშებიც შეფასდეს იმის მიხედვით თუ რამდენად პასუხობს თემატური გეგმების მოსალოდნელი შედეგები დასახულ მიზნებს.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის მრავალი და ეფექტური ფორმა გამოყენებულია. ამ მხრივ საინტერესოა ზოგიერთი მიდგომების განხილვა რომლითაც ხასიათდება თანამედროვე სამეცნიერო პოლიტიკის ძირითადი თავისებურებანი გერმანიაში აქ მეცნიერების დაფინანსება ხორციელდება ე.წ. კონკურსული პროცესების გამოყენებით. ქვეყანაში სხვადასხვა სამართლებრივი ფორმებითა და სტატუსით მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციები ერთი „ქოლგის“ ქვეშაა გაერთიანებული და მაღალია მათი კომუნიკაცია როგორც მეცნიერული კვლევების სტრატეგიის შემუშავებაში ისე მის განხორციელებაში. ჯერ-ჯერობით ამის თქმა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში გერმანულ დონესთან შედარებით საქართველოს მაგალითზე. გერმანიაში გამოყენებული ე.წ. „ფორ საიტის“ ტექნოლოგია უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროში განვითარების სტრატეგიის შეთანხმებული პრიორიტეტების შემუშავებას, სამეცნიერო და ინოვაციური პოლიტიკის ჩამოყალიბებას მაღალ ხარისხოვანი პროგნოზირებით, მრავალვექტორული განვითარების „სამგზავრო ბარათის“ შექმნას. საინტერესოა მოდელი რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობის

კოორდინაციას და მეცნიერული კვლევების მონიტორინგს. მონიტორინგის პროცესში გაანალიზდება მეცნიერული კვლევების სტრატეგიის განხორციელების დონე და ხარისხი, მზადდება შესატანი კორექტივები შემდგომი პერიოდის სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის. საქართველოში შეიძლება ითქვას რომ თითქმის არ არსებობს ურთერთ კომუნიკაცია როგორც საგანმანათლებლო ისე კვლევით, საპროექტო და დანერგვითი პროფილის სუბიექტებს შორის. დაბალია განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის დონე.

მიგვაჩნია, რომ მეცნიერებამ უნდა შეძლოს სახელმწიფოს სტრატეგიული კურსის განხორციელების ხელშეწყობი, გარემოს შექმნა ყველა სფეროში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულების პროექტებისა და პროგრამების შემუშავების გზით. ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის განვითარება, განათლებისა და მეცნიერების სფეროში კვლევების შედეგების ფართოდ დანერგვა ერთერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია და მას მაქსიმალური ეფექტით გამოყენა ჭირდება. იმავდროულად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შედარებით მწირი რესურსების პირობებში, მეცნიერების დარგში კერძო ინვესტიციების ჩადების დაბალი სტიმულის გარემოში აქტუალურ პრობლემად უნდა განვიხილოთ სახელმწიფო რეგულირების, მისი მხრიდან ხელშეწყობი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ამოქმედების, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვა და იმავდროულად კონტროლისა და მექანიზმების მობილური სისტემის ჩამოყალიბება. რითაც გამოირიცხება მკლევარის სუბიექტების მიერ სახელმწიფო სტრატეგიისადმი არაშესატყვისი, საკუთარ სურვილებზე და შეხედულებებზე აგებული სამეცნიერო კვლევითი თემატური გეგმების

შემუშავების ფაქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში პირიქით შეიძლება დავდეთ ნეგატიური შედეგების წინაშე ანუ სახეზე იყოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების არა პროგრესი არამედ რეგრესი. სერიოზული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საჭირო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო რეგულირების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა წლების მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ყოველწლიურად განსაზღვრულია პრიორიტეტები და ხარჯების მოცულობა მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით შესრულებული მეცნიერული კვლევების შედეგების ობიექტური, სრულფასოვანი შეფასების ამსახველი ინფორმაცია არასაკმარისია და მწირი. დაფიქსირება ციფრობრივი მონაცემებისა იმის შესახებ, რომ მეცნიერებაზე რამდენი თანხა დაიხარჯა არაფრისმთქმელია. მეცნიერების განვითარების კუთხით მიღებული შედეგები უნდა ემსახურობდეს ისეთი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა, ქვეყნის მოსახლეობამ, ბიზნეს წრეებმა უნდა იცოდნენ როგორ ვითარდება, რა ვექტორზე მოძრაობს ეროვნული მეცნიერება, რას ქმნის მათთვის სასარგებლოს გამოყენებითი თვალსაზრისით, გაიგონ რის შეთავაზება შეიძლება მიიღონ თავიანთი სამეწარმეო თუ სხვა საქმიანობის განვითარებისათვის, გაიღვიძოს ინტერესმა ახალგაზრდა კადრებში მეცნიერებაში მუშაობისათვის. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის №533 დადგენილება „საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ის დამტკიცების შესახებ“ მნიშვნელოვანი

დოკუმენტია, რომელშიც ჩამოყალიბებულია მეცნიერების განვითარების სტრატეგიული ხედვები.

დადგენილებას წინ უძღოდა საპროექტო ვერსია, რომელშიც საკმაოდ ობიექტურად არის შეფასებული მეცნიერებაში არსებული მდგომარეობა:

- საქართველოს სამეცნიერო პროდუქცია ნაკლებადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო ნუსხებში საშუალო ევროპული და ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მაჩვენებლებთან მიმართებით.

- დღეს არსებული ინსტიტუციური მოწყობის მოდელი და მეცნიერების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო სრულად ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ეფექტურ ინტეგრაციას.

- ქვეყანაში არ არსებობს მეცნიერების სფეროში შეთანხმებული პრიორიტეტები რაც საფრთხეს უქმნის მეცნიერების დინამიკურ განვითარებას, ცოდნის ეფექტურ გადაცემას და სამეცნიერო პოტენციალის მუდმივ გაფართოებას.

- თუ სათანადო დონეზე ვერ დადგება მეცნიერული კვლევების პრიორიტეტებისა და ხარისხის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, ვერც განათლების სფეროში მოხდება სასურველი რეფორმების გატარება. ზემოთაღნიშნული შეფასებებით გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზაზე აუცილებელია არამარტო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა არამედ მეცნიერული კვლევების პრიორიტეტების შერჩევა, პროგრამებისა და პროექტების შემუშავება, სამუშაოთა დაგეგმვა და შესრულების ორგანიზაცია. მონიტორინგის სისტემის დანერგვა. საქართველოს კანონი 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში პო-

ლიტიკა ითვალისწინებს ისეთ პრიორიტეტებს, როგორცაა:

- განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები საქართველოს ძლიერ, რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრად გადაქცევისათვის, მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა”

- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ერთეულების ხელშეწყობის მიზნით მეცნიერული კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა. სამეცნიერო პერსონალის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ ჩვევების გამომუშავება.

- კვლევის პროცესში ინოვაციების გამოკვეთა.

მეცნიერული კვლევების ეფექტურობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია:

- ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების, რეგიონების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდისათვის არსებული, გამოყენებული რესურსების გამოვლენა და ამოქმედება.

- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო-

კვლევითი პოტენციალის გამოყენების დატვირთულობის შესაძლებლობათა შეფასების კრიტერიუმების შეფასება და დანერგვა.

- ქვეყნისა და რეგიონებისათვის მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამეცნიერო ტექნიკური პრობლემების გადაჭრისათვის მეცნიერული კვლევების ხარისხის და დანახარჯთა უკუგების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-დანერგვითი პროფილის ორგანიზაციების და სტრუქტურების ჰორიზონტალური კოორდინაციის მოდელის შემუშავება;

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების მოთხოვნათა გამკაცრება. ყოველწლიური მეცნიერული კვლევების ანგარიშების შეფასება უნდა იყოს ობიექტური და უნდა იძლეოდეს საშუალებას მიღებული იქნას გადაწყვეტილებები სახელმწიფო დონეზე დაფინანსების შემცირების, გაზრდის ან საერთოდ შეწყვეტის შესახებ, თუ მიღებული შედეგები არ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

## *ECONOMICS*

### **WORK OUT THEMATIC PLANS OF SCIENTIFIC-RESEARCH WORKS SHOULD BE DEVELOPED BASED ON STATE STRATEGY**

**ASLAN DEVADZE**

*BSU Institute of Agrarian and Membrane Technologies*

The country has started to develop various fields of political and socio-economic spheres on the path of independence with the formation of a new, market economic structural model and gradual development.

Solving the problem of education, science and business integration is one of the most important and the most priority for the state.

Results of scientific studies, statistical accounting and other information sources show that scientific researchers do not exist or are in some cases fragmented and cannot provide the so-called implementing the "Purpose of Tree" principle.

The results of individual studies have some fundamental and utilized values but do not provide adequate solutions for large-scale research.

The strengths and weaknesses of defining the priority development of scientific research, the establishment of an effective implementation system have been analyzed in this article.

The final results of the subjects executing scientific researches should be estimated based on the prerequisite of scientific-research thematic plans with the state strategy.

As a result of the survey we have established that it is necessary to expand the involvement of the state budget and the private financing entities in scientific research, coordination of the work of different structures.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. დევაძე. აგრარული სფეროს განვითარების დონე წარსულში და დღევანდელი სტრატეგია აჭარის რეგიონში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები №2. ISSN2449-2507. გვ 122-134. ბათუმი. 2017
2. ა. დევაძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი. საქართველოს ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის როლი განათლების, მეცნიერების და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის განვითარებაში. შრომები N1. ბათუმი გვ. 75-79. ISSN 2449-2507. 2016 წელი.
3. ა. დევაძე. ზოგიერთი მონაცემები აგრარული სფეროს შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი. შრომები IV. გვ 24-36. ISSN 2449-2507. 2019წ.
4. ა. დევაძე. აჭარის რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების არსებული მდგომარეობით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი. შრომები III. გვ 169-171. ISSN 2449-2507. ბათუმი. 2018წ.
5. Бянкин А.С., Бурдакова Г. И., Политические, социологические и экономические проблемы. Журнал Вестник Госуниверситета Комсомольска на Амуре. 20018 г. УДК 334.02:378...33.
6. Ратаи Т.В., Мартинова С.В., Гребенюк А.Ю. Исследования и разработки по приоритетным направлениям развития науки, технологии и техники. Журнал «Наука, технологии, и иноваци: Экспресс информация НУИ.ВШЭ. 2016г. Комсомольск на Амуре.
7. Сазонов Б.В. Методы и проблемы определения направлении перспективных научных исследований. М. ИМЭМО РАН. 2016.

*ЛЕСОВОДСТВО***НЕКОТОРЫЕ ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ПОСЛЕДСТВИЯ АНТРОПОГЕННЫХ НАГРУЗОК НА ЛЕСНУЮ РАСТИТЕЛЬНОСТЬ****ВАНО ПАПУНИДЗЕ***Батумский государственный университет Шота Руставели.**Адjarский региональный научный центр Национальной академии наук Грузии*

**АБСТРАКТ** - В статье рассмотрены результаты изменения водно-физических свойств почвы (общая капиллярность и некапиллярность скважности, водопроницаемость, объем, водопроницаемость агрегатов), вызванные разного рода воздействием человека в курортных и рекреационных зонах (Прибрежная и Высокогорная субальпийская зоны) одного из особых с точки зрения растительного биомногообразия регионов Грузии - Адjarской автономной республики.

**Ключевые слова:** рекреация, капиллярная и некапиллярная скважность, агрегатность, лесные экосистемы.

На лесную растительность Адjarии помимо рубки леса значительное влияние оказывают и другие формы антропогенных нагрузок, к которым, в первую очередь, в условиях Адjarии относятся сельскохозяйственная деятельность, использование лесных экосистем для рекреации, развитие курортов и пр. В каждом конкретном случае экологические последствия различной хозяйственной деятельности определяются природными особенностями региона, его социально-экономическим развитием (1, 5, 8, 11, 15).

Не останавливаясь на анализе природных условий региона, рассмотрим экономические и социальные особенности республики.

**1. Экономические и социальные особенности республики**

Площадь Адjarской автономной республики составляет 2,9 кв. км и занимает 4,3 % всей территории Грузии. По состоянию на 1 января 2019 года численность населения Грузии составляла 3 723 тысяч человек, что по сравнению с показателем прошлого года уменьшено на 0,2 %. По данным Национального статистического центра Грузии по состоянию на 1 января 2019 года 58,7 % всего населения Грузии проживает в городских поселениях. Численность жителей Адjarии на этот период составила 349 тысяч человек, из них 151 400 (43,4 %) - сельские жители и 197 600 (56,6 %) - городские жители.

Динамика населения, с которой непосредственно связано воздействие человека на природные комплексы приводится в таб. 1.1.

Из-за особенностей природных условий и географического положения территория Адjarии населена неравномерно. В некоторых районах повышенная концентрация населенных пунктов, в других же их немного, хотя количество велико. Наибольшей плотностью населения выделяется приморская часть.

Следует отметить, что с 1917 по 1996 год население всех муниципалитетов Аджарии росло. С 1996 по 2019 год численность населения Аджарии сократилась на 42 600 человек. Зато увеличилась численность городского населения. Последнее связано с переселением значительной части населения из горной Аджарии в приморские районы, что было связано с опережающим экономическим развитием этих районов. Этот процесс продолжается и сегодня (6,8,18).

Из общей территории Аджарской автономной республики равнинная часть составляет 1,7 %, предгорья - 0,8 %, остальные 97,5 % - горная область. Аджария - малоземельная республика: из 290 тысяч га административной территории земли сельскохозяйственного назначения составляют 72 900 га, это всего лишь 25,1 % от общей территории республики.

Таблица 1.1

## Динамика населения Аджарской республики

Годы	Численность населения, (тыс.чел.)	В том числе		Процентность из общего количества	
		Городское население	Сельское население	Городское население	Сельское население
1897	80,0	28,5	51,5	35,6	64,4
1917	76,7	20,0	56,7	26,1	73,9
1921	122,0	58,0	64,0	47,5	52,5
1940	204,4	79,2	125,2	38,7	61,3
1950	203,9	74,4	129,5	36,5	63,5
1960	251,3	113,1	138,2	45,0	55,0
1970	309,8	136,8	173,0	44,2	55,8
1975	337,1	151,8	185,3	45,0	55,0
1980	358,3	162,0	196,3	45,2	54,8
1985	372,0	169,4	209,6	44,7	55,3
1987	385,0	177,2	207,8	46,0	54,0
1994	423,0	189,1	233,9	44,7	55,3
1996	391,6	177,3	214,3	45,3	54,7
1997	374,0	169,8	204,2	45,1	54,9
2001	347,4	167,4	180,0	48,2	51,8
2002	342,1	166,9	174,4	49,0	51,0
2005	338,6	165,9	172,7	49,0	51,0
2014	333,2	184,2	149,0	55,3	44,7
2017	343,0	192,6	150,4	56,3	43,7
2018	346,3	195,2	151,1	56,4	43,6
2019	349,0	197,6	151,4	56,6	43,4

В Аджарии из сельскохозяйственных угодий около 59 % занимают альпийские и субальпийские пастбища и сенокосы, длительность использования которых в течение года составляет всего лишь 2,5-3 месяца. 41 % этих угодий приходится на пашню. По официальным данным Аджария является самой малоземельной среди всех республик постсоветского пространства (кроме Армении). На душу населения приходится в среднем около 0,2 га сельхозугодий и 0,02 га пашни. По обеспеченности землей Аджария в три раза отстает от средних показателей по Грузии.



## ВАНО ПАПУНИДЗЕ

---

Для иллюстрации плотности населения Аджарии приведем еще одно сравнение: по данным переписи населения 2019 года в Аджарии на каждый квадратный километр проживает 120 человек, в занимающей по этому показателю второе место Имеретии - 83 человека, а общий показатель по Грузии - 53,4 на квадратный километр.

В приморских районах Аджарии (Хелвачаури, Кобулет) количество сельских населенных пунктов меньше, чем во внутривгорных (Кеда, Шуахеви, Хуло), однако величина этих сел по количеству жителей в два раза больше, чем во внутренней Аджарии. Формированию более крупных сел в приморской Аджарии способствовало меньшее расчленение рельефа, благоприятное географическое положение и развитие интенсивного сельскохозяйственного производства.

Таким образом, территория Аджарской республики заселена очень неравномерно. В некоторых районах мы встречаемся с концентрацией населенных пунктов, в других их немного, но количество жителей велико. Естественно, что в связи с ростом населения увеличиваются требования на землю, отведенную для приусадебных участков как общественного, так и личного пользования.

Исходя из малоземелья всей Грузии и, в частности, Аджарии, считаем нужным остановиться еще на одной особенности этого региона: в Аджарии высока плотность животных, например, количество крупного рогатого скота на каждые 100 га сельхозугодий в три раза больше, нежели в остальной Грузии. В отдельных районах на пригодных для пастбищ территориях пасут в 10-15 раз больше животных, нежели предусмотрено нормой. На 60 % территории лесного фонда Аджарии выпас скота не организован должным образом и значительно превышает норму.

Среди функций, организующих окружающую среду, важнейшими являются: влияние леса на ветер и гидрологический режим, защита почвы, процессы водной и ветровой эрозии и пр. Леса Аджарии, которые занимают 65 % от общей территории республики, расположены неравномерно, на разных экспозициях с наклоном 21 и более градусов, в труднодоступных глубоких ущельях, тем не менее, они выполняют значительную социальную функцию. Средняя полнота значительной части лесного массива на сегодняшний день достигла критической грани, в результате чего леса значительно сократили или прекратили способность к самовосстановлению, также понизилась способность к выполнению защитной функции.

Одновременно с ростом населения расширяется жилищное строительство, увеличивается сеть автомобильных дорог с твердым покрытием и грунтовых дорог, возрастает расход воды на бытовые и сельскохозяйственные нужды, усиливается эксплуатация лесов, побочное и рекреационное использование.

Чрезмерная антропогенная нагрузка на природные комплексы Аджарии, перенасыщенность некоторых природных комплексов тяжелыми инженерными сооружениями и сельскохозяйственным использованием являются основными причинами активации оползневых, селевых и других негативных процессов в республике.

Во всех этих процессах значительную роль оказывают большое количество выпадающих осадков. Об этом свидетельствует тот факт, что зимой 1988-1989 гг. из-за особенно сильного снегопада и интенсивного таяния снега весной 6 тысяч семей общей численностью 20 тысяч человек оказались в лавиноопасной зоне в Аджарии и были расселены в другие районы Грузии.

В 1976-1987 годы в Аджарии зафиксировано около 2000 случаев снежных лавин, оползней и селей. К началу 1988 года в республике более чем 700 семей находилось в зоне активных

стихийных процессов, отмечалось более 300 действующих оползней, 175 мест, где ожидалось возникновение селей. За последние 20 лет в результате эрозийных процессов вышло из строя более 1600 га пахотных земель (8).

Исключительно важная роль в решении данной проблемы принадлежит плановому расселению жителей из малоземельных горных сел в Аспиндский, Адыгейский, Цителцкаройский и другие районы, где имеется значительный резерв неиспользованных земель и дефицит рабочей силы.

Очень низкая доля сельхозугодий, пастбищ и сенокосов, высокая плотность населения обуславливают то, что хозяйственные и бытовые интересы абсолютного большинства населения Аджарии тесно связаны с лесом.

Таким образом, на лесные экосистемы Аджарии действует полный комплекс антропогенных факторов, которые проявляют себя в разнообразных формах.

Не преследуя цель рассмотрения последствий всех разнообразных форм антропогенного влияния, мы остановимся, во-первых, на исследованиях экологических последствий вырубке колхидского леса, создании эвкалиптовых культур, на рекреационном использовании лесов приморской части Аджарии. Во-вторых, нами исследованы последствия выпаса домашнего скота в субальпийском лесном поясе. Это важно, потому что эти формы антропогенных нагрузок имеют в Аджарии перспективу развития.

При этом главное внимание в исследованиях сконцентрировано на изучении водно-физических свойств лесных почв. Именно с этими параметрами связана стабильность лесных экосистем и качественное и количественное проявление их защитных функций.

Для изучения последствий рекреации на лесные экосистемы нами были использованы объекты исследования в Батумском ботаническом саду, лесные растительные формации которого являются репрезентативными для приморской части Аджарии. Последствия посквальных нагрузок изучались в субальпийских лесах Хулойского лесхоза, являющегося типичным животноводческим районом республики.

## **2. Изменение водно-физических свойств почв в условиях антропогенных воздействий на растительный покров прибрежной части и субальпийской зоны Аджарии**

На Черноморском побережье Аджарии в специфических природных условиях широкомасштабное внедрение технических и ценных субтропических растений (чай, цитрусовые, тунг, бамбук, криптомерия, эвкалипт и др.) привело к коренной смене растительности Черноморского побережья. По существу, здесь сформировался культурный, антропогенный по своему характеру ландшафт.

Характерные колхидские леса с присущим им многочисленным видовым составом сохранились лишь фрагментарно и, в большинстве случаев, они представлены сильно изреженными и деградированными насаждениями (7, 9).

В условиях отмеченных нами антропогенных воздействий, сопровождающих изменение лесного растительного покрова, одновременно происходит значительное изменение и экологических, и, особенно, эдафических условий среды. При этом, в первую очередь, происходят изменения в водно-физических свойствах почвы, которые контролируют рост и развитие древесных растений.

## ВАНО ПАПУНИДЗЕ

---

Процессы образования красноземов в горно-холмистой части Аджарии ярко выражены до 400-500 м н.у.м. (2,16).

Ценнейшие материалы, касающиеся изменения физических свойств красноземов в связи с реконструкцией колхидских лесов Черноморского побережья Аджарии чайными и цитрусовыми плантациями, встречаются в исследованиях Ш.Д.Палавандишвили (7).

Среди работ более раннего периода следует отметить исследования М.К.Дараселия (3) и др.

Однако до сих пор остается неисследованным вопрос о том, какие изменения происходят в красноземах в условиях смены естественных лесов Черноморского побережья Аджарии интродуцированными породами, а также при рекреационном использовании парковых насаждений.

С целью изучения водно-физических свойств и температурного режима красноземных почв под воздействием отмеченных выше антропогенных нагрузок исследовались следующие четыре участка на территории Батумского ботанического сада Грузии.

1. Участок нетронутого колхидского леса. Смешанное буково-грабовое насаждение с подлеском из рододендрона понтийского, лавровишни, падуба колхидского и др. Полнота 0,8-0,9, травянистый ярус отсутствует. Высота над уровнем моря - 90 м, склон северо-западной экспозиции, крутизна - 22°.
2. Участок вырубленного леса на склоне западной экспозиции, уклон - 16°, высота 150 м н.у. м. растительность только из травяного покрова.
3. Участок эвкалиптового насаждения на склоне юго-западной экспозиции, крутизна 15-20°, высота 70 м н.у.м. В подлеске - акация и мощно развитый травяной покров.
4. Прогулочные участки „Нижнего парка“. Склон западной экспозиции, крутизна 17°, высота 60 м н.у.м. насаждение смешанное с полнотой 0,6 из хвойных интродуцентов (криптомерия японская, пихта обыкновенная, ель обыкновенная, сосна приморская).

Почвы на всех исследованных участках относятся к категории делювиальных обыкновенных красноземов, принадлежащих к одной генетической группе. Ниже приводится морфологическое описание разрезов на исследованных участках.

### УЧАСТОК I - ЕСТЕСТВЕННЫЙ КОЛХИДСКИЙ ЛЕС

**А<sub>0</sub> 0-3 см.** - На поверхности почвы опад из полуразложившихся листьев каштана, рододендрона и др.

**А 3-21 см.** - Свежий темно-коричневый с темными прожилками гумуса, сложение рыхлое, окраска однородная, структура средне-комковатая, тяжело-суглинистый, в верхней части обильно пронизан корнями, встречается марганец, переход к горизонту В заметный по окраске и сложению.

**В 21-68 см.** - Свежий, коричневый, светлее предыдущего, окраска неоднородная, в нижней части более однородная, встречаются мелкие включения марганца, в верхней части корней много, а в нижней меньше, структура средне-ореховатая, механический состав более тяжелый, встречаются мертвые корни, переход к горизонту С постепенный.

**С 68-190 см.** - Влажный, цвет охристый, окраска неоднородная, сложение уплотненное, встречаются мелкие включения марганца и небольшое количество литомаржа, структура не выражена, корней мало, механический состав тяжелый, небольшое количество железа, в

нижней части горизонта встречаются охристо-железистые конкреции, больше кварцевых песчинок, переход к следующему горизонту постепенный.

**Д ниже 190 см.** - Кора выветривания андезито-базальтов представлена пестроцветным материалом невыраженной структуры.

#### **УЧАСТОК II - БЕЗЛЕСНЫЙ**

**А<sub>0</sub> 0-22 см.** - Темно-коричневый, сложение рыхлое, окраска однородная, структура мелкокомковатая, тяжело-суглинистый, встречается много корней травянистых растений, на поверхности опад из полуразложившейся травы, в нижней части встречаются мертвые корни, переход к горизонту В заметный по окраске и сложению.

**В 22-53 см.** - Свежий, цвет светло-коричневый, окраска неоднородная, на поверхности структурных агрегатов большое количество затеков гумуса, появляются аморфные стяжения железа охристого цвета, мелкие включения марганца, сложение более плотное, механический состав тяжелый, структура средне-ореховатая, в верхней части корней много, а ниже встречаются мертвые полуразложившиеся корни, переход к горизонту С постепенный.

**С 53-158 см.** - Влажный цвет охристый, окраска неоднородная, сложение плотное, встречаются крупные включения марганца, литомаржа, аморфное железо. В нижней части большое количество кварцевых песчинок, корней мало, структура не выражена, механический состав - тяжелый суглинок, переход к следующему горизонту постепенный.

**Д ниже 158 см** - Кора выветривания литомарж (красный), конгломерат.

#### **УЧАСТОК III - ЭВКАЛИПТОВОЕ НАСАЖДЕНИЕ**

**А<sub>0</sub> 0-18 см.** - Свежий, коричневый, с темными прожилками гумуса, сложение рыхлое, окраска однородная, мелко и средне-комковатая, тяжело-суглинистый, в верхней части обильно пронизан корнями травянистых растений. На поверхности почвы - опад из полуразложившихся листьев эвкалипта и остаток травы и веток, в нижней части встречаются крупные железистые конкреции, переход к горизонту В заметный по окраске и сложению.

**В 18-40 см.** - Свежий, цвет светлее предыдущего, буро-коричневый, окраска неоднородная, в верхней части - большое количество затеков гумуса, в нижней части осветление окраски: более однородная с отдельными пятнами аморфных скоплений железа, встречаются единичные мелкие включения марганца, структура мелко- и средне-ореховатая, сложение более плотное, механический состав более тяжелый, живых корней меньше, встречаются полуразложившиеся корни, переход к горизонту С заметный по окраске.

**С 40-120 см.** - Влажный, охристо-бурого цвета, окраска неоднородная, сложение уплотненное. большое количество крупных включений марганца и литомаржа, аморфных железистых стяжений, структура не выражена, корней мало, механический состав тяжело-суглинистый, большое количество кварцевых песчинок, переход к породе затемнен по текстуре.

**Д ниже 120 см.** - Кора выветривания представлена пестроцветным материалом делювия андезито-базальтов.

#### **УЧАСТОК IV - НИЖНЯЯ ЧАСТЬ ПАРКА (ПРОГУЛОЧНАЯ)**

11. EPPO (2017). PM 3/59 (3) *Synchytrium endobioticum*: descheduling of previously infested plots. EPPO Bulletin, 47: 366– 368. <https://doi.org/10.1111/epp.12409>
12. EPPO (2017). PM 7/28 (2) *Synchytrium endobioticum*. EPPO Bulletin, 47: 420– 440. <https://doi.org/10.1111/epp.12441>

## ბიოლოგია

### აჭარის ზღვისპირეთის ურბანულ გარემოში რეკრეაციული დანიშნულების დენდროფლორა

მ. მებრეველი, ვ. კაკუნიძე, ა. მესხიძე, ბ. შაქარიშვილი,  
ლ. კოდანოვი, მ. კანდელაკი

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმის ბოტანიკური ბაღი*

**აბსტრაქტი:** აჭარის ზღვისპირეთი კარგად არის მწვანე ნარგავებით განაშენიანებული, თუმცა, ქალაქი ბათუმი ურბანულ კონგლომერატად გადაქცევის საფრთხის წინაშეა, ამას განსაკუთრებით მძაფრად ემატება ძლიერ მომატებული ავტოტრანსპორტის რაოდენობა, რაც ძალიან აბინძურებს გარემოს. გარდა ამისა, არის კიდევ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა: აჭარა არის ტურისტული რეგიონი, ბათუმი სატრანზიტო ქალაქია, საქართველოს სამხრეთი კარიბჭე, სადაც უამრავი უცხოელი მოქალაქე, უცხოური ტრანსპორტი და ტვირთი გადაადგილდება, რაც ახალი მავნე პათოგენური მიკროორგანიზმების (სოკო, ბაქტერია, ვირუსი და სხვა) გავრცელების მიზეზი ხდება. მცენარის როლი კი უმთავრესია ატმოსფეროს ჟანგბადით გამდიდრებაში, ასევე, მცენარეები გამოყოფენ სხვადასხვა შედეგნილობის აქროლად ნივთიერებებს, რომლებიც სპობენ გარემოში სხვადასხვა სახის მიკრობებს, ამიტომ, მცენარეებით ადამიანის საარსებო გარემოს განაშენიანებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ ბათუმისა და მისი შემოგარენის მწვანე ნარგავების შესწავლა. მთავარ ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, წარმოადგენენ თუ არა ისინი ისეთ ობიექტებს, რომლებმაც შეიძლება შეასრულონ სანიტარულ-ჰიგიენური, რეკრეაციული და მხატვრულ-დეკორაციული ფუნქციები.

კვლევის შედეგად გაანალიზებულია აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ნარგავების ნაირსახეობები, კერძოდ, დადგენილი იქნა, რომ აჭარის ზღვისპირეთში არის შემდეგი ტიპის ნარგავები: 1) ზოგადი სარგებლობის ნარგავები; 2) განსაზღვრული სარგებლობის მწვანე ნარგავები; 3) გზებისა და მაგისტრალის გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავები.

გაკეთდა აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტების დენდროფლორის სახეობრივი შემადგენლობის ზოგადი ანალიზი. ჭარბობს ჩრდილოეთ ამერიკული და აღმოსავლეთაზიური წარმოშობის მარადმწვანე და ფოთოლმცვენი სახეობები: ხეები, ბუჩქები, ლიანები. განხილული იქნა მათი მრავალფეროვნება.

გამოყოფილი იქნა აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტებზე წარმოდგენილ მცენარეებში მაღალი ანტიმიკრობული თვისებების სახეობები.

**საკვანძო სიტყვები:** რეკრეაცია, გამწვანება, ანტიმიკრობული, დენდროფლორა, ინტროდუცირებული.

ქალაქებისა და სხვა ტიპის დასახლებების მწვანე ნარგავები წარმოადგენენ ერთიან მწვანე კომპლექსურ ზონას, რომელიც უზრუნველყოფს გამწვანების და ტერიტორიის განახლების, ბუნების დაცვის, გარემოს დაცვის და რეკრეაციის საკითხებს, რაც ძირითადად მიმართულია ადამიანის შრომის, ყოფა-ცხოვრების და ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.



ზოგადად, აჭარის ზღვისპირეთი კარგად არის მწვანე ნარგავებით განაშენიანებული, მაგრამ ეკოლოგიის თანამედროვე და სხვა სახის პრობლემები, გამწვანების გაზრდისა და გაფართოების პრობლემასაც აყენებს, განსაკუთრებით, ქალაქ ბათუმში, რომელიც ურბანულ კონგლომერატად გადაქცევის საფრთხის წინაშეა, ამას ემატება მისი ტურისტული და სატრანზიტო ფუნქციები, სამშენებლო სამუშაოების, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის, ხმაურის სიჭარბე და სხვა.

მიზნად დავისახეთ ბათუმისა და მისი შემოგარენის მწვანე ნარგავების შესწავლა. მთავარ ამოცანას წარმოადგენდა დაგვედგინა, წარმოადგენენ თუ არა ისინი ისეთ ობიექტებს, რომლებმაც შეიძლება შეასრულონ სანიტარულ-ჰიგიენური, რეკრეაციული და მხატვრულ-დეკორაციული ფუნქციები.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანების შესრულება: აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ნარგავებით განაშენებული ობიექტების შესწავლა და მათი კლასიფიკაცია; აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტების მცენარეული მრავალფეროვნების ანალიზი; აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტებზე წარმოდგენილ მცენარეებში მაღალი ანტიმიკრობული თვისებების სახეობების გამოყოფა; დასკვნების გამოტანა.

ჩვენი დაკვირვების საფუძველზე, აჭარის ზღვისპირეთში არის შემდეგი ტიპის მწვანე ნარგავები:

1. ზოგადი სარგებლობის მწვანე ნარგავები;
2. განსაზღვრული სარგებლობის მწვანე ნარგავები;
3. გზებისა და მაგისტრალების გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავები.

ზოგადი სარგებლობის ნარგავებად შეიძლება ჩაითვალოს ბათუმის ბულვარი, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკები და სკვერები: 26 მაისის სახელობის პარკი, სკვერი ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე მერიისა და ხელოვნების ინსტიტუტის მიმდებარედ, წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის მიმდებარე სკვერი უნიკალური ხე-მცენარეებით რუსთაველის ქუჩაზე, ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ძველი, ულამაზესი სკვერი ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე, ასევე, სკვერები ინასარიძისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საზღვაო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე უნიკალური უძველესი და ასევე, უნიკალური ახალი სკვერები და სხვა; მიკრორაიონების ბაღები და ტყე-პარკები (ხელვაჩაურის ტყე-პარკი და სხვა).

განსაზღვრული სარგებლობის მწვანე ნარგავები დავაფიქსირეთ საავადმყოფოების, კლინიკების, საბავშვო ბაღების, სკოლების, სპორტული კომპლექსების, რკინიგზის სადგურების ტერიტორიებზე. გამოვყოფდით ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ძველ გაშენებულ ბაღს, გარეუბანში, ყოფილი მახინჯაურის რკინიგზის სადგურის მიმდებარე სკვერს, ქალაქ ბათუმში მე-4 საშუალო სკოლის ეზოს პოდოდკარპუსების (ფეხნაყოფა) უნიკალური წიწვოვანი მცენარეების ბაღსა და სხვა.

გზებისა და მაგისტრალების გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავები ჩვენი დაკვირვებით, ნაწილობრივ, დეკორატიული დანიშნულების მცენარეებით არის წარმოდგენილი, მაგრამ უმეტესად, სატყეო კულტურებით არის გაშენებული. მაგალითად, ჩაქვის, ქობულეთის და ხელვაჩაურის ავტომაგისტრალზე: კედარი, ლიქვიდამბარი, გინკგო, ლირიოდენდრონი, ევკალიპტი, ოსმანთუსი, სხვადასხვა სახეობის ნეკერჩხლები, მაგნოლიები და სხვა.

ამ ობიექტებზე გავაკეთეთ დენდროფლორის სახეობრივი ანალიზი. დავადგინეთ, რომ მწვანე ნარგავების ძირითადი ნაწილი, თითქმის მთლიანად, მცირე გამონაკლისის გარდა, როცა კავკასიური ცაცხვი, ნაძვი, სოჭი, ფიჭვი და სხვა, ფიგურირებს, არის უცხოური წარმოშობის,

**აჭარის ზღვისპირეთის უზარმაზარ ბარამოში რამდენიმე დანიშნულების დენდროფლორა**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, თითქმის ყველა კონტინენტიდან ინტროდუცირებული ეგზოტიკური ფლორა.

აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტების სახეობრივი ანალიზის საფუძველზე, დავადგინეთ, რომ პარკებში, სკვერებში, გზისპირებზე, ბულვარში, ბოტანიკურ ბაღში და სხვა, ჭარბობს ჩრდილოეთ ამერიკული და აღმოსავლეთაზიური წარმოშობის მარადმწვანე და ფოთოლმცვენი დენდროფლორა: ხეები, ბუჩქები, ლიანები. ფენოლოგიური დაკვირვებების პარალელურად, სახეობრივი შემადგენლობის ანალიზისთვის, გამოვიყენეთ არსებული სამეცნიერო ნაშრომებიც (1-11).

ცხრილში №1, მოცემულია ზღვისპირეთის მწვანე ობიექტებზე წარმოდგენილ აღმოსავლეთაზიურ და ჩრდილოეთ ამერიკულ მცენარეთა მრავალფეროვნება ოჯახებისა და გვარების მიხედვით: 33 ბოტანიკური ოჯახის 62 გვარი. ამ გვარებში შემავალი სახეობები არის მრავალმხრივი პრაქტიკული დანიშნულების მცენარეები: დეკორატიული, ტექნიკური, სამკურნალო, საფურაჟე, სატყეო, მერქნის მომცემი, საკვები ღირებულების, წარმოებისთვის სხვადასხვა დანიშნულების სახეობები. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არის „ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეებიც, ესენია:

კატეგორია - LC – *Cercis canadensis*; *Quercus dentata*; *Chamaecyparis pisifera*; *Thuja standishii*; *Abies concolor*, *A. firma*, *A. holophylla*, *A. homolepis*, *A. religiosa*, *A. sachalinensis*, *A. veitchii*; *Picea asperata*, *P. jezoensis*, *P. koraiensis*, *P. likiangensis*, *P. pungens*; *Pinus armandii*, *P. densiflora*, *P. echinata*, *P. koraiensis*, *P. massoniana*, *P. montezumae*, *P. oocarpa*, *P. parviflora*, *P. patula*, *P. ponderosa*, *P. radiata*, *P. rigida*, *P. strobus*, *P. tabuliformis*, *P. taeda*, *P. thunbergii*, *P. yunnanensis*; *Tsuga Canadensis*, *T. chinensis*, *T. diversifolia*, *T. Sieboldii*.

კატეგორია - VU – *Pinus palustris*; *Chamaecyparis lawsoniaia*.

კატეგორია - NT – *Picea breveriana*; *Chamaecyparis obtusa*; *Magnolia officinalis*; *Liriodendron chinensis* და სხვა.

კატეგორია - EN – *Magnolia delavayi*; *Chamaecyparis formosensis*.

ცხრილი №1

აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტების ჩრდილოეთ ამერიკული და აღმოსავლეთაზიური დენდროფლორის მცენარეთა მრავალფეროვნება ოჯახებისა და გვარების მიხედვით

#	ოჯახი	გვარი
1	<i>Aceraceae</i> Juss.	<i>Acer</i> L.
2	<i>Anacardiaceae</i> Lindl.	<i>Rhus</i> L.
3	<i>Aquifoliaceae</i> Bartl.	<i>Ilex</i> L.
4	<i>Berberidaceae</i> Torr. T Gray	<i>Berberis</i> L.
		<i>Mahonia</i> Nutt.
5	<i>Betulaceae</i> S. F Gray	<i>Alnus</i> Mill.
		<i>Betula</i> L.
		<i>Carpinus</i> L.
		<i>Corylus</i> L.
6	<i>Bignoniaceae</i> Juss.	<i>Campsis</i> Lour.
		<i>Catalpa</i> Scop.
7	<i>Caprifoliaceae</i> Kent.	<i>Lonicera</i> L.

მ. მებრეველი, ვ. პავუნია, ა. მუსხიში, ბ. შაქარიშვილი, ლ. კოლანოვი, მ. კანდელაკი

		<i>Viburnum L.</i>
8	<i>Celastraceae Lindl.</i>	<i>Celastrus L.</i>
9	<i>Clethraceae Klotzs.</i>	<i>Clethra L.</i>
10	<i>Cornaceae Dumort.</i>	<i>Cornus L.</i>
11	<i>Cupressaceae Spach.</i>	<i>Chamaecyparis Spach.</i>
		<i>Juniperus L.</i>
		<i>Thuja L.</i>
12	<i>Ericaceae D. C.</i>	<i>Rhododendron L.</i>
13	<i>Fabaceae Lindl.</i>	<i>Cercis L.</i>
		<i>Desmodium Desv.</i>
		<i>Gleditsia L.</i>
		<i>Wisteria Nutt.</i>
14	<i>Fagaceae Dumort.</i>	<i>Quercus L.</i>
15	<i>Gutiiferae Juss.</i>	<i>Hypericum L.</i>
16	<i>Hamamelidaceae R. Brom.</i>	<i>Hamamelis L.</i>
		<i>Liquidambar L.</i>
17	<i>Hydrangeaceae Dumortier.</i>	<i>Hydrangea L.</i>
		<i>Philadelphus L.</i>
18	<i>Illiciaceae A. C. Smith.</i>	<i>Illicium L.</i>
19	<i>Juglandaceae L.</i>	<i>Juglans L.</i>
20	<i>Magnoliaceae Juss.</i>	<i>Magnolia L.</i>
		<i>Liriodendron L.</i>
21	<i>Menispermaceae Juss.</i>	<i>Cocculus DC.</i>
22	<i>Myricaceae Blume</i>	<i>Myrica L.</i>
23	<i>Oleaceae Hoffing. et Link.</i>	<i>Chionanthus L.</i>
		<i>Fraxinus L.</i>
24	<i>Pinaceae Lindl.</i>	<i>Abies Mill.</i>
		<i>Picea Dietr.</i>
		<i>Pinus L.</i>
		<i>Tsuga carr.</i>
25	<i>Rhamnaceae Juss.</i>	<i>Rhamnus L.</i>
26	<i>Rosaceae Juss.</i>	<i>Amelanchier Medik.</i>
		<i>Cerasus Juss.</i>
		<i>Crataegus L.</i>
		<i>Malus Mill.</i>
		<i>Padus Mill.</i>
		<i>Physocarpus Maxim.</i>
		<i>Prunus L.</i>
		<i>Rosa Juss.</i>
		<i>Rubus L.</i>
		<i>Spirea L.</i>
27	<i>Rutaceae Juss.</i>	<i>Zantoxylum L.</i>

28	<i>Salicaceae</i> Mirbel.	<i>Populus</i> L.
		<i>Salix</i> L.
29	<i>Staphyleaceae</i> D. C.	<i>Staphylea</i> L.
30	<i>Tiliaceae</i> Juss.	<i>Tilia</i> L.
31	<i>Ulmaceae</i> Mirbel.	<i>Celtis</i> L.
		<i>Ulmus</i> L.
32	<i>Verbenaceae</i> Jaume.	<i>Callicarpa</i> L.
33	<i>Vitaceae</i> Lindl.	<i>Vitis</i> L.

მწვანე ობიექტების სახეობრივი ანალიზის შემდეგ, უცხოურ ლიტერატურის, ქართველი მეცნიერების და ჩვენს მიერ (2; 7-11) ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე, გამოვყავით ანტიმიკრობული, ფიტონციდური თვისებების მცენარეები. ისინი ძირითადად მიეკუთვნებიან შემდეგ გვარებს: *Rhus* L., *Ilex* L., *Berberis* L., *Mahonia* Wutt., *Chamaecyparis* Spach., *Juniperus* L., *Thuja* L., *Hamamelis* L., *Liquidambar* L., *Liriodendron* L., *Juglans* L., *Abies* Mill., *Picea* Dietr., *Pinus* L., *Populus* L. და სხვა.

ჩვენი კვლევის შედეგად, გაანალიზებულია აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ნარგავების ნაირსახეობები, კერძოდ, დადგენილი იქნა, რომ აჭარის ზღვისპირეთში არის შემდეგი ტიპის ნარგავები: 1) ზოგადი სარგებლობის ნარგავები: ბულვარი, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკები და სკვერები, მიკრორაიონების ბაღები და ტყე-პარკები და სხვა; 2) განსაზღვრული სარგებლობის მწვანე ნარგავები: საავადმყოფოების, კლინიკების, საბავშვო ბაღების, სკოლების, სპორტული კომპლექსების, რკინიგზის სადგურების და სხვა; 3) გზებისა და მაგისტრალების გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავები: ნაწილობრივ დეკორატიული დანიშნულების მცენარეებით არის წარმოდგენილი, მაგრამ უმეტესად, სატყეო კულტურებით არის გაშენებული.

გაკეთდა აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტების დენდროფლორის სახეობრივი შემადგენლობის ზოგადი ანალიზი. ჭარბობს ჩრდილოეთ ამერიკული და აღმოსავლეთაზიური წარმოშობის მარადმწვანე და ფოთოლმცვენი სახეობები: ხეები, ბუჩქები, ლიანები. განხილული იქნა მათი მრავალფეროვნება ოჯახებისა და გვარების მიხედვით.

გამოყოფილი იქნა აჭარის ზღვისპირეთის მწვანე ობიექტებზე არსებული მაღალი ანტიმიკრობული თვისებების მცენარეები გვარების მიხედვით.

*BIOLOGY***RECREATIONAL DENDROFLORA IN THE URBAN ENVIRONMENT OF  
ADJARA**

**METREVELI M., PAPUNIDZE V., MESKHIDZE A.,  
SHAKARISHVILI G., KODANOVI L., KANDELAKI M.**

*Batumi Shota Rustaveli State University*

*Batumi Botanical Garden*

The coast of Adjara is well-equipped with green plants, but the city is threatened with becoming a urban conglomerate, which is particularly increasing due to the increase in the number of vehicles that pollute the environment, and is one of the main problems. In addition, Adjara is a tourist region, Batumi is a transit city, the South Gate of Georgia, where a large number of foreign citizens carrying foreign transport and cargo are responsible for the spread of new harmful pathogens (fungi, bacteria, viruses, etc.).

Green plants enrich atmospheric air with oxygen, plants also emit various materials into the atmosphere, which are scattered in different environments, which is important for the development of human habitat.

Therefore, our goal was to study the green plants of Batumi and its environs. The main goal was to find out whether they are objects that could perform sanitary, hygiene, recreational and artistic and decorative functions.

As a result of the study, various types of green objects of Adjara were analyzed, namely, that the following green objects are located on the coast of Adjara: 1) plants of common use; 2) Plants of Specific Use; 3) Green plants along roads and highways.

A variety of dendroflora of green objects of the coast of Adjara has been studied. Many of them are northern and eastern types of origin: trees, shrubs, both evergreen and deciduous. Discussed their diversity. Highly antimicrobial properties of plants.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბრეგვაძე მ., მებრეველი მ. „მარადმწვანე ფოთლოვან ეგზოტა ადაპტაციის ეკოფიზიოლოგიური ასპექტები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი, 8-10 მაისი, 2013 წელი, ნაწილი I, გვ.64-67.
2. მებრეველი მ., მესხიძე ა. „თაფლოვანი მცენარეები აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“, შრომათა კრებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 120-121.
3. მებრეველი მ., მიქელაძე ი. „ლიანა მცენარეთა მრავალფეროვნება აჭარის ზღვისპირეთში“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ბიომრავალფეროვნება“, მასალები. სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 25-26 ოქტომბერი, 2011, გვ. 248-249.

4. მეტრეველი მ., ჩაიძე ფ. „ღმოსავლეთაზიურ და ჩრდილოამერიკულ მონათესავე სახეობათა მრავალფეროვნება ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი, 8-10 მაისი, 2013 წელი, ნაწილი I, გვ.173-176.
5. ჯაყელი ჯ., მეტრეველი მ., ჯაში დ. „იმვიათი და გაქრობის საშიშროების ქვეშ მყოფი მერქნიანი სახეობების კონსერვაცია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი, 8-10 მაისი, 2013 წელი, ნაწილი I, გვ.124-126.
6. Папунидзе В., Бреговдзе М., Метревели М. „Вопросы физиологии адаптации интродуцированных растений в условиях Черноморского побережья Аджарии“ (Папунидзе В., Бреговдзе М., М) Труды межд. конф. «Теоретические и прикладные аспекты интродукции растений, как перспективного направления развития науки и народного хозяйства» Минск, 2007, стр. 149-150.
7. Папунидзе В., Метревели М., Бреговдзе М. „Особенности адаптаций видов семейства Hamamelidaceae в Батумском ботаническом саду“. Труды межд. конф. «Теоретические и прикладные аспекты интродукции растений, как перспективного направления развития науки и народного хозяйства» Минск, 2007, стр. 223-225.
8. Чаидзе Ф., Цхойдзе Т. «Использование родов Magnolia L. в ландшафтном дизайне» Научное издание Ботанического сада им. Н.В.Цицина РАН, Москва, 22-25 июля, 2010, стр. 404-405.
9. Metreveli M., Meskhidze A., F.Tchaidze, J. Jakeli „North American Multi-Purpose Dear Introdudent Plants in Western Georgia Humid Subtropical Conditions” USA „American Journal of Environmental Protection“ (AJEP) Science Publishing Group, 2015, pp.312-320.
10. Muradashvili Maka, Metreveli Mariam, Jakeli Julieta, Meparishvili Galina, Tschaidze Feride „Screening of Adjara Seaside’s Dendron Plant extraction in-vitro growth of Ralstonia Solanacearum“. International Journal of Current Research, vol. 8, Issue 01, January, 2016. „Ex – situ conservation Base of Global status Woody Species Protected by International Union for Conservation of Nature (IUCN) „Red List“ and Georgian „Red List” at Batumi Botanical Garden” (Jakeli Julieta) Bulletin of the Georgian Academy of Sciences, vol.9, no. 1, 2015, pp.128-133.
11. Trees and shrubs of Batumi Botanical Garden. Tbilisi, 2012.

## **მიკრობიოლოგია**

### **ადმოსავლეთ საქართველოს ყავისფერ-კარბონატული და ალუვიურ-მჟავე ტიპის ნიადაგის მიკროორგანიზმთა ფიზიოლოგიური ჯგუფების რაოდენობრივი შემაღვენლობა**

**ქ. მამულაშვილი, ნ. რამიშვილი, თ. შიუკაშვილი, რ. ტარყაშვილი,  
დ. კვარაცხელია, დ. ლულუნიშვილი, ზ. ლომთათიძე**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი** - შესწავლილია ადმოსავლეთ საქართველოს ყავისფერ - კარბონატული და ალუვიურ-მჟავე ტიპის ნიადაგის მიკროფლორის შემადგენლობა. დაგენილია, რომ ნიადაგის ტიპი ცვლის მიკროფლორის თვისებრივ და რაოდენობრივ შემადგენლობას. ალუვიურ-კარბონატული ტიპის ნიადაგი მიკროორგანიზმთა საერთო რაოდენობით გაცილებით მდიდარია ვიდრე ყავისფერ-კარბონატული ტიპის ნიადაგი.

ნიადაგის უსაფრთხოება და ნაყოფიერება დიდადაა დამოკიდებული მასში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე, რაშიც დიდ მონაწილეობას ღებულობენ მიკროორგანიზმები, მაგრამ ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედება ახდენს ნიადაგის სტრუქტურის და შესაბამისად მასში არსებული მიკრობული ასოციაციების თვისებრივ და რაოდენობრივ ცვლილებას [1,2,] აქედან გამომდინარე ნიადაგის მიკროფლორის კვლევა დღეს დიდ ყურადღებას იქცევს და მნიშვნელოვანია ნიადაგის ნაყოფიერების და უსაფრთხოების შესაფასებლად. ჩვენს მიზანს, პირველ ეტაპზე, წარმოადგედა შეგვესწავლა კახეთის ზოგიერთი ნიადაგის მიკროფლორის რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობა.

მიკროფლორის საანალიზოდ ნიმუშები აღებულ იქნა კახეთის რეგიონის ყავისფერ-კარბონატული (საგარეჯო, წნორი, სიღნაღი) და ალუვიურ-მჟავე (ლაგოდეხი) ნიადაგებიდან. ნიადაგში ვსაზღვრავდით მიკროორგანიზმთა შემდეგ ფიზიოლოგიურ ჯგუფებს: საპროფიტული ბაქტერიები, ცელულოზადაშლელელები, სოკოები, აქტინომიცეტები, ამილოლიტური ბაქტერიები, პირველი და მეორე ფაზის ნიტრიფიკატორები და ანაერობული მიკროორგანიზმები. განისაზღვრა აგრეთვე ცალკეული ტაქსონის % რაოდენობა.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ნიადაგის მიკრობიოლოგიურ კვლევის თანამედროვე მეთოდები [3].

ცდის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს რომ შესწავლილი ნიადაგები განსხვავებულია მიკროორგანიზმების თვისებრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით, დადგენილია, რომ ყავისფერ-კარბონატულ ნიადაგებში მიკროორგანიზმთათა საერთო რაოდენობა მერყეობს (საგარეჯოს ნიადაგებში)  $728235,5 \cdot 10^6$ -დან  $3668458,5 \cdot 10^6$ -მდე (სიღნაღის ნიადაგები) მიკრობული ასოციაციების ცალკეული ჯგუფები შემდეგნაირად ნაწილდებიან: ლაგოდეხის ალუვიურ ნიადაგებში: - საპროფიტული ბაქტერიები - 93,94% და აქტინომიცეტები - 0,00015123%;

კარბონატულ ნიადაგებში - ცელულოზადაამშლელები-0,000000097% და ანაერობული მიკროორგანიზმები - 0,000009156%. საგარეჯო: სოკოები - 0,0000025%, ამილოლიტური ბაქტერიები - 51,86 და პირველი და მეორე ფაზის ნიტრიფიკატორები შესაბამისად 0,00005525% და 0,00000315%; ლაგოდების ალუვიურ მჟავე ნიადაგებში: ცელულოზა დაამშლელები მიკროორგანიზმები - 0,00000000154%; სოკოები - 0,0000002%; ამილოლიტური ბაქტერიები - 6,0592%; მეორე ფაზის ნიტრიფიკატორები - 0,0000001345%.

საგარეჯოს ნიადაგებში საერთოდ არ აღინიშნა ცელულოზადაამშლელები მიკროორგანიზმები, მინიმალურია საპროფიტული ბაქტერიების და აქტინომიცეტების რაოდენობა, შესაბამისად - 48,14% და - 0.0000000008%; სილნალის ნიადაგებში არ აღმოჩნდა აქტინომიცეტები, დაფიქსირდა ნიტრიფიკატორების მცირე რაოდენობა-0,00000683%, ხოლო ანაერობები-0,000000375%-ია.

რაოდენობრივი და თვისებრივი შედგენილობის მიხედვით ყავისფერ-კარბონატული ნიადაგები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ალუვიური ტიპის ნიადაგებისაგან. შესწავლილი ასოციაციებიდან საგარეჯოს ნიადაგებში არ ვხვდებით ცელულოზადაამშლელები მიკროორგანიზმებს, ხოლო სილნალის ნიადაგებში- აქტინომიცეტებს.

მიკრობთა მაქსიმალური რაოდენობები დაფიქსირდა წნორის ნიადაგებში: საპროფიტული ბაქტერიები - 92,79%, ცელულოზადაამშლელები 0,000000097%, ამილოლიტური ბაქტერიები - 87,21%, მეორე ფაზის ნიტრიფიკატორები 0,00000495% და ანაერობები 0,000009156%. საგარეჯოს ნიადაგებში: სოკოები - 0,0000025%, აქტინომიცეტები-0,0000000008% და პირველი ფაზის ნიტრიფიკატორები - 0,00000525%.

მინიმალური რაოდენობებია საგარეჯოში საპროფიტული ბაქტერიები რიცხვი(48,14 %), სილნალის ნიადაგებში კი სოკოები-0,00000077%-ია, ცელულოზადაამშლელები - 0,000000042%, ამილოლიტური ბაქტერიები - 16,625%, პირველი და მეორე ფაზის ნიტრიფიკატორები შესაბამისად 0,00000083%, 0,000000765%, ანაერობები - 0,0000000375%-ია.

ამრიგად:

1. ნიადაგის ტიპი ცვლის მიკროორგანიზმთა ფიზიოლოგიური ჯგუფების რაოდენობრივ და ცალკეული სახეობების თვისებრივ შედგენილობას.
2. შესწავლილი ნიადაგებიდან მიკროორგანიზმთა საერთო რაოდენობა გაცილებით მეტია ალუვიურ-მჟავე ტიპის (ლაგოდების ნიადაგები) ნიადაგში, ვიდრე ყავისფერ-კარბონატული ტიპის ნიადაგში. (საგარეჯოს, წნორის, სილნალის ნიადაგი)
3. კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები მნიშვნელოვნად ცვლიან ერთაიგივე ტიპის ნიადაგში მიკროორგანიზმების რაოდენობრივ შემადგენლობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Добровольская Т., Скворцова И., Лысак В. – методы выделения и идентификации почвенных бактерий. - Москва. Изд-во МГУ 1989, стр. 21-35.
2. Экология микроорганизмов (Под. ред. А. И. Нетрусова) - „Академия“, - М., 2004
3. ი.კუპრეიშვილი, თ.შიუკაშვილი, ი. გოროზია, ზ.ლომთათიძე, ზოგიერთი ჰერბიციდის ბიოციდური გავლენის შესწავლა მიკროორგანიზმებზე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია- „სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემები და აგრარული სექტორის აღორძინების გზები“ თბილისი, 2015 წ. შრომათა კრებული, გვ. 39-41, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.



## *MICROBIOLOGY*

### MICROBIAL COMPOSITION OF SOME TYPE (BROWN-CARBONATE AND ALLUVIAL-ACID) WEST GEORGIAN SOILS

K. MAMULASHVILI, N. RAMISHVILI, T. SHIUKASHVILI,  
R. TARKASHVILI, D. KVARATSKELIA, Z. LOMTATIDZE

*Ilia State University Institute Of Botany, Department Of Microbiology  
Sokhumi State University*

The qualitative and quantitative composition of saprofitic and cellulose-degrading microorganisms in Kakheti brown-carbonate and alluvial-acid soils has been studied. It was established that alluvial type of soils are richer with microorganisms.

## ეკოლოგია

### ტყვია ქალაქ ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში

ნ. ტაბაგაძე<sup>1</sup>, ი. გაჭუტაძე<sup>2</sup>, ა. ბაკურიძე<sup>3</sup>

<sup>1</sup>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<sup>2</sup>ბსუ ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი

<sup>3</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი - თანამედროვე მსოფლიოს პრიორიტეტია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესწავლა და გაუმჯობესება. მძიმე მეტალების გადაჭარბებული კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში წარმოადგენს მაღალტოქსიკური მოქმედების ფაქტორს ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, განსაკუთრების ბავშვებისთვის. ჩვენი კვლევის მიზანია ევროპაში აპრობირებული მეთოდით („სფაგნუმის ჩანთით „აქტიური მონიტორინგი“) დავადგინოთ ქ.ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში ერთ-ერთი მძიმე მეტალის - ტყვიის კონცენტრაცია. ქ.ბათუმში ტრანსპორტით გადატვირთულ ოთხ უბანში დამონტაჟდა, წელიწადის სხვადასხვა სეზონზე ბიონდიკატორი - „სფაგნუმის ჩანთა“. კვლევა ჩატარდა 2016 – 2017წწ. ნიმუშებს ვიღებდით 20 დღის შემდეგ. კვლევისას გამოვლინდა რომ, ქ.ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში ოთხივე სეზონზე ტყვიის კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას და პიკს აღწევს შემოდგომაზე. ჯამური კონცენტრაციის გამოთვლით მივიღეთ შემდეგი სურათი: 2016/XI ± 9.73 (მკგ/მლ), 2017/II ± 8.435 (მკგ/მლ), 2017/V ± 6.98 (მკგ/მლ), 2017/VIII ± 8.708 (მკგ/მლ).

საკვანძო სიტყვები: ტყვია, „სფაგნუმის ჩანთა“, მონიტორინგი, ატმოსფერული ჰაერი.

#### შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეცნიერების მიერ აქტიურად შეისწავლება ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეული მძიმე მეტალების წრებრუნვა გარემოში. ნალექის საშუალებით ხვდებიან ნიადაგში და ასევე ატმოსფეროდან პირდაპირი კავშირით სხვადასხვა მცენარეში (ნაყოფში), საიდანაც იოლად ხვდება კონსუმენტების, მათ შორის ადამიანის ორგანიზმში (Khan, 2016). ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსიკური ელემენტები, ისეთი, როგორცაა ტყვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, კალა და სხვა, ჩაენაცვლებიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს: კალციუმს, თუთიას, რკინას და იწვევენ სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც ვლინდება სხვადასხვა დაავადების სახით. ქიმიურმა დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა, ქრონიკული

დაავადებები, ასევე მუტაგენური და კარცეროგენული ზემოქმედება. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით მეტად აქტუალურია ეკოპათოგენურ ფაქტორთა ზეგავლენის შესწავლა სამეცნიერო კვლევების საშუალებით. მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის (WHO) კვლევის თანახმად, ტყვიის შემცველობა სისხლში თუ, აღემატება 100–150 (მკგ/ლ) დიდ რისკს წარმოადგენს ბავშვის განვითარებისთვის, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ 100 (მკგ/ლ) - ზე ნაკლები შემცველობაც შეიძლება აღმოჩნდეს ჯანმრთელობისთვის საზიანო (WHO, 2017).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №38/ნ 2003 წლის 24 თებერვალი-ის თანახმად დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ), განისაზღვრა, მათ შორის ტყვისა, როგორც I კლასის საშიშროება.

ცხრ.1

მეტალი	ზდკ-ის სიდიდე მგ/მ3		საშიშ.კლასი
	მაქ.ერთჯერადი	საშ.სადღეღამისო	
Pb	-	0.0003	1

საკვლევი ტერიტორიაა ქ.ბათუმის ტრანსპორტით გადატვირთული უბნები. ქ.ბათუმი საქართველოს სახმელეთო და საზღვაო კარიბჭეა თავისი ღრმა საზღვაო პორტით, სარკინიგზო კვანძითა და მრეწველობის სხვა უნიკალური დარგებით. მოსახლეობის რაოდენობა -180 ათასი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღინიშნება სწრაფი ურბანული განვითარება და ტურისტული ნაკადის მაღალი მაჩვენებლი, რომლებიც საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებიან. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorები> თანახმად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების, მათ შორის მძიმე მეტალების ჯამური ემისია 2016 და 2017 წელისთვის იყო შემდეგნაირი:

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების მათ შორის მძიმე მეტალების ჯამური ემისია 2016 და 2017 წელისთვის

ცხრ.2

მძიმე მეტალი	რაოდენობა	2016წ	2017წ
ტყვია (Pb)	ტ/წელი	2.4	2.8
კადმიუმი (Cd)	ტ/წელი	0.3	0.3
ვერცხლისწყალი (Hg)	ტ/წელი	0.2	0.2
ნიკელი (Ni)	ტ/წელი	0.3	0.3
დარიშხანი (As)	ტ/წელი	0.1	0.2

## მასალა და მეთოდები

ქ.ბათუმში შეირჩა ტრანსპორტით გადატვირთული ოთხი უბანი, ესენია: თამარ მეფის გზატკეცილი (რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, ვისოლის ავტოგასამართი სადგური 41.657354, 41.675861), გოგოლის ქუჩა 36 GPS კოორდინატები 41.637128, 41.664204, ტბელ აბუსერიძის ქუჩა GPS კოორდინატები: 41.639733, 41.622404, კახაბრის ქუჩა GPS კოორდინატები 41.619797, 41.622720.

ტორფის ანუ *Sphagnum L.*-ის სახეობებს 1976 წლიდან (როგორც ხავსებს შორის ყველაზე კარგ აბსორბენტს) იყენებდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის, შექმნეს და გამოიყენეს ეგრეთწოდებული ხავსის ჩანთა (moss bag) ასევე, 1980 წელს შვედეთის ინიციატივით დაარსდა ხავსებით მძიმე მეტალების ბიომონიტორინგის ქსელი (Culicov, 2016).

თეთრი ხავსი - გვარი *Sphagnum L.* გამოირჩევა მაღალი ადსორბციის უნარით, რაც განპირობებულია ხავსის უჯრედის კედლში არსებული ფენოლური ნაერთის უნარით დაიკავშიროს სხვადასხვა მეტალის იონები და გამოათავისუფლოს წყალბადის (H<sup>+</sup>) იონები. ხავსის ეს თავისებურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს შორის ჩართოს მეტალები ბიოგეოქიმიურ ციკლში (Gonzalez, 2014). სწორედ ეს თვისება უდევს საფუძვლად აქტიურ ბიომონიტორინგში თეთრი ხავსის გვარი *Sphagnum L.*-ის გამოყენებას.

მცენარის ქსოვილში მძიმე მეტალების გამოსავლენად გამოვიყენეთ ხელსაწყო ატომურ ადსორბციული სპექტრომეტრის (AAS), ტიპური ანალიზის პროცედურული ნიმუშის მომზადება 139 AY-4 - მცენარეთა ქსოვილის ანალიზი: ANALMETH.DOC, 9/10/96 3:41 PM "სტანდარტული პირობების" მშრალი ნაცრის მეთოდი, გრაფიტული კიუვეტის გამოყენებით (Adrian, 1973; Adrian,1977).

### შედეგები

ჩვენს მიერ „სფაგნუმის ჩანთის“ დასამზადებლად კოლხეთის ტორფნარებიდან ავიღეთ გვარი *Sphagnum L.* სხეობა *Sph. Papillosum*. კონვერტები დამზადდა პოლიეთილენის ბადისგან 20X20 სმ ზომით, შეიკერა ოთხივე გვერდი. კონვერტებში მოთავსდა 5 გრამი გარეცხილი, მშრალი ხავსი. დამზადებული „სფაგნუმის ჩანთები“ განვათავსეთ T ფორმის სპეციალურ სადგამზე, რომელიც განვათავსეთ ქალაქის ტრანსპორტით გადატვირთულ წინასწარ შერჩეულ ოთხ უბანზე. საკვლევი ტერიტორიიდან ნიმუშების აღება მოხდა 20 დღის შემდეგ, და გადაიგზავნა ლაბორატორიაში შემდგომი კვლევისთვის.

კვლევის შედეგად სხვადასხვა სეზონზე, ოთხ სხვადასხვა უბნიდან აღებულ ნიმუშებში ტყვიის (Pb) განსხვავებული კონცენტრაცია დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 3). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გოგოლის ქუჩიდან აღებულ ნიმუშებში დაფიქსირდა ტყვიის მაქსიმალური შემცველობა შემოდგომა, ზამთარსა და გაზაფხულზე. მხოლოდ, ზაფხულის მაჩვენებლით ჩამორჩება ტბ.აბუსერიძისა და თამარ მეფის გამზირის ნიმუშების შედეგებს (იხ.ცხრილი 3).

ცხრ.3

უბანი სეზონი	გოგოლი ქუჩა	ტბ.აბუსერიძის ქუჩა	თამარ მეფის გამზირი	კახაბრის ქუჩა
2016 - XI	11.512 (მკგ/მლ)	10.465 (მკგ/მლ)	8.581 (მკგ/მლ)	8.254 (მკგ/მლ)
2017 - II	11.606 (მკგ/მლ)	6.01 (მკგ/მლ)	7.542 (მკგ/მლ)	8.581 (მკგ/მლ)
2017 - V	10.275 (მკგ/მლ)	8.017 (მკგ/მლ)	4.636 (მკგ/მლ)	4.995 (მკგ/მლ)
2017 - VIII	7.917 (მკგ/მლ)	10.257 (მკგ/მლ)	8.872 (მკგ/მლ)	7.787 (მკგ/მლ)

თუ, გამოვითვლით ჯამურ კონცენტრაციას ყველა სეზონისთვის მივიღებთ შემდეგ სურათს:

2016/XI ± 9.73 (მკგ/მლ)

2017/II ± 8.435 (მკგ/მლ)

2017/V ± 6.98 (მკგ/მლ)

2017/VIII ± 8.708 (მკგ/მლ)

ყველა უბნისთვის ტყვიის შემცველობის მაქსიმუმი გამოვლინდა შემოდგომაზე (2016 XI). ხოლო, მინიმუმი გაზაფხულზე (2017/V).

### დასკვნა

ამგვარად, ქ.ბათუმის ატმოსფერული ჰაერი მძიმე მეტალით, კერძოდ ტყვიით (Pb), ინტენსიურად დაჭუჭყიანებულია შემოდგომით, ხოლო ნაკლებად დაჭუჭყიანებული სეზონია გაზაფხული. თუმცა, სადღეღამისო ნორმა, ყველა სეზონისთვის აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

კვლევის ფინანსური მხარდაჭერია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, პროექტი N PhDF2016\_157-ის ფარგლებში.

*ECOLOGY***LEAD IN ATMOSPHERIC AIR OF BATUMI****N. TETEMADZE<sup>1</sup>, I. MACHUTADZE<sup>2</sup>, A. BAKURIDZE<sup>3</sup>**<sup>1</sup>*Batumi Shota Rustaveli State University*<sup>2</sup>*Institute of Phytopathology and Biodiversity of BSU*<sup>3</sup>*Tbilisi State Medical University*

The priority of the modern world is the study and improvement of air quality. Excessive concentration of heavy metals in the air is a highly toxic factor for all living organisms, especially children. The purpose of our study is to determine the concentration of one of the heavy metals - lead in the air of Batumi, using the method tested in Europe (active monitoring using a sphagnum bag). Bio-indicator "Sphagnum Bag" was installed in four overcrowded places in Batumi at different seasons of the year. The study was conducted in 2016 - 2017. Samples were taken after 20 days. The study showed that the concentration of lead in the air of Batumi exceeded the allowable limit for all four seasons and reached a maximum in the fall. The following image was obtained by calculating the total concentration : 2016 / XI  $\pm$  9.73 ( $\mu\text{g} / \text{ml}$ ), 2017 / II  $\pm$  8.435 ( $\mu\text{g} / \text{ml}$ ), 2017 / V  $\pm$  6.98 ( $\mu\text{g} / \text{ml}$ ), 2017 / VIII  $\pm$  8.708 ( $\mu\text{g} / \text{ml}$ ).

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Khan Z.I., Ahmad K., Ashraf M., Shoaib N., Parveen R., Bibi Z., Mustafa I., Noorka I.R., Tahir H.M., Akram N.A., Ullah M.F., Yaqoob R., Tufarelli V., Fracchiolla M., (2016). Cazzato Assessment of toxicological health risk of trace metals in vegetables mostly consumed in Punjab, Pakistan Environ. Earth Sci., 75 (2016), p. 433, 10.1007/s12665-016-5392-0;
2. Health risks of heavy metals from long-range transboundary air pollution World Health Organization ISBN 978 92 890 7179 6 2007;
3. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorobi>
4. Gonzalez A.G., Pokrovsky O.S., (2014). Metal adsorption on mosses: Toward a universal adsorption model. Elsevier Volume 415,1 February 2014, Pages 169-178.
5. Culicov O.A., Dului O.G., Zinicovscaia I., (2016). Study of elemental grouping in moss-bags as a function of height and location of the exposure site. Rom Rep Phys. 2016;68(2):736-745. [http://www.rrp.infim.ro/2016\\_68\\_2/A28.pdf](http://www.rrp.infim.ro/2016_68_2/A28.pdf)
6. Adrian W. J., (1973). A Comparison of a Wet Pressure Digestion Method with Other Commonly Used Wet and Dry-Ashing Methods. Analyst 98, 213 (1973).
7. Adrian and M.L., (1977). Effect of Different Sample Preparation Methods on the Atomic-absorption Spectrophotometric Determination of Calcium in Plant Material. Analyst 102, 446 (1977)

## **მშენებლობის ინჟინერია**

# **ბეტონის ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულების გამოკვლევა მისი სიმტკიცის, ასაკის, გამყარების პირობების და დატვირთვის სიჩქარის გათვალისწინებით**

## **თეიმურ თურმანიძე**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი - ნაშრომში შესწავლილია ბეტონის ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულება მისი სიმტკიცის, ასაკის, გამყარების პირობებსა და დატვირთვის სიჩქარის გათვალისწინებით. შემოთავაზებულია თვისობრივად ახალი ანალიზური დამოკიდებულება საექსპლუატაციო პირობებში მოქმედი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით.

აღნიშნული დამოკიდებულების საფუძველზე დადგენილია, რომ ერთნაირი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში გამყარებისას მძიმე ბეტონის ზღვრული დეფორმაცია იზრდება ბეტონის კლასის გადიდებით. გარემოს ტენიანობის შემცირებით, რომელშიც მყარდება ბეტონი, ზღვრული დეფორმაციის სიდიდე მცირდება.

აღნიშნული გამოკვლევების მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ექსპლუატაციის დროს შესაძლებელია განვსაზღვროთ წინასწარ მოცემული დეფორმაციის შესაბამისი ძაბვა. აღნიშნული დამოკიდებულება მიყვანილია იმ სტადიამდე, რომ შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტული საინჟინრო ამოცანების რეალიზაცია. მიღებული დამოკიდებულების საფუძველზე შესაძლებელია გადაწყდეს შეზღუდული ამოცანაც - განვსაზღვროთ წინასწარ მოცემული ძაბვის შესაბამისი დეფორმაცია.

**საკვანძო სიტყვები:** *ბეტონის სიმტკიცე, ძაბვები და დეფორმაციები, დატვირთვის სიჩქარე, ბეტონის ასაკი, გამყარების პირობები.*

ახალი ეფექტური მასალებისა და კონსტრუქციების განვითარების მიუხედავად ბეტონი და რკინაბეტონი მშენებლობის პრაქტიკაში დამკვიდრდა როგორც ძირითადი კონსტრუქციული საშენი მასალა. ბეტონისა და რკინაბეტონის თვისებები უნდა შეესაბამებოდეს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციის საიმედოობა და ხანგამძლეობა ისე, რომ სრულად იყოს გამოყენებული მათი შესაძლებლობები.

ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები ექსპლუატაციის დროს ხშირად მუშაობენ შეზღუდული დეფორმირების პირობებში. ამავე დროს სხვადასხვაა გარემოს ტენიანობა, კონსტრუქციის ასაკი და დატვირთვის სიჩქარე.

გამოკვლევითი ხასიათის ნაშრომებში და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში არ არის დასრულებული რეკომენდაციები ბეტონის ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებზე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ერთდროული გავლენის შესახებ, შესაბამისად ბეტონის ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულების შესწავლა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით წარმოადგენს ბეტონისა და რკინაბეტონის თეორიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას.

ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დატვირთვის ქვეშ მუშაობის კანონ-ზომიერება განისაზღვრება მრავალი ფაქტორით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: დატვირთვის სიჩქარე, ბეტონის ასაკი, ტენიანობის პირობები და გარემოს ტემპერატურა. ამიტომ, საექსპლუატაციო პირობებში ბეტონის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესაფასებლად საჭიროა დატვირთვის მთელ დიაპაზონზე  $\varepsilon=0$ -დან ( $\sigma=0$ -ის შესაბამისი)  $\varepsilon_{lim}$ -მდე ( $\sigma=R$ -ის შესაბამისი) ცნობილი იყოს  $\sigma(\varepsilon)$  დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულება ფარდობით სიდიდეებში გამოისახება შემდეგი სახით [1,3,6,8]:

$$\frac{\sigma}{R_0} = \left( \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}} \right)^c \quad (1)$$

მოცემული შემადგენლობის ბეტონის სიმტკიცის დამოკიდებულება აღნიშნული ფაქტორებისგან ჰაერის დადებითი ტემპერატურის დროს ზოგადი სახით შეიძლება გამოსახული იქნას ფორმულით

$$R = \Phi(R_0, v, t, W) \quad (2)$$

სადაც  $R_0$  მოცემული შემადგენლობის ბეტონის სიმტკიცეა სტანდარტულ პირობებში გამყარებისა და გამოცდის დროს.  $v=v_0=0,25$  მკა/წმ  $t=t_0=28$  დღე;  $W=1,0$ .

თუ ბეტონის  $R$  სიმტკიცე განსაზღვრულია ფაქტორების არასტანდარტული მნიშვნელობების დროს, არამედ ნებისმიერი, ოღონდ მათი ცნობილი სიდიდეებისას მაშინ (2)-დან

$$R_0 = R F(v, t, w) \quad (3)$$

ძირითადი (1) დამოკიდებულების გამოკვლევის პირველ საფეხურზე შესწავლილია (3) დამოკიდებულების აღმწერი ფუნქცია, რისთვისაც მრავალფაქტორიანი ფუნქცია შეცვლილ იქნა ამ ცვლადების ერთ ფაქტორიანი ფუნქციების ნამრავლით ე.ი.

$$F(v, t, w) = f_1(v) \cdot f_2(t) \cdot f_3(w) \quad (4)$$

$f_1(v)$  დამოკიდებულების განსასაზღვრავად ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ავაგეთ  $R(lg v)$  დამოკიდებულების სამუშაო გრაფიკები, რომლებშიც ბეტონის სიმტკიცე იცვლებოდა 9,5-დან 62 მკა-მდე, ხოლო დატვირთვის სიჩქარე 0,00025 მკა/წმ-დან ( $lg v = -3,6$ ) 1330 მკა/წმ-მდე ( $lg v = 3,11$ ), ე. ი. პრაქტიკაში არსებულ საკმაოდ ფართო დიაპაზონისათვის [1]. ეს დამოკიდებულებები წრფივია, მაგრამ არ არიან პარალელურები. სხვადასხვა ნაშრომებში შემოთავაზებული 0,1 მუდმივი კოეფიციენტისაგან განსხვავებით გრაფიკების დახრის  $\alpha$  კუთხე სხვადასხვაა [2]: ბეტონის კლასის გადიდებისას იგი იზრდება. გრაფიკებზე ყველა შემადგენლობის ბეტონისათვის შეიძლება განისაზღვროს მისი სიმტკიცე  $R_0$ , რომელიც შეესაბამება დატვირთვის სტანდარტულ სიჩქარეს  $v_0=0,25$  მკა/წმ სიჩქარეს. იგი ტოლია ორდინატისა  $lg v_0 = -0,6$  აბსცისის დროს. ამ გრაფიკების ანალიზიდან შეიძლება დავწეროთ:

$$R = R_0 + (lg v - lg v_0) tg \alpha \quad (5)$$

$tg \alpha$ -ს მნიშვნელობა დამოკიდებულია  $R$ -ზე და  $lg v$ -ზე. ამისათვის სიჩქარის სამი მნიშვნელობისათვის ვაგებთ  $lg(v/v_0)$  სიდიდეებში გამოსახულ სამ სხვადასხვა სამუშაო გრაფიკს  $tg \alpha(R)$  [1]. ვლებულობთ სამ წრფეს დახრის სხვადასხვა  $\beta$  კუთხით, რომლის სიდიდე დამოკიდებულია  $lg(v/v_0)$ -ზე. სამივე გრაფიკიდან განვსაზღვროთ  $tg \beta = tg \alpha / R$  სიდიდე და ავაგოთ  $tg \beta(lg(v/v_0))$  დამოკიდებულების სამუშაო გრაფიკი სამი წერტილით, რომელიც შეესაბამება  $lg(v/v_0)$ -ის სამ მნიშვნელობას მიღებული წრფე აღიწერება განტოლებით  $tg \beta = A_1 - a_1 \cdot lg \frac{v}{v_0}$ , მაშინ

$$tg \alpha = R(A_1 - a_1 \cdot lg \frac{v}{v_0}) \quad (6)$$

შევიტანოთ  $tg \alpha$ -ს მნიშვნელობა (5) -ში მივიღებთ

$$R = \frac{R_0}{1 - (A_1 - a_1 \cdot \lg \frac{v}{v_0}) \cdot \lg \frac{v}{v_0}} \quad (7)$$

A<sub>1</sub> და a<sub>1</sub> კოეფიციენტები განისაზღვრება ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების საფუძველზე A<sub>1</sub>=0,102 a<sub>1</sub>=0,00078.

(4) ფორმულაში დარჩენილი f<sub>2</sub>(t) და f<sub>3</sub>(w) ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია: ცნობილია, რომ ბეტონის სიმტკიცის ზრდის კინეტიკა დროში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარემოს w ტენიანობაზე. ბეტონის დროში სიმტკიცის ზრდის კინეტიკის კომპლექსური დამოკიდებულება გარემოს w ტენიანობის რიცხობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მათემატიკური ფუნქციის სახით [4,5,9]:

$$R_t = R_{28} \frac{(\lg t)^{mw}}{\lg 28} \quad (8)$$

ამრიგად v, t და w არგუმენტებისათვის მივიღეთ შემდეგი ფუნქციები

$$f_1(v) = 1 - (A_1 - a_1 \cdot \lg \frac{v}{v_0}) \cdot \lg \frac{v}{v_0} \quad (9)$$

$$f_2(t,w) = \frac{(\lg t)^{mw}}{\lg 28} \quad (10)$$

საბოლოოდ (1) ფორმულაში შემავალი R<sub>0</sub>=RF(v,t,w)=R f<sub>1</sub>(v)f<sub>2</sub>(t,w) სიდიდე გაშლილი სახით გამოისახება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$R_0 = R \left[ 1 - (A_1 - a_1 \cdot \lg \frac{v}{v_0}) \cdot \lg \frac{v}{v_0} \right] \cdot \frac{(\lg t)^{mw}}{\lg 28} \quad (11)$$

A<sub>1</sub> a<sub>1</sub> და m კოეფიციენტები განისაზღვრება ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების საფუძველზე A<sub>1</sub>=0,098, a<sub>1</sub>=0,00535, m=1.

ძირითადი (1) დამოკიდებულების გამოკვლევის მეორე ეტაპზე განხილული ექსპერიმენტული მონაცემებიდან ბეტონის რამოდენიმე შემადგენლობისათვის ავაგეთ σ(ε) დამოკიდებულების სამუშაო გრაფიკები დატვირთვის სხვადასხვა სიჩქარის დროს [1]. ამ ბეტონების მახასიათებლები და გამოცდის პირობები მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1.

შემადგენლობის №	ექსპერიმენტის №	R <sub>0</sub> მპა	v მპა/წმ	R მპა	w	ε <sub>lim</sub> 10 <sup>-5</sup>
1	1-1	58,8	1,55	62,0	0,85	280
	1-2	58,8	136,0	73,5	0,85	275
	1-3	58,8	980,0	78,0	0,85	275
2	2-1	44,3	0,29	44,0	0,85	240
	2-2	44,3	65,0	54,5	0,85	250
3	3-1	29,6	0,425	28,0	0,85	200
	3-2	29,6	128,0	36,0	0,85	190
4	4-1	20,5	0,00087	14,2	0,5	120
	4-2	20,5	0,036	15,0	0,5	115

ბეტონის დეფორმაციის მრუდები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დატვირთვის მოდების სიჩქარეზე, მაგრამ ზღვრული დეფორმაცია ε<sub>lim</sub> პრაქტიკულად ერთნაირია R-ის ყველა მნიშვნელობისათვის, ე. ი. არ არის დამოკიდებული დატვირთვის v სიჩქარეზე. სიჩქარის ზრდისას ეს მუდმივი ε<sub>lim</sub> სიდიდე მიიღწევა მაღალი დატვირთვის (მაზვის σ=R) დროს და პირიქით დატვირთვის სიჩქარის შემცირებისას მრღვევი დატვირთვა მცირდება, როგორც ჩანს უახლოვდება ბეტონის ხანგრძლივი სიმტკიცის სიდიდეს [7,10]. ამასთან, რაც მეტია ერთნაირ



## თეორეტიკული

ტენიან გარემოს პირობებში გამყარებული ბეტონის სიმტკიცე (მისი  $R_0$  სიდიდით შეფასებული) მით მეტია ზღვრული  $\varepsilon_{lim}$  დეფორმაცია. გარემოს ტენიანობის შემცირებით, რომელშიც მყარდება ბეტონი  $\varepsilon_{lim}$  სიდიდე მცირდება. შესაბამისად  $\varepsilon_{lim}$  - ის დამოკიდებულებას ბეტონის სიმტკიცეზე ვეძებთ  $\varepsilon(R_0)$  ფუნქციის სახით, ცალკ-ცალკე სხვადასხვა  $w$ -ს მნიშვნელობების ჯგუფებისათვის. ამ დამოკიდებულების აღმწერი მათემატიკური ფუნქციის სახის განსაზღვრისათვის არსებული ექსპერიმენტული მონაცემის საფუძველზე ავაგეთ სამუშაო გრაფიკები. ეს გრაფიკები წარმოადგენენ წრფეს და აღიწერებიან შემდეგი სახის განტოლებებით:

$$\varepsilon_{lim} = (A_2 + a_2 R_0) 10^{-5} \quad (12)$$

როგორც აღვნიშნეთ  $\varepsilon_{lim}$  სიდიდე წარმოადგენს ორი არგუმენტის ფუნქციას

$$\varepsilon_{lim} = f(R_0, w) \quad (13)$$

ამ დამოკიდებულების მათემატიკური ფუნქციის სახე შესრულდა შემდეგი მეთოდით. (12) ფორმულით  $w$  -ს სამივე მნიშვნელობების შესაბამისი  $R_0$ -ისათვის (მიღებული  $A_2$  და  $a_2$  კოეფიციენტების მიახლოებითი მნიშვნელობების გამოყენებით) გამოვთვალეთ ფარდობა:

$$i = \frac{\varepsilon_{lim,w}}{\varepsilon_{lim,w=1}} \quad (14)$$

სადაც  $\varepsilon_{lim,w}$  - ბეტონის ზღვრული დეფორმაციაა მოცემული  $w$  ტენიანობის დროს ხოლო  $\varepsilon_{lim,w=1}$  როცა  $w=1$  გამოთვლის შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2

$R_0$ , მპა	$w=0,5$		$w=0,85$		$w=1,0$	
	$\varepsilon_{lim} 10^{-5}$	$\varepsilon$	$\varepsilon_{lim} 10^{-5}$	$\varepsilon$	$\varepsilon_{lim} 10^{-5}$	$\varepsilon$
20	115	0,435	185	0,70	264	1
40	157	0,48	240	0,73	328	1
60	200	0,51	294	0,75	392	1

ცხრილის 2-ის მონაცემების საფუძველზე ვაგებთ  $i(w)$  დამოკიდებულების გრაფიკებს [1]. მიღებული მრუდებისათვის შერჩეულია ფუნქცია

$$i = 1 - k(1 - w)^\alpha \quad (15)$$

განვსაზღვროთ  $k$  კოეფიციენტისა და  $\alpha$  ხარისხის მაჩვენებლის მნიშვნელობა. (15)-დან გვაქვს როცა  $w=0$ ,  $k=1-i_0$  სადაც  $i_0$   $i$ -ის მნიშვნელობაა  $w=0$  დროს.  $k$  კოეფიციენტის მნიშვნელობა ყველა მრუდისათვის მუდმივია და არ არის დამოკიდებული  $w$ -ზე. იგი დამოკიდებულია  $R_0$ -ზე. ვაგებთ  $k(R_0)$  დამოკიდებულების გრაფიკს. მიღებული წრფის განტოლებაა

$$k = A_3 - a_3 R_0 \quad (16)$$

ამ წრფის კოეფიციენტების მნიშვნელობები განსაზღვრეთ გრაფიკულად და პირველი მიახლოებისას მივიღეთ  $A_3=0,8$ ;  $a_3=0,003$ ; ბეტონის სიმტკიცის ცალკეული მნიშვნელობებისათვის (16) ფორმულით გამოვთვალეთ კოეფიციენტის შემდეგი მნიშვნელობები  $R_0=20$  მპა,  $k=0,70$ ;  $R_0=40$  მპა,  $k=0,65$ ;  $R_0=60$  მპა,  $k=0,6$ .

ხარისხის  $\alpha$  მაჩვენებლის სიდიდის განსაზღვრისთვის გავალოგარითმეთ (15) ფორმულა საიდანაც

$$\alpha = \frac{\lg(1-i) - \lg k}{\lg(1-w)} \quad (17)$$

ცხრილში 3. მოცემულია  $\alpha$ -ს მნიშვნელობების გამოთვლა. პირველი მიახლოებისას ვღებულობთ  $\alpha=0,5$ . (15) ფორმულის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\varepsilon_{lim} = \varepsilon_{lim,1} [1 - k(1 - w)^\alpha] \quad (18)$$

(12) და (15) ფორმულების გათვალისწინებით მივიღებთ გამლილი სახით ორფაქტორიანი დამოკიდებულების აღმწერ მათემატიკურ ფუნქციის შემდეგ გამოსახულებას

$$\epsilon_{lim} = (A_2 + a_2 R_0)[1 - (A_3 - a_3 R_0)(1 - w)^a] \quad (19)$$

(19) ფორმულის კოეფიციენტებისათვის მნიშვნელობებისათვის მივიღეთ:  $A_2=191,174$   
 $a_2=3,513$   $A_3 = 0,759$   $a_3 = 0,0023$   $\alpha=0,392$ .

ცხრილი 3

R <sub>0</sub>	k	lgk	w	1 - w	lg(1 - w)	i ცხ.2-დან	1 - i	lg(1 - i)	α
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
20	0,70	-0,155	0,5	0,5	-0,3	0,435	0,565	-0,248	0,31
20	0,70	-0,155	0,85	0,15	-0,824	0,70	0,30	0,523	0,44
40	0,65	-0,187	0,5	0,5	-0,3	0,48	0,52	0,293	0,35
40	0,65	-0,187	0,85	0,15	0,824	0,73	0,27	0,569	0,45
60	0,60	-0,222	0,5	0,5	0,3	0,51	0,49	0,31	0,31
60	0,60	-0,222	0,85	0,15	0,824	0,75	0,25	0,60	0,45

(1) ფუნქციის გამოკვლევის შემდგომ ეტაპზე განვსაზღვრეთ ხარისხის C მაჩვენებლის სტრუქტურა და რიცხობრივი მნიშვნელობები. რისთვისაც განხილული ოთხი შემადგენ-ლობის ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ვაგებთ  $\sigma/R_0=f(\epsilon/\epsilon_{lim})$  გრაფიკებს. (1) ძირითადი დამოკიდებულებიდან განვსაზღვროთ C.

$$C = \frac{\lg \frac{\sigma}{R_0}}{\lg \frac{\epsilon}{\epsilon_{lim}}} \quad (20)$$

C სიდიდის გამოთვლის შედეგები მოცემულია ცხრილში 4

ცხრილი 4

შემაღ. №	R <sub>0</sub> მპა	ε <sub>lim</sub> 10 <sup>-5</sup>	σ/R <sub>0</sub>	lg $\frac{\sigma}{R_0}$	ε 10 <sup>-5</sup>	$\frac{\epsilon}{\epsilon_{lim}}$	lg $\frac{\epsilon}{\epsilon_{lim}}$	$C = \frac{\lg \frac{\sigma}{R_0}}{\lg \frac{\epsilon}{\epsilon_{lim}}}$
1	58,82	280	0,2	-0,70	50	0,178	-0,75	0,935
			0,4	-0,40	100	0,356	-0,45	0,89
			0,6	-0,22	150	0,535	-0,272	0,815
			0,8	-0,10	200	0,715	-0,146	0,76
			1,0	0	280	1	0	-----
2	44,28	245	0,2	-0,70	40	0,163	-0,788	0,89
			0,4	-0,40	80	0,326	-0,487	0,82
			0,6	-0,22	120	0,490	-0,31	0,716
			0,8	-0,10	170	0,695	-0,158	0,633
			1,0	0	245	1	0	-----
3	29,6	190	0,2	-0,70	25	0,131	-0,883	0,79
			0,4	-0,40	50	0,262	-0,582	0,688
			0,6	-0,22	80	0,421	-0,376	0,59
			0,8	-0,10	120	0,632	-0,20	0,50
			1,0	0	190	1	0	-----
4	20,5	120	0,2	-0,70	11	0,092	-1,036	0,685
			0,4	-0,40	23	0,192	-0,717	0,557
			0,6	-0,22	43	0,360	-0,444	0,50
			0,8	-0,10	67	0,558	-0,253	0,395
			1,0	0	120	1	0	-----

## თეორეტიკული

ცხრილი 4-ის მიხედვით ვაგებთ  $c(\varepsilon/\varepsilon_{lim})$  დამოკიდებულების გრაფიკს, რომელიც წარმოადგენს წრფეს. მისი განტოლება ზოგადი სახით შემდეგი სახისაა:

$$C = A_4 - a_4 \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}} \quad (21)$$

კოეფიციენტები  $A_4$  და  $a_4$  თავის მხრივ წარმოადგენენ  $R_0$ -ის ფუნქციებს.  $A_4=f_1(R_0)$   $a_4 = f_2(R_0)$  ამ დამოკიდებულების განსაზღვრისთვის ვპოულობთ მნიშვნელობებს:  $A_4 = C$  (როცა  $\varepsilon/\varepsilon_{lim} = 0$ ) და  $a_4 = C: \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}}$  (წრფეების დახრის კუთხის ტანგენსი), ცხრ. 5-ში მოცემულია ამ კოეფიციენტების მიღებული მნიშვნელობები:

ცხრილი 5

შემადგენლობა №	$A_4$	$a_4 = C: \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}}$
1	0,98	0,26
2	0,94	0,36
3	0,85	0,41
4	0,80	0,50

ცხრ. 5 მონაცემების მიხედვით ვაგებთ  $A_4(R_0)$ ,  $a_4(R_0)$  დამოკიდებულების გრაფიკებს მიღებული განტოლებები ზოგადი სახით ჩაიწერება:

$$A_4 = A_5 + a_5 R_0 \quad a_4 = A_6 - a_6 R_0$$

ამ კოეფიციენტების დაზუსტების მიზნით გამოვიყენეთ ექსპერიმენტული მონაცემების მნიშვნელობები, ძირითადი განტოლება და მათი მასპრობირებელი დამოკიდებულება. საბოლოო მივიღეთ, რომ  $A_5 = 0,72$ ;  $a_5 = 0,006$ ;  $A_6 = 0,6$ ;  $a_6 = 0,0024$ ;

ამრიგად, ძირითადი დამოკიდებულებების წევრებისათვის მივიღეთ მასპრობირებელი ფუნქციები შემდეგი სახით.

$$R_0 = R \left[ 1 - (0,098 - 0,0053 \lg \frac{V}{V_0}) \lg \frac{V}{V_0} \right] \frac{\lg 28}{(\lg t)^w}$$

$$\varepsilon_{lim} = (191,174 + 3,513 R_0) [1 - (0,0023 R_0)(1 - W)^{0,392}] 10^{-5}$$

$$C = (0,563 + 0,006 R_0) - (-0,494 + 0,0024 R_0) \frac{\varepsilon}{\varepsilon_{lim}}$$

მიღებული დამოკიდებულებების სიზუსტის შეფასებისათვის ათეული მძიმე ბეტონის შემადგენლობისათვის შევადარეთ  $\sigma/R$  ექსპერიმენტული სიდიდეები (1) ფორმულით გამოთვლილ მნიშვნელობებს. განსხვავება  $\sigma/R$ -ის ექსპერიმენტულ და თეორიულ მნიშვნელობებს შორის ცალკეული ექსპერიმენტების უმეტეს შემთხვევებში არ აღემატება 10%-ს, ხოლო მთლიანად ბეტონის შემადგენლობის მიხედვით ახლოა ნულთან.

შემოთავაზებული დამოკიდებულებების საფუძველზე დადგენილია, რომ ერთნაირი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში გამყარებისას მძიმე ბეტონის ზღვრული დეფორმაცია იზრდება ბეტონის კლასის გადიდებით. გარემოს ტენიანობის შემცირებით, რომელშიც მყარდება ბეტონი, მისი ზღვრული დეფორმაციის სიდიდე მცირდება.

აღნიშნული დამოკიდებულებების მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ბეტონისა და რკინაბეტონის ექსპლუატაციის დროს შესაძლებელია განვსაზღვროთ წინასწარ მოცემული დეფორმაციის შესაბამისი ძაბვა. აღნიშნული დამოკიდებულებები მიყვანილია იმ სტადიამდე,

რომ შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტული საინჟინრო ამოცანების რეალიზაცია. მიღებული დამოკიდებულების საფუძველზე შესაძლებელია გადაწყდეს შებრუნებული ამოცანაც-განვსაზღვროთ წინასწარ მოცემული ძაბვის შესაბამისი დეფორმაცია.

## **CONSTRUCTION ENGINEERING**

### **INVESTIGATION OF THE RELATIONSHIP BETWEEN STRESS AND DEFORMATION OF CONCRETE, TAKING INTO ACCOUNT THEIR STRENGTH, AGE, HARDENING CONDITIONS AND LOADING SPEED**

**TEMUR TURMANIDZE**

*Batumi State University Shota Rustaveli*

**The paper studies the relationship between stress and deformation of concrete, taking into account their strength, age, hardening conditions and loading speed. Inherently new analytical dependencies between stress and deformation of concrete are developed taking into account the main operational factors.**

**Based on this dependence, it was found that the ultimate deformation of concrete hardened in the same temperature and humidity conditions increases with an increase in the class of concrete. With decreasing humidity of the medium in which the concrete hardens, the value of ultimate deformation decreases.**

**The developed analytical dependence makes it possible under operational conditions to determine the stress in concrete at a given deformation. The indicated dependence is brought to such a stage that the implementation of specific engineering tasks is possible. Based on the obtained dependence, it is possible to solve the inverse problem - to determine the corresponding deformation at a given voltage.**

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Турманидзе Т. О. „Комплексное влияние эксплуатационных условий на физико-механические характеристики бетона“. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата технических наук. Тбилиси 1996г.
2. О.П. Квирикадзе «О зависимости между деформацией бетона и скоростью нагружения» Тбилиси, 1992.
3. А.Г.Вербецкая, М.М.Лордкипанидзе, Т.О.Турманидзе. «Исследование зависимости между напряжением и деформацией бетона с учетом их прочности, возраста, условий твердения и скорости нагружения». Труды ТИАС №1. Тбилиси, 1996 г.
4. Турманидзе Т., Дидманидзе И. Математическая модель для прогнозирования длительной прочности бетона //Международный технико-экономический журнал №. 1. Россия, Москва 2010.
5. Т. Турманидзе, Г. Путкарадзе, И. Дидманидзе „Математическая модель прогнозирования прочности бетона“ Материалы III международной научно-практической интернет конференций СУЧАСНІ ТЕНДЕНЦІ РОЗВИТКУ МАТЕМАТИКИ ТА ПІ ПРИКЛАДНІ АСПЕКТИ. Україна, Донецьк 2013;

6. Турманидзе Т.О. “Исследование зависимости между напряжением и деформацией бетона с учетом факторов действующих эксплуатационных условиях” //Вестник научных конференции “Актуальные вопросы образования и науки” № 1-1(29). Россия, г. Тамбов, 2018;
7. Турманидзе Т.О. “Длительная прочность бетона с позиций адсорбционной теорий ползучести твердых тел” //Вестник научных конференции “Современное общество, образование и наука“. № 4-1(32) Россия, г. Тамбов 2018;
8. Т. Турманидзе, Г. Путкарадзе „Математическая модель комплексного влияния эксплуатационных условий на прочность бетона.“ 13th International conference THEORETICAL AND APPLIED ASPECT OF PROGRAM SYSTEMS DEVELOPMENT. TAAPSD 2016. Proceeding. Ukraine Kiev. 2016;
9. Т. Turmanidze “Investigation of the relationship between tension and deformation of concrete considering the factors of operating conditions and its computer software” Materials of the VI International Scientific Conference MMOTI-2018 Moldova, Chişinău, 2018;
10. Т. Turmanidze “Strength of concrete from the positions of adsorption and its computer software” Materials of the XXXI International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES (PDMU-2018) Lankaran-Baku, Republic of Azerbaijan 2018;

## ისტორია

### ბერძენთა და ქართველთა თანაცხოვრების და მეგობრობის მაგალითი სოფელ დაბავში

#### ნარკიზ ბერიძე

**აბსტრაქტი** - საქართველომ დიდი ბრძოლებისა და მოლოდინების დონეს მიაღწია სანუკვარ ოცნებას სახელმწიფო დამოუკიდებლობას და გახდა საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი. მიუხედავად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისა ქართველი ერი ინარჩუნებს ტოლერანტობის, მეგობრობისა და თანაცხოვრების ისტორიულ და ტრადიციულ ხასიათს. აქ მცხოვრებ ეთნიკურად სხვა ეროვნების მოსახლეობის წარმომადგენლებთან. ამის მკაფიო მაგალითია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სიფელი დაგვის ყოველი და ახლანდელი ბერძენთა და ქართველთა სამაგალითო ურთიერთ სიყვარული, პატივისცემა და ურთიერთობები.

დღეს, როდესაც ქვეყანა აქტიურად დგამს ნაბიჯებს საერთაშორისო დონეზე ჯანსაღი იმიჯის შექმნისა და აღიარების, თანამედროვე ღირებულების დამკვიდრების მიმართულებით ამ ერთი ულამაზესი ქართული სოფლის ისტორიული წარსულიდან დღემდე განვლილი პერიოდი დანახული ერთაშორისი თანამეგობრობის თვალსაზრისის მნიშვნელოვანი მოდელია მთელი ქვეყნისათვის ცხოვრებამ დაადასტურა, რომ საქართველო, ქართველი ხალხი ყოველთვის იქნება

სტუმართმოყვარე და მეგობრობის ინიციატორი ყველა ხალხის მიმართ სწორედ, ამის დასტურია ამ სტატიაში ასახული მასალები.

**საკვანძო სიტყვები** - სოფლის ისტორია, ეთნიკური უმცირესობა, მიგრაცია, ნოსტალგია, მონახულების ტურიზმი, ტურისტული ცენტრი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბერძნულ-ქართული ურთიერთობები

სოფელში მიგრაცია დაიწყო 1995 წლიდან. ამ დროისთვის სოფელში რეგისტრირებული იყო 1100 კომლი. აქედან 485 კომლი ბერძენი მოქალაქე იყო. მიგრაცია გამოიწვია სოციალურ ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელიც 90იანები წლებიდან დაიწყო. 2005 წლისთვის სოფლის ბერძენი მოქალაქეები 90% უკვე საბერძნეთში გადასახლდნენ. ქართველი მაცხოვრებელი ადამიანები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბერძენ ხალხთან. საუკუნოვანი თანაცხოვრება თავისთავად აისახა მათ სამომავლო ურთიერთობაზე, მაშინდელმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ განაპირობა ის, რომ ბერძენ მოქალაქეებთან ერთად ქართველი თანასოფლელებიც ემიგრაციაში

წავიდნენ. ეს ერთ-ერთი სოციალური კრიზისის გადარჩენის გზა იყო, მიგრაციამ თავისი ასახვა ჰპოვა სოფლის ცხოვრებაზე. სოფლის მოქალაქეები მრავალი წლის მანძილზე მოწყდნენ მშობლიურ ფესვებს. საკუთარი ფუძის სიყვარულმა განაპირობა ის, რომ დღეს ბევრი ბერძენი დაუბრუნდა სოფელს, ორი ერის თანაცხოვრება დღემდე გრძელდება. ამ ხნის მანძილზე ბერძენი და ქართველი სოფლის შვილები ერთად აშენებენ სოფელს, ერთად ზრუნავენ სოფლის კეთილდღეობაზე. იყო მრავალი დროთა ქარტეხილი, შიში, ტკივილი და მრავალი განსაცდელი, თუმცა ყველაფერზე მაღლა იდგა ერთმორწმუნეობა, ურთიერთ-მიტევება, კაცთმოყვარეობა, სოფლის

მოსახლეობის სულიერ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის აშენებამ, რომელიც პირველად 1907 წელს აშენდა. 37-იან წლებში მოხდა მისი აფეთქება განადგურების მიზნით. წინა საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ეკლესიის რესტავრირება და დასრულდა 1992 წელს. ეკლესიის მშენებლობას სათავეში ედგა პონტოელი ბერძნები, რომელთაც მხარში ედგა სოფლის მოსახლეობა. ღვთისმსახურება ერთ-ერთ სულიერ მოწოდებად იქცა, რისი სახე დღევანდელი დღეა.

ღვთის რწმენა ადამიანის სულის მთავარი თვისებაა. სული ადამიანს ღმერთმა უბოძა. იგი თითქოს ღვთაებრივი ნაპერწკალია, ღვთის ანარეკლია ადამიანში. ადამიანის სული გამუდმებით ღვთისკენ მიისწრაფვის, მიილტვის მასთან ურთიერობას და მხოლოდ მასში ჰპოვებს სიმშვიდეს, სიხარულს და ბედნიერებას.

ყოველწლიურად ტრადიციულად, სოფელში აღინიშნება მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღე. ამ დროისთვის საბერძნეთიდან მრავალი ბერძენი ბრუნდება, ასევე ვიზიტორები, რომელთა მიზანია მოინახულონ საკუთარი ფუძე, მოეფერონ ახლობლებს, მეზობლებს, ნათლულებს, მეგობრებს.

ეს ის წუთებია, როცა ირგვლივ ყველაფერი სიყვარულით ინთება, როცა დარდიც გსიამოვნებს და ტკივილიც, ხოლო მიწიერი საზრუნავი არარად იქცევა. რაღაც შეუცნობელი გრძნობა საკუთარი სიმაღლის შეგნებით გაამაყებს, ფრთებს გასხამს და მყარად გაჯერებს შენს ადამიანურ უპირატესობაში. ამის მიზეზი სულ უბრალო რამ შეიძლება იქცეს: ერთი კარგი სტრიქონი, მუსიკის სულ ერთი ტაქტი, წრფელი ღიმილი და თუ გნებავთ ერთი თბილი მისალმებაც კი.

უცხოეთში ყოფნა არ ნიშნავს განდგომასა და უცხოობას. ადამიანები, რომელთა

ხვედრი გახდა ისევ ჩაეკრათ მშობლიური მიწა გულში. ის ხომ ღვთის ნებით არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე, იგი ღვთაებრივი სიყვარულის ნაწილია. სიყვარულზე კი სრული წარმოდგენა სამშობლოთი იწყება.

წუთისოფლის ორომტრიალში იკარგება მარადისობა, რომელსაც ადამიანი გამუდმებით ეძებს და იბრძვის დაიმკვიდროს თავისი ადგილი ყოფიერებაში. ეს ჭეშმარიტი გზის პოვნაა, რომელიც სულიერ მხნეობას და დიდ რწმენას გვმატებს. რაოდენ რთულია იყო ღირსების და დიდი ზნეობის სიკეთისა და მამულიშვილობის გამომხატველი, რომ არა ისეთი ადამიანები რომლებიც იბრძოდნენ, იბრძვიან სოფლის მომავალზე. სოფელი დაგვა ნამდვილად ამაყობს ღირსეული მამულიშვილებით.

პატრიოტობა ყოველდღიური ბრძოლით და ძლევამოსილების ფორმებით იწრთობოდა ქართ ველი და ბერძენი ხალხის სულში, რატა უმოძრაობაში ჩავარდნილი კაცის ენერგია საბოლოოდ არ გადაგვარებულიყო. უსამშობლო კაცი ობოლია, სულითხორცამდე გაძარცვული და უპატრონოდ მიგდებული დედამიწის ზურგზე ამიტომაც ამბობდა დიდი პოეტი - „ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო...“

სულისკვეთება წარსულიდან მოდის თან მოჰყვება თაობებს, მოანათებს საუკუნეებს. სამშობლოს ერთადერთობა უფლის ერთადერთობასთან არის გაიგივებული. იქ, სადაც დაიბადე, გაიზარდე, სადაც შენი წინაპრების საფლავებია იქ არის შენი ფესვები. მას მარადიულად ეფერები და ლოცულობ მშობლიურ კერზე. ეს ტკივილია მონატრებისა და სიშორით გამოწვეული უსაზღვრო სევდა.

სოფლიდან ემიგრაციაში წასულმა ბერძენმა ხალხმა საკუთარ თავზე გამოცადა ემიგრანტის რთული ხვედრი. რთულმა ცხოვრებამ და ეკონომიურმა მდგომარეობამ სოფელი ლამის დააცარიელა. საბერძნეთში

დაბრუნებულმა დაგვის ბერძენმა მოქალაქეებმა ახალი ცხოვრება დაიწყეს. ოცი წლის მანძილზე რთული გზა გაიარეს. ნოსტალგია დღითიდღე მატულობდა. დრომ თავისი გაიტანა. მათ მიზნად დაისახეს ზაფხულობით მაინც დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს.

დიდი ილია მართალი ბრძანებდა: „დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულისა და ხორციით მოშლისა და წარწყმენდისა. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“.

სოფელ დაგვას ისტორია უკავშირდება ეთნიკური უმცირესობის ხალხს- ბერძენ მოსახლეობას. სოფელში მათ ცხოვრების საუკუნეზე მეტი ისტორია აქვთ. როგორც ცნობილია სოფლის ისტორია 1877-1878 წლებიდან იწყება. რუსეთ-თურქეთის ომამდე სოფელში 50 ოჯახი ცხოვრობდა. სამასწლიანი ოსმალთა ბატონობის პერიოდში ძალზედ მძიმე ხვედრი ერგო აქაურ მოსახლეობას. ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი წერდა: „ქობულეთელები ნებაყოფლობით ისწრაფოდნენ შემოერთებოდნენ დედა-საქართველოს. რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ ბერლინის ტრაქტატის თანახმად ბათუმის რეგიონი ყარსისა და აჭარის რეგიონთან ერთად შეუერთდა საქართველოს. ოსმალთა იმპერია ცდილობდა აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა აემხედრებინა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და სარგებლობდა ისლამის სახელით. მოტყუებული მოსახლეობის ნაწილი გადასახლდა თურქეთში და ისინი მუჰაჯირების სახელით შევიდნენ ისტორიაში. 40-მდე ოჯახი მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდა.

1880-იან წლებში სოფელ დაგვაში ცხოვრობდა მხოლოდ ხუთი გვარის შთამომავალი. ესენი არიან: გოლომანიძე, კაკალაძე, დოლიძე, ხინიკაძე.

1881 წლიდან იწყება სოფლის ინტერნაციონალური ცხოვრება. ბერძენი მოსახლეობა თურქეთიდან წამოსული დასახლდა სოფელ დაგვაში. [სერგო ტაბაღუა "სოფელი დაგვა". გვერდი 4]

განა „კეთილგანწყობილებას“ მხოლოდ ქართველი ხალხის მიმართ აკეთებდა ოსმალები? არა, სხვა ერების მიმართაც ძალიან ცუდ დღეში იყვნენ ბერძენებიც. მათი ცხოვრება თურქეთში აუტანელი იყო. ისინი შევიწროვებულნი იყვნენ ეკონომიურად, ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდნენ, რის გამოც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მშობლიური ადგილები, გადასახლებულიყვნენ შორეულ მხარეში, ეძებნათ თავშესაფარი სხვა ქვეყნებში.

თანამედროვე ბერძნების წინაპრების გადმოსახლების ისტორიას მე-18 საუკუნეში მივყავართ, როცა ბერძენები ხალხის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა შევიწროვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამ პერიოდში ბევრი ბერძენი გაიქცა ანატოლიდან რუსეთში და კავკასიაში. ბერძნების მასობრივ გადმოსახლებას ანატოლიდან საქართველოში ხელი შეუწყო ქართველმა მეფემ ერეკლე II-მ. ასე, 1763 წელს ბერძენი ემიგრანტების დიდი ჯგუფი რაოდენობით 800 კაცი მიღებული იქნა თურქეთიდან საქართველოში და დასახლებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში, ახტალის რაიონში.

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მთავრობამ მიიღო ზომები ქრისტიანი მოსახლეობის (ბერძენები, სომხები) გადმოსახლებლად თურქეთიდან რუსეთის იმპერიის სასაზღვრო ზონაში, რომლებიც რელიგიური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ მიზნით 1810 წელს თბილისში შეიქმნა ქრისტიანების კავკასიაში გადმოსახლების კომიტეტი.

1813 წელს საქართველოში ახლანდელ თეთრწყაროს რაიონში, დასახლდა



თურქეთიდან ემიგრირებული 120 ბერძნული ოჯახი.

1828-29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ერზრუმედან ევაკუირებულ იქნა 100 ბერძნული ოჯახი და დასახლებულ იქნა წალკაში. 1830 წელს საქართველოში ჩამოვიდა ბერძენთა ახალი ჯგუფი 1025 ოჯახი, რომლებმაც შექმნეს წალკაში რამდენიმე სოფელი. ბერძენი ხალხის გადმოსახლება თურქეთიდან გრძელდებოდა რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომაც (1877-78 წწ). ისინი საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლდნენ, მათი უმეტესი ნაწილი აჭარის ტერიტორიაზე დარჩა. *[სერგო ტაბაღუა. "სოფელი დაგვა" გვერდი N27]*

I ჯგუფი ბერძენების ბათუმის ოლქში თურქეთიდან 1881 წლის 6 ნოემბერს ჩამოვიდა. ის შედგებოდა 253 ოჯახისაგან (2017 ადამიანი). ისინი იყვნენ ტოკატადან, სანჯაკიდან და კავკასიის ვილაიეტის დასახლებული პუნქტებიდან. თავდაპირველად ისინი მიემართებოდნენ აჭარის მიმართულებით, მაგრამ ძლიერი თოვლის მოსვლის გამო გზები ჩაკეტილი იქნა. მაშინ მათ შეიცვალეს მიმართულება და ბათუმში ჩამოვიდნენ იმ იმედით, რომ შემდგომ, გამოზამთრების შემდეგ დაბრუნდებოდნენ ყარსში და იქ ჩასახლდებოდნენ. მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ თავი შეიკავა ამისათვის საჭირო ხარჯებისაგან და ჩაასახლა ისინი ბათუმის ოლქში.

წუთისოფლის ორომტრიალში იკარგება მარადისობა, რომელსაც ადამიანი გამუდმებით ეძებს და იბრძვის დაიმკვიდროს თავისი ადგილი ყოფიერებაში ეს ჭეშმარიტი გზის პოვნაა რომელიც სულიერ მხნეობას და რწმენას გვმატებს. რაოდენ რთულია იყო ღირსების, დიდი ზნეობის სიკეთისა და მამულიშვილობის გამომხატველი რომ არა ისეთი ადამიანები რომლებიც წარსულზე აღმოცენებული ნაყოფია სოფელი ამაყობს

ღირსეული ადამიანებით. ერთერთი მათგანი იყო ივანე მურადოვი.

ივანე მურადოვი სოფელ დაგვას მკვიდრი იყო. 17 წლის ასაკში, 1902 წელს დაამთავრა ხონის გიმნაზია და ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა. 1907 წლიდან ივანე მურადოვი სამუშაოდ გადმოდის ქობულეთის დაწყებითი კლასში (დღევანდელი ქალაქის პირველი საჯარო სკოლა) 1915 წელს ივანე მურადოვი ამ სკოლის კიდევ ორ მასწავლებელთან - სოქოკლე სიდროპულოსა და მიხეილ ცაცანიდთან ერთად ბრუნდება სოფელ დაგვაში და აქ, იმ ადგილას, სადაც ამჟამად დაგვას საბაზო სკოლაა, მოსახლეობის მიერ აშენებულ შენობაში ხსნიან დაგვას დაწყებით სკოლას.

ივანე მურადოვს 1947 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი რაიონში პირველი დაჯილდოვდა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთ-ლენინის ორდენით.

მურადოვების გვარს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბერძენი ხალხის ეროვნულობის განმტკიცებაში. მათი დიდი დამსახურებაა ბერძნულ-ქართული ურთიერთობების განმტკიცება, რომელიც დღემდე გრძელდება.

სიდიადე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ უძღვება. ნათქვამია ვინც ერთი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა იგი ერს უდიდეს სამსახურს უწევს. პედაგოგის მისია მეტად რთული და საამაყოა. დღეს სოფელი ნამდვილად ამაყოფს ღვაწლმოსილი ქართველი და ბერძენი პედაგოგებით.

ამჟამად, სოფელ დაგვაში ცხოვრობს ღვაწლმოსილი პედაგოგი ლენა კიმიციდი. ის დაწყებითის პედაგოგი იყო, მრავალი ბერძენი და ქართველი თაობა აღუზრდია. ემიგრაციის ტალღამ ვერ გაანელა მასში მშობლიური სოფლის სიყვარული.

I ჯგუფი თურქეთიდან ემიგრირებული ბერძნებისა ჩასახლდა სოფ. დავგავში 1881 წელს, ისინი 29-21 ოჯახს არ აღემატებოდნენ. შემდგომ წლებში გრძელდებოდა თურქეთიდან მათი გადმოსახლება. პირველ გადმოსახლებულებს თანდათან მათი ნათესავები შეუერთდნენ და 1907 წლისათვის სოფ. დავგავში ჩასახლებული ბერძნების რაოდენობამ 602 ადამიანს მიაღწია.

ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე საქართველოს და აჭარის მოსახლეობაში დიდი რისხვა გამოიწვია. აჭარის ქალაქისა თუ სოფლების მოსახლეობამ განაცხადა, რომ მკერდით დაიცავს მათ სამშობლოსა და მონაპოვარს. ომის წლებში სოფ. დავგას მოსახლეობამ ფრონტისათვის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გაგზავნა: ხორცი, ციტრუსი, ჩაი, რძე და სხვა. 100 პატრიოდი წავიდა ფრონტზე.

სოფ. დავგავში აშენდა კულტურული საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, კოლმეურნეობის კანტორა, სკოლა, საწყობები, რადიო კვანძი, ავტომანქანები.

სოფ. დავგა უკვე მოწინავე სოფლის რიგებში ჩაეწერა, ერთ დროს გამორჩენილი და ღარიბი სოფელი უკვე ძალიან განვითარდა და გამდიდრდა გაიზარდა მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრებისეული პირობები. ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეს დიდი ყურადღება ეთმობოდა. ამ საქმეში დიდი წვრილი შეიტანა ბერძენმა მოსახლეობამ. ბერძენები ბრწყინვალედ მეტყველებდნენ ქართულ და რუსულად, ხოლო ქართველი მოსახლეობა ბერძნულად და რუსულად.

ქართველი და ბერძენი ხალხის ერთობლივმა შრომამ, თანაცხოვრებამ, ყოფაცხოვრების შერევამ ეს ორი ერი ძალიან დაახლოვა და დაამეგობრა. ომის დასრულების შემდეგ დაგველებმა მალე მოიშუშეს ომით მიყენებული ჭრილობები და სოფლის

შენების საქმეს აქტიურად მიჰყვე ხელი. სოფლის შემოსავალი დღითიდღე იზრდებოდა, სწორედ ამან განაპირობა, რომ დავგავში აშენდა კოლმეურნეობის კანტორის 2-სართულიანი შენობა, კულტურის სახლი მაყურებელთა 650 კაციანი დარბაზით, სკოლების მრავალსართულიანი შენობები. *[სერგო ტაბალუა, "სოფელი დავგა" გვერდი N35]*

უწიგნურობის ლიკვიტაციის მიზნით მრავალი სამუშაოები იქნა დაგეგმილი. საბჭოთა ხელისუფლებამდე მხოლოდ ერთი პატარა 2-წლიანი სკოლა იყო გახსნილი სოფ. დავგავში, რომელიც 2 პატარა ნახევრად-ბნელი ოთახისგან შედგებოდა, აქ 72 მოსწავლე მეცადინეობდა, 2 პედაგოგი ასწავლიდა მათ, რომლებიც სოფლის ინტელიგენციას წარმოადგენდნენ. აშენდა სკოლა მრავალსართულიანი სკოლის შენობა 540 მოსწავლეზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები აშენდა და გაიხსნა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო უწიგნურობის ლიკვიდაცია. წერა-კითხვის შესასწავლად გაიხსნა მკითხველთა ქოხი, დავგას ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნდა. თანდათანობით იზრდებოდა მოსახლეობის კულტურული დონე. ახალგაზრდები წარმატებით ამთავრებდნენ უმაღლეს სასწავლებელში. დაგველები სხვადასხვა ქალაქებში ეწეოდნენ მეცნიერულ მოღვაწეობას, ზოგი ოდესაში, ზოგი მოსკოვში თუ ანასეულში. წარმატებული ახალგაზრდების რიცხვი მალე იზრდებოდა. ისინი სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომობდნენ და აგრძელებდნენ მუშაობას.

დიდი ილია ბრძანებდა: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულისა და გულსა, თავის მწვრთნელსა, ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგან წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს.

ზოგს დიდბუნებოვანების სარავანდედითა, და თავყვანს სცემს საქსოებით და გტალობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყრობა“.

დაგვიდან წასული ბერძნები დღესაც ინარჩუნებენ აქტიურ კომუნიკაციას, სოფლის მოსახლეობასთან. შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს მეგობრული ურთიერთობების გაფართოების, ხელშემწყობი გარემოს შექმნის პროგრამებს და ღონისძიებებს. ბევრი აქედან წასული ბერძენი ხალხი სამეწარმეო საქმიანობას ეწევა და მზადაა მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პროექტების ერთობლივ განხორციელებაში. მაგალითად,

აქტიურად განიხილება ქართველთა და ბერძენთა კულტურული ცენტრის შექმნა თავისი სასტუმრო მეურნეობით, რომელიც სასოფლო ტურიზმის ობიექტის სახეს შეიძენს-ერთდროულად ასი ვიზიტორის შესაძლებლობას. შემუშავებულია პროექტები ზეთისხილის ბაღების გაშენებისა სოფელ დაგვაში და სხვა ტერიტორიებზე. ბერძნულ-ქართული სახალხო ანსამბლის ჩამოყალიბება და განხორციელება, ტურისტული პროექტები და მუზეუმის მოწყობა და ა.შ.

სოფელი დაგვა კვლავაც დარჩება ბერძენთა მუდმივი სიყვარულისა და მონატრების ადგილად.

## COEXISTENCE OF GREEKS AND GEORGIANS AND EXAMPLE OF FRIENDSHIP IN VILLAGE DAGVA

### NARGIZ BERIDZE

The history of settling the Greeks in Georgia, and subsequently reflecting on their relationships, coexistence and friendly relations with their local population, is quite diverse and interesting.

The Greek population in various regions of Georgia was quite large and the conditions of their arrival and establishment were conditioned by historical developments in different periods. In the Adjara region too, Greeks settled in various villages, multiplying and growing their stems. During the period of Georgia's independence, along with other nationalities, the Greeks also began to migrate to their home countries and their numbers were significantly reduced. However, the exile did not deteriorate established relations. On the contrary, those who left here are mentioned and loved by Georgia as their homeland. Relations between past and present population are not terminated.

The article cites materials on the migration of Greek settlers to the village of Dagava in Kobuleti municipality and their current relationship, and their further expansion.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სერგო ტაბაღლა - სოფელი დაგვა-„საბჭოთა აჭარა“, ბათუმი 1982
2. იური სიხარულიძე - ტოპონიმიკა-სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი 1959წელი

## ისტორია

### კაპიტალისტური საწარმოები აჭარის სოფლის მეურნეობაში

#### ოთარ თურაანიძე

*ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი*

**აბსტრაქტი:** აჭარის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური საწარმოების მშენებლობა იწყება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ საქმით დაინტერესდნენ უცხოელები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კაპიტალი დააბანდეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. ასეთი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ რუსეთში ჩაის ნაწარმი, ციტრუსები და ზეთისხილი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ და დიდი რაოდენობით ფულს ხარჯავდნენ. ბათუმის ოლქის ტერიტორიის ნაწილი კი ამ კულტურების განვითარებისათვის, ხელსაყრელი იყო.

ბათუმის ოლქში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის გამორჩეული იყო კინტრიშის საპოლიციო უბანი, რომელიც, მაშინდელი მდგომარეობით, ჩოლოქიდან კახამბრამდე აღწევდა. მართალია, აჭარა მცირემიწიანია, მაგრამ 1878-1882 წლებში კინტრიშის საპოლიციო უბნიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (10 ათასზე მეტი სული) ოსმალეთში გადასახლდა (მუჰაჯირობა) და მიწები, ბედის ანაზრად მიატოვეს. აღა-ბეგებმაც დაიწყო მიწების გაყიდვა. 1878-1888 წლებში აჭარის ზღვისპირა ზოლში მიწები შეისყიდა 43 მოახალშენემ. XIX საუკუნის ბოლოს მათი რაოდენობა 200 მეტი იყო. უცხოელებმა ამ მიწებზე მოაწყვეს აგარაკები და კაპიტალისტური მეურნეობები. პირველი კაპიტალისტური საწარმოებიდან აღსანიშნავია სოლოვცოვის, პოპოვის, საუფლისწულო უწყების, დალფონსის, სტოიანოვის, სინიგინის, პანცერის, ბიხოვეცევის, სიბირიაკოვის და სხვათა მეურნეობები.

**საკვანძო სიტყვები:** *მეურნეობა, კაპიტალისტური, ჩაის კულტურა, ციტრუსი, მოგება-ხარჯი.*

**სოლოვცოვის მეურნეობა.** აჭარაში პირველი კაპიტალისტური მეურნეობა სოლოვცოვმა მოაწყო. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სოლოვცოვი, ეროვნებით რუსი, სპეციალობით სამხედრო ინჟინერი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. თადარიგში გასვლის შემდეგ თბილისში ცხოვრობდა. მას დაგროვილი ჰქონდა გარკვეული კაპიტალი, რომელიც დააბანდა აჭარაში კაპიტალისტური მეურნეობის შესაქმნელად.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ა. სოლოვცოვი საცხოვრებლად გადმოვიდა აჭარაში და დასახლდა ჩაქვის ხეობაში. აქ 1882-1883 წლებში 256 დესეტინა მიწა

შეიძინა. შემდგომში ახალი ნაკვეთები იყიდა და მისი მამული 300 დესეტინამდე გაიზარდა. ა. სოლოვცოვს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა თავის მამულში სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობის ხეხილი, ყვავილები და სხვა მცენარეები გაეშენებინა. ეს განზრახვა შეცვალა მას შემდეგ, როდესაც კვლავ დაისვა საკითხი საქართველოს ზღვისპირეთის მიდამოებში მეჩაიეობის განვითარების შესაძლებლობის შესახებ.

ამ ჭრილში ყურადსაღები გამოდგა კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორის ნ. ზეიდლიცის

გამოსვლა 1884 წელს პეტერბურგში ბოტანიკისა და მებაღეობის საერთაშორისო კონგრესზე. მის მოხსენებაში გაშუქებულია კავკასიაში ჩაის კულტურის გაშენების მოკლე ისტორია, ჩაის ნაწარმზე მოთხოვნის განუწყვეტელი ზრდა, განსაკუთრებით რუსეთსა და ევროპაში. რუსი და საზღვარგარეთელი ავტორიტეტული მეცნიერების (ვოეიკოვი, ტიხომოროვი, კრასნოვი, ზემლერი, ნოლდენი, ბუტლეროვი და სხვები) შრომების საფუძველზე ბოტანიკოსმა ნ. ზეიდლიცმა საქართველოში სამრეწველო მეჩაიეობის განვითარება არა მარტო შესაძლებლად, არამედ აუცილებელ პრაქტიკულ ამოცანად წარმოადგინა (სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 230, ფურც. 13-15).

სწორედ აქედან იწყება საქართველოში სამრეწველო მეჩაიეობის განვითარების ისტორია. მანამდე არსებული ჩაის ბუჩქები დეკორაციულ მცენარეებს თუ წარმოადგენდნენ. ნ. ზეიდლიცის მოხსენების გაცნობის შემდეგ ა. სოლოვცოვმა ჩაის კულტურის გაშენებას დიდი ენთუზიაზმით შეუდგა. მან ახლო ურთიერთობა დაამყარა ნ. ზეიდლიცთან და მისი დახმარებით 1884 წლის ივნისში ჩინეთიდან საზღვაო გზით ბათუმში შემოიტანეს ჩაის ბუჩქები და ნერგები.

ა. სოლოვცოვმა იმავე 1884 წელს ჩაის ნერგები თავის მამულში დარგო. უმრავლესობა გახმა, მხოლოდ 25 ნერგი გადარჩა. მათგან მიღებული თესლიდან სანერგე მეურნეობა მოაწყო, შემდეგ კი ჩაის პლანტაცია გააშენა.

მათგან მიღებული თესლიდან სანერგე მეურნეობა მოაწყო, შემდეგ კი ჩაის პლანტაცია გააშენა [სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1388, ფურც. 4]. ა. სოლოვცოვმა ხეხილი და სამრეწველო მნიშვნელობის ყვავილებიც მოაშენა. მეურნეობაში დიდი მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა. გაიყვანა გზები, არხები, ბილიკები, ტერასები, ააგო ადმი-

ნისტრაციული, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების 15 შენობა. 1895 წლისათვის 300 დესეტინიდან დამუშავებული ჰქონდა თითქმის ნახევარი – 141 დესეტინა [სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 22]. აქედან ჩაის კულტურა, ხეხილი, ყურძენი და დეკორაციული მცენარეები გაშენებული იყო 34 დესეტინაზე.

მეურნეობის მოწყობისათვის დანახარჯები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, 1890 წლისათვის საამისოდ გაღებული თანხა ასი ათას მანეთს შეადგენდა. მომდევნო წლებისათვის მეურნეობის მოწყობა-განვითარებაზე დაბანდებული კაპიტალი კიდევ უფრო მეტი იყო. თუმცა ჩვენ საამისო მონაცემები არ გაგვაჩნია.

ა. სოლოვცოვის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი დარგი მეჩაიეობა გახდა. თუ 1893 წელს ჩაის კულტურას 2 დესეტინა ეკავა, 1897 წელს 55, 1899 წელს – 66 დესეტინამდე გაიზარდა. ა. სოლოვცოვმა თავის მეურნეობაში სამუშაოდ მოიწვია მებაღეობისა და მეჩაიეობის სპეციალისტები. მათგან აღსანიშნავია მებაღე ლისენკო და ჩაის პროდუქციის წარმოების სპეციალისტი ინგლისელი ბისეტა, რომელსაც ინდოეთის ჩაის პლანტაციენბსა და ფაბრიკებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. მეურნეობას მართავდა ადმინისტრაციული აპარატი. მეურნეობაში დაქირავებული მუშების დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ, ძირითადად გურიიდან და სამეგრელოდან ჩამოსულები [ჭურნ. “კვალი“, 1897, № 27, გვ. 511].

ა. სოლოვცოვის მეურნეობაში ჩაის დამზადების პირველი ცდები 1890 წელს ჩაატარეს. ამ ცდებს მებაღე ლისენკო ხელმძღვანელობდა, რომელსაც საამისო პრაქტიკული გამოცდილება არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მან, ნედლეულის მრავალგზის დამუშავების შედეგად, შეძლო საუკეთესო ხარისხის ჩაის პროდუქციის მიღება. ეს იყო

საოჯახო წესით, კუსტარულად დამზადებული ჩაის ნაწარმი. მისი ხარისხობრივი შემადგენლობა შეისწავლეს თბილისის სპეციალურ ლაბორატორიებში. შედეგები საუკეთესო აღმოჩნდა. ამ პირველმა წარმატებამ ა. სოლოვცოვს მეჩაიეობის განვითარებაში რწმენა და ინტერესი განუმტკიცა [А. Соловцов, оучич, СИКОСХ, 1894:665; виос, 1877, № 6, с. 306; სპცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 6].

მომდევნო წელს ა. სოლოვცოვმა ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი სპეციალური საწარმო ააგო. ეს იყო კუსტარული საწარმო, რომელიც ორი ოთახისაგან შედგებოდა. 1895 წელს ინგლისიდან შემოიტანა ჩაის საწნეხი მანქანები, მოიწვია სპეციალისტებიც. სოლოვცოვმა მნიშვნელოვანი შრომა გასწია მეჩაიეობის დანერგვა-განვითარებაში თავისი მიღწევების პოპულარიზაციისათვის. 1889 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარადგინა ჩაქვში თავის მეურნეობაში გაზრდილი ახალგაზრდა ჩაის ბუჩქები ყვავილითა და თესლით. ამავე გამოფენაზე ჩაის მცენარე ჩოხოტაურიდან ე. ერისთავმაც ჩაიტანა. საგამოფენო კომიტეტმა სოლოვცოვი ბრინჯაოს მედლითა და ქების სიგელით დააჯილდოვა. 1891 წელს ა. სოლოვცოვმა ჩაის ბუჩქები გააგზავნა პეტერბურგში მეხილეობის გამოფენაზე. აქედან პეტერბურგის იმპერატორის ბოტანიკურ ბაღში მიიტანეს. აქაც ჩაის ბუჩქებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1892 წელს ა. სოლოვცოვმა ჩაის ბუჩქები მოსკოვში წარადგინა ცოცხალ მცენარეთა აკლიმატიზაციის გამოფენაზე. იმ გამოფენაზე ვერცხლის მედლითა და დიპლომით დააჯილდოვეს [А. Соловцов, КЧЧ, журн. КСХ, 1894, №31, с. 538].

ა. სოლოვცოვმა 1894 წელს ჩაქვში გამოზრდილი ჩაის ბუჩქების სანიმუშო ეგზემპლარები რუსეთის სახელმწიფოს მრავალ მოხელეს გაუგზავნა. მათ შორის: მიწათმოქმედების მინისტრს ა. ერმილოვს,

პეტერბურგის ბოტანიკური ბაღის დირექტორს ა. ბატალინს, სახელმწიფო საბჭოს წევრს ნ. აბაზას, საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს უფროსს ლ. ვიაზემსკის, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში ი. მედვედევს, საუფლისწულო მამულების ინსპექტორს კავკასიაში ი. კლინგენს, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორს ა. კრასნოვს. ი. მედვედევის განკარგულებით ა. სოლოვცოვის მეურნეობის ჩაის ფოთლის ანალიზები აიღეს კავკასიის მეაბრემუმეობის საცდელ ლაბორატორიაში. ამ ანალიზებმა კარგი შედეგები აჩვენა.

მეჩაიეობის განვითარებაში ა. სოლოვცოვის მიღწევებმა დიდი ინტერესი გამოიწვია მეწარმეებსა და პეტერბურგის საუფლისწულო უწყებაში. XIX საუკუნის 90-იან წლებში მათ აჭარაში მოაწყვეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობები. პირველ წლებში მათ მეჩაიეობის მეურნეობის მოწყობაში ა. სოლოვცოვი ეხმარებოდა. თვითონ კისრულობდა ჩაის პლანტაციების გაშენების საქმეს, აწვდიდა ჩაის ნერგებსა და თესლს. ამ გზითაც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა. მაგალითად, ა. სოლოვცოვმა 1895-1896 წლებში საუფლისწულო უწყების ჩაქვის მამულში ჩაის პლანტაცია 20 დესეტინაზე გააშენა, რისთვისაც 48 ათასი მანეთი მიიღო [სპცსსა, ფ. 515, ან. 45, ს. 658, ფურც. 49-50; ან. 91, ს. 59, ფურც. 6].

სოლოვცოვს 1895 წელს ეწვია ხარკოველი კომერსანტი ველიტჩენკო, რომელმაც გულმოდგინედ გაეცნო ჩაის მეურნეობას. ამის შემდეგ მათ შორის ხელშეკრულება გაფორმდა: ველიტჩენკომ სოლოვცოვს სესხად მისცა 63 ათასი მანეთი. სოლოვცოვმა იკისრა თავისი პლანტაცია 7 წლის განმავლობაში 90 დესეტინამდე გაეზარდა და აღებული სესხი დაეფარა ჩაის პროდუქციის მიყიდვით, გირვანქა 75

კაპიკად. აქედან მოყოლებული ა. სოლოვცოვის ჩაის ნაწარმი ველტჩენკოს მიჰქონდა. ა. სოლოვცოვი 1896 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეების დროს ჩაის პროდუქცია ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგალითად, თუ 1898 წელს აღნიშნული მახასიათებელი 250, 1900 წელს – 950, 1901 წელს – 1400, ხოლო 1902 წელს – 1700 ფუთამდე გაიზარდა [სცსსა, ფ. 12, ან. 1, ს. 1636, ფურც. 36; სპცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 11).

მომდევნო წლებში ა. სოლოვცოვის მემკვიდრეებმა მეურნეობას ხელი შეუშვეს. წარმოება შეჩერდა. ბოლოს იგი საუფლისწულო უწყებამ შეისყიდა.

**პოპოვის მეურნეობა.** სიმონ კონსტანტინეს ძე პოპოვი ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტი იყო რუსეთში. იგი ჩაითვაჭრობას ეწეოდა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან შემოჰქონდა. პოპოვს რუსეთში ჰქონდა ჩაის საწყობები, გადამწონი ფაურიკები, მალაზიები, სხვა ობიექტები. სოლოვცოვის მეურნეობის გაცნობის შემდეგ პოპოვმა გადაწყვიტა აჭარაში შეექმნა ჩაის მეურნეობა. 1892 წელს ბათუმის შემოგარენსა და ჩაქვში შეიძინა 300 დესეტინა მიწა (სალიბაურში–140, კაპრემუში–60, ხოლო ჩაქვში – 100 დესეტინა).

ჩაის წარმოების უკეთ გაცნობის მიზნით პოპოვმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში 1889-1895 წლებში მოაწყო ოთხი ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები. მათგან აღსანიშნავი არიან პროფესორები ტიხომიროვი, ვილიამსი, დოკუჩაევი, ფიზიკოსი შილერი, ინჟინერ-მექანიკოსი სოროკინი და სხვები. მათ შეისწავლეს აღმოსავლეთის სუბტროპიკული ქვეყნების ნიადაგები, კლიმატური პირობები, ჩაის გაშენების მოვლა-პატრონობისა და ნედლეულის გადამუშავების წესები,

ჩამოიტანეს ნიადაგის ნიმუშები, მზა ნაწარმი ხარისხების მიხედვით, სამეურნეოსაწარმოო იარაღები და სხვა.

პოპოვმა 1893 წლიდან დაიწყო ჩაის მეურნეობის მშენებლობა, რისთვისაც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა. დამრეცი ნაკვეთების გამო 120 დესეტინაზე ტერასები გააკეთა, ხოლო 20 დესეტინაზე კვლები. ჩაის მეურნეობის მშენებლობას ჩინელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, რომელთა პირველი ჯგუფი 1893 წელს ჩამოიყვანა. მათ შორის იყო ლაო ჯონ-ჯაუ. ჩინელი სპეციალისტების პირველი ჯგუფი ვერ შეეგუა აჭარის ზღვისპირა ზოლის კლიმატურ პირობებს და 1896 წელს უკან გაბრუნდნენ. მათთან ერთად გაემგზავრა ლაო-ჯაუცა, რომელმაც, პოპოვის დაკვეთით, ჩინელი სპეციალისტების ახალი ჯგუფი ჩამოიყვანა, სულ 14 კაცი. ეს ჯგუფიც ვერ შეეგუა აქაურ კლიმატურ პირობებს, ზოგიერთი მათგანი, მალარიით დაავადების გამო, გარდაიცვალა. დანარჩენები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდნენ. მხოლოდ ლაო-ჯონ-ჯაუ დარჩა აჭარაში [აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 301, ფურც. 52-53].

პოპოვის მეურნეობაში ჩაის პირველი პლანტაცია 8 ჰექტარზე 1893 წელს გააშენეს. მშენებლობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გაგრძელდა. 1901 წელს ჩაის მეურნეობას ეკავა 140 დესეტინა. მათგან პლანტაციას–127, ხოლო სანერგეს – 13 დესეტინა. ჩაის მეურნეობა ფართობის მიხედვით ასე ნაწილდებოდა: სალიბაურში იყო 70 დესეტინა (65 პლანტაცია და 5 დესეტინა სანერგე), კაპრემუში – 30 (27 და 3 დესეტინა), ჩაქვში – 40 დესეტინა (35 და 5 დესეტინა).

ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი, 85 გირვანქის ოდენობით 1895 წელს მიიღეს. მომდევნო წლებში ჩაის ფოთლის მოსავალი

გაიზარდა. მაგალითად, 1896 წელს მოიწიეს 157 გირვანქა, 1897 წელს – 5100, 1898 წელს – 13080, 1899 წელს – 15342 გირვანქა. პირველ წლებში ჩაის მზა პროდუქციას პრიმიტიულად, საოჯახო წესით ამუშავებდნენ. 1898 წელს პოპოვმა სალიბაურში ააშენა პირველი ჩაის ფაბრიკა. მშენებლობას ინგლისელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც სპეციალურად იყვნენ მოწვეულები. მანქანა-მოწყობილობა ინგლისიდან შემოიტანა. ჩაის ფაბრიკა იყო ორსართულიანი რკინა-ბეტონის შენობა. აქვე დაამონტაჟეს ელექტროგენერატორი, რომელიც ენერგიას აწვდიდა ფაბრიკას და სხვა ობიექტებს [სპცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 20689, ფურც. 6].

პოპოვის მეურნეობაში ადმინისტრაციული და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 38 შენობა ააგეს. სამივე მამულში აგებული იყო რკინა-ბეტონის ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობები, მუშათა ყაზარმები, საწყობები, ჩაის პლანტაციებში მოსაცდელი ფარდულები, საგუშაგოები, ცხენებისა და ხარ-კამეჩის ბოსლები, გაიყვანეს გზები, დააგეს ქვის ბილიკები, ააგეს ხიდი და სხვა. მეურნეობის მშენებლობისათვის კ. პოპოვმა 1892-1902 წლებში დახარჯა 1855 ათასი რუბლი. ამ თანხიდან ექსპედიციების მოწყობაზე – 120 ათასი რუბლი, მიწისა და ინვენტარის შეძენაზე, სანერგესა და სათბურების მოწყობაზე – 82500, ნიადაგის დამუშავებაზე – 530.000, ნაგებობათა მშენებლობაზე – 375.000 რუბლი. დანარჩენი თანხები სხვა მიმართულებით დაიხარჯა (სპცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 9, 144, 151, 152).

მეურნეობის მოწყობის შედეგად გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები. მაგალითად, ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატში 69 კაცი მუშაობდა. ცენტრალურ აპარატში, რომელიც სალიბაურში იყო, შედიოდა

მმართველი, კანცელარიისა და ბუღალტერიის თანამშრომლები, სამეურნეო ნაწილის გამგე, მთავარი მეზღვე, მექანიკოსი და სხვა. მეურნეობას ემსახურებოდა ექთანი, იყვნენ სხვა თანამშრომლებიც [სპცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 9, 147].

კ. პოპოვის მეურნეობის მშენებლობის დიდ მასშტაბს მოწმობს ის, რომ 1893-1894 წლებში მუშათა რაოდენობა 600 კაცს ითვლიდა [KCX, 1894, № 21, c. 374]. ჩაის პლანტაციები სეზონურად 1901-1917 წლებში 130-დან 400 კაცამდე მუშაობდა. ჩაის ფაბრიკაში კი სეზონზე 30 ადამიანი მუშაობდა (დირექტორი, მექანიკოსი, ჩაის საქმის სპეციალისტი და მუშები). მძიმე და აუტანელი იყო მუშათა შრომისა და ცხოვრების პირობები. მუშები საშინელ ექსპლუატაციას განიცდიდნენ. მათი თვიური ხელფასი 18-22 მანეთამდე მერყეობდა. მოზარდების სამუშაო ღირებულება კი გაცილებით დაბალი იყო. მიუხედავად ამისა, იმ შეჭირვებულ დროს ადამიანების დასაქმებას მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველ წლებში კ. პოპოვის მეურნეობის შემოსავალსა და გასავალს შორის დისპროპორცია არსებობდა. 1901 წლისათვის მეურნეობის ყოველწლიური გასავალი ხარჯი 40 ათას რუბლს შეადგენდა, შემოსავალი კი გაცილებით ნაკლები იყო. ამიტომ კ. პოპოვმა 1902 წელს თხოვნით მიმართა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სესხის გამოყოფის შესახებ (სპცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 153). შემდგომში, როდესაც ჩაის პლანტაციები სრულმოსავლიანი გახდა, შემოსავალმა საგრძნობლად გადააჭარბა გასავალს, მეურნეობა რენტაბელური გახდა. მაგალითად, 1901-1905 წლებში ჩაის ფოთლის საშუალო წლიური მოსავალი 103 095 გირვანქას შეადგენდა, 1911-1915 წლებში – 139774 გირვანქამდე გაიზარდა, 1916-1917 წლებში 236738 გირვანქას მიაღწია. ამრიგად, ამ



ბოლო წლებში 1901-1905 წლებთან შედარებით ჩაის ფოთლის საშუალო წლიური მოსავალი 2,3-ჯერ, შესაბამისად მზა ნაწარმი ორჯერ და მეტად – 26 832 გირვანქიდან 59184 გირვანქამდე გაიზარდა [სპცსსა, ფ. 1571, ან. 1, ს. 89, ფურც. 4; KK, 1916:358]. რევოლუციის ქარცეცხლიან და უცხოელების ინტერვენციის წლებში (1906-1907 და 1918-1920) პოპოვის მეურნეობაში სამუშაოები გაჩერდა. გასაბჭოების შემდეგ პოპოვის მეურნეობის ნაციონალიზაცია განხორციელდა, რის შედეგად სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა [სპცსსა, ფ. 1571, ან. 1, ს. 89, ფურც. 4; KK, 1916:358].

**ჩაქვის საუფლისწულო მეურნეობა.** ჩაქვის საუფლისწულო მამული ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობა იყო აჭარაში, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებში დაარსდა. მეურნეობის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს კავკასიის ინსპექტორს, აგრონომ ი. კლინგელს. იგი გულმოდგინედ გაეცნო აჭარის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობებს და პეტერბურგის საუფლისწულო უწყებაში არგუმენტირებული მოხსენება წარადგინა ჩაქვში ანალოგიური ტიპის მეურნეობის მოწყობის შესახებ.

პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველო დადებითად გამოეხმაურა ი. კლინგელის მოთხოვნას. საუფლისწულო უწყებამ 1894 წლიდან დაიწყო ჩაქვში მიწების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობიდან. მანვე იყიდა სოლოვცოვის, ვუჩინოს და სხვა მოახალშენეთა მეურნეობები. 1999 წლისთვის ჩაქვის მეურნეობის საკუთრებაში იყო 14 000მ დესეტინა ფართობი [კლინგენი, 1917:17-21, 24]. საუფლისწულო უწყების სპეციალისტებმა შეისწავლეს ჩაქვის ხეობის ნიადაგები, კლიმატური პირობები. ამისათვის მოაწვევეს მეტეოროლოგიური

სადგურები (ქვედა ჩაქვში, სხალასა და სახალვამოში), ხარკოვის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში გამოიკვლიეს ჩაქვის ხეობის ნიადაგები და სხვა. შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

ამის შედეგად გადაწყდა მეურნეობის მშენებლობა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების შესწავლისათვის 1895 წელს იაპონიასა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში მოეწყო ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ აგრონომები ი. კლინგენი, გ. სნეჟკოვი, ო. სიმონსონი, პროფესორი ა. კრასნოვი. ისინი ეწვიენ ჩინეთს, ინდოეთს, ცილონს, იაპონიას. დაბრუნებისას ჩამოიტანეს ჩაის თესლი, ბუჩქები, ჰერბარიუმები, ფოტოსურათები, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, ინვენტარი და სხვა ნივთები [კლინგენი, 1900: გვ. 9-10].

პირველი ჩაის პლანტაცია 1895 წელს გააშენეს სოლოვცოვის ხელმძღვანელობით. საუფლისწულო უწყებამ საკუთარი ძალებით ჩაის პლანტაციის გაშენებას 1896 წლიდან შეუდგა. 1898 წელს ჩაის პლანტაციებს 50, ხოლო 1899 წელს – 70 დესეტინა ეკავა. 1899 წელს ააშენეს ჩაის ფაბრიკა, მანქანა-დანადგარები ინგლისიდან შემოიტანეს. ფაბრიკას თავდაპირველად ელექტროენერჯიას აწვდიდა სპეციალურად მოწყობილი ელექტროძრავა.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ნაწარმი შეისწავლეს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების არაერთ ლაბორატორიაში; შედეგები კარგი აღმოჩნდა. გარდა ჩაის კულტურისა, მეურნეობაში გააშენეს ციტრუსები, ბამბუკი, სხვა კულტურები. მეურნეობაში მოაწყვეს სანერგე (3,8 დესეტინა), ბამბუკის სახელოსნო, საწყობები, პირუტყვის სადგომები და სხვა. 1899 წლისათვის ჩაქვის საუფლისწულო მამულის მშენებლობისათვის გაწეული ხარჯი 662055 რუბლს შეადგენდა. 1902 წლისათვის კი მილიონ რუბლს აჭარბებდა

[სპ, ცხსა, ფ. 515, ან. 91, ს. 164, ფურც. 238, 241. 301-302; ბენდიანიშვილი, 1971:88]. 1900 წლის ბოლოს დამუშავებული იყო 194 დესეტინა, საერთო ფართობის 1,6%. მათგან ჩაის პლანტაციას ეკავა 90 დესეტინა, ციტრუსებს – 2,4, ბამბუკს – 7,1, ხეხილს – 19,5, ქალაღის ხეს (რამის მცენარე) – 4 დესეტინა და სხვა. 1916 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის საერთო ფართობიდან ათვისებული იყო 873 დესეტინა (6,7%). მათ შორის: ჩაის პლანტაციას ეკავა 500 დესეტინა, ბამბუკს – 70, ხეხილს – 46, ლაქის ხეს – 15, სანერგეს – 10, ბოსტანს – 3 დესეტინა. საუფლისწულო უწყებამ 1915 წელს ჩაქვისწყალზე ააშენა ჰიდროელექტროსადგური, შეიძინეს ნავი და სხვა სატრანსპორტო საშუალებები. ამ დროისათვის მეურნეობის მშენებლობისათვის გაწეული ხარჯი რამდენიმე მილიონ მანეთს აღემატებოდა [თურმანიძე, 2004:114-115].

ხანგრძლივი დაკვირვებისა და სათანადო გამოცდილების შეძენის შედეგად სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ჩაქვის საუფლისწულო მამულში მიზანშეწონილი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამი ძირითადი დარგის – მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და ბამბუკის კულტურის განვითარება. მათ შორის მეურნეობის წამყვან დარგად ჩაის კულტურა ჩათვალებს. მართლაც, ჩაის კულტურა ჩაქვის საუფლისწულო მამულში მნიშვნელოვნად განვითარდა, რასაც მოწმობს ქვემოთ მოცემული მონაცემები (ფართობი – დესეტინობით, მოსავალი – ფუთობით)

წლები	ფართობი	მოსავალი
1901	110	2550
1905	200	9745
1915	500	25962
1916	500	23 372

ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის მეურნეობა აღმავლობით ვითარდებოდა 1916 წლამდე. 1901-1915 წლებში ჩაის კულტურის ფართობი 4,5-ჯერ და მეტად, ხოლო მოსავალი – თითქმის 10,2-ჯერ გაიზარდა. 1916 წლიდან მოყოლებული ჩაის ფოთლის მოსავალი მცირდებოდა, ფართობი კი 1915 წლის დონეზე დარჩა. ამის ძირითადი მიზეზია პირველი მსოფლიო ომთან დაკავშირებული სიძნელები. აღსანიშნავია, რომ 1902-1915 წლებში აჭარაში არსებული ჩაის საერთო ფართობიდან ჩაქვის საუფლისწულო მამულზე მოდიოდა 50-63%, ხოლო მოსავლის 61-80%.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან ყველაზე უფრო შემოსავლიანი სწორედ მეჩაიეობა იყო. მაგალითად, 1914 წელს მეჩაიეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი 240 ათას მანეთს შეადგენდა. ეს მაშინ, როდესაც 500 დესეტინა ფართობიდან სრულმოსავლიანი იყო 276 დესეტინა [KK, 1915:92].

მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი, რომლის ჩაქვის საუფლისწულო მამულში განვითარდა, მეციტრუსეობა იყო. ძირითადად გააშენეს იაპონური მანდარინი უნშოუ, რომლის პირველი ნერგები იაპონიიდან შემოიტანეს 1897 წელს. 1905 წელს ციტრუსოვანთა კულტურები გაშენებული იყო 54 ჰექტარზე. მაგრამ სუსხიანი ზამთრების შედეგად, რომელიც პერიოდულად მეორდებოდა, მათი დიდი ნაწილი დაიღუპა. 1914 წლისათვის ციტრუსოვან კულტურებს 38 დესეტინა ეკავა. მათ შორის მანდარინს – 32, ხოლო ლიმონს – 6 დესეტინა. მართალია, ციტრუსოვანთა კულტურები გვიან იძლევიან მოსავალს, მაგრამ ფულადი შემოსავალი მაინც მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, 1909 წელს ციტრუსოვანი კულტურებიდან მიღებული შემოსავალი 84 436 რუბლს შეადგენდა [თურმანიძე, 2004:121].

ჩაქვის საუფლისწულო მამულში ბამბუკის გაშენება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. პირველი ნერგები იაპონიიდან შემოიტანეს. 1901 წელს ბამბუკის კულტურას 2 დესეტინა ეკავა. ახალი პლანტაციების გაშენების შედეგად მისი ფართობი 1916 წელს 32,5 დესეტინამდე გაიზარდა, რაც აჭარაში არსებული ბამბუკის საერთო ფართობის ერთ მესამედს აჭარბებდა. ბამბუკის ღეროებს ადგილზე – მამულის სპეციალურ სახელოსნოში ამუშავებდნენ. ღერების ნაწილი სხვადასხვა უწყებებში იგზავნებოდა. მართალია, შემოსავალი დიდი არ ყოფილა მაგალითად, 1917 წელს აღნიშნული მახასიათებელი 21010 მანეთს უდრიდა. მაგრამ მეურნეობაში პერსპექტიულ დარგად ითვლებოდა. მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ სანერგედან, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის წინ 10 დესეტინა ეკავა და 6 კაცი მუშაობდა. შემოსავალი კი, 1914 წლის ცნობით, 5000 მანეთს შეადგენდა [თურმანიძე, 2004:114, 122-123].

ჩაქვის საუფლისწულო მამული მსოფლიოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობა იყო. ამას მოწმობს არა მარტო მეურნეობის ფართობი და მოსავალი, არამედ სტრუქტურული დანაყოფები (ჩაის ფაბრიკა, ბამბუკის სახელოსნო, ჰიდროელექტროსადგური, სანერგე მეურნეობა, მუშათა საცხოვრებელი ყაზარმები, საჭაპანო და საზღვაო ტრანსპორტი) და მომუშავე საერთო პერსონალის რაოდენობაც. მაგალითად, 1904 წელს ადმინისტრაციული აპარატი, სპეციალისტები და სხვა პერსონალი 83 ადამიანს ითვლიდა. 1917 წლისათვის მათი რაოდენობა 127-მდე გაიზარდა. მთლიანად მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 1600 კაცს აღემატებოდა. მეურნეობაში მაღალი კლასის აგრონომები, მექანიკოსები, მეზღვეები და სხვა

სპეციალისტები მუშაობდნენ. ჩაქვის საუფლისწულო მამულში არსებობდა სამედიცინო პუნქტი, სადაც ექიმი, ექთანი და სხვა პერსონალი მუშაობდა [თურმანიძე, 2004:115-117].

ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფულადი შემოსავალი, მოგება და წმინდა მოგება, წარმოების ზრდის შედეგად, ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1903 წელს მეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი 39,7 ათას რუბლს შეადგენდა, 1904 წელს – 61,9 ათას, ხოლო 1916 წელს 436,6 ათას რუბლამდე, თითქმის 11-ჯერ გაიზარდა. საკმაოდ მაღალი იყო მოგება და წმინდა მოგება. 1915 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოგება 248,7 ათას რუბლს უდრიდა, ხოლო წმინდა მოგება (1914 წელს) – 112,9 ათას რუბლამდე აღწევდა. საერთო შემოსავლიდან 1914-1915 წლებში ჩაის კულტურაზე მოდიოდა 89-97,4% [სპცსსა, ფ. 22, ან. 1, ს. 377, ფურც. 15; ს. 379, ფურც. 9].

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად დაემხო რომანოვების ხელისუფლება და საუფლისწულო მამულები მთლიანად რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ასეთივე ბედი ეწვია ჩაქვის საუფლისწულო მამულსაც. 1918-1920 წლებში, როდესაც აჭარაში თურქი და ინგლისელი ოკუპანტები ბატონობდნენ, რეგიონის მეურნეობის ყველა დარგი მოიშალა. დიდი ზიანი განიცადა ჩაქვის მეურნეობამაც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს პირველი ღონისძიებები განხორციელდა ჩაქვის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, ეკონომიკის ახალი სისტემა ჩამოყალიბდა და ამ სისტემაში მიმდინარეობდა ჩაქვის მეურნეობის განვითარება.

**საშუალო და წვრილი კაპიტალისტური მეურნეობები.** XX საუკუნის 10-იან წლების

ბოლოს აჭარის სოფლად უცხოელი მოახალშენეების ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების 400-ზე მეტი მეურნეობა ითვლებოდა. მათგან თითქმის ნახევარი საშუალო და წვრილი კაპიტალისტური საწარმოები იყო. წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს დაქირავებული ჰყავდათ ერთი თუ ორი მუშა, რომლებსაც ყოველთვიურად უხდიდნენ 15-20 მანეთს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონზე უფრო მეტი მუშახელი ჰყავდათ დაქირავებული. დროებითი მუშახელის დღიური ანაზღაურება 20 კაპიკიდან 80 კაპიკამდე მერყეობდა. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც წვრილი კაპიტალისტები ამხანაგობებს ქმნიდნენ. ასეთი ამხანაგობა 1914 წელს შეიქმნა სოფელ მახინჯაურში. ამ საამხანაგო გაერთიანებას მართავდა გამგეობა, სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული ჰყავდა 100-მდე მუშახელი. თითოეულ მუშის დღიური გასამრჯელო 40 კაპიკიდან 80 კაპიკამდე აღწევდა. თვიურად მომუშავეებს კი 20 მანეთს უხდიდნენ.

ბათუმის შემოგარენში მოახალშენეებმა ნ. ბიალუსკიმ, ვ. ტრიანტაფილიდისმა, ნ. საბაევმა, ი. მელიამ და ნ. ვოლკოვმა 1916 წელს ჩამოაყალიბეს სამეწარმეო ამხანაგობა თავიანთ მეურნეობებში საწარმოო სამუშაოების შესრულებისათვის. ამხანაგობის გამგეობა მუშაობდა მეურნეობისათვის საჭირო მუშახელის მოზიდვის, წარმოების მასალებისა და სხვა ნივთების შეძენის, პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფად [სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 112; ბათუმის გაზეთი, 13 აპრილი, 1914; ჟურნ. Pც, 1916, № 2-3, ს. 103-108]. საშუალო კაპიტალისტური საწარმოებიდან აღსანიშნავია სინიციის, დიადიუმას, ბიხოვცევის, სტოიანოვის, სიბირიაკოვის, საბაევის, ტატარინოვის, სობეცკის, პასეკის, ზვერევის, ლაო ჯონ-ჯაუს, ო ლაზარეი ბინიათოლს, იოანე პანცერის და სხვათა მეურნეობები.

**სინიციის მეურნეობა.** მარიამ და ივანე სინიციელები ეროვნებით რუსები, წარმომავლობით მემამულეები, საცხოვრებლად აჭარაში დასახლდნენ და საშუალო სიდიდის კაპიტალისტური მეურნეობა შექმნეს. მათ ბათუმის შემოგარენში – სოფელ ყარადერეში (განთიადი) იყიდეს 19,4 დესეტინა მიწა და ჩაის კულტურის გაშენება დაიწყეს, მეურნეობას მარიამ სინიციე უძღვებოდა, ხოლო მისი მეუღლე – ივანე, სპეციალობით ინჟინერი, მეჩაიეობის ისტორიაზე მუშაობდა.

სინიციელების მეურნეობის მშენებლობა 15 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მეურნეობაში წარმოების ძირითადი დარგი ჩაის კულტურა იყო, რომლის გაშენება 1898 წელს დაიწყო. ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი 1902 წელს მოიწიეს. 1904 წელს ჩაის კულტურის ფართობი 6 დესეტინას, ხოლო 1912 წლისათვის 9 დესეტინამდე გაიზარდა, თუ 1905 წელს მოიწიეს 9800 გირვანქა ჩაის ფოთლი, 1916 წლისათვის მოსავალი 26000 გირვანქამდე, 2,5-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1905 წელს ჩაის ფაბრიკა ააშენეს, მანქანა-დანადგარები ინგლისიდან შემოიტანეს. სინიციეებს ბათუმში ჰქონდათ ჩაის გადამწონი საწარმო, საწყობი და სავაჭრო წერტები.

ცხადია, ჩაის ფოთლის ზრდასთან ერთად მისი ნაწარმის გამოშვებაც იზრდებოდა. მაგალითად, თუ 1905 წელს ფაბრიკამ 2200 გირვანქა ჩაის მზა ნაწარმი გამოუშვა, 1915 წლისათვის 8664 გირვანქამდე, ე.ი. თითქმის 4-ჯერ გაიზარდა. სინიციეები ჩაის პროდუქციას ასაღებდნენ როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. ფულადი შემოსავალიც მნიშვნელოვანი ჰქონდათ. 1912 წელს სინიციეების მეურნეობის ფულადი შემოსავალი 10 ათას რუბლს აჭარბებდა. მეურნეობის მასშტაბზე მეტყველებს მუშახელის რაოდენობაც. 1909 წლისათვის სინიციის ჩაის პლანტაციაში 20-დან 30-მდე დღიურად დაქირავებული

მუშა მუშაობდა. ძირითადად მოზარდები, რომელთა დღიური გასამრჯელო 30-40 კაპიკს შეადგენდა. 1925 წელს მ. სინიცინის მეურნეობის ნაციონალიზაცია განხორციელდა. იგი სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა [თურმანიძე, 2004:147-149].

**დიადიუმას მეურნეობა.** იური ივანეს ძე დიადიუმა, განათლებით აგრონომი, ჩაქვის საუფლისწულო მამულის სანერგეს გამგედ მუშაობდა. მან XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მიწები შეიძინა ფერიასა და სოუქსუზე (ბათუმის შემოგარენი) და კაპიტალისტური ტიპის მეურნეობა მოაწყო. მეურნეობაში გააშენა ჩაის კულტურა, ციტრუსები, კეთილშობილური დაფნა, ყვავილები, ხეხილი და სხვა კულტურები. მაგრამ მეურნეობის ძირითადი დარგი ჩაის კულტურა იყო, რომლის ფართობი 1909 წელს 7 დესეტინას შეადგენდა. ჩაის ფოთლის მოსავალი 1905-1916 წლებში 166 გირვანქიდან 10 ათას გირვანქამდე გაიზარდა. 1909 წელს კუსტარული ჩაის ფაბრიკა ააშენა, სადაც საკუთარი ჩაის ფოთლის გადამამუშავებასთან ერთად, გარეშე პირების ნედლეულსაც ამუშავებდა. 1908 წელს 6000-მდე ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი მიიღო. მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა ციტრუსოვანთა და ბამბუკის მცენარეთა ნერგების, ყვავილების ვაჭრობით.

იური დიადიუმას სანიმუშო კაპიტალისტური ტიპის მეურნეობა ჰქონდა. ამას ისიც მოწმობს, რომ 1913 წელს კავკასიის შავიზღვისპირეთის პეტერბურგის გამოფენაზე დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს [Пвчпк, 1914:170].

**ბიხოვცევის მეურნეობა.** ვასილ სტეფანეს ძე ბიხოვცევი, ეროვნებით რუსი, ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველის თანაშემწედ მუშაობდა. მან მნიშვნელოვანი კაპიტალი დააგროვა და იგი დააბანდა აჭარაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების

მეურნეობის მოსაწყობად. ვ. ბიხოვცევა XIX საუკუნის ბოლო 18,5 დესეტინა ნაყოფიერო მიწა შეიძინა მახინჯაურში, სადაც გააშენა ჩაის კულტურა, ციტრუსები, ყვავილები და სხვა მცენარეები. მეურნეობის მშენებლობა 1900-1905 წლებში მიმდინარეობდა. მეურნეობის ძირითადი დარგი მეჩაიეობა იყო, რომლის ფართობი 10 დესეტინას შეადგენდა. ჩაის ფოთლის მოსავალი 1905-1913 წლებში 5-ჯერ და მეტად გაიზარდა (2680-დან 13831 გირვანქამდე).

ვასილ ბიხოვცევი ჩაის ფოთლს ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფაბრიკაში ამუშავებდა, რისთვისაც გირვანქაში 13 კაპიკს იხდიდა. ვასილ ბიხოვცევის მეურნეობაში სეზონურად 20-დან 50 მუშა მუშაობდა. მუშების ანაზღაურება მიახლოებით სხვა მოახალშენეთა მამულებში დასაქმებულ მუშათა ანაზღაურების ანალოგიური იყო. ვასილ ბიხოვცევის მეურნეობა საგრძნობლად ლაზიანდა 1918-1920 წლებში, როდესაც ჩაის ფოთლის მოსავალი 5-ჯერ და მეტად შემცირდა. აჭარის გასაბჭოების შემდეგ ვ. ბიხოვცევის და სხვა მეურნეობათა ბაზაზე მახინჯაურის სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობა შეიქმნა.

**სტოიანოვის მეურნეობა.** აჭარაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სანიმუშო მეურნეობა მოაწყო ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვმა. იგი, ეროვნებით რუსი, პროფესიით პედაგოგი, ადრე ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად მუშაობდა. შემდეგ გადმოიყვანეს ბათუმის გიმნაზიის დირექტორად. ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად მუშაობის დროს დაინტერესდა აჭარაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გავრცელებით. 1881 წლიდან სისტემატურად ჩამოდიოდა ბათუმის მხარეში, გულმოდგინედ ეცნობოდა მოახალშენეების სოლოცოვის, დალფონის და სხვათა სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას.

ამის შემდეგ გადაწყვიტა აჭარაში შეეძინა მიწები და შეექმნა მეურნეობა.

ა. სტოიანოვმა პირველი მიწის ნაკვეთი იყიდა ჩაქვში 1884 წელს 8 დესეტინის ოდენობით და დაიწყო მეურნეობის მშენებლობა. მომდევნო წლებში ახალი ნაკვეთები იყიდა და საერთო ფართობი 20 დესეტინას უდრიდა. მეურნეობის მშენებლობისათვის 1899 წლისათვის დახარჯული ჰქონდა 23 ათასი რუბლი. მეურნეობას უძღვებოდა სპეციალურად დაქირავებული მეზადე, რომელსაც რამდენიმე თანაშემწე ჰყავდა. მეურნეობაში თავდაპირველად თურქები მუშაობდნენ, შემდგომში ძირითად სამუშაოებს ქართველები ასრულებდნენ, რომლებიც გურიიდან და სამეგრელოდან იყვნენ ჩამოსულები. თავდაპირველად სიმინდის კულტურა გააშენა, შემდგომში ვაზის გაშენება დაიწყო, მაგრამ აჭარის ზღვისპირეთში აღნიშნული კულტურები მომგებიანი არ აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ შეუდგა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენებას.

ა. სტოიანოვის მეურნეობა მრავალდარგოვანი იყო. ჩაის კულტურასთან ერთად მეურნეობაში გააშენა ციტრუსები, ყვავილები, პალმის ხე, ხეხილი და სხვა მცენარეები. მეურნეობაში ააშენეს საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო დანიშნულების შენობები. ა. სტოიანოვის მეურნეობაში ჩაის კულტურას 3 დესეტინა ეკავა, რომელზედაც 1905-1913 წლებში 6659-დან 7950 გირვანქა ჩაის ფოთოლს კრეფდნენ. ნედლეულის გადამუშავება ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მიმდინარეობდა. მზა პროდუქციას საქართველოში ასაღებდა და მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა. სოლიდურ შემოსავალს იღებდა ციტრუსების, ყვავილების ვაჭრობით, სანერგე მეურნეობიდან და სხვა.

**სობეცკის მეურნეობა.** სობეცკიმ კაპიტალისტური ტიპის მეურნეობა მოაწყო 900-იანი წლების დამდეგს ბათუმის შემოგარენის სოუქსუსა და ფერიის სოფლებში.

მეურნეობას 10 დესეტინა ეკავა და საშუალო სიდიდის საწარმოდ ითვლებოდა. სობეცკის მეურნეობაში გაშენებული იყო ჩაი, ციტრუსები, ყვავილები, ბამბუკი, მოეწყო სანერგე მეურნეობა. ჩაის კულტურა 1903-1906 წელს გააშენა 5 დესეტინაზე. ჩაის ფოთოლს ამუშავებდა დიადუმას ფაბრიკაში და გასაყიდად პეტერბურგში, თბილისში, ბათუმსა და პოლტავის გუბერნიაში (უკრაინაში) გაჰქონდა. გირვანქა ჩაის ნაწარმს ერთმანეთსა და 40 კაპიკად ასაღებდა. დესეტინა ჩაის პლანტაციიდან 400 რუბლი წმინდა შემოსავალს იღებდა.

გაცილებით მეტ შემოსავალს იღებდა ციტრუსების, ყვავილების, ბამბუკის შოლტების რეალიზაციისა და სანერგე მეურნეობიდან. მაგალითად, 1909 წელს ციტრუსებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი 8189 რუბლს შეადგენდა. გასაბჭოების შემდეგ სობეცკის მეურნეობის ბაზაზე, სხვა მამულებთან ერთად, ახალშენის სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობა შეიქმნა [BCX, №7, 1909:216].

**საბაევის მეურნეობა.** ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევი (საბაშვილი) ქართველი კომერსანტი იყო, რომელსაც ბათუმში სავაჭრო ფირმა ჰქონდა. 900-იანი წლების დასაწყისში ბათუმის შემოგარენის სოფელ სალიბაურში 6 დესეტინა მიწა იყიდა, სადაც გააშენა ჩაის მცენარე, ციტრუსოვანთა კულტურები, ბამბუკი, ყვავილები, ხეხილი და სხვა. ჩაის კულტურას 4 დესეტინა ეკავა და საშუალოდ კრეფდნენ 4000 გირვანქამდე ჩაის ფოთოლს, რომელსაც კუსტარულად ამუშავებდნენ. პროდუქციას ბათუმში ასაღებდა და 1912 წელს საშუალო ფულადი შემოსავალი 3000 რუბლს უდრიდა. საბაევის მეურნეობაში დაქირავებული მუშების საშუალო წლიური რაოდენობა 5 ადამიანს შეადგენდა [КСХКПВЧПК, 1913:65-66].

**ზვერევის მეურნეობა.** ი.ვ. ზვერევა, სოციალური წარმომავლობით გლეხი,

ეროვნებით რუსი, სოფელ სალიბაურში 8 დესეტინა მიწა იყიდა და ჩაის კულტურა და სუბტროპიკული კულტურები გააშენა. ჩაის პირველი პლანტაცია 1899 წელს გააშენა, რომელსაც 3 დესეტინა ეკავა. ცხადია, მოსავალი ცვალებადი იყო. 1913 წელს 13000 გირვანქა ჩაის ფოთოლი მოიწია. ი. ზვერევმა სალიბაურში 1915 წელს ააგო ჩაის გადამამუშავებელი საამქრო, ჩაის გადასაწონი საწარმო და ბათუმში გახსნა მაღაზია. ჩაის ნაწარმს ძირითადად ბათუმში ასაღებდა. ზვერევის ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 10 ათას რუბლამდე აღწევდა [თურმანიძე, 2004:154-155].

საშუალო სიდიდის კაპიტალისტურ საწარმოდ ითვლებოდა ლაო ჯონ-ჯაუს, იონე პანცერის ლაზარეი ბინიათოლლის მეურნეობები. ლაო ჯონ-ჯაუ ეროვნებით ჩინელი იყო, რომელიც კ. პოპოვმა ჩინეთიდან ჩამოიყვანა თავისი მეურნეობის

მოსაწყობად. შემდგომში ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა. ლაო ჯან-ჯაუმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჭარაში ჩაის კულტურის განვითარებაში. მან მნიშვნელოვანი კაპიტალი დააგროვა, 25 დესეტინა მიწა შეიძინა სალიბაურში და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა მოაწყო. იოანე პანცერი, ეროვნებით გერმანელი იყო და აჭარაში შეუდგა სამეურნეოსამეწარმეო საქმიანობას. მისი მეურნეობა 12

დესეტინას შეადგენდა და სამაგალითოდ იყო მოწყობილი. ლაზარეი ბინიათოლლი, ეროვნებით ბერძენი, ბათუმში თამბაქოს ფაბრიკის მფლობელი იყო. მან ბათუმის შემოგარენის სოფელ კაპრეშუმში ზაბით და ახმედ ბაკურიძეებიდან იყიდა 10 დესეტინა მიწა და ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ხეხილის მეურნეობა მოაწყო [თურმანიძე, 2009:188].

ამრიგად, სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. ამის შედეგად დაჭაობებული ადგილები კულტურულ ნაკვეთებად იქცა, რის შედეგად საგრძნობლად შემცირდა ადამიანების მალარიით დაავადებანი. რაც მთავარია, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები, გაფართოვდა კავშირურთიერთობანი რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებთან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ველური კაპიტალიზმი, რომელიც შეუბრალებლად ეწეოდა დაქირავებული მუშების ექსპლუატაციას. ამასთან, აჭარაში უცხოელების მიერ მიწების შექმნა ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა, რამდენადაც ქართველობას ხელიდან გამოაცალეს არსებობის ძირითადი წყარო – ადგილ-მამული. ცხადია, დადებით ღონისძიებად ჩაითვლება გასაბჭოების შემდეგ უცხოელი მოახალშენეების მეურნეობების ნაციონალიზაცია, რის შედეგად ქართველ ხალხს დაუბრუნდა მათ მიერ მიტაცებული მიწები.

*ИСТОРИЯ***КАПИТАЛИСТИЧЕСКИЕ ПРЕДПРИЯТИЯ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ АДЖАРИИ****ОТАР ТУРМАНИДЗЕ**

*Старший научный сотрудник Института Нико Бердзенишвили БГУ*

Во время турецкого господства в Аджарии в основном существовало натуральное хозяйство. Капиталистическое хозяйство начинает развиваться в 80-ых годах XIX века, когда Аджария входила в состав Российской империи. В Аджарии в развитии капиталистического хозяйства были заинтересованы и иностранные предприниматели, которые внесли значительный вклад в развитие технических и субтропических культур.

В статье рассмотрена история развития технических и субтропических культур. Изучены хозяйства Соловцева, Попова, Чаквинского удельного имения, Стоянова, Синицина, Собецкого и других. Отмечено, что во внедрение и развитие чая и других субтропическим культур значительны вклад внесли Александр Соловцев, Константин Попов, руководство удельного имение и другие предприниматели.

Первые успехи капиталистического хозяйства, заинтересовали и других предпринимателей. В начале первого мирового войны в Аджарии существовало более 200 капиталистических хозяйства. Предприниматели с каждым годом получали все большие доходы. В статье рассмотрена меры Советской власти в отношении частной собственности, в основном, к капиталистическим хозяйством. Они были конфискованы и объявлены государственным собственностью.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა**

1. სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი (ფ.) 229, ანაწერი (ან.) 1, საქმე. (ს) 48; ან. 2, ს. 1388
2. სცსსა, ფ. 12, ან.1, ს. 1636
3. სცსსა, ფ. 243, ან. 1, ს. 230
4. სცსსა, ფ. 370. ან. 1, ს. 926.
5. აცსა – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. რ-4, ან. 1, ს. 301
6. სპცსსა – სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 22, ან. 1, საქმეები (სს.) 377, 379; ან. 2, ს. 1810
7. სპცსსა, ფ. 515, ან. 45, ს. 658; ან. 91, სს. 59, 164.
8. სპცსსა, ფ. 398, ან. 66, ს. 20689
9. სპცსსა, ფ. 1571, ან. 1, ს. 89
10. ჟურნალი კვალი, 1897, N7
11. ბათუმის გაზეთი, 13 აპრილი, 1914.
12. თურმანიძე – ოთარ თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.). ბათუმი, 2004
13. თურმანიძე – ოთარ თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1978-1928 წწ.). ბათუმი, 2009
14. ბენდიანიშვილი - ა. ბენდიანიშვილი, სოციალისტური რევოლუციის წანამდევრები საქართველოში. თბილისი, 1971.



15. Соловцев, оучпч, СИКОСЕС – опыты устройства чайной плантации Чакве, сборник императорского кавказского общества сельского хозяйства, 1894
16. Соловцев, КЧЧ, КСХ –культуре чая Чакве, Журн. Кавказского сельского хозяйства, 1894, №31
17. КК – Кавказский календарь, 1915, 1916
18. Клинген И.Н, Краткое описание удельного Кавказского подтропического хозяйства связи удельной экспедиции на дальний востоке, С. Петербург, 1900
19. ПвчпК – Первая выставка черноморского побережья Кавказа в С. Петербурге под названием «Русская ривьера», С. Петербург, 1914
20. Ксхкпвчпрр – Каталог сельско-хозяйственной и культурно-промышленной выставки черноморского побережья Кавказа «Русская ривьера», С. Петербург, 1913
21. Бсх – Батумский сельский хозяин, 1909, №7
22. Рс – Русские субтропики, 1916, № 2-3.

## ისტორია

### ქართული პრობლემატიკა ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში

#### უჩა ოძროვირიძე

*ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი*

**აბსტრაქტი** - ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილ ემიგრანტთა მიერ გამოცემულ სტატიებსა და წიგნებში ქართული სახელმწიფოებრიობისა და მის პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. იგი ძირითადად ეყრდნობა 1937 წელს პარიზში გამოცემული „ეროვნული გაერთიანების“, ცნობილი ემიგრანტი ეროვნული მოღვაწეების - ვ. ნოზაძის, ი. მანჭავას, ა. ასათიანის (ქართულ ენაზე), ნ. ჟორდანიას, გ. გვაზავას, შ. ოდიშარიას (ფრანგულ ენაზე), გამოცემულ წიგნებსა და პუბლიკაციებს, აგრეთვე პარიზში, ვაშინგტონსა და თბილისში დაბეჭდილ (ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) სხვა ისტორიულ მასალას. აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებულია ზოგიერთი ცნობილი ისტორიული მოვლენის ხედვის ახლებური გააზრება, თვით თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოს ახალი მისიის ჩათვლით.

საკმაო ისტორიული მასალისა და წყაროების მოხმობისა და განხილვის კვალობაზე გამოთქმულია ვარაუდი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საჭესთან მდგარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, კერძოდ, მისი ლიდერის, ნ. ჟორდანიას საეჭვო საქმიანობის შესახებ. ნათქვამია, - ნ. ჟორდანია და მისი ზოგიერთი მომხრე, რუსეთის ე. წ. სოციალ-დემოკრატიასთან კავშირის აღსადგენად, ხომ არ მიიჩნევდა, რომ ამისათვის საჭირო იყო - „მიყვანა მხარისა (ამიერკავკასია იგულისხმება - უ. ო.) იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება“, - როგორც ეს მათ 1917 წლის 11 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებით გადაწყვიტეს.

და ბოლოს, ნაშრომში მითითებულია, რომ „თუკი ჩვენს მიერ წამოყენებული თეზა საბოლოოდ დამტკიცდება, კიდევ ერთი მყარი არგუმენტი გვექნება, თუ რატომ არ უნდა მივუშვათ არაეროვნული ძალები ეროვნული სახელმწიფოებრიობის საჭესთან“.

**საკვანძო სიტყვები:** *ეროვნული გაერთიანება, ხამოკრატია, ქართველი ხალხი, ი. მანჭავა, ევროპეიზმის სუროგატი, ნ. ჟორდანია, ქართული საკითხი, შ. ოდიშარია, გ. გვაზავა, გ კვინიტაძე, კომუნისტური გადატრიალება, ლ. ურუშაძე, ეროვნული საბჭო*

„მართალია, დაყოფა პოლიტიკურ პარტიებად ყველგან არის, მხოლოდ თავისუფალ ერში ხდება თავისუფლად, ერის საკეთილდღეოდ, ჩვენში კი მტრის გავლენით და მის სასარგებლოდ“... - შენიშნავს არ. არჩვაძე 1937 წელს პარიზში გამოცემულ „ეროვნული გაერთიანება“-ის მასალებში - და შემდეგ იქვე განაგრძობს, - „ჩვენმა უფროსმა თაობამ, რომელმაც სიცოცხლე შეაღია ქართულ საქმეს, იბრძოლა გულწრფელად, საქართველოს საკეთილდღეოდ, ვერ მიაღწია მიზანს მხოლოდ იმიტომ, რომ მას

არ შეეძლო ძალების გაერთიანება“...

*[ეროვნული გაერთ... 1937: 13].*

ამ თავისთავად მართებული განსჯის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ამაზე მარტო ლაპარაკი არ კმარა. ამისათვის მომავალი თაობები უნდა აღიზარდოს ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ქრთამზე დამოკიდებული, არ შემდგარ პედაგოგთა კადრები. ჩვენი მთავარი პრობლემა აღზრდის არაჯანსაღ სისტემაშია, სადაც,

სამწუხაროდ, გულ ანთებული მამული-შვილები კი არ ყალიბდებიან, არამედ, ძირითადად, საკუთარ თავსა და კარიერის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ნარცისები, რომლებსაც თავში ძნელად მოუვათ სამშობლოს საკეთილდღეოდ ბრძოლა და თავგანწირვა... და როგორი ყალბიცაა მათი ცხოვრების არსი თუ სულიერი შიგთავსი, ისეთივე ყალბია და ილუზორულ ამბიციებზეა ორიენტირებული მათ მიერ აღზრდილი საზოგადოებაც; ანუ აქ საქმე გვაქვს არა საზოგადოებასთან, არამედ უმთავრესად პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გადაგებულ ხამოკრატიასთან. ამიტომაც, ერის რეალურ განთავისუფლებაზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ მასში ამ თავისუფლების შეგნების აღზრდით და მომავალი თაობის ცხოვრების მოთხოვნილებად ვაქციოთ თავისუფალი ცხოვრების წესისა და იდეალების რეალიზება საკუთარ თავში.

მონა, სულიერი მაზოხისტი, ვერასდროს იქნება თავისუფალი!

იმავე „ეროვნული გაერთიანებ“-ის მასალებში, ცნობილი ქართველი ემიგრანტი ი. მანწკავა ამბობს: „არცერთი ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ ყოფილა არასდროს ბოძებული გარედან ვინმეს მიერ იდეური და სარწმუნოებრივი ერთობის ნიადაგზე. მხოლოდ ინტერესებით, საკუთარი ეროვნული მისწრაფებით და ბრძოლით იპოვებენ მას“ [იქვე: 4].

„მე-19 საუკუნის დამდეგს, - აგრძელებს ი. მანწკავა, - საქართველო დაამარცხა გადაბერებულმა ფეოდალიზმმა, ხოლო მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში კოსმოპოლიტური იდეებით გადამეტებულმა გატაცებამ“... [იქვე].

ქართველი ხალხი, მისი მოწინავე პირები, დროზე რომ შედგომოდნენ იმ სამზადისს, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში წინასწარი პირობაა მის გასამარჯვებლად, ვინ იცის, ჩვენს ხალხს

ბრძოლა 1921 წელს თბილისის კარებთან არ წაეგო“ [იქვე: 6] - ამბობს იგი.

საკითხის ასე დაყენებას, ჩვენ დღეს შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ეს სამზადისი ილიას მეტა-ურობით ქართველ ერში შეუპოვრად მომდინარეობდა, მაგრამ ილიას მოკვლით და საქართველოში კოსმოპოლიტიზმის გამარჯვებით, ეს ბრძოლა 1907 წელს წავაგეთ, სწორედ რუსულ ნიადაგზე ამოზრდილი ანტიქართული ძალისხმევის შედეგად. ამიტომაც, აქ დამნაშავეა ის შავბნელი, რუსული სულისკვეთება, რომელიც მის მიერ ცუდად გადამუშავებული ევროპეიზმის სუროგატით კვებავდა ქართულ გონს. სწორედ ამან წარმოშვა შემდეგში ის გარემოებანი, რომლის შესახებაც იგივე ავტორი აქვე ამბობს: „საბჭოთა კავშირში... სრულიად სხვა მდგომარეობაა. აქ მოკლულია ყოველივე პიროვნული და საზოგადოებრივი შემოქმედება, სოციალური თანასწორობა მმართველი წოდების მდაბალი ინსტიტუტით და ინტერესებითაა შეზღუდული, ხოლო მთელ ამ ოტენტური მმართველობის ფორმაში გაბატონებულია ერთი, რუსი ერი და პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არა რუსი ერების ეროვნული ინტერესების სამსახურშია და მასზეა დაქვემდებარებული“ [იქვე: 9].

დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ „არა რუსი ერების კავშირი რუსეთის წინააღმდეგ უნდა გადაიქცეს იმ მუდმივ ისტორიულ ჯებირად, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გადაწყვეტაში გახდება მყარ ბაზად, რომელიც ხელს შეუკრავს რუსულ იმპერიალიზმს და რუსეთის ერს ჩააგდებს თავის ისტორიულ კალაპოტში“... [იქვე]. რისთვისაც დღესაც მიმდინარეობს მუშაობა და იგი, ჩვენი აზრით, გადამწყვეტ ფაზაშია შესული. ამასთან, ეს სრულიადაც არ არის რუსეთის სამომავლო დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი,

არამედ მიზნად ისახავს, ყველა თვალსაზრისით ეს მსოფლიო მნიშვნელობის რესურსების მქონე ქვეყანა, ჩააყენოს შეუქცევადი სიკეთის სამსახურში და მის არსებობას შესძინოს უკეთილშობილესი მისია, – იყოს მსოფლიოს საუკეთესო მისწრაფებათა კატალიზატორი და ნამდვილი მეგობარი.

ი. მანწკავა იქვე განაგრძობს: „ქართველი ხალხის... იდეალია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა. ამაში მას ახდილად არავინ ედავება, გარდა რუსეთისა და ჯულაშვილის ყურ-მოჭრილი მონებისა, რომელთა ინტერესების, ფანატიზმისა და პირადი ამბიციების მსხვერპლი გახდა ჩვენი ერი“ [იქვე].

აქ, როგორც ვხედავთ, არაფრის შეცვლა არ არის საჭირო, გარდა იმისა, რომ ჯულაშვილი პუტინით ჩავანაცვლოთ. და ყველაფერი ეს დაწერილია 1937 წელს... ნუთუ დღევანდელი რუსეთის მესვეურნი დღეს მაინც არ უნდა დაფიქრდნენ, თუ რა მოუტანა ჩვენს ქვეყნებს, 1783 წელს დადებული გიორგიევსკის ტრაქტატის ჩათვლით, რუსეთის მიერ საქართველოსთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ფეხქვეშ გათელვამ? ნუთუ რუსეთში არავის არ აფიქრებს ჩვენი პატარა ქვეყნის მიმართ აუარებელ უსამართლობათა ჩამდენი რომანოვების სამეფო დინასტიის ბედი?! ან კიდევ, თანამედროვე რუსეთის მომავალი?! ნუთუ, ქართველმა ხალხმა ცოტა მსხვერპლი გაიღო იმისთვის, რომ მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ელემენტარული პატივისცემით მოეპყროს ჩვენს კარზე მუდამ შიშველი ხმლით მდგარი მოძალადე?! და ბოლოს, სადამდე უნდა იყოს „სუსტის“ დაჩაგვრა, თავად რუსი ხალხისათვის, რუსეთის სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი გამართლება?!...

მაგრამ, მოდი საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედოთ და ვნახოთ, თუ როგორ ესმოდა

ევროპე-იზმის რუსული სუროგატით დაკვალიანებულ, სამშობლოდან სწორედ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გამეყვებულ, თავად ქართულ ემიგრაციას, კერძოდ, მის ელიტას, საქართველოს თავს დამტყდარი უბედურების გამომწვევი მიზეზები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

თავის 1948 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული საკითხი“ ნოე ჟორდანიას წერს: „საქართველომ გადაწყვიტა გამოსულიყო მუსლიმანური გარემოცვიდან და დადგომოდა დასავლეთის ორიენტაციას, რომლისკენაც მიმავალი ერთადერთი გზა, მოსაზღვრე რუსეთზე გადიოდა... ამიტომაც საქართველომ პირი იბრუნა რუსეთისაკენ“... [N. Jordania, 1948: 5]. ნ. ჟორდანიას აღნიშნული თეზა, რომ საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იძულებული იყო ორიენტაცია აეღო რუსეთზე, როგორც ერთმორწმუნე სახელმწიფოზე, საკმაოდ ძველი, ყავლ-გასულია და წარმოადგენს საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის მორიგი მონაჩმახის გადამღერებას, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით დაუთმო რუსეთს ყველა თავისი სუვერენული უფლებები და საკუთარი ხელით დაიდგა საუკუნო მონობის უღელი. ამ ხელოვნურად შექმნილი თეზის საწინააღმდეგო აუარებელი უტყუარი ფაქტი და არგუმენტია უკვე გამოქვეყნებული, როგორც ქართულ ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა კვლავ მივყვით ნ. ჟორდანიას მსჯელობას და გავარკვიოთ ნაშრომში განხილულ საკითხთა მისეული ხედვის სიღრმე და ვითარებასთან შესაბამისობა.

„საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არ მიუღია არავითარი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, პირიქით, წლების განმავლობაში იგი იბრძოდა სამხედრო დაჯგუფებებისა და ანტანტის წინააღმდეგ.

მაშინ, როცა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები იღებდნენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისაგან **პოლიტიკურ და ერთგვარ სამხედრო დახმარებას...** სწორედ ამაში მდგომარეობს ფუნდამენტური განსხვავების არსი (ლენინი)“ *[იქვე]* – ლენინის სიტყვებით გვმოდღვრავს ნ. ჟორდანიას.

როგორც ვხედავთ, 1948 წელსაც კი ვითარების შესაფასებლად ნ. ჟორდანიას მოჰყავს ვ. ი. ლენინის მოსაზრებანი და მასზე დაყრდნობით აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება რუსეთში არის ეროვნული ფენომენი, მაშინ როდესაც კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ის წარმოადგენს უცხო მოვლენას, შემოტანილს რუსეთიდან შეიარაღებული ძალადობით“... ნ. ჟორდანიას აქვე ამბობს: „ლენინი აგრძელებს – კავკასიის რესპუბლიკები უფრო აგრარულია, ვიდრე რუსეთი. ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი იყო და დღესაც რჩება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან საგრძნობლად მოწყვეტილი. კავკასიას კი უფრო სწრაფად და ადვილად შეუძლია აღადგინოს კეთილმეზობლური ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები კაპიტალისტურ ქვეყნებთან... უფრო მეტი ლიბერალიზმი, მეტი წინდახედულება და მეტი დათმობა წვრილ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, გლეხებს...“ – ისევ ლენინის აზრებს აფეტიშებს ნ. ჟორდანიას და შემდეგ გულმოკლული დასძენს: „კომუნისტმა მმართველებმა (კავკასიის რესპუბლიკებში და, კერძოდ საქართველოში – უ. ო.) არ შეასრულეს არცერთი ამ რჩევათაგანი (აი, თურმე რის იმედად ყოფილა, ბატონი საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე – უ. ო.) და ქვეყანა გადააქციეს სოციალურად და პოლიტიკურად რუსეთის პროვინციად“... *[იქვე: 9]*. ჩვენ აქ, თავს უფლებას მივცემთ, ვიკითხოთ: კი მაგრამ რა, – რომ შეესრულებინათ ლენინის ეს რჩევები ბოლშევიკებს, საქართველო რუსეთისაგან

დაპყრობილი აღარ იქნებოდა და ეს რაიმეს შეცვლიდა მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობაში?! ან კიდევ, 1948 წელსაც რომ ლენინისა და მისი რჩევების იმედად არის ნ. ჟორდანიას, რას ნიშნავს ეს?! ნუთუ ამ ხნის განმავლობაში (1921-დან 1948 წლამდე) მან ვერ მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობაში რუსეთისა და ლენინის როლის სათანადოდ გააზრება?! ამ თვალსაზრისით რომ ნ. ჟორდანიას ქმედბანი და აზრები ბევრ კითხვას ბადებს; ამას ჩვენ ნაშრომში კიდევ დავუბრუნდებით.

ნ. ჟორდანიას ამავე ნაშრომში მოყავს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ჩიჩე-რინის 1920 წლის 3 დეკემბრის პასუხი ლორდ კერზონის კითხვაზე ბათუმის შესახებ, სადაც იგი ამბობს: „რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ ეს არ გააკეთა. მთელი რუსეთის პოლიტიკა ემყარება პატარა ერების თვითგამორკვევის დაცვას და საქართველოსთვის არა-ვითარი მოთხოვნა არ წაგვიყენებია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ ყოფილიყო დაკავებული მტრული ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ განუხორციელებია და არც განახორციელებს მტრულ აქციას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის დაკავებით თუ სხვაგვარად“... *[იქვე: 11]*.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკების მიერ წინ წამოწეული პატარა ერების თვითგამორკვევის დაცვის ფარისევლური პოლიტიკა, გულზე ლახვრად ესობოდათ, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო რანგის დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და პირველ რიგში, სწორედ მსოფლიო ომში სულ ახლახან გამარჯვებულ ანტანტის ქვეყნებს, რადგანაც ამ პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მათი მტაცებლური მანა საკმაოდ უნდა შეზღუდულიყო. ამიტომაც, ბოლშევიკური რუსეთის ეს ფარისევლური, მათ წინააღმდეგ მიმართული, მზაკვრული

მანვერი რამენაირად უნდა გაენეიტრალებინათ და საბჭოთა რუსეთის ნამდვილი, ვერაგული ჩანაფიქრი და სახე წარმოეჩინათ. ამისთვის კი, მის მტაცებლურ ინსტიქტებს, როგორც ჩანს, მიზანმიმართულად აღვივებდნენ და ცდილობდნენ მათსავე მოედანზე, მათივე წესებით სათამაშოდ შეეტყუებინათ, რაშიც, მათაც კარგად იცოდნენ, ბოლშევიკებს დიდ წახალისება არც სჭირდებოდათ. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, ე. წ. დასავლეთი თუ ევროპა, ძალიან ადვილად იტყუებს თავს. მითუმეტეს, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი საბჭოთა რუსეთს უკვე დაპყრობილი აქვს და მისი აგრესიული პოლიტიკა რეგიონში არავითარ ეჭვს არ იწვევს. სწორედ ამ მომენტში, საბჭოთა რუსეთი თავზე ადგას „ჩაცუცქულ ევროპას“ და „საქმეს ურჩევს“, თან მაკონტროლებელ ზონდირებას უკეთებს აღნიშნულ საკითხში ... და საბოლოოდ დარწმუნდა რა, თუ რასთან და ვისთან ჰქონდა საქმე, ორი კვირის შემდეგ თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო იგი... ამ დროს ევროპის სახელმწიფოთა მწყობრი დუმილი გვაფიქრებინებს, ყველაფერი ეს უნდა ყოფილიყო საერთო ევროპული საიდუმლო გარიგების შედეგი და ლორდ კერზონის შეკითხვა შეიძლება იმაზე მინიშნებასაც შეიცავდა – რატომ აგვიანებთ მოქმედებას?! მითუმეტეს, არსად არ ჩანს, რომ ლორდ კერზონის ამ „ენერგიულ შეკითხვაზე“, რუსეთის ენერგიული პასუხის შემდეგ, მის მიერ ჩადენილ აგრესიას „დიდი სახელმწიფოები“ აქტიურად დაპირისპირებოდნენ და თუნდაც ამ აგრესიის დროს საქართველოს, ელემენტარულად, გამოსარჩლებოდნენ.

ამასთან რუსეთმა მიიღო თურქეთის სამხედრო დახმარება“ – აცხადებს ნ. ჟორდანიას [იქვე: 18], – და შეგნებულად ტყუის, რადგანაც დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქები, საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების იმედით, თვითონ

მოიწვია; მათ კი უღალატეს და საკუთარი მიზნების განხორციელებას მიყვეს ხელი. ამასთან, საკმაო კითხვებს წარმოშობს აღნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული შემდეგი მოსაზრებანიც: „მან (საბჭოთა კავშირმა – უ. ო.) ხელი მოაწერა რეზოლუციას, რომელსაც კენჭი ეყარა იალტის კონფერენციაზე: „ყოველი ერის უფლებაა აირჩიოს მმართველობის ის ფორმა, რომელშიც სურთ ცხოვრება“. ავტორი აქვე აკეთებს მეტად „გულუბრყვილო“ დასკვნას, რომ „ამგვარად, მოკავშირე ქვეყნებმა სავსებით უარყვეს ძველი იმპერიალისტური იდეოლოგია – მცირე ერების დაპყრობა დიდი ქვეყნების მიერ და იგი შესცვალეს ახალი დოქტრინით: ერთა თავისუფლება, მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება და ერთიან ხალხთა ოჯახის დაარსება“, – და ფიქრობს, რომ ამით გადაწყდა საქართველოს ბედიც – „სამართლიანობა ყველა დიდი და მცირე ერებისათვის“ [იქვე].

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნ. ჟორდანიას, ან მართლაც ასეთი გულუბრყვილო იყო, ან დიდი ფარისეველ-თვალთმაქცი, რომელიც, ბევრ სხვასავით, საბჭოთა კავშირისა და სტალინის ხიბლში იყო ჩავარდნილი და ასეთი განცხადებებით მათ საქმეს ემსახურებოდა. აღნიშნული განცხადებით იგი, ფაქტობრივად გამორიცხავს სხვათა ჩარევის შანსსაც კი საბჭოთა კავშირ-საქართველოს ურთიერთობაში. მითუმეტეს, ნ. ჟორდანიას ეს მოსაზრებები გამოთქმულია მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ 1933 წლის 27 იანვრის „სამახსოვრო“-ში [Aide-Memoire, 1933], გაკრიტიკებულია რა რუსეთის, ევროპული სახელმწიფოებისა თუ ერთა ლიგის დამოკიდებულება საქართველოსადმი, აქვე მოყვანილია კანადის დელეგატის მაკდონალდის შეფასება რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო: „თითქმის

უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში, – რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ სცნო საქართველო, დაიპყრო იგი ხელშეკრულების დარღვევით“ (1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება იგულისხმება – უ. ო.). იქვე მითითებულია, რომ „თუ ამას დავუმატებთ სსრ კავშირის კონსტიტუციის იმ პარაგრაფს, რომელშიც იგი ყველა ხალხს უტოვებს გამოყოფის უფლებას, როდესაც ეს მოესურვება, ადვილად მისახვედრია, როგორ დასცინის საბჭოები ყველა იმ პრინციპებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ცივილიზებული სამყარო“... [იქვე: 7].

ძალზე სამწუხაროა, რომ ამ დაცინვას ვერ გრძნობს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ის წარმომადგენელი, რომელსაც მისი ღირსების დაცვა ყველაზე მეტად ევალებოდა. რაშია საქმე?

ვცადოთ, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განვითარებულ მოვლენათა არსს ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

გიორგი გვაზავას 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ქართული საკითხი და საერთაშორისო მდგომარეობა“, ვკითხულობთ: „საქართველოს პირველი გამოფხიზლება იყო საჩივრის წარდგენა ერთა ლიგაში, რომელიც იმ ხანად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში. მაგ-რამ ერთა ლიგა აღმოჩნდა მეტად ფრთხილი და გაუბედავი. მისი პოზიცია გახდა საკუთარი პრინციპების სისტემატიური უგულვებლყოფა“ [G. Gvazava, 1938: 4-9].

აქვე აღნიშნულია, რომ გარკვეული დროის შემდეგ „რუსეთი თავად წარსდგა ერთა ლიგაში. იგი მიღებული იქნა საზეიმოდ; ეს არის აპოგეა. აგრესორის მიღებით ერთა ლიგა სანქციას აძლევს აგრესიას. ამრიგად, მისი როლი რადიკალურად შეიცვალა. ერთა ლიგა, რომელიც უნდა ყოფილიყო

ხალხთა უფლებებისა და თავისუფლების დამცველი, გადაიქცა რუსეთის მპყრობელობის მცველად. რას ნიშნავს ეს?...“ [იქვე გვ. 4] – სვამს კითხვას ავტორი. და დღეს მაინც უნდა გაეცეს ამ კითხვას ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით გათვალსაზიროებული, უტყუარი პასუხი:

– ერთა ლიგისა თუ დღეს მოქმედი სხვა, მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის ნამდვილი არსი და მიზანია, ხალხთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ყალბი ლოზუნგების ქვეშ, უზრუნველყონ „დასავლურ“ ძალთა გაერთიანება, რუსეთის შიშით აჯაგრული, საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად და ამასთან, ყველაფერ ამას მისცენ ხალხთა უფლებებსა და თავისუფლებებზე ზრუნვის გარეგნული სახე, გაფორმება. ამ სიყალბეს ყველა კარგად ხედავს, მაგრამ ე. წ. ზესახელმწიფოთა ამ ყალბი იმიჯის გამოძიებურებას (გარკვეულ მიზეზთა გამო) ყველა თავს არიდებს; თავადაც ამ სიყალბის ხიბლში ჩათრეულნი ინარჩუნებენ იმის იმედს, რაც ყოველგვარ იმედს საფუძველშივე კლავს – ფარისევლურ თანაარსებობას, რომლის მდგრადობასა და „სიმტკიცეს“ მათი ფარისევლური წესდებებითა და პაქტებით ქმედება-მანიპულირება განსაზღვრავს... და ამგვარად, ყველა თავს იტყუებს საკაცობრიო უსამართლობის წინაშე, რაც სატანური ძალების მსახურებაა და საბოლოოდ, მხოლოდ ახალი მსოფლიო „არმაგედონის“ შემზადებას ემსახურება.

ზემოთ განხილულ ამბავთა შესახებ კი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი შ. ოდიშარია თავის სტატიაში – „საქართველო ევროპისა და მოსკოვის პირისპირ“- მოგვითხრობს: „მან (ქართველმა ერმა – უ. ო.) ძლიერ განიცადა ბოლშევიკური ექსპანსიისადმი ევროპის გულგრილობა. რუსეთში დამკვიდრებული ბარბაროსული რეჟიმი ევროპის სახელმწი-

ფოთა დიპლომატიური წრეების მიერ მიჩნეული იქნა „მხოლოდ რუსი ხალხის შინაურ საქმედ“... მეორე მხრივ, კი კომუნისტური ხელისუფლების მმართველები თავად არასდროს არ თვლიდნენ ბოლშევიზმს, როგორც „მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეს“, პირიქით, მათი უმთავრესი მიზანი იყო და დარჩა... კომუნისტური რევოლუციის გაჩაღება მთელს მსოფლიოში“... ხოლო, გრძნობდა რა, ყოველივე ამას, - „ევროპის მიზანი იყო, რომ მოეხდინა კომუნისტური საფრთხის ლოკალიზაცია და მიზნის მიღწევას შეეცადა ამ საფრთხის წინაშე თვალის დახუჭვით...“

დროებით მოკავშირეები რომ შეეძინათ, კომუნისტებმა ნაცად ხერხს მიმართეს, - აღნიშნავს შ. ოდიშარია - მათ შექმნეს „პატრიოტიზმის“ კომუნისტური პაროდია, მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით“ [Sh. Odicharia, 1938: 13-14].

ყველაფერი ეს იმდენად „ეფექტური“ აღმოჩნდა, რომ იგი ევროპას კინაღამ საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა, როცა მის აღმოსავლეთ ნაწილზე კომუნისტური დიქტატურა ძალადობით დამკვიდრდა. მას ჰქონდა პირდაპირი საშუალება, ეხილა რუსული ბოლშევიზმის ნამდვილი, მხეცური სახე. ბატონი შ. ოდიშარია მართებულად აღნიშნავს, რომ „რუსეთის მიერ დამონებული სხვადასხვა სახელმწიფოები დიდი ხანია ამზადებდნენ მოძრაობას, რომლის მიზანი იყო საკუთარი დამოუკიდებლობის აღდგენა... ბოლშევიზმის ბელადები „ხსნას ემებენ პან-რუსულ და პან-რუსისტული პატრიოტიზმის გაღვივებაში, რომელიც ემთხვევა თავად ბოლშევიზმს“ - იქვე განმარტავს ავტორი.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყველა ქართველ პატრიოტს ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული რუსიზმისა და ბოლშევიზმის ერთგვაროვნება და მისი, როგორც რუსული ფენომენის გააზრება

დღევანდელი დღის გადასახედიდანაც, თითქმის იდენტური და უალტერნატივოა. რადგან აქ თავაშვებული ტირანიის ერთი ფორმა საბჭოთა პერიოდიდან, მხოლოდ მეორეთი შეიცვალა და „როზანოვული პატრიოტიზმი“, სტალინურმა ჩანაცვლა თავისი მუჟიკური ხეპრობის („ზა სტალინა, ზა როდინუ“) პრიორიტეტით, რომელიც შეერწყა რუსულ სულში ჯერ კიდევ ფარულად შემორჩენილ ბოიროლ-როზანოვულ „მკერდზე დრაგუნებმა გადამიარეს“ ფსიქოლოგიას. მისი ასეთი სიცოცხლის უნარიანობა რუსეთსა და რუსეთის მიერ პერობილ ხალხებში გამოწვეული იყო მათში, სწორედ, რუსული როზგის სკოლაში აღზრდილი, წმინდა რუსული სულისკვეთებით და მათ გადაშენებას, თითქმის, აღარაფერი აკლდა.

ავტორი იქვე შენიშნავს: „იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ სსრ კავშირის უსაზღვროდ დიდ ტერიტორიაზე, მის შიგნით მიმდინარე ეროვნულ პროცესებში, ჩვენ ვფიქრობთ, მაგალითისათვის კარგი იქნება თუ ავიღებდით საქართველოს საკითხს და კარგად შევისწავლიდით მას, რადგანაც ჩვენ ეჭვი გვეპარება იმაში, რომ უცხოელებს ეს საკითხი ესმით“ [იქვე, გვ. 16].

ამ შემთხვევაში, ჩვენ გამოცდილება გვკარნახობს და აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ „უცხოელებს“ ეს საკითხი შეიძლება სათანადოდაც ესმოდეთ კიდევ, მაგრამ მათ კიდევ უფრო კარგად ესმით საკუთარი პრობლემები და პრაგმატული ინტერესებიც, რომელიც რუსეთის დამოშმინების სტრატეგიაში გამოიხატება. ამიტომაც, ისინი არასდროს გულწრფელნი არ არიან და ვერც იქნებიან საქართველოს (ან, თუნდაც, კავკასიის) ინტერესების დაცვის საქმეში, რადგან მათი ფარული ქვეამოცანაა რუსეთის მიერ ჩვენი „მიზევის“ ხარჯზე თავი გადაირჩინონ მისი „მრისხანებისაგან“ (ანუ, ხშირად ვჭირდებით, როგორც „Malcik dlia



bitie“). და ბევრ შემთხვევაში, ასეც ხდება. დასავლეთის სახელმწიფოები საკუთარი თავის გადარჩენის ინსტიქტის გამო, სწორედ ბოლშევიკურ რუსეთთან აღმოჩნდა ალიანსში მეორე მსოფლიო ომის დროსაც და მას „მიყიდა ის თოკი, რომლითაც კინალამ თავად იქნა ჩამოხრჩობილი“ – ეს, კიდევ ერთხელ, იმის დასტურია, რომ ამ ე. წ. დასავლეთისათვის ყოველთვის პრიორიტეტულია საკუთარი პრაგმატული ინტერესები და იგი არასდროს არ იყო, არ არის და არც იქნება მზად იმისათვის, ჰუმანიზმის იმიდალებს შეეწიროს, რომელსაც თავად ქადაგებს. ამას ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადასტურებს, როგორც „ერთა ლიგის“, ისე „გაეროს“ არსებობისა და მოღვაწეობის ისტორია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ „ბებერ მეძავს“ ზურგი ვაქციოთ, – პირიქით, – მისი ასეთი ზნეობრივი ფიზიონომია ჩვენც სრულ თავისუფლებას გვაძლევს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მჭიდროდ შევუკავშირდეთ მას და ჩვენთვის სასარგებლოდ კარგად გამოვიყენოთ მისთვის დამახასიათებელი „სიკეთის გაცემის“ უშრეტო ენერგია. ამასთან, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ოღონდაც ძალადობით არ გააუპატიურონ და ამისათვის ყველაფერზე მზად არის. ამიტომაც, ვეცადოთ უხემ ძალას მაქსიმალურად შევუზღუდოთ მასზე ძალადობის შანსი (ამას ადრევე მიხვდა აშშ და მას საკუთარი თავის უშიშროების უზრუნველსაყოფად „ნატო“ შეუქმნა). ამას კი მხოლოდ ნატოსთან ალიანსში შევძლებთ. ასეთ შემთხვევაში უნდა ველოდეთ, რომ მისგან მივიღებთ ყველა იმ სარგებელსა და სიკეთეს, რასაც „მდიდარი მატრონასაგან“ ყოველთვის გამოელიან, თვით „სიფილისის“ ჩათვლით. მაგრამ ხომ გვაქვს ამის წინააღმდეგ საიმედო „კონტრაცეპტივებიც“ საკუთარი ტრადიციული ცხოვრების წესის დასაცავად.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ „შეხვედრებს, დებატებს და პრო-ტესტს შედეგი არ მოჰყოლია. არავის სურდა უთანხმოება შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა ქვეყნის გამო საბჭოთა რუსეთთან. 1921 წელს მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავისებულ-გააზრებული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპი და ის კონცეფცია, რომლის თანახმადაც თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და საფრთხის შემთხვევაში იგი ერთად დასაცავია“ – ვკითხულობთ აშშ წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესის საგანგებო კომიტეტის სოციალურ ანგარიშში – კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია [*Communist takeover ... 1955: 25*].

ევროპის თუ მაშინდელი დასავლეთის ზემოთ დაფიქსირებული პოზიცია და მისი გამო-მწვევი მიზეზები არ შეიძლება უცნობი და მიუწვდომელი ყოფილიყო ნ. ჟორდანისათვისაც; ამიტომაც, აქედან გამომდინარე არაფერი დაუჯერებელი არ არის დამოუკიდებელი საქართველოს გენერალ გიორგი კვინიტაძის ამ მოგონებებშიც, რომ „თვითონ ნ. ჟორდანისას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება უბრძოლველად“ [*კვინიტაძე, 1990: 18*] და არც იმაში, რომ „ჟორდანისას სანდო პირადი ინფორმატორი თურმე ყოფილა გენერალი ლებედინსკი (საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა ჯარის ერთ-ერთი სარდალი – უ. ო.), რომელიც ჩანს იყო ურთიერთობაში ბოლშევიკურ მისიასთან, რადგანაც მოაწყო საიდუმლო შეხვედრა თავის ბინაზე ნ. ჟორდანისასი ამ მისიის სამხედრო წარმომადგენელთან, რასაკვირველია, ბოლშევიკების მისიის ნებართვით“ [*იქვე, 19*].

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ცნობილ ქართველი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ურუშაძე თავის

ნაშრომში „ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, ამბობს: „კრებულში – Dokumenti i materiali po vneshnei politiki Zakavkazia i Gruzia“, – რომელიც საქართველოში მენშევიკების მმართველობისას გამოიცა – „ერთ სიტყვაც არ არის ნათქვამი რაიმე ეროვნულზე და ქართულ თვითშეგნებაზე (მხედველობაში მაქვს მასალები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე); სამაგიეროდ აქ უხვადაა მგზნებარე ფრაზები რუსეთზე, რუსულ დემოკრატიაზე, დიად რევოლუციურ მონაპოვარზე... რუსეთის დროებითი მთავრობისა და მენშევიკური ცაკის დაშლამდე (ნაწილობრივ შემდეგაც), ქართველ მენშევიკთა მთელი იმედები „დიადი რუსეთისაკენ იყო მიმართული“ *[ურუშაძე, 1991: გვ.31]*. „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა და სეიმის შექმნაც იძულებით, დროებით მოვლენად მიაჩნდათ ესდეკებს, აქაოდა რუსეთის დემოკრატიული დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ უნდა შეედგინა დროებითი ხელისუფლება, რომლის საფუძველიც იქნებოდა:

ა) წაყვანა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით;

ბ) ავტონომიურად გადაწყვეტა მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა;

გ) მიყვანა მხარისა იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება, ან როცა გაიხსნება საერთო რუსეთის სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრება“ *[იქვე: ამოწერილია 1917 წლის 11 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებიდან; ნოზაძე ვ., ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი, ჟურნ. „ორნატი“, # 3, პარიზი, 1934, გვ. 21]*.

ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანიამ, მენშევიკურ-ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის მსოფლიო მოქალაქეობის თავისებურმა ნაზავმა, ამ სახით ხომ არ განა-ხორციელა ზემოთ მოყვანილი პროგრამა, რადგან ბოლშევიკები რუსეთში მიიჩნია სწორედ ამ, ყველასაგან აღიარებულ რევოლუციურ ხელისუფლებად?! ამასთან, როგორც ლ. ურუშაძე აქვე ამბობს: „ლენინმა და ერის გამყიდველმა ქართველმა ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ მერყევი და ეროვნულ ცნობიერებას მოკლებული ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) სუსტი მხარეები, აკი, ისარგებლეს კიდევ ამით! სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ბოლშევიკთა ესოდენ თავხედობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი“... ქართველი პატრიოტი იქვე განაგრძობს, რომ „ქართველ სოციალ-დემოკრატთა რუსოფილური მიდრეკილება სავსებით გამომჟღავნდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრირებიდან კარგა ხნის შემდეგაც, კერძოდ კი ვისბადენის და შემდეგ მიუნხენის მოლაპარაკებებზე, რომელთაც აწარმოებდნენ რუსული პოლიტიკური დაჯგუფებანი. საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული იქნა მიუნხენში 1953 წლის 16 ოქტომბერს წერილობითი დადგენილების სახით“ *[იქვე, გვ. 37]*.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ლ. ურუშაძე იმავე ნაშრომში მოტანილ მასალებში აღნიშნავს: „ჯერ კიდევ ვისბადენში რუსეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა დაადასტურეს, რომ რუსებსა და ნაცუმცირესობათა მიერ უნდა შექმნილიყო რუსეთის ყოფილი დროებითი საბჭოს (აღნიშნული საბჭო დათხოვნილი იქნა 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ) სტრუქტურების მქონე ორგანო, რომელიც მიიღებდა ემიგრანტული „პრედაპარლამენტის“ სახეს, რა თქმა უნდა, რუსული ძალების აშკარა ჰეგემონიით და წამყვანი როლით. ამ

საბჭოში წარმოდ-გენილი უნდა ყოფილიყო ნაცუმცირესობათა საბჭოები. „ქართული ეროვნული საბჭოს“ სახელით პირველი ამგვარი ორგანო შეიქმნა ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ (რითაც მოახდინეს საქართველოში 1917-1919 წლებში მოქმედი „ეროვნული საბჭოს“ რესტავრაცია). ყველა-სათვის ცხადი იყო, რომ ამგვარ პოლიტიკურ სარბიელზე გადასვლა, ამგვარ აშკარად რუსულ ბლოკში მოღვაწეობა, ნიშნავდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროშის ქვეშ გაერთიანებას და ველიკორუსული განუყოფლობის კვლავ აღიარებას“ *[ასათ-იანი, 1953: 12-13]*.

ეს ტენდენცია საბოლოოდ დადასტურდა მიუნხენის შეთანხმებით, რომელიც აღიარებდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროინდელ მმართველობის სტრუქტურებს და უარყოფდა ყოველგვარი სხვა სახის რესტავრაციას.

ქართველი სოციალ-დემოკრატები „მოწოდების სიმალეზე“ აღმოჩნდნენ. „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ“, სოციალ-დემოკრატთა მეთაურობით, თანხმობა განაცხადა მიუნხენში დაარსებულ „საკოორდინაციო ცენტრის“ შემადგენლობაში შესვლაზე და მისმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საბოლოო დოკუმენტს *[იქვე, გვ. 15-21]*. ამგვარი ქმედება მიუღებელი იყო არა მარტო ქართული ემიგრაციისათვის, არამედ მთელი ქართული ერისთვის“ *[ურუშაძე, იქვე: 39]* რადგანაც „სრული მოულოდნელობა იყო ქართველი სოციალისტების აქტიური მონაწილეობა ისეთ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და მის კონსტიტუციას, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მისი მთავრობის ყოველგვარ ნამოქმედარს; 1917-1922 და 1924 წლების აჯანყებათა წმინდა მიზანსა და დროშას... ასეთი მოქმედება მძიმედ აზიანებს არა მარტო

ქართული ემიგრაციის სახელსა და მორალს, არამედ მთელი ერის ზნეობრივ სახეს“ *[იქვე]*. რასაც ჩვენ აქ სრულიად უნდა დავეთანხმობთ და აღვნიშნოთ, რომ ამ ქმედებით მათ, მართლაც, ხაზი გადაუსვეს ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის 3 წლიან ისტორიას და ამ პერიოდში, მთელ მის შემოქმედებასაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და სხვა უტყუარი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანიას, რომელიც, სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად, უდიდესი მწუხარებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამით რუსეთის სოციალ-დემოკრატთასთან ერთიანობის დარღვევას, - აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო: რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, საქართველოშიც მათი დამკვიდრება, სავარაუდოა, რუსეთის სოციალ-დემოკრატთასთან ერთობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად ჩათვალიდა; ამიტომაც, ყველანაირად ეცადა, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით, ამასთან ისე, რომ მისთვის და მისი მომხრე-ებისათვის აშკარა ღალატის ბრალდება ვერ წაეყენებინათ, გასცლოდა მისგან უკვე ბოლშევიკების ასპარეზად მიჩნეულ რეგიონს. ამით კი, რუსეთის სოციალ-დემოკრატთასთან ფარული ერთობაც საბოლოოდ აღედგინა და ამასთან, ბოლშევიკებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატთასადმი ერთგულების დამამტკიცებელი საპირწონე სამსახურიც გაეწია. ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მან შეგნებულად „მიიყვანა მხარე იმ მომენტამდე, სანამ შეიქმნებოდა ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული

ხელისუფლება“ და ამით ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთგულ ჯარისკაცად.

თუკი, ჩვენს მიერ წამოყენებული აღნიშნული თეზა საბოლოოდ დამტკიცდება, კიდევ ერთი მყარი არგუმენტი გვექნება, თუ რატომ არ უნდა მივუშვათ არაეროვნული ძალები ეროვნული სახელმწიფოებრიობის საჭესთან.

სტატიაში გამოყენებული ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა წერილებისა თუ სხვა ნაშრომების განხილვა, მათი ისტორიული ანალიზი, საშუალებას გვაძლევს ახლებურად გადავიაზროთ საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდი, დავადგინოთ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები თუ წარმმართველი იმპულსები და ყველა ასპექტის გათვალისწინებით შევქმნათ ეპოქის შედარებით უფრო სრულყოფილი სურათი.

## *HISTORY*

### GEORGIAN PROBLEMS IN THE THOUGHTS OF GEORGIAN IMMIGRANTS

UCHA OKROPIRIDZE

*Senior Research Fellow at the Niko Berdzenishvili Institute at BSU*

The paper discusses and analyzes some of the issues related to Georgian statehood and its problems in some articles and books published abroad by immigrants from Georgia. It is mainly based on the "national unity" of prominent immigrant national figures, published in 1937 in Paris. Nozadze, I. Mantskawa, A.I. Asatiani (in Georgian), n. Of Jordania, c. Gvazava, Sh. Odysharia (in French), books and publications, as well as other historical material printed in Paris, Washington and Tbilisi (in French, English, and Russian). The analysis of this materials provides a new understanding of the vision of some of the most famous historical events, including the new mission of the modern Russian state.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ეროვნული... 1937:** – ეროვნული გაერთიანება (მასალები), პარიზი, 1937;
- 1917 წლის...:** – 1917 წლის 11 ნოემბრის, რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილების, ამონაწერი;
- ნოზაძე, 1934:** – ნოზაძე ვ., ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი, ჟურნ. „ორნატი“, # 3, პარიზი, 1934;
- ურუშაძე, 1991:** – ურუშაძე ლ., ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1991;
- ასათიანი, 1953:** ასათიანი ა., ამერიკა და რუსეთი, ჟურნ. „ივერია“, # 5-6, პარიზი, 1953;
- Jordania, 1948:** –N. Jordania, la probleme Georgian, Paris, 1948;
- Gvazava, 1938:** – G. Gvazava, La problem Georgien et la situation internationale, La Georgia #1, Paris, 1938, p. 4-9;

---

**OdiCharia, 1938:** – Ch. OdiCharia., La Georgia en face de l'Europe et de Moscou, La Georgia #1, paris, 1938, p. 13-14;

**Aide- Memoire, 1933:** – Aide- Memoire, Paris, 27 Janvier, 1933;

**Communist... 1955:** – Communist takeover and occupation of Georgia, Special report #6 of the select committee communist agresion house of representatives eighty thind congress second session, United States. Government Printing office, WaShington, 1955, p.25;

**Dokumenti i materiali po... 1919:** – Dokumenti i materiali po vneShei politiki Zakavkazia i Gruzii, Tfilisi, 1919;

## ისტორია

### გრიგოლ რობაქიძე - მითი და სინამდვილე

#### შოთა ჯორიძე

*ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი*

**აბსტრაქტი** - ესეისტურ ნაშრომში წარმოდგენილია ახალი მასალების ანალიზი, რომლებიც ნათელს ჰფენენ გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის გაორებულ ეპიზოდებს, კერძოდ, ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე, ფაშისტური რეჟიმის იდეოლოგი თუ საბჭოთა რეზიდენტი? გრიგოლ რობაქიძეს მეორე მსოფლიო ომის წლებში დასავლეთში აღმერთებდნენ, ხოლო სსრ კავშირში აკრძალული იყო. ახლა კი პირიქით, დასავლეთში აღარავინ ახსენებს, რადგან იგი აღარავის ჭირდება. ჩვენთან კი მოეხსნა ყოველგვარი ცენზურა და განვადიდეთ. ასევე განხილულია სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულება მის მხატვრულ შემოქმედებასთან. უთუოდ საინტერესოა ნაშრომის ავტორის დამოკიდებულება, როცა მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხებზე საუბრობს.

ჩვენ წინაშეა სრულიად ლეგიტიმური კითხვები: ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე, გარდა იმისა, რომ მას ვიცნობთ როგორც პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, ესეისტს, პუბლიცისტს?! არის თუ არა იგი საბჭოთა სისტემის მტერი? არის თუ არა იგი ფაშისტური იდეოლოგიის მგზნებარე პროპაგანდისტი? არის თუ არა იგი სტალინისა და ბერიას პირადი რეზიდენტი გერმანიაში? თუ არცერთი არ არის?! ცხადია, ამ კითხვებზე პასუხი დღეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ყველა შემთხვევაში სრულყოფილი სურათის დადგენას სჭირდება ჩვენს ქვეყანაში ლუსტრაციის კანონის მიღება.

გრიგოლ რობაქიძე არ არის ჩემი საყვარელი მწერალი, მისი გაორებული „იდეებისა“ და იმპერატიულ-ამპარტავნული წერის მანერისა და სტილის გამო. მე აქ ვამხელ საკუთარ თავს. ჩემი ეს პოზიცია კიდევ უფრო მავალდებულებს მეტობიექტურობას მისი მხატვრული შემოქმედების მიმართ. ეს დამოკიდებულება არ უშლის ხელს იმ ადამიანებს, რომლებსაც

უყვართ გრიგოლ რობაქიძე და პატივს მიაგებენ მის შემოქმედებას. საგულისხმოა, რომ ევროპულად განსწავლულმა მწერალმა და ქართულმა ატმოსფერომ ერთმანეთი ვერ იგუეს. შალვა ნუცუბიძე წერდა, გრიგოლ რობაქიძე ვერ შეეღია საკუთარ ამბიციებსა და შეეღია სამშობლოს: „გრ. რობაქიძე ვერ გაექცა უიდეო ცხოვრებას. მან ასეთ გაქცევას სამშობლოდან გაქცევა ამჯობინა, რომელსაც ოდესღაც თავისი ჯავრი გაანდო. ის დაუბრუნდა კერას, რომელზედაც ავანტიურისტები თარეშობდნენ და თავის სამშობლოს განდიდებას, ავანტიურისტების, როგორც იყო ჰიტლერი და მუსოლინი, განდიდება ანაცვალა“ (ნუცუბიძე, 1999; 21).

გრიგოლ რობაქიძე 1908 წელს დაბრუნდა საქართველოში და აქტიური შემოქმედებითი მუშაობა გამალა. „საქართველოში შემოიჭრა დასავლეთ ევროპიდან - ფაქტობრივად გერმანიიდან „ცნობილი ლექტორი“, როგორც ის აცხადება თავის პირველ სალექციო აფიშაში - გრიგოლ კავკასიელი. ეს იტალიური კაზმულობის გვარი ზემო იმერული დიაკვნის შვილი გრიგოლ

რობაქიძე იყო“ (ნუცუბიძე, 1999; 21). მას აღიარებაც არ აკლდა, მაგრამ ეს მის ამბიციებს აღარ აკმაყოფილებდა. ადრეც დამიწერია, რომ რაც კი კარგი და ღირებულა რობაქიძის შემოქმედებაში, საქართველოში, ემიგრაციაში წასვლამდე დაიწერა. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა პიესა „ლამარას“, რომელიც დიდმა სანდრო ახმეტელმა დადგა რუსთაველის თეატრში, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა მოსკოვური გასტროლების დროს. რაც შეეხება მის პოეზიასა და პროზას, მათ გაფეტიშებას ხელი შეუწყო იმ დროს მისმა ემიგრანტობამ, ანუ წლების მანძილზე აკრძალული ხილი იყო, ამიტომაც ყველაზე ტკბილი გვეგონა. ახლა როცა ტაბუ მოეხსნა და ყველაფერი დაიბეჭდა, ვნახეთ, რომ მისი შემოქმედება, პროზა და პოეზია, საშუალო დონის ჩარჩოს ვერ გასცდა. მიმაჩნია, რომ მისი ნიჭიერება, როგორც მწერლისა, პუბლიცისტიკასა და ესეისტიკაში უფრო გამოვლინდა, ვიდრე პროზასა და პოეზიაში. ისიც ნათელია, რომ გრიგოლ რობაქიძე ჩვენს მწერლობაში მოდერნისტულ-ავანგარდისტული მიმართულების წარმომადგენელი გახლდათ. ტიციან ტაბიძის თქმით, „სიმბოლიზმი ჩვენში გრიგოლ რობაქიძემ შემოიტანა“ (ტაბიძე, 2016; 29). ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები ამაზე აპელირებენ და „ლამარას“ ავტორს ცისფერყანწელებთან ერთად, მათი ტრაგიკული ცხოვრების გამო, ხშირად გაზვიადებულად ხატავენ. მაშინ, როცა გრიგოლ რობაქიძის პროზაული ნიმუშები ვერც ლეო ქიაჩელისა და ვერც ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ ოსტატობას წელამდე თუ წვდება. ვერც „ცისფერყანწელების“ დასავლურმა ფორმებმა დიდად ვერაფერი გვახეირეს. აქ კი ყველა და ყველაფერი დაჩრდილა გიორგი ლეონიძისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსების ტრადიციულმა ფორმებმა და ეროვნული ცნობიერების გამომხატველმა თემატიკამ და

მოტივებმა. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს: „საქართველოში ცხოვრების პერიოდში გამოქვეყნებული გრ. რობაქიძის ლექსებს იმდროინდელი ლიტერატურული საზოგადოება, განსაკუთრებით კი „ცისფერყანწელები“, უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ და ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად თვლიდნენ. დღეს გარკვეული დროული დისტანციის შემდეგ, გრ. რობაქიძის პოეტურ ნაწარმოებებს, მიუხედავად მათი ლიტერატურული ღირსებისა, ასეთ მაღალ შეფასებას ვერ მივცემთ. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ლექსები ხშირად მწიგნობრული განწყობილებებითაა დასაზრდოები და უკვე ისტორიის კუთვნილებადქცეული ლიტერატურული პროცესის შესასწავლად და გასაცნობიერებლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავიანთი მხატვრული სრულყოფით“ (ანთოლოგია, 2014; 22). ციტატის ავტორმა 1919 წელს დაწერილი სონეტი „ვასაკა“ ამავე სტატიაში მხატვრულ ანაქრონიზმად კი მიიჩნია.

1931 წელს გრიგოლ რობაქიძე ექვსთვიანი შემოქმედებითი მივლინებითა და მკურნალობის მოტივით გერმანიაში წავიდა, საიდანაც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. მისი უცხოეთში გამგზავრებისა და არა „გაქცევის“, როგორც ადრე ვამბობდით, და იქ დარჩენის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს. ერთი მათგანით, ლავრენტი ბერია მტრობდა და მის დაჭერას აპირებდა. მეორე ვერსიით კი თვითონ ბერიამ გაგზავნა რეზიდენტად. ორივე ვერსიას აქვს არსებობის უფლება. ლავრენტი ბერია ობობას ქსელის დახლართვისა და მახეების დაგების დიდოსტატი იყო. იქნებ საგანგებოდ შექმნა მისი დევნის იმიტაცია, რითაც შემდგომ სარეზიდენტო ქვეყნის სპეცსამსახურებს დაარწმუნებდა რობაქიძის გულწრფელობაში და გაამყარებდა ემიგრაციაში დარჩენის მოტივს. რომელი ვერსიას

მართალი, როცა არც რობაქიძე და არც ბერია ცოცხლები აღარ არიან, ძნელი დასადგენია. ყოველი შემთხვევისათვის, შეგახსენებთ, რომ მიხელ ჯავახიშვილს 1931 წელს, არც შემოქმედებითი მივლინებითა და არც სამკურნალოდ, გერმანიაში არავინ გაუშვებდა. ისიც ნათელია, რომ კომუნიზმი და კომუნისტური იდეები გრიგოლ რობაქიძეს გულზე არ ეხატებოდა. იგი ერთი უკიდურესობიდან მეორეში - უფრო უარესში წავიდა. დიდი გერმანელი მწერალი ნობელიანტი თომას მანი ფაშიზმს გერმანიიდან ამერიკაში გაექცა. ამბობდა კიდეც, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, მე ფაშიზმს კომუნიზმი მირჩევნიაო. გრიგოლ რობაქიძემ კომუნიზმს ფაშიზმი არჩია. აღსანიშნავია, რომ ფაშიზმიც და კომუნიზმიც ევროპაში დაიბადა და მათი მშობლები ევროპელები არიან. გილიოტინის სამშობლო პარიზია. პირველი და მეორე მსოფლიო ომები ევროპამ დაიწყო. გაზის კამერებიც ევროპამ შექმნა. ანაქრონიზმად მოჩანს, როცა ჰიტლერს ფრთიან ანგელოზად სახავენ და სტალინს - ურჩხულად. „როდესაც კაცობრიობა სისხლად იღვრებოდა და კულტურის ღირებულებანი ჯოჯოხეთში ფერფლად ცვიოდა, გრ. რობაქიძის მუზა იმათ ღაღადისს აჟღერებდა. ისტერიული გებელსი მორიგ პარტიატაგზე გრ. რობაქიძის წიგნს ჰიტლერის შესახებ თვითონ ურიგებდა დელეგატებს, ხოლო ფაშისტური ცენტრალური ორგანო „სახალხო მეთვალყურე“ (ფელკიშერ ბეობახტერი) სწერდა „ჩვენ ვიცოდით, რომ ჰიტლერი გენიოსი იყო, მაგრამ ეს გვიჩვენა რობაქიძემ“ (ნუცუბიძე, 1999; 21).

1945 წლამდე გრიგოლ რობაქიძესა და მის შემოქმედებას ფაშიზმის იდეოლოგიები და ზოგი ქართველი ემიგრანტი, დასავლელი მწერლები გენიოსად წარმოაჩენდნენ, გოეთეს გვერდით აყენებდნენ და მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლად

სახავდნენ. ძნელი სათქმელია, თავად რობაქიძე როგორც აღიქვამდა და ეგუებოდა ამას. ყოველ შემთხვევაში არსად, არასოდეს არ გაუპროტესტებია. გრიგოლ რობაქიძისა და მისი მეხოტბეების სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, ევროპული ლიტერატორების დამოკიდებულება მის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ყოველივე ამის შესახებ მწერალი აკაკი ბაქრაძე წერს, რომ 1945 წლის შემდეგ, იგი „გარიყა ევროპულმა კულტურულმა ცხოვრებამ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ევროპული სინამდვილისათვის უცხო და მიუღებელი გამოდგა მწერლის შემოქმედება. მისი სახელი თანდათანობით დავიწყებას ემლევა“. აკაკი ბაქრაძე განაგრძობს: იგი „აღარ აინტერესებდათ. გერმანულენოვან სამყაროში იგი თანდათანობით ავიწყდება პუბლიკუმს. ამის მიზეზი მარტო ის არ ყოფილა, რომ გრიგოლ რობაქიძე ავტორი იყო „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინისა“, - უფრო რთული და არსებითი მიზეზიც არსებობდა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ეკუთვნოდა სიტყვაკაზმული მწერლობის იმ სახეობას, რომელსაც გერმანელები... მიწისა და სისხლის ლიტერატურას უწოდებენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ სახეობის ლიტერატურა საერთოდ მიეცა დავიწყებას. მიწა, სისხლი, რასა, ჯიში მკითხველს ნაციზმსა და ფაშიზმს ახსენებდა. ყველას შიშით აცახცახებდა და მათი გაგონება აღარ უნდოდა. შეხედულებანი ნელ-ნელა იცვლებოდნენ და კოსმოპოლიტურ ხასიათს იღებდნენ“ (ბაქრაძე, 1999; 227). ციტატის ავტორს აზრადაც არ მოუვიდოდა იმისი დაშვება, რომ გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა რეზიდენტი იქნებოდა ჰიტლერის გარემოცვაში.

გაზეთ „კალმსაობაში“, წარსულში ცნობილმა ფალავანმა სიმონ პაპოაშვილმა,



რომელიც რამდენიმე წელიწადი ფაშისტთა ტყვეობაში, ქალაქ ფრეიბერგის სამხედრო ყაზარმებში გაეტარებინა, საინტერესო მონათხრობი შემოგვთავაზა, რომლის ავტორია შალვა ზედელაშვილი. ვერმახტის მაღალჩინოსნებს სამასამდე ქართველი ტყვისათვის ლექციის წასაკითხად გრიგოლ რობაქიძე შეუხვედრებიათ. ლექციის დასასრულს გრიგოლს მოუწოდებია, ომი რომ დამთავრდება სამშობლოში უნდა დაბრუნდეთო. „მეც, როცა თქვენსავით ახალგაზდა ვიყავი, მეგონა რომ აქ ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ რაც დრო გადის, იმდენად უფრო მიძნელდება სამშობლოს გარეთ ცხოვრება“ - უთქვამს დასასრულს. ერთ ტყვეს მწერლისათვის უკითხავს - „ჩვენ რომ გვირჩევთ ომის შემდეგ აუცილებლად საქართველოში დაბრუნდითო, თქვენ თვითონ რატომ მიატოვეთ სამშობლო?“ გრიგოლი ოდნავ შეყოვნებულა და შემდეგ უთქვამს: „მე მწერალი ვარ და ჩემთვის უმთავრესი პირობაა შემოქმედების თავისუფლება. მე იქ მოკლებული ვიყავ ასეთ თავისუფლებას. მიბრძანებდნენ, იმაზე მეწერა და ისე მეწერა, როგორც კომუნისტებს სურდათ. ეს ჩემთვის აუტანელი იყო და ამიტომ მივატოვე კომუნისტური რეჟიმი“ (ზედელაშვილი, 202; 2).

ეს ალუზია მრავალმხრივ საყურადღებოა. გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო სიტყვის თავისუფლება და ამიტომ დატოვა სამშობლო. ქართველ ტყვეს მისთვის რომ ეკითხა, ფაშისტურ რეჟიმს თუ აქვს სიტყვის თავისუფლებაო, ძნელი სათქმელია, რას უპასუხებდა ემიგრანტი მწერალი. მე სულაც არ მეპარება ეჭვი, რომ მას წუთით რომ გადაეხვია ფაშისტურ იდეოლოგიიდან, გერინგი გაზის კამერაში უკრავდა თავს. მე ახლაც მჯერა, რომ საბჭოთა საქართველოში სიტყვის მეტი თავისუფლება იყო, ვიდრე ფაშისტურ გერმანიაში. ამ მოტივით, გაცილებით ადრე

დატოვა გერმანია ჰაინრიხ ჰაინემ. იგი საფრანგეთში გარდაიცვალა.

რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძის წიგნებს ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის. ძალიან კვალიფიციურად თარგმნა გერმანისტმა დალი ფანჯიკიძემ და ნანა გოგოლაშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ რობაქიძე ნიცშეანელი იყო, ნიცშეანელი იყო ჩვენი დიდი კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც შეასრულა საბჭოთა შეკვეთა და სტალინზე დაწერა წიგნი, რომელიც პირველად ტრილოგიად იყო (ჩაფიქრებული), მაგრამ მას შემდეგ, როცა 30-იანი წლების ბოლოს პირველი წიგნი დაიბეჭდა, როგორც ზეპირი ვერსიით ცნობილია, სტალინს იგი არ მოეწონა. ცხადია, რომ მწერალი შემდგომ მუშაობას აღარ გააგრძელებდა. დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ამის გამო მე იგი ვერ წავიკითხე. ახლა, ცხადია, ვერაფერს ვიტყვი მის მხატვრულ ღირსებებზე, მაგრამ მისი გამოცემა აუცილებელია, თუნდაც ლიტერატურის ისტორიისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა გრიგოლ რობაქიძის წიგნები უპრობლემოდ დაიბეჭდა, საბჭოთა პერიოდში არაოფიციალური მიერ შექმნილი მითი მისი გენიოსობის შესახებ, დაიმსხვრა. ცნობილია გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული პერიოდის შვიდი ლექსი, რომელთაგან არცერთი არ გამოირჩევა მხატვრული ოსტატობით, საშუალო დონესაც კი ვერ წვდება.

ჩვენში ყოველთვის ერთი ტენდენცია იჩენს თავს: გამოჩენილ თუ ცნობილ ადამიანს ან ცოცხლად ვმარხავთ, ან მწვერვალზე აგვყავს. ოქროს შუალედი არ გავგაჩნია. გრიგოლ რობაქიძეს არც ერთი აკლდა და არც მეორე - იგი ზოგჯერ ყალბი დიდების მსხვერპლი, ზოგჯერაც ზღვარგადასული კრიტიკის ობიექტი იყო. მე ორივეს

წინააღმდეგი ვარ. გამოჩენილ პიროვნებაზე „სადღეგრძელოების ენით“ ლაპარაკი არ შეიძლება. ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იქონია სტალინის დაცვის უფროსის ვლასიკის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ მიხეილ თევდორაძის (1900-1982) მემუარულმა ჩანაწერებმა, რომლებიც 2004-2005 წლებში გაგრძელებებით გამოაქვეყნა გაზეთმა „ქრონიკამ“. ადგილი დაუთმო ასევე ჟურნალმა „თბილისელებმა“. მემუარები ლიტერატურულად დაამუშავა და გამოაქვეყნა მწერალმა ნიკა ლაშაურმა. ჩემთვის და ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მემუარების ქვეთავი „რა ფიცით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული სტალინი და გრიგოლ რობაქიძე“. რა არის ეს, მითი თუ სინამდვილე?! მემუარების ავტორი ძალიან ბევრ ალუზიას აცოცხლებს უახლოესი ისტორიიდან, როგორც ამ მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე. მიხეულ თევდორაძე ამბობს, რომ კაცი, რომლის ნაწერების ციტირებას ახდენდა სტალინი, გრიგოლ რობაქიძე იყო. ერთხელაც ბელადს მისთვის უთქვამს, ის კაცი ჰიტლერის მეგობარიაო. რამდენიმე თვის შემდეგ, 1939 წლის ივლისში სტალინმა, - ამბობს მ. თევდორაძე - თავისთან მიხმო. „პოსკრებიშევმა კარი გამიღო და ბელადის კაბინეტში შევედი“. იქ დახვედრია ლავრენტი ბერიაც.

ჰიტლერის მეგობარზე რომ გელაპარაკებოდი შარშან შემოდგომაზე, თუ გახსოვს? სერიოზული სახით მკითხა დიდმა ბელადმა.

- მწერალი რობაქიძე? - ვკითხე სტალინს.

- სწორედ მასზე. დაჯექი, რატომ წამოხტი?

- მე და ლავრენტიმ მოვითათბირეთ... რომ შენ ჩვენი თანამემამულე გაგაცნოთ, - ჩაილაპარაკა სტალინმა.

-ჰიტლერის მეგობარი?...

-უფრო, ჩვენი მეგობარი, - მიპასუხა სტალინმა“ (ლაშაური, 2014; 31).

შემდეგ სტალინს დალუქული კონვერტი გადაუცია და უთქვამს, ამელამ სპეცრეისით ინკოგნიტოდ ბერლინში გაფრინდები და ამ კონვერტს რობაქიძეს გადასცემ. იქ ერთი დღით მოგიწევს დარჩენა. რობაქიძე კონვერტს გამოგატანს და დაბრუნდებით. დანარჩენს ვლასიკი გეტყვისო. ვლასიკს „ესესის“ ფორმა გადაუცია და იგი სამხედრო აეროდრომით ბერლინში გაფრინდა.

რობაქიძეს თევდორაძე კარგად მიუღია, სტალინის წერილი წაუკითხავს და დილაშე გაუჩინარებულა. დილით რობაქიძეს „დაბეჭდილი“ წერილი მოუტანა, სოსოს ჩაუტანეო. რვა საათის შემდეგ, ბერლინიდან დაბრუნებული თევდორაძე სტალინის კაბინეტში იჯდა. კარგი ფეხი გქონიაო, უთქვამს სტალინს, ჰიტლერი თანახმაა ჩვენთან შეხვედრაზეო. შემდეგ აღწერილია თუ როგორ მიიღეს ჰიტლერი რიწაზე: 1939 წლის 3 აგვისტოს, სოხუმის ყურეში, დილის 7 საათსა და 45 წუთზე, საბჭოთა წყალქვეშა ნავების თანხლებით, გერმანიის წყალქვეშა ნავი „ოტო ბირსმარკი“ შემოვიდა. ბორტზე იმყოფებოდნენ ადოლფ ჰიტლერი, გერმან ჰერინგი და გრიგოლ რობაქიძე. რიწაზე ათსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, მეორე დილით „ოტო ბისმარკმა“ დატოვა საქართველო, ხოლო სამიოდე კვირის შემდეგ რიბენტროპი ჩამოვიდა სსრ კავშირში და თავდაუსხმელობის აქტს მოუწერა ხელი“ (ლაშაური, 2014; 31).

ზემოთ ციტირებული ამბები ზოგიერთისთვის დაუჯერებელიც კი იქნება. მე ეჭვების გასაფანტავად ამ მოგონებების სხვა თავების გადაკითხვაც მომიხდა. აღსანიშნავია, რომ იგი ზედმიწევნით ზუსტად აღწერს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და რაღა აქ გაექცეოდა კალამი. ჩემი აზრით, აქ მოტანილი ფაქტების გამოგონება არ შეიძლება.

2010 წლის ივნისის ჟურნალ „თბილისელებში“ დაიბეჭდა თინათინ თიკაშვილის სტატია „რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან სტალინსა და გრიგოლ რობაქიძეს“. მე ზემოთ „ლამარას“ მოსკოვური გასტროლი ვახსენე, რომელსაც სტალინი დაესწრო. სტალინის ავტორი წერს: „სტალინი სცენასთან მივიდა, მიულოცა ყველა ხელოვანს და გამოთქვა სურვილი რუსთაველის თეატრის ევროპაში საგასტროლოდ გამგზავრების შესახებ. მან იქვე დაუმატა, რომ სანამ თეატრი გასტროლებზე წავიდოდა, მანამდე დრამის ავტორი გასცნობოდა ევროპას. სტალინს უნებლიედ გამორჩა, რომ გრიგოლ რობაქიძე ევროპას, განსაკუთრებით გერმანიას კარგად იცნობდა, რადგან მან განათლება თავის დროზე გერმანიაში მიიღო“ (ბიკაშვილი, 2010; 38) მე ვფიქრობ, სტალინს კი არ გამორჩა, არამედ ამ განცხადებით სპეცსამსახურებს ვიზა მისცა მწერლის ევროპაში გამგზავრებისათვის. სტალინს, რომელიც რობაქიძის ციტატებს ზეპირად ამბობდა, ასეთი რამ არ გამორჩებოდა. მით უმეტეს, სპექტაკლ „ლამარას“ გასტროლს სულაც არაფერში ჭირდებოდა ავტორის ევროპულ ცხოვრებაში გათვიცნობიერება. ისიც ცნობილია, რომ ომის დასასრულს, 1945 წელს კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მთავრობაში შუამდგომლობით შესულა, რომ გრიგოლ რობაქიძეს რეპრესია არ შეხებოდა. ვინც იცის მისი ფრთხილი დამოკიდებულება პოლიტიკური მოვლენებისადმი, დამერწმუნება, რომ ამას იგი თავისი ნებით არ მოიმოქმედებდა.

გრიგოლ რობაქიძის ესე ლენინის შესახებ პირველად 1924 წელს დაიბეჭდა „ქართულ სიტყვაში“ (N11), რომლის მიხედვით არ ჩანს, რომ ავტორი ანტიმარქსისტი ან ანტისაბჭოელია. ლენინის პორტრეტი ამადლებულ რეესტრშია გადაწვეტილი. იგი წერს: „... ვისაც განუცდია, თუ რა არის მონობა-ჩაგვრა-შიშშილი-დაბეჩავება-წამება: მას არ

შეუძლია არ მიიღოს რევოლუცია; ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება-მონობის მოსპობა-ადამიანის ღირსების აღდგენა-ქვეყნის გადახალისება-ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფისა და პროგრამებისა“. გრიგოლ რობაქიძე განაგრძობს - „როცა რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბათ ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლაკნა. მე არ მგონია არსებობდეს ისეთ ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შეძრულიყოს“ (რობაქიძე, 2015; 12). ჩემი ფიქრით, ლენინის ასეთ პოზიტიური შეფასება სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებს არ მოუციათ. სულ სხვა ჭრილშია გადაწყვეტილი სტალინის რობაქიძისეული შეფასება. იგი პოლიტიკური პამფლეტის ჟანრს უფრო განეკუთვნების. რობაქიძე წერს, რომ სტალინი წარმოშობით ოსი იყო (რობაქიძე, 2015; 16). მე ვერავინ დამაჯერებს, რომ რობაქიძემ არაფერი იცოდა სტალინის ქართული წარმოშობის შესახებ. დასანანია, რომ სოციალურ ქსელებში ახლაც მუსირებს აზრი სტალინის ოსობისა თუ სომხობის შესახებ. სამწუხარო ისაა, რომ მეზობელი სომხები და ოსები გვეცილებიან სტალინის წარმომავლობაში. ამას ზოგიერთ სულგაყიდული ქართველიც უწყობს ხელს. ვურჩევ წაიკითხოთ დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა „ხალხთა ბელადის გვარის სადაურობისათვის“, რომელიც 1939 წელს დაიწერა და გამოიცა 1991 წელს.

ანტისტალინელები აპელირებენ მენშევიკ სოსო ირემაშვილის სტატიით „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, რომლითაც სურთ ილიას სისხლი სტალინს შეახოცონ, რაკი ბოლო დროს სერგო ორჯონიკიძე თითქმის გამოირიცხა ამ საქმიდან.

რა თქმა უნდა, რობაქიძის წიგნი, რომელიც პირველად გამოიცა გერმანულ

ენაზე დიდერიხის გამომცემლობაში 1935 წელს, სხვანაირი ვერ იქნებოდა, რადგან მაშინ იგი ცდილობდა ანტისაბჭოელის იმიჯის განმტკიცებასა და ჰიტლერის ნდობის მოპოვებას. ასეც მოხდა. მწერალი სტალინის პორტრეტს კიდევ უფრო ამუქებს „ჩაკლულ სულში“. მე აქ არ შევუდგები მის ციტირებას. იგი ქართულად გამოიცა და ყველასათვის ხელმისაწვდომია. რაც შეეხება რობაქიძის მიერ ჰიტლერისა და მუსოლინის ესისტურ პორტრეტებს, ქართული გამოცემის ნიჭიერად დაწერილ წინასიტყვაობაში მათ პროფესორი როსტომ ჩხეიძე ამბობს, რომ ამ თაობის ლიტერატურას პოლიტიკურ სარჩულს ვერ ჩამოვაცილებთ. „ჩამოვაცილებთ კიდევ, - ამბობს იგი - თვითონ რომ სცილდებოდეს“ (რობაქიძე, 2010; 74). თავად „ჰიტლერის“ ავტორი გრიგოლ კაზანძაკის სწერდა: „ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“. აქვე დავძენ: არც პირველია ნაცისტური და არც მეორეა ფაშისტური. ამ თემას განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდი“ (რობაქიძე, 2010; 114). მე ეჭვი მეპარება ამ სიტყვების გულწრფელობაში. იგი უფრო პოლიტიკური კონიუნქტურაა.

გრიგოლ რობაქიძე ომის დამთავრების შემდეგ შვეიცარიაში დასახლდა. თავისუფლად გადაადგილდებოდა ევროპის ქვეყნებში. მისი წიგნები ჩვენში აკრძალული იყო. არც უცდია სამშობლოში დაბრუნება. ისიც

კარგად ჩანს, რომ საბჭოთა მხრიდან იგი განსაკუთრებული დევნის ობიექტი არ ყოფილა. ზემოთ ვამბობდი, რომ ომის დამთავრების დღეებში კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მთავრობაში შუამდგომლობით შევიდა, რათა გრიგოლ რობაქიძეს რეპრესია არ შეხებოდა. ამის გამო თავად რობაქიძე წერს: „სამი თვის წინათ ერთი ამბავი მაცნობეს პარიზიდან. ოლია თავაძეს, ყოფილ წევრს საქ. მთავრობისა, ეამბნა, როცა ბერლინი 1945 წელს საბჭოთა ჯართა მიერ ალყაშემორტყმული, ცეცხლის ქვეშ ნადგურდებოდა, მოვარდა ჩვენთან, მთავრობის სასახლეში, ერთი ჯგუფი მწერალთა კ. გამსახურდიას მეთაურობით - თხოვნით: რაიმე ზომები მიგველო გრ. რობაქიძის და მ. წერეთლის, რომელნიც მაშინ ბერლინში ეგულებოდათ, გადასარჩენადო, - მრავალი შერხევა განმიცდია ნეტარი წუთით, ხოლო ასეთი სიმძაფრით არა. ასეთი რამ მხოლოდ დიდი კარდჰუს სამშობლოში თუა შესაძლო. მრავალი ცრემლი დავღვარე, ცრემლი ნეტარების. ეხლაც შერხეული ვარ, ვიგონებ რა ამ ამბავს, გამოვუცხადო მადლობა ამ მწერლებს? ეს ემსგავსებოდა - მადლობა გამომეთქვა მღვდელმთავრისადმი ზიარებისათვის. დეე, ეს „აქტი“ დარჩეს წვეთად სამშობლოდან მოგვრილი ზედაშისა, რაიც ვიგემე მე სამუდამოდ გადმოხვეწილმა“ (რობაქიძე, 2010; 102). არა მგონია დღესაც ვინმეს ეჭვი შეეპაროს ამ სიტყვების გულწრფელობაში.

*HISTORY***GRIGOL ROBAKIDZE - MYTH AND REALITY****SHOTA ZOIDZE**

*Niko Berdzenishvili Scientific Research Institute of BSU*

The essay paper presents an analysis of new findings that sheds light on the latter episodes of Grigol Robakidze's biography, namely, who was Grigol Robakidze, a Fascist regime ideologist or a Soviet resident? Grigol Robakidze was raised in the West during World War II, and banned in the USSR. And now on the contrary.

No one in the West mentions him, because he isn't needed anymore. However, we have uncensored and glorified him. The attitude of literary criticism towards work is also discussed. The author's attitude is truly interesting when talking about the issues of artistic mastery of the writer.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- რობაკიძე - გრიგოლ რობაკიძე, ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, გამომც.: „არტანუჯი“, 2015
- რობაკიძე - გრიგოლ რობაკიძე, ჰიტლერი, მუსოლინი, გამომც.: „არტანუჯი“, 2010
- ნუცუბიძე - შალვა ნუცუბიძე, გაზ. „მწვანეყვავილა“, N1, 1999
- ბაქრაძე - აკაკი ბაქრაძე, გრიგოლ რობაკიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ. 1999
- ზედელაშვილი - შალვა ზედელაშვილი, ქართველ ტყვეებთან გრიგოლ რობაკიძის შეხვედრის ერთი ეპიზოდი, გაზ. „კალმასობა“, N4 (59), 2002
- ლაშაური - ნიკა ლაშაური, რა ფიციტ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, სტალინი და გრიგოლ რობაკიძე, ჟურნ. „თბილისელები“, N16, 2014
- ჯავახიშვილი - ივანე ჯავახიშვილი, ხალხთა ბელადის გვარის სადაურობისათვის, თბ. 1991
- ანტალოგია - უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქუთაისი, 2014
- ტაბიძე - ტიციან ტაბიძე, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 2016, N1, გვ.29

## ისტორია

### კავკასიის ფრონტი რუსეთის-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში

#### ფირათ ჩაქირი

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი** - 1768-1774 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ დასრულდა შავიზღვის, ბალკანეთისა და კავკასიის ოკუპაციისკენ მიმართული რუსული პოლიტიკის პირველი ეტაპი. ყირიმი ოსმალეთს გამოყოფდა დამოუკიდებელი გახადა, რის შემდეგაც რუსეთმა დაიწყო მზადება, ერთი მხრივ, მისი ანექსიისათვის აუცილებელი პოლიტიკური გარემოს შესაქმნელად, მეორე მხრივ, კავკასიაში თავისი ტერიტორიის გასაფართოებლად. საპასუხოდ, ოსმალეთის იმპერიამ გადადგა აუცილებელი პოლიტიკური ნაბიჯები, რათა რუსებისთვის ყირიმი და კავკასია არდაეთმო, რომელსაც იგი საუკუნეების განმავლობაში აკონტროლებდა. ამასთან, ამ დროებითი მშვიდობის პერიოდში გაიზარდა ყირიმზე რუსეთის გავლენა. ქართლ-კახეთის სამეფოსთან 1783 წლის გეორგიევსკის შეთანხმებით კი, რუსეთის სამხედრო ყოფნა საქართველოში სტაბილური გახდა. ამრიგად, რუსეთს, ოსმალეთის იმპერიასთან შედარებით დიდი უპირატესობა მიეცა. 1787 წელს, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ყირიმის, კავკასიისა და ბალკანეთის მიმართულებით მიმდინარე დიპლომატიური პროცესი ჩიხში შევიდა. შედეგად ეს ორი იმპერია ჩაება ომში, რომელიც მიმდინარეობდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში. წინამდებარე სტატიაში სწორედ 1787-1791 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს კავკასიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებზეა საუბარი.

**საკვანძო სიტყვები:** ოსმალეთის იმპერია, რუსეთი, კავკასია, ერეკლე II.

1768-1774 წლების ომის შედეგად დასრულდა ოსმალეთის იმპერიისგან ყირიმის გამოყოფის პირველი ეტაპი. რუსეთმა დაიწყო მზადება ან ნახევარ კუნძულის სრული ანექსიისა და ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონიდან ოსმალეთის იმპერიის გასაძევებლად. თავის მხრივ, ოსმალეთი ცდილობდა დაკარგული პოზიციების დაბრუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია ემზადებოდა ომისთვის, ის გრძნობდა, რომ საკმარისად ძლიერი არ იყო. ამიტომ ითხოვა რუსეთთან მოლაპარაკებით მოეგვარებინათ მათ შორის არსებული პრობლემები. შედგა მაღალი დონის შეხვედრაც [Gökçe, 1972:2], თუმცა, რუსებმა ეს მიიღეს, როგორც სისუსტე და უფრო გაზარდეს თავიანთი მოთხოვნები.

1787 წლის 14 მაისს რუსეთმა ხელიმოაწერა შეთანხმებას უკრაინის ქალაქ ხერსონში, ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. რუსეთის ელჩი კონსტანტინეპოლში იაკობ ბულგაკოვი შეხვდა ქართული წარმომადგენლის ვეზირს, ხოჯა იუსუფ ფაშას, რათა განეხილა კავკასიიდან მომდინარე საფრთხესთან, ასევე ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლასთან და კავშირებულისა კითხვები [Bilge, 2015: 295]. ოსმალეთი ითხოვდა ქართლ-კახეთის ცნობას ოსმალეთის ნაწილად, ყირიმსა და ყუბანში მუსლიმების დევნის პრევენციასა და რუმინეთის ოსმალურ ნაწილზე მცხოვრებთა წაქეზების შეჩერებას [Gökçe, 1972: 2].

რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთის იმპერიის პროვოცირებას, ამ პერიოდში, ახდენდა პრუსიის სამეფო. ინგლისი, ამერიკის კოლონიები და საფრანგეთი ომში იყვნენ ჩამბმულნი და ოსმალეთის იმპერიისთვის არ ეცალათ. პრუსია კი ავსტრიისთან შედარებით სუსტი იყო. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ოსმალებთან ერთად ომში ჩაბმა [სვანიძე, 2003: 111].

ოსმალეთის იმპერიამ მიხვდა, რომ რუსეთს ნებისმიერ შემთხვევაში სურდა ომის დაწყება. 1787 წლის 17 ივლისს სტამბოლში, რუსეთის ელჩს ბულგაკოვს დიდმა ვეზირმა ხოჯა იუსუფ ფაშამ შვიდი პუნქტისგან შემდგარი ულტიმატუმი გადასცა [სვანიძე, 2007: 257]. ერთ-ერთი უკავშირდებოდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან ხელშეკრულების შეწყვეტასა და თბილისიდან რუსული ჯარის გაყვანას. რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ პეტერბურგს ამ პირობების შესახებ აცნობებდა, თუმცა ომი მაინც გარდაუვალი შეიქმნა [Uzunçarşılı, 1998: 50].

1787 წლის 13 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს [Ahmet Cevdet, 1892: 280]. ომში რუსეთის დაფინანსება ჰოლანდიელმა ბანკირებმა იკისრეს. მთლიანობაში მათი ვალი 57 მილიონ ფლორინს შეადგენდა [Braudel, 1993: 477]. 1788 წლის 9 თებერვალს ოსმალეთს ომი გამოუცხადა ავსტრიამ.

თემის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ კავკასიის ფრონტზე არსებულ მდგომარეობას განვიხილავთ. ომის დაწყებამდე ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო კავკასიური ფრონტის მომზადება. 1787 წლის 24 აპრილისა და 10 მაისს დათარიღებულ დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალციხის მმართველს სულეიმან ფაშას, ტრაპიზონის ქალაქის შემოსავლების გამოყენებით ერზრუმის, ახალციხის, ახალქალაქისა და არდაგანის ციხეებისთვის საბრძოლო იარაღის, ჭურვების და ტყვიების შეგროვება მოუხდენია. გარდა ამისა, იმავე სულეიმან ფაშას მეშვეობით ჩერქეზეთის, აფხაზეთის, დაღესტანის და ნოღაის ბატონებისთვის, ჯამში 113.000 ყურუში (ოსმალეთის ფული) გაუგზავნიათ [BOA, DF, 857].

ცნობილია, რომ ომის დაწყებამდე ოსმალეთის იმპერიამ დასავლეთ საქართველოში სამხედრო ტექნიკა და საკვების მოიმარაგა. 1786 წლის 20 ივლისს, ფოთის პორტში მოათავსეს ორი საბრძოლოდა 15 სატრანსპორტო ხომალდი, საგზალითა და სამხედრო ტექნიკით. ამასთანავე ფოთიდან მდინარე რიონამდე გაითხარაარხები და გაძლიერდა რეგიონის დაცვა [ჩხატარაიშვილი, 1973: 749]. ერეკლე II-სა და ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშას შორის დამაბული ურთიერთობა სუფევდა. 1785 წელს სულეიმან ფაშამ ფული გამოუგზავნა დაღესტნის მმართველს ომარ ხანს და სანაცვლოდ საქართველოზე გალაშქრება მოსთხოვა, თან იარაღითა და ჯარით დახმარებას დაჰპირდა [ლომსაძე, 1975: 97]. ამ პერიოდში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი საქართველოში იმყოფებოდა და, გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში, ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ საქართველოს დაცვაზე, თუმცა მათ ეს არ გაუკეთებიათ. მტრის წინაშე ქართული სამეფოები რუსეთის დახმარებისგან გარეშე დარჩნენ და მხოლოდ საკუთარი სამხედრო ძალით ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ოსმალეთისათვის. 1787 წელს, თურქეთ-რუსეთის ომის დაწყებისთანავე, რუსეთმა თავისი ჯარები საქართველოდან გაიწვია [იქვე].

ომის დაწყებამდე სულთნის ბრძანებით, სულეიმან ფაშამ, ერეკლე II-ს დაზავება შესთავაზა. 1786 წლის 15 სექტემბერს ორი მხარის მოთხოვნების ამსახველი ხელშეკრულება, ერეკლემ სტამბოლში მყოფ დიდვეზირს გაუგზავნა [გოგოლაური, 2018: 125]. მოთხოვნები შემდეგ ნაირი იყო:

ა) ოსმალეთის ჯარი არ განახორციელებდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებებს; ბ) თბილისში მყოფი 3.000 რუსი ჯარისკაცი თბილისს არ დატოვებდა, თუმცა სხვა

რუსული ჯარი აღარ დაემატებოდა; გ) თუ საქართველოს თავს დაესხმებოდნენ, რუსი და ქართველი ჯარისკაცებით საკადრის პასუხს გასცემდნენ.

სულეიმან ფაშას პირობები კი ასეთი იყო:

ა) დაღესტნელები საქართველოს არ დაესხმებოდნენ თავს და არც ფაშა წავიდოდა საქართველოს წინააღმდეგ; ბ) სულეიმან ფაშა არ აწარმოებდა ფარულ მოლაპარაკებას ქართველების მტრებთან; გ) ოსმალეთის ჯარი დატოვებდა ქართლ-კახეთის ტერიტორიას. ასეთი სახის შეთანხმების ტექსტი გაიგზავნა სტამბოლში, თუმცა 1786 წელს ეს შეთანხმება არ შედგა [ლომსაძე, 1975: 98].

ოსმალეთის იმპერიის მოთხოვნა თბილისიდან რუსების გასვლასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, რუსებმა არ მიიღეს [გოგოლაური, 2018: 125]. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II-ს შეთანხმება ჰქონდა დადებული რუსებთან, ბრძოლის დროს ოსმალეთის გვერდით დგომის გამო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლეკების შესაჩერებლად [BOA, CH, 552].

ამ პერიოდის განმავლობაში, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ირანის საფრთხეების გამო, ერეკლე ფიქრობდა ოსმალეთის იმპერიასთან ალიანსის შექმნას. ამიტომ, მან ორი ქართველი ბატონიშვილი გაუგზავნა მძევლად სულეიმან ფაშას [Türker, Soofizadeh, 2015: 158; Gvosdev, 2000: 63]. ტყვეების გაგზავნის მიზნით მეფე ჯერ რუსეთის ჯარის მთავარსარდალ პოტიომკინს შეხვდა და მისგან ნებართვა აიღო. გენერალმა ერეკლეს მის ჩარჩევა, რომ თუ უნდოდა თავი დაეცვა ოსმალეთის დავდასხმებისგან, მაშინ ახალციხის ფაშასთან უნდა დაემყარებინა კარგი ურთიერთობა [Gvosdev, 2000:63]. არის ცნობა, რომ მძევლების გაგზავნა სულეიმან ფაშამ მოითხოვა ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად [გოგოლაური, 2018: 125]. რა თქმა უნდა, ამ ხელშეკრულების განხორციელებისას, ერეკლე II მიზნად ისახავდა, დაეცვა თავისი მიწები ოსმალეთის შესაძლო თავდასხმისგან [კოჭორიძე, 1987: 25]. თუმცა, ეს სიტუაცია, ბუნებრივია, ოსმალეთის ადმინისტრაციის ეჭვს იწვევდა. ამიტომ გამოიცა ბრძანება, რომ ერეკლესთან ფრხილად ყოფილ იყვნენ და შესაბამისი ნებართვის გარეშე არანაირი მოქმედება განხორციელებიათ [BOA, HH, 1220]. თუმცა, ომის დაწყების თანავე ამ ხელშეკრულებამ აზრი დაკარგა [გოგოლაური, 2018: 127].

1787 წლის სექტემბერში კავკასიის რუსული არმია ანაპასა და სოლუჯაკის ციხეებს სამ მხრით დაესხა თავს, რაც უშედეგოდ და დიდი დანაკლისით დასრულდა. მალე ოსმალთა არმიამაც მარცხი განიცდა და უკან დაიხია [Berkok, 1958: 387]. 1788 წელს ახალციხის მმართველმა სულეიმან ფაშამ, დარიალის ხეობის სამხედრო გზის გასანადგურებლად, რომელსაც რუსები იყენებდნენ, ქართ-კახეთს შეუტია. ფაშა პირობას იძლეოდა, რომ თავდასხმა გზის მოშლის სანაცვლოდ შეწყდებოდა, თუმცა ერეკლემ განაცხადა, რომ გზას ვერ გაანადგურებდა, რადგან რუსებს მძევლებად მისი შვილები ჰყავდათ [BOA, HH, 1221]. ერეკლე II-მ ოსმალური თავდასხმებისგან თავის დასაცავად და ირანსა და კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობის მოსპობის მიზნით, რუსეთს ფულისა და ჯარისკაცების სახით დახმარებას თხოვა, თუმცა უარი მიიღო. 1788 წელს გენერალმა პოტიომკინმა მეფეს წერილი გაუგზავნა და იმერეთის მეფე სოლომონთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მიიწვია, თუმცა ეს შემოთავაზება მეფემ არასაკმარისი ჯარის გამო ვერ მიიღო [Gvosdev: 2000, 64]. აქედან გამომდინარე, ის დაჰყვა ანტირუსული განწყობის ქართველი ბატონების რჩევას და გეორგიევსკის ტრაქტატის მიუხედავად, ომში ოფიციალურად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.



ომის დროს სტამბოლში ეცნობა ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშასა და ერეკლე II-ს შორის მეგობრული ურთიერთობების დაწყების შესახებ. 1788 წლის 30 დეკემბრის დოკუმენტის მიხედვით, სულეიმან ფაშას აღარ სურდა თბილისზე შეტევა და ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და ეს ყველაფერი სტამბოლს, ერზრუმის მმართველ სეიდ აჰმეთ ფაშას მეშვეობით შეატყობინა [Nusel, 2015: 95]. მიუხედავად იმისა, რომ ახალციხესა და ქართლ-კახეთს შორის კავშირი 1786-88 წლებში ოფიციალური იყო, იგი მაინც მმართველთა პირად ურთიერთობებს ემყარებოდა [ლომსაძე, 1997: 158]. ეს სიტუაცია ოსმალეთის მმართველობას აწუხებდა, მაგრამ ომისა და ასაკის გამოფაშა მოვალეობიდან არ გადაუყენებია. სულეიმან ფაშა 1791 წლის 7 თებერვალს, ომის დასრულებამდე გარდაიცვალა [ლომსაძე, 1997: 158; Kahraman, 1996:1544].

ომის დაწყების შემდეგ დასრულდა სულეიმანის ფაშასა და ერეკლე II-ს შორის მეგობრობა. ჩანს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სულეიმან ფაშა ცდილობდა ლეკებთან და ყიზილბაშ თურქებთან შეთანხმებას ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. ახალციხის ქრონიკებში აღნიშნულია, რომ 1788 წლის 21 თებერვალს ლეკებისა და ყიზილბაშების წარმომადგენლები ახალციხეში მივიდნენ [ლომსაძე, 1997: 166]. 1788 წელს, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ დაიწყო ოსმალებისა და ახალციხეში მცხოვრები მუსლიმი ქართველების თავდასხმები [გოგოლაური, 2016: 174]. ამ პერიოდში ერეკლემ, ოფიციალურად ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადების გარეშე წამოიწყო თავდასხმები ახალციხეზე. ერეკლეს შვილიშვილმა და ქართლ-კახეთის მემკვიდრე დავით ბატონიშვილმა 1789 წელს ყარსი გამარცვა და აურაცხელი ნადავლით საქართველოში დაბრუნდა [იქვე, გვ. 127], 1789 წლის 15 სექტემბერს კი ახალქალაქის მხარეს მდებარე ახალციხის სოფლები გამარცვა [კოჯორიძე, 1987: 76].

1788 წელს, სამეგრელოს მთავარს შვილი გრიგოლი აუჯანყდა, რომელიც მთავარმა მემკვიდრედ არ გამოაცხადა. ამაჯანყების ჩახშობაში დიდი როლი შეასრულა ერეკლე II-მ. გრიგოლი 1789 წელს ახალციხეში გაიქცა და სულეიმან ფაშას შეაფარა თავი [ჩხატარაიშვილი, 1973: 750].

1788 წელს კავკასიაში რუსეთის არმიის ხელმძღვანელობა გადაეცა გენერალ პეტრე ტეკელს, რომელიც 1788 წლის აპრილში, 15.000 ჯარით თავს დაესხა ჩერქეზთა ტერიტორიას. 1788 წლის 24 იანვარს ბათთალ ჰუსეინ ფაშა დაინიშნა ტრაპიზონის მმართველად და ანაპას ციხის დამცველად. მასვე ებრძანა 10.000 ჯარისკაცით ანაპაში წასვლა [BOA, CA, 6584]. ფაშასთვის ამ ამბის მიტანა ქუთაისელ მეჰმედ ბეის დაევალა, რომელსაც ფაშა ჯანიკის სანჯაყში უპოვია და ბრძანება გადაუცია. თუმცა ფაშა, მეჰმედ ბეის ცუდად მოქცევია და სხვა და სხვა მიზეზით არ უსურვებია ანაპას ციხეში წასვლა. მიუხედავად ამისა, მეჰმედ ბეი მარტო წავიდა ანაპას ციხეში. მან განაცხადა, რომ დამხმარე ჯარი მალე მოვიდოდა და შეეცადა დამცველთა საბრძოლო სულისკვეთების ამალელებას [Gökçe, 1972:12].

ბათთალ ჰუსეინ ფაშა ანაპას ციხეში გვიან ჩავიდა (ფაშა მუდმივად დებდა ანაპას ციხე-სიმაგრეში წასვლას, რადგან ტრაპიზონში ძალაუფლებისათვის ბრძოდა). მანამდე 15.000 ჩერქეზი რუსებს თავსდაესხნენ და მიუხედავად იმისა, რომ რუსებს დიდი დანაკარგი ანახეს, არტილერიის ნაკლებობისა და ჯარის ნაწილის დაკარგვის გამო, უკან დაიხიეს [Ahmed Cevdet, 1892: 135].

1788 წლის შემოდგომაზე რუსები ანაპას ციხეს თავსდაესხნენ, თუმცა, როდესაც მიხვდნენ, რომ ციხეს ვერ აიღებდნენ, მდ. ყუბანის ჩრდილოეთით უკან დაიხიეს. ამ მოვლენების შემდეგ, 1789 წლის ივნისში სტამბოლში ბათთალ ჰუსეინ ფაშას მკაცრი ბრძანება გადაეგზავნა, რათა დაუყოვნებლივ წასულიყო ანაპას ციხე-სიმაგრეში [BOA, CA, 1938]. ბათთალ ჰუსეინ ფაშა

იძულებული გახდა ანაპაში წასულ იყო. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მას 10.000 ჯარისკაცი გამოუყვეს, ციხე-სიმაგრეში ტრაპიზონში შეგროვებული რამდენიმე ასეული ჯარისკაცით წავიდა.

1789 წელს რუსეთმა მშვიდობა შესთავაზა ოსმალეთის იმპერიას, იმ პირობით, რომ ბალკანეთსა და კავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები კვლავ მას დარჩებოდა და მიიღებდა კომპენსაციას. თუმცა ეს სამშვიდობო ინიციატივა ჩავარდა [Koçak: 2017, 470].

1790 წლის იანვარში პ. ტეკელი შეცვალა გენ. ბიბიკოვმა, რომელმაც 12.000 ჯარისკაცით მდ. ყუბანი გადაკვეთა, ჩერქეზეთს დაესხა თავს და დაამარცხა დასახმარებლად მოსული ოსმალეთის არმია შაიკას რაიონში. ამის შემდეგ, სულეიმან ფაშას რჩევით, ჩილდირის გამგებელმა ქუთაისელი მეჰმედ ბეი დახმარების სათხოვნელად ჯერ ანაპას ციხეში, შემდეგ კი ყუბანში კავკასიურ ტომებში გაგზავნა. ჩერქეზული ტომები დადებითად გამოეხმაურნენ მეჰმედ ბეის ამ თხოვნას და გაერთიანებულმა ოსმალეთ-ჩერქეზულმა არმიამ, 1790 წლის 24 მარტს წითელ ტყეში, რუსეთის არმია დაამარცხა [Bilge, 2015: 300]. ამ ბრძოლაში ბიბიკოვმა 5.000 ადამიანი დაკარგა და რუსულმა არმიამ ყუბანის მიღმა უკან დაიხია. ბათთალ ჰუსეინ ფაშამ, გამარჯვების ნიშნად, სტამბოლში 200 რუსი ჯარისკაცის მოჭრილი თავი გაგზავნა [BOA, HH, 55537].

ამ დამარცხების გამო გენერალი ბიბიკოვიგაათავისუფლეს და მის ადგილას, 1790 წლის 26 აპრილს, გენერალი ჰერმან დანიშნეს. ჩერქეზულმა ტომებმა ამ დამარცხებით ისარგებლეს, რუსეთის მიწებს თავსდაესხნენ და ქალაქი და სოფლები გაანადგურეს. პარალელურად, 1790 წლის 6 აპრილს ლეკები თავს დაესხნენ ჯავახეთს და ქრისტიანები დახოცეს [კოჯორიძე, 1969: 67].

1790 წლის 8 აგვისტოს, სულთან სელიმ III-ს ბრძანების შესაბამისად, ბათთალ ჰუსეინ ფაშა 30.000 ჯარისკაცითა და 31 ზარბაზანით ანაპას ციხედან ყაზარდოს დაესხა თავს [BOA, CA, 924, 39954]. ყაზარდოთა ტომების მემკვიდრეებმაც პირობა მისცეს ფაშას, რომ მასთან ერთად იბრძოლებდნენ.

ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიელი ტომები ცდილობდნენ ოსმალეთის არმიასთან ჰარმონიულ მოქმედებაში ყოფილიყვნენ. იმამი მანსური იყო ერთ-ერთი, ვინც ლაშქრობის დროს კავკასიის ტომებსა და ოსმალეთის არმიას შორის ურთიერთობა დაამყარა [Kuzucu, 2012: 49]. თუმცა, მან ბათთალ ფაშა არასათანადოდ შეაფასა და ომის გეგმებისგან განზე დატოვა [Temizkan, 2013: 30]. ამის შემდეგ, ბათთალ ფაშა, როდესაც სისწრაფე საჭირო იყო, ნელა მოძრაობდა და ანაპას ციხედან ყუბანამდე 12 დღიან მარშრუტს თვენახევარი მოანდომა. ოსმალეთის არმია ყუბანის გადაკვეთის შემდეგ არ მიჰყვა რუსულ არმიას და დაელოდა მათ. გენერალ ჰერმანს 3.600 რუსი ჯარისკაცი ჰყავდა. თუმცა, ბათთალ ჰუსეინ ფაშამ რუსების წინააღმდეგ მხოლოდ 500 კაცი გაგზავნა. ისინი რუსებმა დაამარცხეს და პანიკით მოცულები ოსმალეთის ჯარში დაბრუნდნენ. ოსმალეთის ჯარს უკან დაბრუნებულნი რუსი მეთაური ეგონათ, მიმოიფანტნენ და გაიქცნენ. ბათთალ ჰუსეინ ფაშა კი მტერს ჩაზარდა. რუსეთის ერთეულმა გენერალ ვლადიმირ როსენმა გაქცეულ ოსმალ-ჩერქეზულ ჯარებს დიდი დანაკარგი ანახა. გადარჩენილებმა 1790 წლის 20 ოქტომბერს ანაპას ციხე-სიმაგრეს მიაღწიეს [Ahmed Cevdet, 1892: 144].

მას შემდეგ, რაც ბათთალ ჰუსეინ ფაშა რუსებს ჩაზარდა, ჩერქეზულმა ტომებმა ქუთაისელი მეჰმედ ბეი სტამბოლში ელჩად გაგზავნეს, რათა ახალი მთავარსარდალი დაენიშნათ. 1791 წლის აპრილში ერზრუმის გამგებელი აბდულაჰ ფაშა ანაპას ციხისდამცველი გახდა [BOA, HH, 10268].

ამ პერიოდის განმავლობაში კვლავ შეიცვალა რუსული არმიის ხელმძღვანელობა. 1790 წლის 28 დეკემბერს გენერალი გუდოვიჩი ყუბანის რუსული არმიის უფროსად დაინიშნა [Gvosdev, 2000: 67].

ყირიმის დაკარგვის შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა ანაპას ციხის მნიშვნელობა. მანამდე ოსმალეთის იმპერია, ყირიმის ხანის მეშვეობით, ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობას ინარჩუნებდა. თუმცა, ყირიმის დაკარგვის შემდეგ, ის ანაპას ციხემ ჩაანაცვლა [Baddeley, 1908: 52]. გენერალ გუდოვიჩმა, რომელსაც ანაპას ციხის მნიშვნელობა კარგად ესმოდა, გადაწყვიტა მასზე შეტევა. 1791 წლის 9 ივნისს, გენერალმა გუდავიჩმა 12.000 ჯარისკაცით ანაპას ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყა. 1791 წლის 22 ივნისს, ანაპა რუსებმა დაიკავეს. ქალაქში 5.900 მამაკაცი და 7.588 ქალი ტყვედ ჩაიგდეს.

ამ მოვლენების შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ რუსეთს სამშვიდობო მოლაპარაკებები შესთავაზა. თუმცა, რუსეთმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა ომი, მისი უპირატესობის გამო. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის შედეგად შექმნილი ნაციონალისტური გარემო, რუსეთის მრავალ ეროვანი იმპერიისთვის საშიში იყო. რუსეთი, რომელსაც ევროპაში განვითარებულ მოვლენები აწუხებდა, იძულებული გახდა მშვიდობის დამყარებას დათანხმებოდა [Allen, 1971: 212].

შედეგად, 1791 წლის 4 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და ავსტრიას შორის გაფორმდა სისტოვის ხელშეკრულება. ოსმალეთ-რუსეთის ომი კი დასრულდა 6 თვის შემდეგ, 1792 წლის 9 იანვრის იასის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით:

ა) რუსები დათანხმდნენ, დასავლეთ სანაპიროზე ოსმალეთისთვის წართმეული მიწები უკან დაებრუნებიათ და მდ. ყუბანი გახდა ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი; ბ) ოსმალეთის იმპერიამ აღიარა, რომ ყირიმის და ტამანის რეგიონები რუსეთის ტერიტორია იყო; გ) ოსმალეთის იმპერიამ ცნო ქართლ-კახეთის სამეფოზე რუსული გავლენა; დ) ახალციხის ფაშებს და ამ მხარეში ოსმალეთის სასაზღვრო ჯარებსა ეკრძალათ ქართლ-კახეთის მიწებზე თავდასხმა და ნებისმიერ მათ კრიზისში ჩარევა; ე) თუ ახალციხეში მყოფი ჯარისკაცები, სტამბოლიდან ნებართვის გარეშე, თავდასხმას განახორციელებდნენ, ამაზე პასუხისმგებლობა სტამბოლს ეკისრებოდა; ვ) თუ ჩრდილოეთ კავკასიური ტომები რუსებს თავსდაესხმებოდნენ, ამაზე პასუხისმგებელი ოსმალები იქნებოდნენ და ზარალსაც ისინი აანაზღაურებდნენ [ლომსაძე, 1975: 100].

ომის პერიოდში ქართულ სამეფოების პოლიტიკას თუ გადავხედავთ, ზოგადად, ისინი ანტიოსმალურ პოლიტიკას იზიარებდნენ. როგორც ქართლ-კახეთი, ასევე იმერეთის სამეფო ცდილობდა ომის გამოყენებას თავიანთ სასარგებლოდ და ოსმალეთისგან დაკავებული ტერიტორიების დაბრუნებას. ქართლ-კახეთის სამეფო მთელი ომის განმავლობაში ფიქრობდა ახალციხის დამორჩილებას [გოგოლაური, 2018: 127]. ერეკლე II ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ, იმერეთის სამეფოსთან ერთად ემოქმედა. ამ პერიოდში იმერეთის მეფე სოლომონმა პეტერბურგში, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში მხარდაჭერის სათხოვნელად, ელჩი გაგზავნა და ფოთისა და აჭარის ხელში ჩაგდება განიზრახა. თუმცა ამ მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია [ლომსაძე, 1975: 100].

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიას ომში უპირატესობა ჰქონდა, რეგიონში ფაშებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლის, ბრძანებების დაუმორჩილობისა და ჯარის შეკრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მისი გამოყენება ვერ მოახერხა. კავკასიის ფრონტზე გაგზავნილ მეთაურებს მათი ძირითადი მოვალეობა დაავიწყდათ და ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა. ეს ცუდ მდგომარეობაში მყოფი რუსეთისთვის სასარგებლო აღმოჩნდა და ამით

შემდგომად თავის გადარჩენა. სწორედ ეს იყო კავკასიაში ოსმალეთის ჯარის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, კავკასიელ ხალხთა შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლამ მათი ძალაც დაასუსტა და ეს მდგომარეობა გახდა რუსეთის წინაშე დამარცხების საწინდარი.

### დასკვნა

1787-1792 წლების ომებში ოსმალეთის იმპერიამ, რუსეთის ფრონტზე სასურველ წარმატებას ვერ მიაღწია. რუსეთთან ბრძოლებში თითქმის ყველგან წარუმატებელი აღმოჩნდნენ, რუსების სტამბოლის შეღწევის საკითხი ბეწვზე ეკიდა. ამავე პერიოდში საფრანგეთში მიმდინარე რევოლუციამ შეცვალა პოლიტიკური ბალანსი მთელ ევროპაში. პოლიტიკური ბალანსის შეცვლამ, ოსმალეთის იმპერიას მშვიდობის შესაძლებლობა მისცა, რადგან ოსმალებს აღარ ჰქონდათ ძალა რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთს სურდა ოსმალეთის იმპერიასთან ომის დასრულება, რათა თავიდან აეცილებინათ ევროპაში შემდგომი რეაქცია. ინგლისისა და პრუსიის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, ეფექტური აღმოჩნდა ოსმალეთ-რუსეთის ომის ბოლოს.

ხელმოწერილი იასის საზავო ხელშეკრულებით, ყირიმი გამოვიდა ოსმალეთის ხელიდან, ამასთან, ოსმალეთის ძალა როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად შესუსტდა. ეს იყო ერთ-ერთი ი სნაბიჯი, რომლის შედეგადაც რუსებმა მომდევნო წლებში გააძლიერეს თავიანთი სამხედრო ყოფნა კავკასიაში და ბოლოს, მთელი კავკასიის ოკუპაცია. ოსმალეთის იმპერიის წარუმატებლობამ რუსეთთან, ოსმალეთს დაანახა, რომ საჭირო იყო უფრო ინტეგრირებული მმართველობა საერთაშორისო პოლიტიკაში. ამის შემდეგ ოსმალებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს საერთაშორისო ურთიერთობების სათავისოდ გამოყენებას.

## HISTROY

### OTTOMAN-RUSSIAN WAR IN THE CAUCASUS FRONT (1787-1791)

#### FİRAT CHAKİR

*Doctoral Student of Batumi Shota Rustaveli State University*

**ABSTRACT** - After the Ottoman-Russian war (1768-1774), the first step of the Russian tsarist policy of occupying the Black Sea, Balkans and Caucasus was completed and Russia separated Crimea from the Ottoman Empire and made it independent. In the following process, Russia started to work on the political environment to annexation Crimea and on the other hand started to make political moves to expand its territory in the Caucasus. During this period of temporary peace, the Russian tsarism gained the right to intervene in the Crimean throne through diplomatic agreements with the Crimea. In the South Caucasus, as a result of the 1783 Treaty of Georgiyevsk with the Kartli-Kakhet Kingdom, the Russian military presence in Georgia became permanent. This diplomatic process between the Russian Tsarist and the Ottoman Empires on the Crimean, Caucasian and Balkan territories became insoluble in 1787. As a result, these two empires entered the war in the Balkans and the Caucasus. The events of the Caucasus front during the Ottoman-Russian War between 1787-1791 constitute the subject of our article.

## ბიბლიოგრაფია:

## ოსმალური საარქივო დოკუმენტები:

- 1) BOA. HH (Hatt-ı Hümayun)
- 2) BOA. C. HR. (Cevdet-i Hariciye)

## სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გოგოლაური, რ., სამცხე-ჯავახეთიმე-19 საუკუნის პირველ მესამედში, ახალციხე, 2018.
2. კოჭორიძე, სამცხე-ჯავახეთი: წარსული, დღევანდელი, თბ., 1987.
3. ლომსაძემ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX. საუკუნის შუა წლებამდე, თბ., 1975.
4. ლომსაძე, შ., ახალციხური ქრონიკები, თბ., 1997.
5. სვანიძე, მ., ოსმალეთის ისტორია, II, თბ., 2003.
6. სვანიძე, მ., თურქეთის ისტორია, თბ., 2007.
7. ჩხატარაიშვილი, ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. 80-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973.
8. Ahmed Cevdet Paşa, Tarih-i Cevdet, C. I-XII., İstanbul, 1892.
9. Berkok İ. H., Tarihte Kafkasya, İstanbul Matbaası, İstanbul, 1958.
10. Bilge, S. M., Osmanlı Çağı'nda Kafkasya 1454-1829 (Tarih-Toplum-Ekonomi), İstanbul, 2015.
11. Gökçe, C., 1787-1806 Yılları Arasında Kafkasya'da Cereyan Eden Siyasi Olaylar, İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi, S. 26, İstanbul, 1972.
12. Kahraman, S.A., Sicil-i Osmanî, İstanbul: Tarih Vakfı Yurt Yayınları, 1996.
13. Koçak, Z., 1787-1792 Osmanlı Rus Savaşında Değişen Dengeler ve Yaş Antlaşması, Tarih İncelemeleri Dergisi, C. 32, S. 2, İzmir, 2017.
14. Kuzucu, S., 1787-1792 Osmanlı-Rus Savaşı, Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Doktora Tezi, Elazığ, 2012.
15. Nusel E., 1787-1792 Osmanlı-Rus Savaşı'nda Kafkas Hanlıklarının Faaliyetleri, Trakya Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, Edirne, 2015.
16. Temizkan A., Osmanlı Devleti ile Rus Çarlığı Arasında İmam Mansur, Sufi Araştırmaları, C.4., 2013.
17. Türker Özgür, Abdolvahid Soofizadeh, Gürcistan'ın Rus Himayesine Girmesi ve Sonuçları: Georgiyevsk Antlaşması'ndan Ağa Muhammed Han'ın Tiflis Seferi'ne", History Studies, V.7, 2015.
18. Uzunçarşılı, İ.H., Osmanlı Tarihi, Ankara: TTK, C. 6, 1988.
19. Allen, W.E.D., A History of the Georgian People, London, 1971.
20. Baddeley, J., The Russian Conquest of theCaucasus, 1908.
21. Braudel, F., Maddi Uygurlik Ekonomi ve Kapitalizm XV-XVIII. Yüzyıllar, Çev: Mehmet Ali Kılıçbay, C.I-III, Ankara, 1993.
22. Gvosdev, N. K., mperialPoliciesandPerspectivesTowards Georgia, 1760- 1819, Macmillian, Oxford, 2000.
23. Spencer, C. E., Turkey, Russia, the Black Sea, and Circassia, G. Routledge, London, 1854.

## რელიგია

### გამოწვევები და პრობლემები

#### მიხეილ მახარაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი** - სტატია სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ეხება ყურანის თანამედროვე ქართულ თარგმანებს. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ავტორი მეორე ავტორს ადანაშაულებს პლაგიატში.

მეორე ნაწილში განხილულია წიგნის ინგლისელი ავტორის მიერ ქართული თარგმანების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებშიც გადმოცემულია მუჰამედ წინასწარმეტყველის ცხოვრება და საქმიანობა და მისი ხელმეორედ გამოქვეყნების მიზანშეწონილობა.

მესამე ნაწილი ეძღვნება პოპულარულ მოძრაობას "მუსულმანი და ქრისტიანი ძმების საქართველოს ერთიანობის დასაცავად".

**საკვანძო სიტყვები:** რელიგია, ყურანი, მუსლიმანი, ქრისტიანი, საქართველო

დღევანდელი მსოფლიო მრავალმხვრივი და სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოში, როგორც მსოფლიოს შემადგენელ ნაწილში, ბუნებრივია, ეს გამოწვევები სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა მხრივ და თავისებურად მჟღავნდება. რაც მთავარია, ეს გამოწვევები ყურადღება მისაქცევია, მით უმეტეს, როცა ისინი, არც თუ იშვიათად, საფრთხეებსაც შეიცავს.

- გამოწვევაა, როცა „ყურანის“ ქართულად მთარგმნელთაგან ერთ-ერთს პლაგიატში ამხელენ, ის კი ამას არად დაგიდევს და თავს იწონებს იმით, რომ „ყურანის“ ყველაზე თანამედროვე და სრული ქართული თარგმანი წაკითხულიც კი არა აქვს, რადგანაც ის ... არამუსლიმის თარგმნილია;

- გამოწვევაა ისიც, რომ წინასწარმეტყველ მუჰამადზე უცხო ენიდან თარგმნილ წიგნს მეორედ ისე გამოსცემს ინკოგნიტო გამომცემელი, რომ მასში არც მთარგმნელია მითითებული, არც გამომცემლობა, არც გამომცემის ადგილი და არც გამომცემის წელი.

- ასევე გამოწვევაა, როცა ფუძნდება რაღაც გაუგებარი სახალხო მოძრაობა, რომელიც დიდი ხანია ძალადაკარგულ და ანაქრონიზმად ქცეულ ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მუსლიმთა ძმობას ქადაგებს, გამოსცემს უსახურ გაზეთს ჩვენი რეალობისთვის დაუჯერებელი 30 ათასიანი ტირაჟით.

ახლა უფრო დაწვრილებით და თანმიმდევრობით ამ გამოწვევებზე.

1. საქართველოში აღიარებული არაბისტიკის სკოლის მიუხედავად, ბოლო დრომდე არ გვქონდა მუსლიმთა წმიდა წიგნის - „ყურანის“ ქართული თარგმანი ორიგინალიდან. შეიძლება ნაწილობრივ ამის მიზეზი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური წნეხი და ათეისტური მსოფლმხედველობა იყო, მაგრამ ყველაფერს ამას ვერ დავაბრალებთ.

ასევე არ გაგვაჩნია საფუძვლიანი გამოკვლევები ისლამის ფილოსოფიასა და მუსლიმურ რენესანსზე. მაშინ როცა, ჩვენ დიდი ფილოსოფიური ტრადიციები გვაქვს

და აღმოსავლური რენესანსის თეორიაც, რომლის ბირთვსაც ქართული რენესანსი წარმოადგენს, საქართველოში შეიქმნა. მუსლიმურ რენესანსთან ქართული რენესანსის პარალელები კი, ბევრ ახალსა და საინტერესოს მოგვცემდა...

1906 წელს პირველად ქართულ ენაზე გამოქვეყნდა „ყურანი“, რომელიც ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილმა პედაგოგმა, პუბლიცისტმა და მთარგმნელმა **პეტრე მირიანაშვილმა /1860-1949/**. ამის შემდეგ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ამ თემას საქართველოში სერიოზულად არავინ მიბრუნებია. ზუსტად 100 წლის შემდეგ ყინული დაიძრა - 2006 წელს გამოიცა აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგიის დოქტორის **გიორგი ლობჯანიძის** მიერ ორიგინალიდან - არაბული ენიდან თარგმნილი „ყურანი“. თარგმანის ავტორი საქართველოში დაჯილდოვდა „საბას“, ხოლო ირანში სახელმწიფო პრემიით - „წლის წიგნი“ - ყურანისტიკაში უცხოეთში გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომისთვის. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტია და უდავოდ მეტყველებს თარგმანის მაღალ დონესა და აღიარებაზე. ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში „ურანის“ სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ქართული თარგმანი დაიბეჭდა. მათ შორის არის ფერეიდანელი ქართველის - იმამ ყული ბათავანის შესრულებული თარგმანი.

„ყურანის“ თარგმნა ვერ დაასრულა ცნობილმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკად. **აპოლონ სილაგაძემ /1942-2017/**. მან თარგმნა და საყურადღებო კომენტარებით გამოაქვეყნა „ყურანის“ 14 სურა 4 წიგნად /2009/, რაც მოცულობით წმიდა წიგნის ერთ მესამედზე ცოტათი მეტია.

წერილში, ძირითადად, განსჯის საგანი იქნება 2016 წელს სტამბოლში გამოცემული **რეზო მიქელაძის** თარგმნილი „ყურანი“ (პირველად გამოიცა 2012 წელს). საქმე ის

არის, რომ სწორედ ამ თარგმანის ირგვლივ ატყდა ხმაური პლაგიატობის მიზეზით, თუმცა საკითხი დღესაც გაურკვეველია. არადა, საქმე სიწმინდეებს ეხება. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს სამუფტო /უფრო გასაგებად: აჭარის სამუფტო/, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ყურანის“ სწორედ რ. მიქელაძისეულ თარგმანს ანიჭებს პრიორიტეტს, სხვა ქართულ თარგმანებს არ აღიარებს და თავის მრევლს მოუწოდებს „ყურანის“ მხოლოდ ამ თარგმანით ისარგებლოს.

მე ვერ განვსჯი „ყურანის“ რომელიმე ქართული თარგმანის ავტორიანობასა და ხარისხს, ეს აღემატება ჩემს კომპეტენციას. კონკრეტულ შემთხვევაში განვიხილავ საკითხის ტექნიკური მხარეს, რაც ასევე მნიშვნელოვანია და, აგრეთვე, პლაგიატობის თემას. ამ უკანასკნელის უყურადღებოდ დატოვება, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

დავიწყოთ ტექნიკური მხარით. „ყურანის“ თარგმნასა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი რ. მიქელაძის მიდგომებში ჩემი ყურადღება მიიქცია რამდენიმე მომენტმა, კერძოდ:

1. რ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ „ყურანის“ არაბულიდან ქართულ ენაზე თარგმანისთვის **წელიწადი და სამი თვე დასჭირდა** და დღეში დაახლოებით 18 საათს მუშაობდა. მისივე აღნიშვნით, ისლამთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულად, ფაქტობრივად ახლა იქმნება

(<http://www.tspress.ge/ka/site/articles/12078>).

კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ რ. მიქელაძეს ერთი წელი და სამი თვე, რაც მას „ყურანის“ თარგმანისთვის მოუნდომებია, დიდ დროდ მიაჩნია. სწორედ ეს აზრი აჩენს ეჭვს, რადგანაც ყოვლად წარმოუდგენელია დროის ამ მონაკვეთში „ყურანის“ კვალიფიციური თარგმნა. ისეთმა დიდმა

არაბისტმა და ისლამმცოდნემ, როგორც იყო აკად. იგნატი კრაჩკოვსკი /1883-1951/, მთელი ცხოვრება მიუძღვნა „ყურანის“ თარგმნასა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა-გამოკვლევებს. უშუალოდ „ყურანის“ ტექსტის თარგმნას კი, 9 წელი /1921-1930 წწ./ მოანდომა. ამის მიუხედავად, იგი მიიჩნევდა, რომ თარგმანი არ იყო სრულყოფილი და სწორედ ამიტომაც მისი თარგმნილი „ყურანი“ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, იგი გამოიცა კრაჩკოვსკის გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ, 1963 წელს.

თუკი რ. მიქელაძე გაეცნობა შესაბამის ლიტერატურას, დარწმუნდება იმაში, თუ რა კოლოსალური შრომა გასწია ი. კრაჩკოვსკიმ „ყურანის“ რუსულად თარგმნისთვის. ეს შრომა მხოლოდ „ყურანის“ ტექსტს კი არ გულისხმობდა, არამედ მოიცავდა არაბეთის ისტორიას, კულტურას, არაბეთში ისლამმდელ არსებულ რელიგიებს და თემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. სხვანაირად მსოფლიო კულტურის ისეთი საგანძურის, როგორც არის „ყურანი“, ადეკვატური და სრულყოფილი თარგმნა შეუძლებელია /*Коран 1990: 3-24, 723-737*/.

აკად. აპოლონ სილაგაძე ორიგინალიდან „ყურანის“ თარგმანზე 10 წელზე მეტ ხანს მუშაობდა და ამ ხნის განმავლობაში „ყურანის“ მხოლოდ ერთ მესამედზე ცოტა მეტის თარგმნა მოასწრო. ორიგინალიდან „ყურანის“ პირველ სრულ ქართულ თარგმანს კი გ. ლობჯანიძემ 12 წელი მოანდომა.

რ. მიქელაძის აღნიშვნით, „ისლამთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულად, ფაქტობრივად ახლა იქმნება“. ეს რას ნიშნავს? განა 1999 წელს ქართულ ენაზე გამოცემული - „ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი“, რომლის ავტორებიც არიან აღიარებული ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები /კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა

ჯაფარიძე (ხელმძღვანელი)/, ისლამთან მომართებით ქართულ ტერმინოლოგიას არ ამკვიდრებდა? ამასთან, რ. მიქელაძისგან განსხვავებით, აღნიშნულ ავტორებს არაბული ენის კურსები კი არა აქვთ გავლილი, არამედ დამთავრებული აქვთ სპეციალური ფაკულტეტები და სამეცნიერო ხარისხებიც ამ სფეროში აქვთ დაცული.

2. ასევე ეჭვს ბადებს რ. მიქელაძის შემდეგი აღნიშვნა: „თარგმანში არ გვხვდება უცხო სიტყვები და სხვადასხვა ცნებების გადმოსაცემად აქტიურადაა გამოყენებული ძველი და ახალი ქართული ენის ლიტერატურული და სამეცნიერო წერილობითი ნაშრომები“

(<http://www.tspress.ge/ka/site/articles/12078>).

საქმე ის არის, რომ, როგორც რ. მიქელაძის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, ის ხულოს რაიონში სკოლის დამთავრებისთანავე თურქეთში წასულა სასწავლებლად, დაუმთავრებია სტამბოლის მარმარას უნივერსიტეტი. შემდეგ ეგვიპტეში გაუვლია არაბული ენის კურსი და დაბრუნებულა სამშობლოში. ამჟამად მუშაობს აჭარის სამუფტოში და განაგებს განათლების განყოფილებას. ბუნებრივად ჩნდება კითხვა - აჭარის სამუფტოს მხრიდან „ყურანის“ რ. მიქელაძისეული თარგმანისადმი პრიორიტეტის მინიჭება მისი თანამდებობრივი მდგომარეობითაც ხომ არ არის განპირობებული?

ამასთან, და ეს მთავარია, რ. მიქელაძის ბიოგრაფიიდან არ ჩანს, რომ მას რაიმე ურთიერთობა ჰქონდა რომელიმე ქართულ უნივერსიტეტთან. ბუნებრივია ჩნდება კითხვა - მაშინ საიდან ძველ და ახალ ქართულ ენასთან დაკავშირებული ურთულესი საკითხების ცოდნა? არადა, მსგავსი ამბიციების ავტორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი რომელიმე წამყვანი ქართული უნივერსიტეტის ან სამეცნიერო ცენტრის ქართული ფილოლოგიის სკოლა.



3. რ. მიქელაძის მიდგომებში ყველაზე გაუგებარი და მძიმეა მისი მხრიდან აპელირება ქართველ მთარგმნელთა - პ. მირიანაშვილისა და გ. ლობჯანიძის **არამუსლიმობაზე**. ამის საფუძველზე კი, ის ხაზგასმით და კატეგორიულად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ლაპარაკობს მათ თარგმანებში არსებულ უტყუარ შეცდომებზე. ამასთან, როგორც იგი აღნიშნავს, მას არ წაუკითხავს და არც წაიკითხავს /?!/ გ. ლობჯანიძის თარგმანს, თუმცა ყველა გვერდზე იპოვის შეცდომას. აქ რაღა კომენტარი უნდა გააკეთო! თუმცა, თუკი მუსლიმობას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს „ყურანის“ თარგმნისას, მაშინ რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ ისეთმა ისლამურმა ქვეყანამ, როგორც არის ირანი, არამუსლიმი გ. ლობჯანიძე „ყურანის“ ქართულად თარგმნისთვის სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვა?

როდესაც გ. ლობჯანიძის მიმართ რ. მიქელაძის აგდებულ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გავეცანი, სპეციალურად მივუბრუნდი „ყურანის“ ლობჯანიძისულ თარგმანს, უშუალოდ მთარგმნელის შესავალსა და განმარტებანს /**ყურანი 2008: 5-104, 373-668**/. ამ მასალის საფუძველიანი გაცნობის შემდეგ განციფრებული დავრჩი. „ყურანის“ თარგმნის გარდა, რა მოცულობის კვლევები ჩაუტარებია ავტორს. შესავალში მოცემულია მუჰამადის ცხოვრება და მოღვაწეობა, „ყურანის“ ისტორია და ეგზეგეტიკა, წმინდა წიგნის შესწავლის, თარგმნისა და კომენტარების ევროპული ტრადიცია, „ყურანი“ საქართველოში. ამ მასალას ფართო ფორმატიანი წიგნის 100 გვერდი უკავია. მრავალმხრივ და ღრმასაფუძვლიან განმარტებებს კი ამაზე თითქმის სამჯერ მეტია - 295 გვერდი.

გამოყენებულ ლიტერატურას არ იკითხავთ? ამ ტიტანური შრომისთვის გ.

ლობჯანიძეს გამოყენებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები არაბულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, სპარსულ ფრანგულ და ქართულ ენებზე.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ გ. ლობჯანიძე პირველი ქართველი მთარგმნელი აღმოსავლეთმცოდნეა, ვინც „ყურანი“ სრულად თარგმნა ორიგინალიდან და დაურთო 400 გვერდიანი გამოკვლევა. მასვე, ქართველ ავტორთაგან პირველს, ეკუთვნის ვრცელი, 320 გვერდიანი მონოგრაფია - „მუჰამადის ცხოვრება“ /ლობჯანიძე 2008/. **ამის არ დანახვა და არ დაფასება, მით უმეტეს ქართველი მუსლიმის მხრიდან, უბრალოდ გაუგებარია, მეტიც - მკრეხელობა!**

ამასთან, გ. ლობჯანიძე არა მხოლოდ სწავლული აღმოსავლეთმცოდნე და მთარგმნელია, არამედ პოეტიცაა და ამიტომაც იკითხება თავისუფლად და ლაღად მისი თარგმანი და კვლევები.

ყოველივე ამის შემდეგ ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს და არაფრად ჩააგდო ეს, ჩვენი კულტურისა და თუნდაც ქართველი მუსლიმებისთვის გაწეული ფასდაუდებელი შრომა. მეტსაც ვიტყვი: ყველა წიგნიერმა ქართველმა მუსლიმმა უნდა წაიკითხოს გ. ლობჯანიძის თარგმნილი „ყურანის“ ვრცელი შესავალი და კიდევ უფრო ვრცელი განმარტებანი, მონოგრაფია მუჰამადის ცხოვრებაზე, რაც მათ სრულ წარმოდგენას შეუქმნის წინასწრმეტყველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, „ყურანზე“, მის ისტორიასა და ინტერპრეტაციებზე, საქართველოში „ყურანის“ გავრცელების პერიპეტებზე და სხვ.

რ. მიქელაძემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ვინც მსგავს საპასუხისმგებლო საქმეს მოკიდებს ხელს, მას წინ უნდა ედოს „ყურანის“ მისთვის ხელმისაწვდომ ენებზე შესრულებული ყველა თარგმანი, ადარებდეს მათ დედანთან და ა. შ. მთარგმნელს თავი მოგქონდეს მშობლიურ ენაზე არსებული

შენთვის საინტერესო „ყურანის“ ტექსტის არ წაკითხვით, რა არის და რა ჰქვია ამას?

რ. მიქელადის ლოგიკას თუ გავყვებით საერთოდ მხედველობაში არ უნდა მივიღოთ „ყურანის“ სხვა ენებზე თარგმანები, რადგანაც მთარგმნელები არამუსლიმები არიან. სხვა თუ არაფერი, „ყურანის“ ერთ-ერთი უბადლო მთარგმნელი, აკად. ი. კრაჩკოვსკი არა მხოლოდ არამუსლიმი, არამედ რუსეთის საიმპერატორო **მართლმადიდებლური პალესტინური საზოგადოების წევრიც იყო.**

სხვათა შორის, ამავე საზოგადოების წევრი იყო გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე/არაბისტი, თურქოლოგი, ისლამმცოდნე/, პირველი რუსული „ისლამის ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი ავტორი - **აკად. ვასილი ზარტოლდი /1869-1930/.**

4. ასევე გაუგებრობას იწვევს რ. მიქელიძისეული „ყურანის“ თარგმანის 2016 წლის გამოცემის კომპოზიცია, სადაც ქართული ენის, დამწერლობის საწინააღმდეგოდ „ყურანის“ ტექსტის მისეული 2016 წლის გამოცემა იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. გადავამოწმე ზოგიერთ ევროპულ ენაზე თარგმნილი „ყურანის“ ტექსტები და მსგავსი ვერაფერი ვნახე!

მართალია „ყურანის“ რ. მიქელადისეულ თარგმანსა და გამოცემაში არაბული და ქართული ტექსტები პარალელურად არის მოცემული, მაგრამ ეს ვერაფერი გამართლებს. თუკი ამას რაღაც მოსაზრებით აკეთებ, ვალდებული ხარ ამის თაობაზე გააკეთო შესაბამისი განმარტება. სხვა მხრივ ეს არის ჩვენი ენის, კულტურის და ტრადიციის იგნორირება და უპატივისცემლობა, მეტიც - შეურაცხყოფა.

თუმცა, რ. მიქელადე „ყურანის“ აღნიშნულ კომპოზიციაში ბოლომდე თანმიმდევრული არ არის, კერძოდ: ტექსტში ყურანის სურები იკითხება ქართული ენის მიხედვით - მარცხნიდან მარჯვნივ და, როცა ერთ სურას ჩაიკითხავ, მომდევნო სურის წასაკითხად

უკან უნდა დაბრუნდე. ამის გარდა, შესავალი წერილი - „მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით“ დართულია ტექსტის ბოლოში, რაც ქართული ენის მიხედვით არის დასაწყისი. ეს შეუსაბამობები ქართული ენის ტრადიციებზე აღზრდილ მკითხველს, უბრალოდ დააბნევს.

რაც შეეხება პლაგიატობას, ჯიშმერ რეზიანაშვილი რადიო თავისუფლების ინფორმაციაში /24.06.2016/ გადმოსცემს „ყურანის“ ქართული თარგმანებზე ატეხილი ხმაურის პერიპეტიებს. ამ ინფორმაციის ერთი მთავარი ნაწილი სწორედ რ. მიქელადის თარგმანს ეხება.

ამ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ გ. ლობჯანიძე მის მიერ თარგმნილი „ყურანის“ „გამარცვაში“ ამხელს რ. მიქელადეს. მას მხედველობაში აქვს 2012 წელს გამოცემული რ. მიქელადის თარგმნილი „ყურანი“, სადაც ლობჯანიძის აღნიშვნით, უხვად არის გადატანილი მასალა მისი თარგმანიდან.

გ. ლობჯანიძე ძალიან მკაცრად აფასებს ამ მოვლენას: რ. მიქელადის თარგმანში „მატრიცად, ყალიბად აღებულია ჩემი თარგმანი, სხვა ქართული თარგმანები, რაც არსებობს: მირიანაშვილის, ასი წლის წინათ გამოცემული და ქართული ენის თვალსაზრისით შესანიშნავი თარგმანი, ჩემი თარგმანი, აპოლონ სილაგაძის თარგმნილი (იქამდე, სადამდეც თარგმნილია) - ესენია აღებული, შეერთებულია ერთმანეთთან რაღაც გაუგებარი პრინციპით, გაფუჭებულია ტექსტის მთლიანობა, რადგანაც, როცა ერთი კაცი თარგმნის ყურანს, მან იცის როგორ დაარეგულიროს რიტმი, როგორ გამართოს ტექსტი ისე, რომ იყოს უნიფიცირებული, როგორ მისცეს მას აკადემიური სახე და როდესაც შენ იღებ რაღაც ნაწილს ერთი თარგმანიდან და რაღაც ნაწილს მეორედან, აფუჭებ ყველაფერს, საერთოდ. ამ თარგმანის მიხედვით იოლად შეიძლება დაასკვნა, რომ

მთარგმნელმა არ იცის არაბული და, რაც მთავარია, არ იცის ქართული! თუ რამე შეიცვალა ჩვენი თარგმანიდან, დაახლოებით, ასეთი სახით ... არ გეგონოთ, ვაზვიადებ. დაახლოებით, არის ასეთი ცვლილებები: „მამა მევიდა, დედამ წევიდა“ (<https://www.radiotavisufleba.gea/kuranit-sasamartloshi/27817627.html>).

საბოლოო შეფასების გაკეთებამდე, აუცილებლად უნდა ითქვას: რ. მიქელაძის თარგმანთან მიმართებით კუთხურ (აჭარულ) „მევიდა“, „წევიდაზე“ აქცენტის გაკეთების ნაცვლად, აჯობებდა გ. ლობჯანიძეს კონკრეტული მაგალითები მოეტანა რ. მიქელაძის მხრიდან მისი თარგმანის დამახინჯებაზე.

როგორც ვნახეთ გ. ლობჯანიძე რ. მიქელაძეს პლაგიატობაში ამხელს და, ამასთან, აღნიშნავს, რომ მან /რ. მიქელაძემ/ არა თუ არაბული, არამედ ქართული ენაც არ იცის.

ამ უმკაცრეს შეფასებას პასუხი სჭირდება და არა რ. მიქელაძის მხრიდან თვითდამშვიდება და ასეთი აბსურდული პასუხი: „[...] არ მაინტერესებს ბატონი გიორგი და სხვა მეცნიერები რას ფიქრობენ ჩემს მიერ **გაკეთებულ** /?!/ ყურანზე. არ მაინტერესებს წაიკითხავენ თუ არა ან უნივერსიტეტში შეიტანენ თუ არა. **ეს ქართველი მუსლიმებისთვის გაკეთდა** იმიტომ, რომ ქართველ მუსლიმებს ყოველთვის ჰქონდათ ექვი იმასთან მიმართებაში, რაც გააკეთეს არამუსლიმებმა [...]“ (<https://www.radiotavisufleba.gea/kuranit-sasamartloshi/27817627.html>) /ხაზგასმა ჩემი-მ.მ./.

არ ვიცი რა პასუხი უნდა გაეცეს ამ გაუგებარ და წინააღმდეგობებით სავსე ფრაზას. ან რას ნიშნავს - „**ეს ქართველი მუსლიმებისთვის გაკეთდა**“?

**ჯერ ერთი**, როცა წიგნი დაიბეჭდება ის უკვე მკითხველის კუთვნილებაა ეროვნების, რელიგიურობისა თუ სქესის მიუხედავად.

**მეორე:** განა ისეთი რა დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველ მუსლიმებს, რომ მიუსაჯო „ყურანის“ იმ თარგმანით სარგებლობა, რომლის ავტორიც სულ მცირე პლაგიატობაშია შემჩნეული.

რ. მიქელაძე, როცა ამბობს „რა გააკეთეს არამუსლიმებმაო“, იქნებ იმაზე გვიპასუხოს თუ როგორ იბრძოდნენ აჭარისთვის კრიტიკულ დროს არამუსლიმები - ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი და სხვები თავისი მუსლიმი თანამოძმეების დასახმარებლად. შეიძლება ასე ჰაიჰარად უპასუხისმგებლო და მავნე განცხადების გაკეთება?

„ყურანი“ უდიდესი სიწმინდეა, ის მსოფლიო კულტურის მონაპოვარია და შეიძლება ასეთი აბსურდული განცხადება, რომ მისი /რ. მიქელაძის/ „ყურანის“ თარგმანი მხოლოდ ქართველი მუსლიმებისთვისაა განკუთვნილი. იქნებ ღრმად მორწმუნე ქრისტიან **ვლადიმერ სოლოვიოვს /1853-1900/** არ უნდა დაეწერა წიგნი წინასწარმეტყველ მუჰამადზე? არადა, 122 წელი გავიდა ამ წიგნის გამოცემიდან და დღესაც სანიმუშოდ ითვლება იგი.

განსახილველ თემასთან მიმართებით საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის თეონა სუხიაშვილის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევები. მას საგანგებოდ შეუსწავლია ეს თემა და მისულა შემდეგ დასკვნამდე, რომ რ. მიქელაძის თარგმნილ „ყურანში“ „**პლაგიატი არის მრავლად როგორც პეტრე მირიანაშვილის თარგმანიდან, ასევე გიორგი ლობჯანიძისა და აპოლონ სილაგაძის თარგმანებიდან. გიორგი ლობჯანიძის თარგმანებიდან აღებულია ყველაზე მეტი, რადგანაც სრულად აქვს თარგმნილი.**

მირიანაშვილის, ეტყობა დაიწუნა რაღაც მიზეზების გამო. მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი და აია აქვს აღებული. ბატონი აპოლონისგან აღებული აქვს წყობა, თარგმანის სტილი. გარდა ამისა, აიები არის გადმოწერილი ხან პერიფრაზულად, ხანაც სიტყვასიტყვით. ხშირია, როცა ბატონი გიორგის თარგმანში აქვს შეცვლილი რაღაც სიტყვები, თუმცა სტილი იგივე აქვს, მაგრამ სიტყვების შეცვლის გამო, არეული აქვს აზრი“

(<https://www.radiotavisufleba.ge/kuranit-sasamartloshi/27817627.html>).

სანიმუშოდ თ. სუხიაშვილს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს თავისი აზრის დასადასტურებლად. თ. სუხიაშვილს შემდეგაც გაუგრძელებია კვლევები ამ მიმართებით, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რატომღაც ის არ გამოუქვეყნებია.

როგორც ვნახეთ გ. ლობჯანიძე და თ. სუხიაშვილი რ. მიქელაძეს პლაგიატორობაში ამხელენ. რ. მიქელაძის მხრიდან პლაგიატის უბრალო უარყოფა საკმარისი არ არის, ამაზე საჭიროა დასაბუთებული პასუხი. სხვა შემთხვევაში პლაგიატის ფაქტი ეჭვგარეშე იქნება. პლაგიატორობა კი, მოგეხსენებათ, გარკვეულ სანქციებს ითვალისწინებს.

**ცნობისთვის:** დღეისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში თვით სტუდენტებისთვის დაწესებულია მკაცრი კონტროლი პლაგიატთან მიმართებით და აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება სტატუსიც კი შეუჩერდეს.

ერთი შეხედვით ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. ჯ. რეხვიაშვილის ინფორმაციის სათაურია - **ყურანით სასამართლოში?** სწორედ ამ ინფორმაციიდან ვგებულობთ, რომ გ. ლობჯანიძე გამოთქვამს ვარაუდს დავის სასამართლოში შესაძლო

გაგრძელებაზე, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა.

გ. ლობჯანიძე არ არის მართალი, როცა ეს საქმე შუა გზაზე მიატოვა. თუ ის სასამართლოში არ იჩივლებდა, კრიტიკული სტატია მაინც უნდა გამოექვეყნებინა რომელიმე სამეცნიერო ჟურნალში ან გაზეთში. როცა ეს არ კეთდება, სწორედ ამიტომაც საეჭვო თარგმანი მიჩნეულია სანიმუშოდ, ხოლო მის მთარგმნელს თავი მოაქვს, როგორც შედეგის ავტორს.

არადა, გავიმეორებ გ. ლობჯანიძის სიტყვებს: **ეს ხომ ყურანია!**

2. შემდეგი საკითხი „ყურანს“ არ ეხება, თუმცა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ბმაშია იმ გაუგებარ და უპასუხისმგებლო ვითარებასთან, რაზედაც გვქონდა საუბარი. საქმე ეხება წინასწარმეტყველ მუჰამადის ცხოვრებაზე **მარტინ ლინგის** ნაშრომს - „ცხოვრება მუჰამადისა“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა მარიამ ნანობაშვილმა და გამოიცა სტამბოლში 2008 წელს.

გამოცემის რედაქტორი და შესავალი წერილის - „ალლაჰის მოციქული“ /გვ. 3-10/ ავტორია აპოლონ სილაგაძე. თარგმანი გამოუცია თურქეთის რესპუბლიკის დიანეთის ფონდს.

აი ეს, ახლა აღნიშნული გამოცემა ხელმეორედ გამოსცა **საქართველო-თურქეთის მეგობრობის ასოციაციამ** და იგი ძირითადად გავრცელდა აჭარაში. ამ ორი გამოცემის უბრალო შედარებითაც ცხადი ხდება, რომ მეორე პირველის ასლია. მაგრამ მეორე გამოცემა ერთობ „ორიგინალურია“: გამოცემას არავითარი რეკვიზიტი არ გააჩნია: არ არის აღნიშნული თუ სად გამოიცა ეს წიგნი, არ აწერია გამოცემის წელი ... რაც მთავარია სრულიად იგნორირებულია მთარგმნელი, რედაქტორი ვიღაც ახსოვს.

მარტინ ლინგის მუჰამადის ბიოგრაფიის თარგმანის ინკოგნიტო გამოცემაში დამატებულია რაღაც შენიშვნების მაგვარი, რაც დასათაურებელია სრულიად გაუგებარი „სიტყვით“ - **ოტნოტეს**, ხოლო სარჩევი დასათაურებულია ასევე გაუგებარი - **ჩონტენტს**-ით.

ინკოგნიტო გამოცემაში წიგნის სათაურია, როგორც ეს მ. ნანობაშვილის თარგმანშია - „ცხოვრება მუჰამადისა“. მაგრამ შიდა გვერდზე წიგნის დედნისეული სახელწოდება ასეა შეცვლილი - „მუჰამედის ცხოვრება“.

მ. ნანობაშვილის თარგმანში სარჩევის პირველი თემა - ალლაჰის სახლი, **ჩონტენტს**-ში დასათაურებელია, როგორც - ღვთია სახლი. ეს არის და ეს.

მ. ნანობაშვილის თარგმანს თან ახლავს შეცდომების გასწორების ფურცელი, რაც არ გვხდება ინკოგნიტურ გამოცემაში. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ მეორედ გამოცემის მესვეურებმა შეცდომები გაასწორეს და რაში იყო საჭირო შეცდომების გასწორების ფურცელი. სწორედ ეს არის პარადოქსი, ამ ინკოგნიტო გამოცემაში დედნის ტექსტში არსებული შეცდომებიც კი არ არის გასწორებული.

მოკლედ, აქაც პლაგიატთან გვაქვს საქმე. ამასთან, ეს ისე ურცხვად არის გაკეთებული, რომ გამომცემლებს საერთოდ იგნორირებული ჰყავთ მკითხველი. გამოცემის მესვეურნი იმდენად შორს არიან წასული, რომ არც იმაზე უფიქრიათ, რომ მკითხველთა ერთ ნაწილს ხომ შეიძლება სცოდნოდა მ. ნანობაშვილის თარგმანი.

**3.** კიდევ ერთი საკითხი, რაც ასევე გამოწვევად მიმაჩნია და მისი უყურადღებოდ დატოვება შეცდომა იქნებოდა. მხედველობაში მაქვს ამ ორი წლის წინათ ბათუმში დაფუძნებული საერთო-სახალხო მოძრაობა - „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების საქართველოს ერთიანობის დასაცავად“.

მოძრაობას გააჩნია საკუთარი ბეჭდვითი ორგანო - „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების მაცნე“.

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ ყურადღება მივაქციოთ მოძრაობისა და გაზეთის დასახელებას. ორივე შემთხვევაში ჯერ ნახსენებია მუსლიმანი და შემდეგ ქრისტიანი ძმები. რა თქმა უნდა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იგულისხმება მუსლიმი და ქრისტიანი ქართველები. გაზეთის მე-4 ნომრის პირველ გვერდზე კი ერთ რიგში ჯერ ბათუმის მეჩეთის ფოტოა მოთავსებული, ხოლო მის შემდეგ ბათუმის მართლმადიდებლური საკათედრო ტაძრის.

არავისთვის არ არის დასამალი, რომ ქრისტიანობა ქართველი ხალხისთვის არა მხოლოდ რელიგიაა, არამედ იდეოლოგია და მსოფლმხედველობაცაა, ქართული სულიერების ხერხემალია. საქართველოსთან მიმართებით ამას ხომ ვერ ვიტყვით ისლამზე.

ისლამი მსოფლიო რელიგია და უდიდესი მნიშვნელობის სულიერი მოვლენაა, მას მილიარდზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ამასთან, ისლამი ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის აღმსარებლობაა და მას პატივი უნდა ვცეთ. ეს ასეც არის, მით უმეტეს, დამოუკიდებელ საქართველოში. მაგრამ საქართველოსთან მიმართებით ქრისტიანობისა და ისლამის ერთ დონეზე დაყენება ისტორიულად უსაფუძვლოა და არც გამოვა. ამიტომაც, თუკი ძმობაზეა ლაპარაკი, გვინდა თუ არა, ქრისტიანობით უნდა დავიწყოთ. ასევე უნდა ითქვას მართლმადიდებლური ტაძრისა და მეჩეთის ფოტოების განლაგებაზე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მოძრაობისა და გაზეთის სახელწოდებებში ამ ცნებების ასეთი თანმიმდევრობა არ უნდა იყოს შემთხვევითი და იგი მიზანმიმართულად არის გათვალისწინებული მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაზე.

ახლა მთავარზე. მსგავსი მოძრაობის ჩამოყალიბების შემთხვევაში გაჩნდება კითხვა - თუ რა საფრთხეებმა განაპირობა ასეთი მოძრაობის შექმნა. საქმე ის არის, რომ დღეს მუსლიმი და ქრისტიანი ძმების ერთად ყოფნა საქართველოს ერთიანობის დასაცავად სრული გაუგებრობაა. რა ისეთი საშიშროება დაინახეს მოძრაობის მესვეურებმა, რომ აუცილებელი გახდა მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების ერთად დგომა? რა ისე არ დგანან ერთად?! ან კათოლიკე ქართველები რატომ არ უნდა იყვნენ მათ გვერდით? არის რაიმე ლოგიკა აქ?

არადა, მოძრაობა ფართოვდება, ყალიბდება რაიონული ორგანიზაციები, თუმცა პასუხი მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე კვლავ ბუნდოვანია.

ამგვარი მოძრაობის დაფუძნება გამართლებული იქნებოდა 1878 წლის შემდგომ პერიოდში, როცა აჭარა 300 წლიანი ტყვეობის შემდეგ ახალი დაბრუნებული იყო დედასამშობლო საქართველოს წიაღში. ამ დროს აჭარის მკვიდრნი სხვადასხვა მიზეზების გამო ერთგვარად გაუცხოებულნი იყვნენ და საჭირო იყო დიდი ძალისხმევა ქართულ რეალობაში მათი უმტკივნეულოდ დასაბრუნებლად. მაშინ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების გონივრული პოლიტიკითა და მიზანდასახული საქმიანობით, ეს მიზანი მიღწეული იქნა.

მსგავსი მოძრაობის დაფუძნება ასევე გამართლებული იქნებოდა 1918-1921 წლებში, როცა სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ აჭარა ჩამოეშორებინათ საქართველოსგან. მაშინ მემედ აბაშიძის და მისი თანამებრძოლების კარგად გააზრებული მოქმედებით ეს საფრთხე აცილებული იქნა.

ახლა ამ საკითხის გაცოცხლება, უბრალოდ ანაქრონიზმია. დღეს, როცა ქართველობის თვალსაზრისით წაშლილია ზღვარი ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის, როცა არც თუ იშვიათად აჭარაში ერთი ძმის

ოჯახი მუსლიმურია, მეორესი ქრისტიანული და ეს არავითარ პრობლემას არ ქმნის, რა ძმობაზეა საუბარი? რა თქმა უნდა არსებობს გამონაკლისები - თითო-ოროლა ფანატიკოსი ქრისტიანი თუ ფანატიკოსი მუსლიმი, მაგრამ ესენი გამონაკლისია და საერთო ვითარებზე გავლენას ვერ ახდენს.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით ვიტყვით, რომ მსგავსი მოძრაობა უფრო დაპირისპირებას შეუწყობს ხელს, ვიდრე გაერთიანებას. ამასთან, გაცხადებული ძმობის მიუხედავად, ამ მოვლენამ ღიად თუ ფარულად შეიძლება რელიგიური დაპირისპირების პროვოცირებაც გამოიწვიოს.

პირადად მე მეგონა, რომ ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მუსლიმებს შორის ქართველობის თვალსაზრისით ზღვარი წაშლილი იყო, მაგრამ ამ ახალმა მოძრაობამ ეჭვები გააჩინა და არა მხოლოდ ჩემში. დღეს, როცა რელიგიური აღმსარებლობის სრული თავისუფლებაა, რატომ გაჩნდა ასეთი მოძრაობა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად არ მინდა ვიმარჩილო ან კიდევ შეთქმულების თეორიას მივმართო. უფრო მარტივ გზას ავირჩევ და ვფიქრობ დასმულ კითხვას პირდაპირ თუ არაპირდაპირ სავარაუდო პასუხი გაეცემა.

ავიღოთ მოძრაობის ბეჭდვით ორგანო - „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების მაცნე“. დავიწყოთ გაზეთის ტირაჟით, რაც ჩვენი რეალობისთვის დაუჯერებელი და არნახული ციფრით - 30 ათასით გამოიხატება და ეს ყოვლად მდარე, უგემოვნო პროდუქცია უფასოდ რიგდება, მეტიც კარდაკარ დააქვთ და სახლებისა თუ ბინების შესასვლელ კარებში ტოვებენ.

გაზეთში დაბეჭდილია, რბილად თუ ვიტყვი, სრულიად უცნობი ავტორების წერილები და ინტერვიუები. ამას კიდევ არა უშავს, გაზეთი ერთ ნომერში გვხდება თავის

დროზე მკვდრადმობილი თემის გაცოცხლების მცდელობა, რასაც მეზობელი ქვეყნისადმი ტერიტორიული პრეტენზიების წყენების სუნი ასდის. ერთ უნიჭო ჩანახატში მეზობელი ეთნოსისადმი სიძულვილია ღიად გამოხატული, ხოლო ერთ წერილში გაქილიკებულია „პროდასავლური თავები“ და ა. შ.

რაც მთავარია საქართველოს გაერთიანებისთვის „გულმზურვალე მებრძოლებს“ ერთი სიტყვაც არ წამოცდენიათ ოკუპაციაზე, ბორდერიზაციაზე, ქართველების გატაცებაზე და ა. შ. ამის შემდეგ განა ძნელი გამოსაცნობია თუ საიდან უნდა უბერავდეს ქარი?

საინტერესოა რაიმე რეაქცია თუ ექნება ამ მოძრაობას პუტინის დემაგოგიაზე, რის თანახმადაც დამოუკიდებელმა საქართველომ 1918 წელს აფხაზეთის ანექსია მოახდინა, ხოლო 1920 წელს ოსების გენოციდი მოაწყო. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული სახალხო მოძრაობის განწყობას და პათოსს, ამ მიმართებით მათგან დუმილი გარანტირებული გვაქვს.

ამ გაზეთის ქართული სინამდვილისადმი შეუსაბამო საოცრად დიდი ტირაჟის მიუხედავად, არა მგონია მას სერიოზული მკითხველი ჰყავდეს. სამაგიეროდ, გაზეთის გამოსვლისთანავე იგი აღმოჩნდება შესაბამისი ქვეყნის სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში, რაც ეჭვგარეშეა ახალ თავსატეხს გაუჩენს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჩვენს ქვეყანას.

დიდად სამწუხაროდ, ამ მოძრაობაში გაერთიანებული არიან ან თანაუძნობენ მას ჩვენი საზოგადოების არც თუ ისე უცნობი სახეები, რაც დამაფიქრებელია.

ჩემი კრიტიკული გამოსვლა მიმართულია არა რ. მიქელაძის, არა საქართველო-თურქეთის მეგობრობის ასოციაციის ან სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ იმ სამწუხარო და დასაგმობი ტენდენციის, რაც დამკვიდრდა ჩვენში - აჭარაში, კერძოდ, ბათუმში.

დღეს სრული განუკითხაობაა მუსლიმური ლიტერატურის ქართულად თარგმნასთან მიმართებით. თარგმნის ყველა, ვისაც არ ეზარება, არც საბაზო ცოდნას დაგიდევინ, არც ტრადიციას და არც თარგმნის ჩვევებს. თარგმნიან ყველას და ყველაფერს და სულაც არ ანადვლებთ რამდენად მისაღებია ეს ლიტერატურა ჩვენი კულტურისთვის, ჩვენი ტრადიციისა და ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

ჩვენი რეალობაა, რომ ქართველი ხალხის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმური აღმსარებლობისაა. მათ სჭირდებათ სათანადო მუსლიმური რელიგიური ლიტერატურა ქართულ ენაზე და ეს გასაკეთებელი საქმეა, მაგრამ არა მოყვარულთა და დილეთანტების დონეზე. ამ საკითხის დარეგულირება უნდა შედიოდეს როგორც დასავლეთ საქართველოს სამუფტოს, ისე მორწმუნე მუსლიმების და საერთოდ, ქართული საზოგადოების იმტერესებში.

რაც შეეხება საერთო-სახალხო მოძრაობას - „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“, ყოველი ასეთი გაურკვეველი ორგანიზაცია არაფერში წაადგება ქვეყნის ერთიანობას, პირიქით - არ არის გამორიცხული მან შეიძლება ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხში დაყოფა-დაქსაქსულობის მენტალიტეტის ჩამოყალიბებას.

*RELIGION***CHALLENGES AND PROBLEMS****MIKHEIL MAKHARADZE***Batumi Shota Rustaveli State University*

Religion is free from ideological pressure and censorship in independent Georgia and this is a positive phenomenon. Though a different extremity became evident: low-quality translations are in profusion, plagiarism is not rare, incompetence is flourishing. From this aspect the situation concerning Muslim literature is rather unsatisfactory.

Considering the fact that Georgian Muslims need professionally translated corresponding religious literature, any surrogates should be disapproved and it seems that such is the case regarding the Koran as well as the book by a foreign author dedicated to life and deeds of the prophet Mohammad.

The popular movement “Muslim and Christian Brothers for Defence of the Unity of Georgia” founded in Batumi causes certain surprise, since from the aspect of being Georgians there has been no dividing line between Muslim and Christian Georgians for a long time.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლინგსი 2008. ლინგსი, მარტინ: ცხოვრება მუჰამადისა. ინგლისურიდან თარგმნა მარიამ ნანობაშვილმა. სტამბოლი: თურქეთის რესპუბლიკის დიანეთის ფონდი.
2. ლობჯანიძე 2008. ლობჯანიძე, გიორგი: მუჰამადის ცხოვრება. თბილისი, კავკასიური სახლი.
3. ყურანი 2006. ყურანი. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ. თბილისი: კავკასიური სახლი.
4. ყურანი 2009. ყურანი (I-XIV სურები) 4 წიგნად. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
5. ყურანი 2016. წმინდა წიგნი ყურანი და მისი შინაარსობრივი თარგმანი. მთარგმნელი: რეზო მიქელაძე. სტამბოლი: საქართველო-თურქეთის მეგობრობის ასოციაცია.
6. Коран 1990. Коран. Пер. и коммент. И. Ю. Крачковского. 2-е издание. Баку: Издательство «Яз ычы».
7. <https://www.radiotavisufleba.gea/kuranit-sasamartloshi/27817627.html>
8. <http://www.tspress.ge/ka/site/artcles/12078>



## ბიოლოგიური მეცნიერებები

### ბათუმის ბოტანიკური ბაღის მომავალი მისთვის სამეცნიერო კვლევითი სტატუსით უნდა იყოს განსაზღვრული

#### ვანო კაკუნიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი - წინამდებარე ნაშრომში განხილულია აჭარაში ასი წლის წინათ დაარსებული პირველი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სანახაობრივი დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების - ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ძირითადი შედეგები და პრობლემები განათლების და მეცნიერების სფეროში ნაციონალური ხელისუფლების პერიოდში (2003-2012 წ წ.) განხორციელებული რეფორმების და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შუქზე.

**საკვანძო სიტყვები:** „ქართუ“, ფლორისტული განყოფილება, ბოტანიკური ბაღი, სტატუსი, მერია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკმაოდ ხმაურიანი რეფორმების ფონზე, განსაკუთრებით გამოიკვეთა და დიდი აღიარება წილად ხვდა აჭარაში პირველ და ყველაზე ხნიერ, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას - ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. ბათუმის ბოტანიკური ბაღის შესახებ ბევრი კარგი რამ დაწერილა, ბევრი საქებარი სიტყვა თქმულა და, რაც მთავარია, ღირსეული ჯილდოებიც მიუღია იმ მიღწევათა გამო, რაც ათეული წლების განმავლობაში ბაღის თანამშრომელთა მარჯვენით იქნა შექმნილი როგორც ბაღის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ასევე უცხო მცენარეთა ახალი სახეობებით გამდიდრების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, მომავალი მეცნიერული კადრების მომზადების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, დროს თავისი აუხსნელი ლოგიკა აქვს, - ზოგჯერ მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით გვაკვებს.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობაც, სწორედ, ამ დროის გამოძახილი იყო, რომელმაც თავის დროზე არც ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაინდო - თვეობით გაუცემელი ხელფასი, დაფინანსებების შეწყვეტა, უკიდურესი გაჭირვების წინაშე აყენებდა მსოფლიო მნიშვნელობის ამ უნიკალურ დაწესებულებას. მისი განადგურება-გაუქმება შეუქცევად პროცესად იქცა. ეს პერიოდი მეტად მტკივნეულად აღინიშნა, რადგანაც ჩვენ ვკარგავდით არა მარტო ბოტანიკურ ბაღს, როგორც ერთ-ერთ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სანახაობრივი დანიშნულების დაწესებულებას საქართველოში, არამედ, საუკუნეს მიღწეულ, წარსულის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის მქონე აკადემიურ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ინტელექტუალურ სიმდიდრეს. თითქმის მოისპო როგორც მუშაობის სტიმული, ისე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

ყველაზე ნაღდი და დამაჯერებელი ბაღის ტერიტორიაზე ფეხით სიარულია. თუ ახლოს არ მიხვედი, არ დააკვირდი ბაღის თითოეულ გოჯა მიწას, მის ყოველ ნარგავს, თუ გულით არ აღიქვი, რაც შენს წინამორბედებს უკეთებია, არ შეისწავლე მცენარის ყოველი ფორმა, აგებულება, თუ მისი ზრდისა და განვითარების თავისებურებებზე კვლევები არ ჩაგიტარებია, მცენარეთა იდუმალების სამყაროში არსებული პროცესების სიახლის აღმოჩენის სურვილი და ჟინი არ გამოძრავებს, ვერც საქმეს შეიყვარებ, ვერც იმათ, ვინც აქ საქმეს აკეთებდა და აკეთებს და ვერც კოლექტივს, ენთუზიაზმზე რომ არაფერი ვთქვათ.

ხშირად დიდ და დამაბუღ საქმეს ენთუზიაზმი შობს, მაგრამ დაუფასებელი შრომით ენთუზიაზმი კვდება, ის ნდობით მოიპოვება. იმასაც ნათლად ვხედავდით, რომ მარტო ენთუზიაზმით საქმეს არ ეშველებოდა. ჩვენი თანამშრომლების ოჯახების გაჭირვებიდან დასახსნელად საჭირო იყო მატერიალური რესურსების ძიება. და აი, ძიებამ, ურთიერთობამ, გულწრფელობამ, ენთუზიაზმმა, ბაღის გადარჩენისათვის თანამშრომელთა უანგარო, დაუღალავმა შრომამ ბათუმის ბოტანიკური ბაღი და მისი კოლექტივი, შეიძლება ითქვას, კატასტროფისგან იხსნა. ამაში უდიდესი წვლილი საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიუძღვის, რომლის მატერიალურმა და მორალურმა დახმარებამ ბევრ ჩვენს სამეურნეო მუშაკს ხელში სამუშაო იარაღი, იმედგაცრუებულ მეცნიერს კი საწერ-კალამი ააღებინა და ისინი კოლექტივის ღირსეული წევრები გახადა. სწორედ მატერიალურმა და მორალურმა წახალისებამ აამალა ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა და გამორიცხა თვალთმაქცობის შესაძლებლობა, ბევრ მადაგალვიძებულ მაღალჩინოსანს ააღებინა ხელი ბოტანიკური ბაღის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისებაზე!

უდავოა, რომ საუკუნოვანი ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მრავალი თაობის რუდუნებით შექმნილი ეს მსოფლიო ფლორის ცოცხალი მუზეუმი, ერთ-ერთ მოწინავე და სანიმუშო სამეცნიერო დაწესებულებად შემორჩა ჩვენს ქვეყანას. მისდამი ინტერესი გაიზარდა, იგი ჩვენი ქვეყნის მშვენება და სავიზიტო ბარათია. მაგრამ, მიღწეული არ იძლევა თვითდამშვიდების საშუალებას. იგი, პირველ რიგში, ბაღის მთავარ დანიშნულებას - **სამეცნიერო-კვლევით სტატუსის შენარჩუნება-გაუქმებას ეხება.**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ნაციონალური ხელისუფლების 9-წლიანი მმართველობის პერიოდში (2003-2012 წ.წ.) მოვლენები სულ სხვა, არცთუ სახარბიელო მიმართულებით განვითარდა. შეიძლება ითქვას, ეს პერიოდი ნეგატიურად აისახა ბათუმის ბოტანიკური ბაღის არსებობის ასწლიან ისტორიაში, - სამეცნიერო საქმიანობის ფუნქციები პრაქტიკულად ნულზე დაიყვანეს, დაიკარგა მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტრადიცია - ცოდნის, სამეცნიერო აზრის უწყვეტობის, მემკვიდრეობა და თაობათა ცვლის ჰარმონიულობა.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიმართ ხელისუფლებას მეცნიერებაზე ზრუნვის პოლიტიკური ნება უნდა გამოეჩინა, რათა ზოგიერთ საკანონმდებლო ხარვეზს არ შეწირვოდა ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. პირველ ხანებში გათვალისწინებული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (მათ შორის, ბათუმის ბოტანიკური ბაღი) საბიუჯეტო ორგანიზაციებად დარჩენილიყო. ამასთან, უნდა შენარჩუნებულიყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ, რატომღაც, ისინი ჯერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს, შემდეგ კი, ხელისუფლებამ მიიღო კიდევ უფრო უარესი, გაუმართლებელი გადაწყვეტილება - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უმაღლესი სასწავლებლებისათვის გადაცემის შესახებ და მათ ე.წ. მიმართულებები უწოდეს. ეს უკვე აშკარა ფორმალობა იყო. ამ რეორგანიზაციამ მთლიანად მიწასთან გაასწორა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ტრადიციები, ჩაქრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, შეწყდა მომავალი მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადება. სწორედ ამ რეფორმების გატარებით მთლიანად უფუნქციოდ იქცა იყალთოსა და გელათის აკადემიების მემკვიდრე, მსოფლიო მნიშვნელობის - ქართული მეცნიერებათა აკადემია.

დავუბრუნდეთ ისევ ბათუმის ბოტანიკური ბაღის პრობლემებს: საერთაშორისო მცენარეთა დაცვის საბჭოს სტრატეგიით, მსოფლიოში ბოტანიკური ბაღები განიხილება, როგორც დიდი მასშტაბის დაწესებულებები, რომლებიც ტრადიციული, სარეკრეაციო და საგანმანათლებლო ფუნქციების გარდა, ფართო სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სანახაობრივ ფუნქციებსაც ითავსებენ. ეს კი ნიშნავს, რომ თანამედროვე ბოტანიკური ბაღების არსებობა, საერთაშორისო დონეზე მათი აღიარება და წარმოჩენა წარმოუდგენელია, თუ მათ არ ექნებათ სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ფუნქცია, შესაბამისი სტრუქტურა (მეცნიერ-მუშაკების საშტატო ერთეულები, სამეცნიერო საბჭო და ა.შ.).

ბაღის კეთილდღეობა არსებითად მალალი პასუხისმგებლობის და ფართო განათლების მქონე ხელმძღვანელზეა დამოკიდებული, რომელსაც გაცნობიერებული ექნება ბაღის უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქ-

ვას, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი სისტემის გარეშე ვერ დაიკავებს ღირსეულ ადგილს მსოფლიო ბოტანიკურ ბაღებს შორის.

თუ რამდენად აცნობიერებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელმძღვანელობა ბოტანიკური ბაღების მსოფლიო ინტელექტუალურ სივრცესა და ბაღების მეცნიერულ კვლევებს შორის უფრო ახლო დაკავშირების ხელშეწყობის აუცილებლობას, ამაზე დამაჯერებელ პასუხს, ანალიზს, შეფასებას და დასკვნებს იძლევა წინამდებარე წერილი, სადაც ჩემი ნაფიქრალი და ნააზრევი, ჩემი სიხარული და გულისტკივილია გადმოცემული და ჩვენი თაობის გასაგონადაა ნათქვამი.

დამაფიქრა გენიალური შოთას აფორიზმმა: „ზოგჯერ თქმას სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, მაგრამ მე ბოტანიკურ ბაღში არსებულმა სიტუაციამ ამაღებინა კალამი ხელში, რათა დეტალურად გადმომეცა ნაციონალური ხელისუფლების მიერ აქ არნახული თავხედობით და უტიფრობით გამოწვეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეწყვეტა და ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისების მზაკვრული გეგმა.

მომიტყვეთ, ჩემი გულისტკივილის ასე ხმამაღლა გამოთქმისათვის, მაგრამ ამის მიზეზი ნამდვილად გვაქვს, - სხვა ნიუანსებს თავი რომ დავანებოთ, ნაციონალური ხელისუფლების ზოგიერთმა ნარჩენმა ანტიპოდმა, ამ ახალ პირობებშიც შეცვალა ტაქტიკა და მოქმედების მეთოდი იმისათვის, რათა მოძებნონ პოლიტიკური და თანამდებობრივი თავშესაფარი, ცდილობენ ნაცმოძრაობის სისხლიანი ხელისუფლების მიერ ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საქმიანობის განადგურების საბედისწერო შეცდომები სხვას გადააბრალონ. ახლა ამბობენ: - ამდენი სიბინძურე ჩვენ არ ჩავვიდენია, თქვენი

ბრალიაო! ეს არაკაცები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ იმათ, ვინც თავდაუზოგავად იბრძოდა ბაღში მეცნიერული საქმიანობის შენარჩუნება-გამლიერებისათვის და ტერიტორიის გაყიდვა-გასხვისების ყოველგვარი მცდელობის აღკვეთისათვის.

თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ, როცა მერიისა და სხვა „ნაციონალური მოძრაობის“ სახელმწიფო უწყების მაღალჩინოსნებს ჩვენს აზრს ვუზიარებდით ბათუმის ბოტანიკური ბაღზე მინიჭებული მთავარი სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტის სავალალო შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე, აქეთ გვიტყვდნენ: - თქვენ უპირისპირდებით ხელისუფლებას, რაც თქვენთვის ცუდი შედეგებით დამთავრდებაო. ამასთან, მათ ერთხელ კიდევ მინდა შევახსენო: - დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, გნებავთ ეკონომიკა, იმდენად რთულია, რომ მათი დაუფლების უნარი მხოლოდ ერთ პიროვნებას არ შეუძლია, იგი დემოკრატიულ, მძლავრ საზოგადოებრივ გონებას შესწევს. უნდა იცოდეთ ხალხთან მოთათბირება, რათა მოუფიქრებელ, თვითნებურ გადაწყვეტილებებს არ იღებდეთ. ჰოდა, ეს წერილიც გაფრთხილებისთვის დაიწერა. ერთი წუთითაც ეჭვი არ შემპარვია და ღრმად ვარ დარწმუნებული, ვინც ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერების, კულტურისა და სულიერების ამოძირკვა და ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისება განიზრახა, ადრე თუ გვიან პასუხი მკაცრად მოეკითხებათ. არ ივარგებს, რომ მაღალი თანამდებობის და ერის სამსახურში მყოფ პირთა ფრთებქვეშ შეფარებულ ზოგიერთ უღირს ხელმძღვანელს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნების საშუალება მივცეთ. „დაუსჯელობა დანაშაულის უდიდესი წახალისებაა“ - ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე უთქვამს ციცერონს.

ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი ედმუნდ ბერკი ამბობდა: „იმისათვის, რომ ბოროტება აღზევდეს და გაიმარჯვოს, საჭიროა მხოლოდ ერთი რამ - კარგმა ადამიანებმა არაფერი გააკეთონ და უმოქმედოდ იყვნენ“. ბერკის ეს სიტყვები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული ფილმს „ჰიტლერი - სატანის აღზევება“. ამით ფილმი მაყურებელს აუწყებს: გერმანიაში კარგ ადამიანებს ხმა რომ ამოეღოთ და ემოქმედათ, ბოროტება, რასაც ჰიტლერი ჰქვია, ვერ აღზევდებოდა. ამდენად, სრული საფუძველი გვაქვს ვამხილოთ ასეთი ორპირობა (ამჯერად, პიროვნებების დასახელებაზე თავს შევიკავებ).

ამიტომ, სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარე, მოწინავე საზოგადოებას უნდა გავაცნოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე, რადგან როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა წერდა: „ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის“. თუმცა, საღი გონებით და ილიასეული უშუალოდობით, ყოველგვარი მიკერძოებისა და ემოციების გარეშე სიღრმისეულად უნდა გავაანალიზოთ ჩვენი ისტორიული წარსული და აწმყო, დავსახოთ კრიზისიდან გამოსვლის გზები. ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გავაკეთებთ. უნდა ვიბრძოლოთ, ჩვენი ღირსებისა და ინტერესების, ჩვენი ცხოვრების წეს-ჩვევების გათვალისწინებით იცხოვროს და იმოღვაწეოს მომავალმა თაობებმა.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიზანმიმართული განადგურების მცდელობის დანაშაულებრივ ქმედებაზე ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, მაგალითებით დავაკონკრეტებ: „ვარდების რევოლუციის“ საწყის ეტაპზე ხელისუფლების მაღალ ორგანოებში დაიგეგმა სახიფათო მზაკვრული მოდელი, - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე დაჟინებით მოითხოვდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობიდან გამოყვანას და მის დაქვემდებარებას აჭარის მთავრობაზე ან ქალაქ ბათუმის მერიაზე, თუნდაც, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე. უნდოდა გაუქმებულიყო ასი წლის მანძილზე მასზე მინიჭებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსი და, ყველაზე მთავარი - გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ჩემგან კატეგორიულად მოითხოვდნენ თანხმობას, ბოტანიკური ბაღის ტერიტორია ნაწილ-ნაწილ გაყიდულიყო და იქ რესტორნები, სასტუმროები, კაფე-ბარები და სხვა გასართობი ობიექტები განთავსებულიყო.

ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ამ ბილწი დანაშაულებრივი მოქმედების აქცია ხელისუფლების მაღალი ორგანოებიდან მოემართებოდა.

დაახლოებით ოთხი წლის მანძილზე გრძელდებოდა აჭარის მთავრობასა და ბაღის დირექტორს (ვ. პაპუნძიძე) შორის საერთაშორისო ბოტანიკური ბაღების წესისთვის შეუთავსებელი მოვლენის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მოკლედ შევხები ერთ მნიშვნელოვან თემას:

ხელისუფლება ცდილობდა ბაღის თანამშრომლების დარწმუნებას, რომ საგანგაშო არაფერი მოხდებოდა, ამშვიდებდნენ, რომ ბაღს დაუტოვებდნენ გარკვეულ ნაკვეთს და დაეხმარებოდნენ მის მოვლა-პატრონობაში. ეს იმ დროს, როცა 2005 წლიდან, უსახსრობისა და ქვეყანაში შექმნილი გაუსაძლისი ვითარების გამო, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ყოველგვარი ანგარების გარეშე, დიდი პრობლემები წყდებოდა. გაზრდილი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად წინამდებარე წერილში აუცი-

ლებელ საჭიროებად მივიჩნიე ჩამოგვეთვალა მხოლოდ ის სამუშაოები, რომელიც ფონდმა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს გაუკეთა:

- კეთილმოეწყო ბოტანიკური ბაღის შიდა და მისასვლელი გზები როგორც მწვანე კონცხიდან, ასევე ჩაქვის მხრიდან, სულ ჯამში 6 კილომეტრ მანძილზე დაიგო შავი საფარი, მოწყობილი სანიაღვრე არხებით და საყრდენი კედლებით. აღნიშნული გზები 1990-იანი წლებიდან არ შეკეთებულა და მთლიანად მწყობრიდან გამოსული იყო. ამ გზების აღდგენამ ბოტანიკურ ბაღში ტურისტული ნაკადების ზრდას, მათ უსაფრთხო გადაადგილებას და, შესაბამისად, ბაღის შემოსავლების გაზრდას შეუწყო ხელი;

- ჩატარდა ბოტანიკური ბაღის ენერგომომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია, კერძოდ, რკინა-ბეტონის ბომების მთლიანი შეცვლა, იზოლირებული გადამცემი ხაზების (კაბელების) გაყვანა, ახალი სატრანსფორმატორო ქვესადგურის აშენება. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებამ შეუფერხებელი დენის მიწოდება უზრუნველყო, რამაც შესაძლებელი გახადა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე განთავსებული კაბინეტ-ლაბორატორიების და მოწყობილობადანადგარების გამართული მუშაობა;

- აღდგენილ იქნა მექსიკური ფლორისტული განყოფილებიდან ჩრდილოეთ ამერიკულ ფლორისტულ განყოფილებაში ჩასასვლელი კიბეები;

- კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციულ შენობას. იგი ალიჭურვა ყველა აუცილებელი ინვენტარ-მოწყობილობით, ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ იქნა თანამედროვე სტანდარტის კვების ბლოკი საჭირო ინვენტარ-აღჭურვილობით, გაყვანილ იქნა გათბობის სისტემა;

- ბოტანიკური ბაღის მთლიანი პერიმეტრი (დაახლოებით 7 კმ.) მავთულ-ბადითა და ეკლიანი მავთულით იქნა შემოღობილი, მოეწყო პანორამული ხედები;

- ექსპლუატაციაში შევიდა ორი ახალი სათბური თავისივე განათებით, სტელაჟებით და გათბობის სისტემებით;

- ჩატარდა ბოტანიკური ბაღის მთავარი სამარშრუტო გზის დამეწყობილი ფერდობების (50 გრძივი მეტრი) გასამაგრებელი სამუშაოები, რითაც გადაწყდა მეწყერების კიდევ უფრო აქტიური განვითარების თავიდან აცილების, დამთვალეიერებელთა უსაფრთხო გადაადგილებისა და ბაღის მცენარეთა მნიშვნელოვანი კოლექციის დაღუპვისაგან გადარჩენის პრობლემა;

- ბოტანიკური ბაღის დახურული გრუნტის მცენარეთა საკოლექციო და სარეალიზაციოდ ნერგების გამოსაყვანად აშენდა თანამედროვე ტიპის სტანდარტული სათბური ავტონომიური გათბობის მომსახურებით (საქვებით), წყალგაყვანილობით და სავენტილაციო სისტემებით, რითაც გაუმჯობესდა სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანის ტექნოლოგია, გაიზარდა ბაღის შემოსავალი;

- მცენარეთა კოლექციის შევსებისა და გამდიდრების მიზნით, ბოტანიკურ ბაღში შემოტანილ იქნა 50-ზე მეტი სახეობის 900-მდე მცენარე;

- ბაღში მცხოვრები 42 ოჯახისათვის, ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 5-სართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი შესაბამისი ენერგო და წყალმომარაგების სისტემით, ბუნებრივი გაზის გაყვანილობით და სველი წერტილებით. ამით გადაწყდა ბოტანიკური ბაღის მრავალწლიანი პრობლემა, - მოსახლეობის ბაღის ტერიტორიიდან გაყვანა უფრო უკეთესი საცხოვრებელი პირობებით, რამაც ხელი შეუწყო ბაღის ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას;

- 2005 წლიდან დაიწყო ბაღში დასაქმებულ პირთა ფინანსური დახმარება, რითაც, ხელი შეეწყო კადრების შენარჩუნებას და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

- 2018 წლიდან ბოტანიკური ბაღის ვიზიტორთათვის ხორციელდება ჩაქვის, მწვანე კონცხის და უღელტეხილის (პერევალის) შემოსასვლელებთან სპეციალური ცენტრების მოწყობა თავისი ავტოსადგომებით. იგი სრულად მიესადაგება თანამედროვე მოთხოვნებს ყველა აუცილებელი პირობით - მოსასვენებელი ოთახებით, ბარგის შესანახი განყოფილებებით, საინფორმაციო სტენდებით, ელექტრომობილებისათვის განკუთვნილი სივრცით, სალაროთი და სხვა აუცილებელი ელემენტებით;

- ბოტანიკური ბაღის მწვანე კონცხის შემოსასვლელის მხრიდან დაგეგმილია საბაგრო გზის მშენებლობა, რომელიც მას უღელტეხილთან (პერევალთან), ყოფილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტერიტორიასთან დააკავშირებს. იგი ხელს შეუწყობს დამთვალეიერებელთა მოჭარბებული ნაკადების განტვირთვას ტურისტული სეზონის დროს და ბაღს დამატებით შემოსავლებს მოუტანს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ვგრძნობდით, რომ ხელისუფლება თავისი ბოროტი განზრახვის დათმობაზე არ წავიდოდა და მოვლენები მეტად სახიფათოდ განვითარდებოდა. პირველ ხანებში, ზეწოლის მიუხედავად, ბაღის თანამშრომელთა უმრავლესობა ოპტიმისტურად იყო განწყობილი, - დასახული გზიდან არ გადაუხვევიათ, თავგამოდებით იღვწოდნენ ბაღის გადასარჩენად და კვლევითი სამუშაოების ჩვეული რიტმით წარსამართავად. თუმცა, ზოგმა თავი ისახელა, - იყვნენ ერთეულები, რომლებსაც დიდ პატრიოტებად მოჰქონდათ თავი (სამწუხაროდ, დღეს უამრავი ნამდვილი, პატიოსანი და გულმხურვალე პატრიოტი ჩრდილშია მოქცეული). ეს „დალოცვილები“ წარამარა დარბოდნენ ხელისუფლების მაღალ ორგანოებში და ღებულობდნენ დავალებებს, რათა ბოტანი-

კური ბალი მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გამოეყვანათ და მისთვის სამეცნიერო კვლევითი სტატუსი გაეუქმებინათ. უსირცხვილოდ „ამტკიცებდნენ“: - „ბალი სამეცნიერო საქმიანობას ვერ გაქაჩავს (ტერმინი მათია - ვ. პ.), ვინც ხელსაყრელ ფინანსურ პირობებს შეგვიქმნის, ბალიც იმას გადაეცეს“! ეს იმ დროს, როცა ბათუმის ბოტანიკური ბალი მეცნიერული პოტენციალით, თავისი ღირებულებებით და ფასეულობებით, მთელი არსებობის მანძილზე ყველაზე წარმატებული გახლდათ. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მომავალი სამეცნიერო კადრების აღზრდის მიზნით, ასპირანტურაც იყო გახსნილი და ყოველწლიურად, ერთი ან ზოგჯერ ორი ასპირანტი ირიცხებოდა. მსგავსი რამ ბაღს არასოდეს ჰქონია.

ლიმილის მომგვრელია რასაც ვიტყვი: როგორც სანდო და კომპეტენტურმა წყარომ შეგვატყობინა, აღნიშნული დანაშაულებრივი გეგმის, - ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო საქმიანობის შეწყვეტისა და ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისებაზე ჩვენი თანხმობის სანაცვლოდ, ხელისუფლება გარკვეულ დაინტერესების პირობებსაც გვთავაზობდა. ზოგი „კეთილის მსურველი“ გვსაყვედურობდა კიდეც - „რა საუკეთესო შემთხვევას უშვებთ ხელიდან“. ამის ერთ-ერთი გენიალური შეფასება კი ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის: „რაც უნდა ჭირი მომკერძონ, ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“. ადამიანი არ უნდა იყოს ქონებასა და ფულს დახარბებული, მით უმეტეს, მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი უნიკალური სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების ხარჯზე, როგორც ბათუმის ბოტანიკური ბაღია.

ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა საკითხის სიღრმისეულად წარმოჩენა და რომელიმე

ჯგუფის ან რომელიმე კონკრეტული პიროვნების კრიტიკული განწყობის ჩამოყალიბება არ არის. ჩვენთვის მთავარი ბოტანიკური ბაღისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსის დაბრუნება-შენარჩუნებაზე ზრუნვა და ბაღის ტერიტორიის გაყიდვა-გასხვისებისაგან გადარჩენა იყო. ხელისუფლება დათმობაზე არ მიდიოდა და ჯიუტად აგრძელებდა დაწყებულ საქმეს, ამას ქვემოთ მოყვანილი, პროცესუალურად განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს:

საქართველოს მთავრობის 17.10.2007 წლის №597 (1) განკარგულებით, ბათუმის ბოტანიკური ბაღი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გადასცეს, მისი მფლობელი კი სამართლებრივი სტატუსით - თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია გახდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ქალაქ ბათუმის მერის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო თემატიკური გეგმების შედგენის, მისი განხილვისა და შეფასების არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ, ამიტომ აბსოლუტურად ვერ უზრუნველყვეს მართვა, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გამოეყვანამ და სხვა უწყებებზე გადამისამართებამ, ადრეული წლების განმავლობაში აპრობირებული, არჩევითობის დემოკრატიული ფორმიდან ადმინისტრაციული მართვის პრინციპებზე გადასვლა გამოიწვია, რაც აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ამ ცვლილებების თანახმად შეიძლებოდა სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებად არასაკმარისი, ხუთწლიანი სტაჟის მქონე არასამეცნიერო, დარგის არაპროფესიონალი პირების დანიშვნა. პირადი ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდა კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის წარმართვა და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება.

შექმნილი მდგომარეობიდან გარკვეულ გამოსავალსაც ვეძებდით. ბაღის მომავალზე პასუხისმგებლობა თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა აიღო, რომლის სათავეში თავს წამყვან ფიგურად ვთვლიდი - ჩემს მოკრძალებულ ცოდნას და გამოცდილებას, საზოგადოებასთან, ნაცნობ-მეგობრებთან მოპოვებულ დამსახურებას და ურთიერთპატივისცემას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან (როგორც ამ აკადემიის წევრის) მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას, კოლეგებს დაუმაძღვრებლად ვუზიარებდი და ვახმარდი ყოველივე ამან თავისებური დადებითი შედეგიც გამოიღო, თუმცა ბათუმის მერიის ხელმძღვანელობასთან და ბაღის იმჟამინდელ დირექტორ ეთერ მაჭუტაძესთან პრინციპული უთანხმოებებიც გვქონდა. სამწუხაროდ, ვერ შევინარჩუნეთ მთავარი - ბაღის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატუსი. ამას თან გარკვეული პოლიტიკური სარჩულიც ახლდა, რაც წინა ხელისუფლების მიერ საქართველოში განათლებისა და მეცნიერებისადმი ხელოვნურ, მიზანმიმართულ, არაადეკვატურ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითი სტატუსის, მისი სტრუქტურის და ფუნქციების შენარჩუნებაზე იზრუნა თბილისის ეროვნული ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობამ, რომელმაც წესდებით განსაზღვრა მისი უმთავრესი მიმართულება - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატუსი. იმ პერიოდში, თბილისის ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს მართავდნენ კომპეტენტური, მცოდნე, პროფესიონალი ხელმძღვანელები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ბაღის სასარგებლოდ.

ქრონოლოგიურად განვიხილოთ მოვლენების განვითარების წინა პერიოდის (ანუ ჩემი ბაღის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის ბოლო პერიოდი) პროცესი:

ქ. ბათუმის მერიამ 2008 წლის 11 მარტის № 209 ბრძანებით (2), გადაცემული ქონების ბაზაზე დააფუძნა ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი. მიღებულ იქნა შესაბამისი წესდება (4,5). ბათუმის ბოტანიკური ბაღისათვის ამ წესდებით მინიჭებული სტატუსი დისკრიმინაციული არ იყო, მას სრული უფლება ჰქონდა ჩვეულებრივად, ტრადიციისამებრ გაეგრძელებინა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაფუძნების აქტით და წესდებით, მეცნიერ-თანამშრომლებით, სამეურნეო და დამხმარე სამტატო ერთეულებით დაკომპლექტებას. წესდების მიზნებითა და ამოცანებით განისაზღვრა მისი ტრადიციული, სტრატეგიული მიმართულება - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ანგარიშვალდებულება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან. ბათუმის ბოტანიკური ბაღის 2009-2013 (7) წლების სამეცნიერო თემატიკა შეთანხმებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, რომელიც უნდა დაემტკიცებინა ქალაქ ბათუმის მერს.

მაგრამ, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ჩვენს მიერ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შეთანხმებული ბათუმის ბოტანიკური ბაღის თემატიკა იმჟამინდელმა მერმა, რობერტ ჩხაიძემ არ დაამტკიცა, ანუ ბოტანიკური ბაღისათვის სასარგებლო ყველა რეკომენდაცია უარყოფითად იქნა აღქმული ადგილობრივი ხელმძღვანელობის, პირველ რიგში, ქ. ბათუმის მერის და ბაღის მაშინდელი დირექტორის მიერ. არადა, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით რეფორმა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერების განვითარებისადმი ხელის შეწყობას და სამეცნიერო



კადრების აღზრდას ითვალისწინებდა. დირექცია არ უნდა ჩარეოდა ბალის სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტაში. ეს მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს პრეროგატივა იყო. სამეცნიერო საბჭოს კი დირექციასთან ერთად, ბოტანიკური ბალის განვითარების და მოქმედების სტრატეგიის შემუშავება, განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება ევალებოდა. დირექცია ვალდებული იყო ხელი შეეწყოს ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მაგრამ ბათუმის ბოტანიკური ბალის 2008 წლის 11 მარტის N209 ბრძანებით (1) მიღებულ დაფუძნების აქტში, და შესაბამისად, წესდებაშიც, იმავე წლის 2 ივნისის N502 ბრძანებით (3,6), მზაკვრულად და სრულიად საიდუმლოდ მოახდინეს ბალისათვის სრულიად მიუღებელი, ცვლილებები, რითაც მთლიანად უფლებბელყოფილ იქნა ბაღში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაგრძელება,

ეს პროცესი განხორციელდა ჩემი, როგორც უშუალოდ ამ სფეროს ხელმძღვანელის (დირექტორის მოადგილის აკადემიურ და ადმინისტრაციულ დარგში), გვერდის ავლით აბსოლუტურად კონსპირაციულ ვითარებაში, რომლის შესახებაც ჩემთვის მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდა ცნობილი. ძნელი მისახვედრი არაა, რატომ არ დაამტკიცა ქ. ბათუმის მერიამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან 2008 წლის 24 ნოემბერს შეთანხმებული ბათუმის ბოტანიკური ბალის 2009-2013 წლის თემატური გეგმა. ამით საბოლოოდ და მთლიანად უფლებბელყოფილი იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და ჩემი, როგორც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრისა და აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის რჩევები.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმის იმჟამინდელი მერის (რობერტ ჩხაიძე) და ბალის დირექტორის

(ეთერ მაჭუტაძე) მიერ საიდუმლო ვითარებაში, პირად ინტერესებზე ორიენტირებული, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ბალისათვის არასასიკეთო მიზანმიმართულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი კანონის შესაბამისად ხელისუფლების მრჩვეელია, ხოლო აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შესაბამისად, რეგიონის ხელისუფლების მრჩვეელი. ეს, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ აბსოლუტურად არ გაითვალისწინა.

ბალის თანამშრომლებისთვის ისიც კარგადაა ცნობილი, რომ იმჟამინდელი დირექტორი ეთერ მაჭუტაძე, ნაციონალური ხელისუფლების საამებლად, თავიდანვე დისკრედიტაციას უწევდა ბათუმის ბოტანიკური ბალის მეცნიერებს და საერთოდ, მეცნიერებს. მან ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა - „არავითარი მეცნიერება“, „არავითარი მეცნიერები“, „ჩვენი სტატუსი არ ითვალისწინებს მეცნიერულ მუშაობას“, „ვისაც მეცნიერება გინდათ, ბალიდან წადით“, „მე არ ვცნობ და არ მჭირდება მეცნიერება და მეცნიერები, მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიკოსები“ - ხმამაღლა აცხადებდა „ქალბატონი“.

ახლა შეიძლება ვიღაცამ ბრალი დაგვდოს ბალის ხელმძღვანელის შეურაცხყოფისათვის, მისი არაკორექტული, აგრესიული რიტორიკული გამონათქვამების გაცხადებისათვის. - თუკი შეიძლება მაღალი რანგის, ღვაწლმოსილი და დიდი დამსახურების მქონე მეცნიერთა ღირსებისა და პატივის უხეში შელახვა, ბალის ხელმძღვანელის შეურაცხმყოფელი ქმედების გაცხადებასაც იქნებ როგორმე აიტანთ.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ყოველივე ეს ქმედება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაღალი სახელისუფლო შტოებიდან მოდიოდა, რისი ზეგავლენითაც

ყველაზე წარჩინებული მეცნიერები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები (სულ 12 ადამიანი) გაუშვეს ბოტანიკური ბაღიდან. წავიდნენ ცოდნით აღჭურვილი, განათლებული, გამოცდილი კადრები, მომავალი თაობა კი კვალიფიციური მასწავლებლების გარეშე დარჩა. დაირღვა თაობათა ცვლის უწყვეტი ციკლი. საყურადღებოა, რომ დამსახურებული პირების სამსახურიდან გაშვება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა. ყოფილი დირექტორი თანამშრომელთა დაშინებით, მუქარით, სენსაციებით, ხალხის თვალში საკუთარი უძლეველობის ხატის შექმნით, წინამორბედი ხელმძღვანელებისთვის სახელის გატეხვით ცდილობდა მაღალი რანგისა და ღვაწლმოსილი პირების დისკრედიტაციის ხარჯზე შეექმნა საკუთარი ავტორიტეტი. ის ხელმძღვანელისთვის აუცილებელ პრინციპულ მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევდა. ყოველივე ეს კი დიდ ნებისყოფას და ზნეობრივ წონასწორობას მოითხოვდა, რასაც აბსოლუტურად მოკლებული იყო იმჟამინდელი ბაღის იურიდიული მფლობელი, ქ. ბათუმის მერი და დირექტორი. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უნდა ემყარებოდეს არა ადმინისტრირებას და ძალის პოლიტიკას, არამედ დაინტერესების, დარწმუნების, სტიმულირების მეთოდს და ყველაფერი ეს დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. სწორედ ამ თვისებებს იყო მოკლებული ყოფილი ხელისუფლება.

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ვანო პაპუნძიძეს სამსახურიდან დაითხოვდნენ. სამუშაოდან დაითხოვეს - ვინ?! ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და რამდენიმე აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის მფლობელი, ბოტანიკურ

ბაღში 37 წელი ხელმძღვანელ თანამდებობაზე უმწიკვლო მუშაობის და გამოცდილების მქონე პიროვნება მხოლოდ იმის გამო, რომ მას ზეგავლენის უდიდესი ძალა ჰქონდა და ნაწილ-ნაწილ გაყიდვისაგან იცავდა ქართული სულიერების, ეროვნული კულტურის საგანძურს - ბათუმის ბოტანიკურ ბაღს.

სანამ უშუალოდ მოგახსენებდეთ, როგორი ფორმით მოხდა ჩემი ბოტანიკური ბაღიდან დათხოვნა, უნდა აღვნიშნო, რომ ბაღს ყოველთვის ამშვენებდნენ პიროვნებები, რომლებიც უხმაუროდ და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ქვეყნის ბედუკუდმართობით და ქართველებით აღსავსე სიმწიფეების მიუხედავად, ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი კვალი დაემჩნიათ ბოტანიკური ბაღის განვითარება-აღორძინებისათვის. ამასთან, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ჩემსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება: საქმიანობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელის ყოფაცხოვრება მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, და თუ შენ განიცდი, გტკივა და გაწუხებს, ცხოვრება შფოთისა და მოუსვენრობის გარეშე წარმოუდგენელია. ადამიანის სიყვარული, მისდამი გულითადი თანაგრძნობა და პატივისცემა ყოველდღიური მეგზური უნდა გახდეს მათთვის, ვინც ამ უაღრესად პასუხსაგებ სამუშაოსთანაა დაკავშირებული.

უდავოა, კანონებსა და სინამდვილეს შორის მუდამ არის რაღაც ნიუანსი, რაც ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს. კანონი ზოგჯერ უნდა დაარღვიო კიდევ დიდი კანონის, ჩვენი ცხოვრების წესის, ჰუმანიზმის იდეის სასარგებლოდ. გულახდილად გეტყვი: - უკმარისობის გრძნობა მუდამ თან მახლავს. ბოზოქარი ბრძოლის, შრომისა და ცხოვრების შემდეგ დამცხრალი გული უკეთესად ხედავს სად რა დავაკელი, რის გაკეთება ვერ შევძელი. ქართველი ხალხის მოძღვარი

დიდი ილია გვასწავლის: „ჰო, არა სთქვა მაშინ, როცა გული არას გეუბნება“.

ნდობის გამართლება უდიდესი მნიშვნელობის საკითხია. როცა ხელმძღვანელობას ვკისრულობთ, იმაშიც ღრმა უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ დროდადრო მუშაობაში ათას სირთულეს, ათას სიძნელეს წაგაწყდებით. ყოველთვის უნდა გვეყოს სიმართლის თქმის გამბედაობა, იყო მართალი და გულწრფელი - მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია გაანალიზო ჩამორჩენა, შეცდომა, ნაკლი, მიიღო სათანადო ზომები. რაიმე სიახლის წამოწყებისას მუდამ ვცდილობდი წინასწარ განმეჭვრიტა რა მოჰყვებოდა ამ ახალ ნაბიჯს - საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობას ვამაღლებდი და კოლექტივის ყველა წევრის გვერდით ვიდექი. გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდი ბიუროკრატიული სიძნელების გადალახვით გადაწყდა ბოტანიკური ბაღის მოსაზღვრე, ჩაქვის ჩაისა და ციტრუსების საზოგადოებრივი მეურნეობის, ბაღთან ახლო მდებარე მიწის ფართობის შემოერთება, რითაც ბოტანიკური ბაღის დამხმარე მეურნეობის სანერგის ფართობი 2,5 ჰექტარით გაიზარდა. აღნიშნული ტერიტორია ეკალ-ბარდებით, აკაციის, მაცვლის და სხვა გაუვალის სარეველა ბალახებით იყო დაფარული. მისი ამოძირკვა, გაწმენდა, დამუშავება და სანერგისთვის სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, რაც იმ დროს ბოტანიკურ ბაღს არ გააჩნდა. ამიტომ ბაღის უკლებლივ ყველა თანამშრომელი ერთსულოვნად, ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად გამოდიოდა და ასრულებდა საკმაოდ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს აღნიშნული ტერიტორიის გაწმენდისა და დამუშავებისათვის. ახლა ამ ტერიტორიაზე ტყის მეურნეობისა და დეკორატიული მებაღეობისათვის გამოყვანილი დიდი

რაოდენობის სტანდარტული სარგავი მასალის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბაღის ეკონომიკურ გაჯანსაღებას. მრავალი ასეთი მაგალითების მოტანა შეიძლება

ვითარების ამგვარი შეფასების ფონზე, კიდევ უფრო გულდასაწყვეტია, როცა ხელმძღვანელი სამსახურიდან ათავისუფლებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც დაუღალავი შრომით, მეცნიერული კვლევებით, მიღებული ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით, სიღრმისეული პროფესიული ნიჭიერებით, დიდ სარგებლობას მოუტანდა ბოტანიკურ ბაღს, აგრობიოლოგიურ მეცნიერებას, მომავალი მეცნიერული და პედაგოგიური კადრების აღზრდის მეტად კეთილშობილურ საქმეს.

დირექტორის მიერ ბოტანიკური ბაღიდან ღირსეული თანამშრომლების განთავისუფლების მისეულ მეთოდს შეიძლება „გაუნათლებელთა ცნობიერებაზე თამაში“ ან „მეცნიერთა დეგრადაციის მცდელობა“ ვუწოდოთ. 2010 წლის 19 ნოემბერს, მაშინდელი ხელისუფლების დავალებით, დირექტორი ეთერ მაჭუტაძე, სრულიად საიდუმლო ვითარებაში ატარებს ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-თანამშრომელთა კრებას (ეს მაშინ, როცა ამ სამსახურის უშუალო კურატორობა მე მევალებოდა) შემდეგი დღის წესრიგით: „ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის წესდებაში და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შემდეგი ფორმულირებით: - ბაღის მეცნიერთანამშრომელთა სტატუსი შეიცვალოს სპეციალისტებით, საშტატო განრიგიდან ამოღებულ იქნას ადმინისტრაციულ და აკადემიურ დარგში დირექტორის მოადგილის ვანო პაპუნიძის და საგამომცემლო-შემოქმედებითი სამსახურის საშტატო ერთეულები, რადგან ეს სამსახურები შექმნილი

იყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის და ამჟამად საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. მანვე, იმავე დღეს, საიდუმლო ვითარებაში ოფიციალური წერილით მიმართა ბათუმის მერს ბოტანიკური ბაღში კრებაზე მიღებული დადგენილების პროექტის საფუძველზე წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ამით ბაღის მმართველობამ საბოლოოდ ბაღიდან ჩემს გაშვებასთან დაკავშირებით ლოგიკური ჯაჭვი შეკრა. ნაციონალური ხელისუფლების მამებისა და დირექტორის უსულგულო დამოკიდებულებით უარყოფილ იქნა საერთაშორისო ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის საბჭოს მეცნიერების განვითარების მოდელი, საბოლოოდ დასაბამი მიეცა ბოტანიკური ბაღის მეცნიერებათა აკადემიიდან მის გამოყვანას, ჩამოერთვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფუნქცია და იგი რეგიონალური მასშტაბით, ტურისტულ გასართობ-სანახაობრივ ტყე-პარკად იქცა.

ასე, რომ ბათუმის მერიისა და ბოტანიკური ბაღის მესვეურებმა შესცოდეს, რომ მარიონეტი ხელისუფლების დიდი ჯაჭვის რგოლები იყვნენ, რომლებიც ვერ ითვალისწინებდნენ სწორ ორგანიზაციას და ცდილობდნენ ეროვნული მეცნიერების განადგურებას. ბათუმის ბოტანიკური ბაღი კი წარმოუდგენელია ეროვნული მეცნიერების გარეშე!

ყველაზე უფრო გულსატკენია და კომენტარის გარეშე ვერ დავტოვებ ერთ დეტალს: იმ დროს, როცა ისლამური თურქეთის სამასწლიანმა ბატონობამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა თვითმყოფად ქართულ კულტურას, ყოველგვარ პროგრესს, განათლებას, მეცნიერებას, მწერლობას, როცა აჭარის მოსახლეობის სიღარიბეს თან ახლდა გაუნათლებლობა - სიბნელე და უმეცრობა, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებუ-

ლება, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რეგიონის მეცნიერულ მუშაობაში; არსებულ პირობებში ბოტანიკური ბაღი ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იყო, სადაც გასული საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ პროგრესულად მოაზროვნე რუსი და ქართველი მეცნიერ-მკვლევარები, რომლებმაც მიზნად დაისახეს აჭარის სოფლის მეურნეობის აღორძინება. ამ მიზნით მათ მაღალი ინტენსიური ძვირფასი მცენარეების შემოტანა და დანერგვა დაიწყეს.

ამ ყველაფერს კი შავი ზღვის სანაპირო მხარეში არსებული სუბტროპიკული ჰავა განაპირობებდა და ხელს უწყობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალი სასარგებლო მცენარის ინტროდუქციას. ისინი სწრაფი ზრდით, მაღალი დეკორატიულობით და მაღალშემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით გამოირჩეოდნენ. აჭარის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და სპეციფიურობა კი სრულიად შესაბამებოდა ამ მცენარეების გამრავალფეროვნებასა და მოვლა-შენარჩუნებას.

სწორედ რეგიონის თავისებური ეკოლოგიური ფაქტორების და, შესაბამისად, ფლორისა და მცენარეულობის გეოლოგიური ისტორიული განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებულ ბიოცენოზების თავისებურებებიდან გამომდინარე, მრავალი სწავლული მეცნიერ-მკვლევარის მიერ განისაზღვრა ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ: მცენარეთა ინტროდუქცია და აკლიმატიზაცია, ახალი სასარგებლო მცენარეული სახეობების გამოვლენა, მათი ბიო-ეკოლოგიური, ეკო-ფიზიოლოგიური საკითხების შესწავლა და სხვ.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ რეკომენდებული და დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დამუშავების ერთ-ერთი სათაო სამეცნიერო-კვლევითი

დაწესებულება იყო. მთელი არსებობის მანძილზე ბოტანიკური ბაღის ბაზაზე იზრდებოდა სტუდენტი-ახალგაზრდობა - ბაღის დამსახურებული მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ ასპირანტებს, მაძიებლებს და გზას უკაფავდნენ დაინტერესებულ ახალგაზრდებს ბიოლოგიის, აგროეკოლოგიის და ბუნების დაცვის მეცნიერების დაუფლებაში. დიდი ვაჟა ბრძანებდა: „ვინც ახალგაზრდებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამზედნიერებელი ერისა“. მისივე რწმენით, ამ ღვთისწიერი საქმის აღსრულება მხოლოდ „ღვთიური ნიჭით მირონცხებულთა და სულით მდიდართა“ ხვედრია. ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება ბოტანიკური ბაღის სხვადასხვა თაობების ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორცაა: ანდრია კრასნოვი, იასონ გორდუზიანი, ივანე პალიბინი, სერგეი გინკული, გრიგოლ ცქიტიშვილი, გიორგი ხუციშვილი, გრიგოლ პოპოვი, გიორგი მხეიძე, ვერა კობრეიძე, გრიგოლ ტატიშვილი, ვასილ შანიძე, ვერა და კონსტანტინე კლიმენკოები, დავით მანჯავიძე, ნოდარ შარაშიძე, ალექსანდრე ციცივიძე, არჩილ თათარიშვილი, ალექსანდრა დმიტრიევა, ვაჟა მემიაძე, გიორგი გაბრიჩიძე, გალინა მოროზოვა, აშოტ მატინიანი, მარიზა ბრეგვაძე, ნუნუ ჯინჭარაძე, თამარ ცხიძე, ნერმინ ბაგრატიშვილი და სხვა მრავალი.

მათი განსწავლულობა, უწინარესად, - ზნეობა, ნიჭიერება, პროფესიული კეთილსინდისიერება, მეცნიერული, აღმზრდელი თითი პრინციპულობა, გამოკვეთილი მაღალმოქალაქეობრივი ადამიანურობა და საზოგადოებრივი ეთიკა უპირველეს ადგილს იკავებდა. გოეთეს უთქვამს: - „ნიჭიერი ადამიანის წინაშე ქედს ვიხრი, ხოლო მუხლს ვიდრეც ზნეობრიობის წინაშე“! ამ გამონათქვამების შეჯერება თვალნათლივ მოწმობს, რომ უფლისგან ბოტანიკური ბაღის ღვაწლმოსილ პიროვნებებს მაღლი უხვად ჰქონდათ მინიჭებული. ამიტომაც ბათუმის

ბოტანიკური ბაღი დასავლეთის ქვეყნებიდან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოვლინებული მეცნიერებისათვის საჩვენებელ ობიექტად იყო აღიარებული.

დღეს თუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს მეცნიერული თვალსაზრისით მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ეს მსოფლიოში აღიარებული ქართული სამეცნიერო სკოლების უდავო დამსახურებაა.

ფართო მასშტაბით დაიწყო მეცნიერების განვითარება საქართველოში.

სწორედ რუსი და ქართველი მეცნიერების მოწინავე საზოგადოებასთან ერთობლივი ძალისხმევით, 1912 წლის 3 ნოემბერს სათავე დაედო ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებას. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ თემაზე მზადდება სპეციალური გამოცემა, მოკლედ ვიტყვი, რომ პროფესორ ა. კრასნოვის და მისი თანამებრძოლების მიერ მეცნიერულად დასაბუთებულმა წინადადებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ბოტანიკური ბაღის დაარსებაში. აღსანიშნავია, რომ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება ბაღის შექმნის არა მარტო ინიციატორი, არამედ აქტიური მოღვაწე იყო. ამიტომაც დაარსების პირველი წლებიდანვე ბაღს ხელმძღვანელობდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომელიც სტრუქტურულად მიწათმოქმედების დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიოდა. აქ განხორციელებული ფართო მასშტაბის სამეცნიერო და საინტროდუქციო საქმიანობის გამო, 1934 წელს, ბათუმის ბოტანიკური ბაღი გადაეცა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას.

1938 წელს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. ჟუკოვსკის თავმჯდომარეობით შექმნილ ბათუმის ბოტანიკური ბაღის კომისიის (რომლის შემადგენლობაში შედიოდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. მალეევი, პროფესორები: ნ.

კეცხოველი და ფ. სოსნოვსკი) წინადადებით, ბალის სამეცნიერო საბჭომ იმავე წლის სექტემბერში მიიღო დადგენილება ბათუმის ბოტანიკური ბალის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში გადაყვანის შესახებ. სუბტროპიკულ მცენარეთა ყველა საინტროდუქციო სამუშაო ბათუმის ბოტანიკურ ბაღს დაევალა. საბჭოთა კავშირის მიწ-სახკომის საექსპერტო კომისიის სხდომაზე, რომელსაც აკადემიკოსი ი. ვავილოვი თავმჯდომარეობდა, აღინიშნა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში საინტროდუქციო და ბოტანიკის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაძლიერების აუცილებლობა. საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების კონფერენციის (1940 წ. 11-13 იანვარი) რეზოლუციით, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, როგორც საინტროდუქციო სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი სათავო დაწესებულება, შეყვანილ იქნა საკავშირო მნიშვნელობის ცხრა ბაღთა რიცხვში და მისი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისათვის მიკუთვნების შესახებ შუამდგომლობა აღიძრა.

ამ დროსათვის ბაღს გააჩნდა საყრდენი პუნქტები და საცდელი ნაკვეთები მახინჯაურის, ჩაქვის, ციხისძირის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში: „წითელი ოქტომბერი“, „განთიადი“ და სხვა, სადაც აჭარის სახელმწიფო საგემო კომიტეტის დახმარებით წარმატებით ინერგებოდა ბალის მეცნიერ-მკვლევარების მიერ მიღებული მიღწევები და შედეგები.

დღეს, ჩვენი ქვეყნის და ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად, განათლება და მეცნიერება ჩვენთვის უარესად მნიშვნელოვანი და მტკიცუნელია. დიდ შემფოთებას იწვევს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ აირჩია ზოგიერთი დასავლეთელი ქვეყნის ხელისუფალთა მიერ შემოთავაზებული ისეთი

ანტიეროვნული განათლებისა და მეცნიერების მოდელი, რომელიც დიდი ორიგინალობით და პერსპექტიულობით ვერ გამოირჩევა. თუ დროზე გონს არ მოვეგეთ, გადაშენების, გაქრობის აშკარა საფრთხე გვემუქრება. საქართველოში ქვეყნის მომავალი - მეცნიერება და განათლება დეგრადირებულია.

ზემოთ პროფესორი ანდრია კრასნოვი ვახსენე. დღეს, ბოტანიკური ბალის განაშენიანების, მისი დაარსების იდეის, ინიციატორების ავტორებზე მსჯელობენ. პროფ. ა. კრასნოვი, როგორც ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი, დაუმსახურებელი საყვედურისა და ცილისწამების ობიექტი არაერთხელ გამხდარა. არსებობენ მოდური აზროვნების ტყვეობაში მყოფი ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავარია, საქართველოს შეუნარჩუნდეს რუსეთის წინააღმდეგ მუდმივად დაპირისპირებული სუბიექტის ფუნქცია. სხვადასხვა საინფორმაციო გამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებში არაერთი მკვლევარი და ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, რომ პროფესორი ა. კრასნოვი არა მარტო ბოტანიკური ბალის დაარსების მთავარი წამომწყები და ორგანიზატორი, არამედ ჩვენი რეგიონისთვის აუცილებელი, ყოველმხრივი და სრულფასოვანი განათლების, სუბტროპიკული კულტურების მკვლევარი იყო და ის ბოტანიკური ბალის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი იდეის გამტარებლადაც გვევლინება.

შექმნილი ვითარების გამო ჩემს რისხვასა და შეშფოთებას ყველგან და ყველა ვითარებაში თამამად გამოვხატავდი, - არ დავეთანხმე, პირიქით, წინ აღვუდექი ბალის ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გახვისებას, სამეცნიერო-კვლევითი სტატუსის გაუქმებას. გრძნობდნენ რა ჩემდამი საზოგადოების მხარდაჭერას, განსაკუთრებულ ნდობას, გაჩნდა სახელისუფლო ძალების მხრიდან მკაცრი გაფრთხილებები - არ გამომეჩინა აქტივობა „ქართული ოცნებისადმი“,

უარი მეთქვა კოალიციაში გაწევრიანებაზე. ბუნებრივია, ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატურ ქმედებას თავისი ლოგიკური ახსნა ჰქონდა, - „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ ქვეყნისა და ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულობები, მეცნიერებისა და განათლების სფეროში განხორციელებული დამღუპველი რეფორმები, სოფლის მეურნეობის ნგრევა, საზოგადოების კლასებად დაყოფა, ერთი წუთითაც არ გვაძლევდა იმის უფლებას, რომ ჩვენ ყველა შესაძლებლობა არ გამოგვეყენებინა „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად! ამით მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ჩემი ბათუმის ბოტანიკური ბაღიდან დათხოვნა და სხვა მთელი რიგი ზემოქმედებები (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), პოლიტიკური ნიშნითაც ხორციელდებოდა. ჩემი ბაღიდან წასვლა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ხელისუფლებას ბაღის ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისებისათვის.

ამ ყოვლად მიუღებელი, უპრეცედენტო გადაწყვეტილების და ბოტანიკურ ბაღში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამო, საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭომ, ინტელიგენციის ფართო წრემ, რომლებიც ამ ქმედებაში ბათუმის ბოტანიკური ბაღისათვის საშიშროებას ხედავდნენ. ამასთან, არაერთხელ მიუთითებდნენ, რომ მეტი პატივისცემით და სიყვარულით უნდა მოპყრობოდნენ იმ პიროვნებებს, რომელთა კეთილგონივრულ და პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, წარსულის გამოცდილებაზე, ცოდნაზე და ზნეობრივ ფასეულობებზე ბევრად იყო დამოკიდებული ბაღის მეცნიერული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმე.

ყველამ კარგად დავინახეთ, რა მოუტანა ქვეყანას ცხრაწლიანმა უპრინციპო, უმეცარმა

არაპროფესიონალებმა, გონებადაკარგულმა მმართველმა თუ ვაიპოლიტიკოსებმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს ქართული სულის, ქართული აზროვნების, ქართული მენტალიტეტის ჩაკვლა.

ჩვენ ვამაყობთ ბოტანიკურ ბაღში მოღვაწე სახელოვანი წინაპრებით, რომლებმაც უდიდესი მეცნიერული მემკვიდრეობა გამოგვაბარეს. გავა წლები და ჩვენი მომავალი თაობა იამაყებს ამით. ამბობენ, - „სიკვდილი მაშინ არის დამარცხებული, როცა გარდაცვლილის ხსოვნას დრო ვერ ერევა“. ბრძენ კაცს უთქვამს: - „არავის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ და ...ვაი, რომ მართლაც ვერავინ შეცვლის, ვერავინ დააბრუნებს წარსულს უკან. კაცი იმით ინუგეშებს თავს, რომ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ დაუღალავი შრომით, უანგარო, უმწიკვლო სამსახურით სითბოს და სიყვარულს ტოვებს საამქვეყნოდ, რომელიც იყო და მერე თითქოს მთავრდება, მაგრამ უკვალოდ არ იკარგება. იგი ჩვენს შთამომავლობას გადაეცემა და გაგრძელდება...

მომიტყვეთ, ჩემი გულისტკივილი ასე ხმამაღლა რომ გამოვთქვი. თავის მოწონებად ნუ ჩამითვლით, ცხოვრების არც ისე პატარა ხნის პრაქტიკული გამოცდილება მაქვს. ვერც იმას დაგიმაღავთ და თანაც მთელი გულწრფელობით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პროფესიისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს მუდმივად თან სდევდა ჩემი აღმზრდელი პედაგოგების და მეცნიერ-ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გრძნობა, რამაც ხელი შეუწყო ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ჟამთასვლამ შეიძლება ყველაფერი გადაფაროს, მაგრამ ვერ გადაფარავს ადამიანის მიერ განვლილ ცხოვრებას. იყვნენ ადამიანები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში - საშუალო სკოლის მასწავლებლები: სამსონ საჯაია, ალექსანდრე ქაჯაია, ციალა გვარჯალაძე და სხვები; უმაღლეს სასწავლებელში - აკადემიკოსები:

ვასილ გულისაშვილი, ნიკო კეცხოველი, ლევან ყანჩაველი, გიორგი გიგაური; პროფესორები: იასონ (იჩო) აბაშიძე, პეტრე მეტრეველი, ნიკოლოზ მარგველაშვილი, კონსტანტინე თარგამაძე, ივანე ჯაში, პეტრე ჟღენტე, ნოდარ შარაშიძე, ვალენტინ პროტოპოვი და სხვა მრავალი; ჩემს მიერ არჩეულ სამეცნიერო საქმიანობაში უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს აკადემიის პრეზიდენტებმა: ნიკო მუსხელიშვილმა, ილია ვეკუამ, ევგენი ხარაძემ, ალექო თავხელიძემ, თამაზ გამყრელიძემ, ოთარ ნათიშვილმა და სხვებმა. ასეთი ადამიანების გახსენებისას ბრძენი ილიას სიტყვები გვაგონდება: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობებს, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰპოულობს, ზოგს დიდბუნოვნების შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყრობა“.

გამოჩენილი ფიზიკოსი ი. ნიუტონი ამბობდა: „სხვებთან შედარებით შორს თუ ვიხედებოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე ვიდექი“.

საზოგადოებისათვის ხელმძღვანელის საქმე და საქციელი - მაგალითი, გაკვეთილი უნდა იყოს. ასაკი და დრო ადამიანს ბევრ გამოცდილებას სძენს. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუშაობის 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე ბევრი მინახავს და გამომიცდია. ჩემი განვლილი წლების გამოცდილება უფლებას მაძლევს მივცე კვალიფიცირება ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას და ასევე ხელმძღვანელის პიროვნულ „ღვაწლს“. ამას უფრო დრო-ჟამი განსჯის, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ, ვერაფერს დაუმაღავ, ისტორია არაფერს ივიწყებს. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას, - ყოველი ხელმძღვანელი ვალდებულია სოციოლოგიური სიზუსტით

იცოდეს, რას ფიქრობს ხალხი მის მამულიშვილურ საქმიანობაზე, პიროვნულ თვისებაზე, ნაკლსა და ღირსებაზე. ხელმძღვანელმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია და ადრე თუ გვიან, მასაც მოუწევს თანამდებობის დატოვება.

ჩემს პიროვნებას ზუსტად მიესადაგება გაბრიელ გარსია მარკესის გამოსათხოვარი წერილი თავისი მეგობრისადმი: „მე მივხედი, რომ ყველას სურს მწვერვალზე ცხოვრება, მაგრამ ბევრმა არც კი იცის ჭეშმარიტი ბედნიერება დაშვებისას რომ ელის“.

კარგად მოგეხსენებათ, როცა საკითხი ეხება ადამიანის ავ-კარგზე მსჯელობას, ნათქვამია, - „ცუდი ყოველთვის მყვირალა ფერებითაა შემოსილი და ყველას თვალში ხვდება, ხოლო კარგი, თუ საგულდაგულოდ არ ეძებე, შეიძლება ვერ შეამჩნიო“. სწორედ ამას მოსდევს შეცდომები. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. ამიტომ არის, რომ წარმოების და მმართველობის უმრავლეს რგოლებში არ გვყავს საქმიანი თვისებებით გამორჩეული ადამიანები. ისინი ვერ იტანენ, როცა საუბრობენ ღვაწლმოსილ, დამსახურებულ, ერუდირებულ, შემოქმედ ადამიანებზე.

დღესაც, თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, არ ხდება წინა ხელისუფლების ამ მანკიერი მეთოდების შეცვლა. ეს ჩვევა კვლავ გრძელდება, - კადრების შერჩევისას აბსოლუტურად არ ითვალისწინებენ პიროვნების აუცილებელ მონაცემებს: რამდენად ესმის და შეუძლია მას სამოქმედოდ გაიხადოს კანონები, წესდებები და სხვა ნორმატიული აქტები, რამდენად შესწევს უნარი - გვერდში ამოიყენოს მაღალპროფესიონალი, მცოდნე ადამიანი. ეს ბათუმის ბოტანიკური ბაღის მაგალითზეც ნათლად ჩანს, - ყველა რიგითი მოქალაქისთვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ბათუმის ბოტანიკური ბაღის ამ ეროვნული საუნჯის სიყვარული გააჩნია, ვინც პატივს მიაგებს მის ღირებულებებსა და ფასეულობას, მათთვის კარგად არის ცნობილი, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის



დირექტორის თანამდებობაზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც ბაღში მუშაობის და მისი სპეციფიური საქმიანობის არავითარი გამოცდილება არ გააჩნიათ, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი. მას არ აქვს გაანალიზებული ბოტანიკური ბაღის წარსული. ამ აუცილებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით რამდენად სწორად ხდება შერჩევა და დანიშვნა ბაღის დირექტორის თანამდებობაზე, - ეს საზოგადოებამ განსაჯოს.

ათ წელზე მეტი გავიდა ბათუმის ბოტანიკური ბაღისათვის სამეცნიერო-კვლევითი კატეგორიის დაწესებულების სტატუსის გაუქმებიდან. არაერთხელ მივმართეთ ხელისუფლების სათანადო ორგანოებს, პრესით, ტელევიზიით მრავალჯერ გამოვხატეთ ჩვენი გულისწყრომა მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებით, თუმცა ჩვენს რჩევას შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. ვითვალისწინებთ რა ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების ინტერესებს, ხელმძღვანელობას ვურჩევთ:

- ყველაფერი გააკეთონ აჭარაში პირველი ასწლიანი, მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების - ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო აზრის ასაღორძინებლად, იმ დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად, რომლითაც სარგებლობდა მსოფლიოში; აღუდგინონ სამეცნიერო-კვლევითი სტანდარტი, დაუნიშნონ მეცნიერებს ნორმალური თანამდებობრივი სარგო და, რაც მთავარია, საშუალება მისცეს ბაღს ფართოდ გაშალოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; ფართო ასპარეზი მისცენ ნიჭიერ ახალგაზრდობას;

- ორგანიზებულ იქნას ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოწყობის სტრუქტურა მსოფლიო ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის საბჭოს სტრატეგიული პროცესის რეკომენდაციების შესაბამისად და საგანმანათლებლო-სამეცნიერო

დაწესებულების ორგანიზების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, ჩვენი ტრადიციების, მისი ინდივიდუალობის და ზოგადად, არსებულ რეალობათა გათვალისწინებით;

- შემუშავდეს და დამტკიცდეს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ახალი წესდება და პროექტი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი უნდა გახდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მდგრადი, სიცოცხლისუნარიანი, ბიოლოგიური მეცნიერების, სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიური კვლევის ერთიანი ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და მან კვლავ უნდა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიო ბოტანიკურ ბაღებს შორის, გახდეს ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სანახაობრივი და საგანმანათლებლო დაწესებულების ობიექტი.

ამ წერილში მოტანილი მოსაზრებების მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში წინა ხელისუფლების დროს შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორების გზების ძიებაა.

ამ წერილში ვეცადე, გულწრფელად მიმემართა მომავალი თაობებისათვის, რათა მათ ჩავუნერგოთ სამშობლოს და ბუნების სიყვარული, შეეძლოთ ცხოვრების ავკარგზე, მატერიალურ და სულიერ სამყაროზე დაფიქრება.

*BIOLOGICAL SCIENCES*

**THE FUTURE OF BATUMI BOTANICAL GARDEN SHOULD BE DETERMINED BY ITS SCIENTIFIC RESEARCH STATUS**

VANO PAPUNIDZE

*Academy Member, Batumi Shota Rustaveli State University*

The present paper deals with the basic results and problems in education and science fields of the scientific-organizational activities of the Batumi Botanical Garden – the first research institution of scientific, educational and sightseeing purposes founded in Ajara a hundred years ago - in the light of the reforms implemented during the national power period (2003-2012) and the ongoing social-political processes in the country.

**დამადასტურებელი წყაროები:**

1. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 ოქტომბრის №597 განკარგულება-„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, დაბა მახინჯაურის სოფელ მწვანე კონცხში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გადაცემის შესახებ, 1 გვ.
2. ქალაქ ბათუმის მერის 2008 წლის 11 მარტის ბრძანება №209 - „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ,
3. ქალაქ ბათუმის მერის 2008 წლის 02 ივნისის ბრძანება №502-„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“ ქ. ბათუმის მერის 2011 მარტის №209 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2გვ.
4. ქალაქ ბათუმის მერის 2008 წლის 02 ივნისის ბრძანება №503-„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ წესდების დამტკიცების შესახებ, 8 გვ.
5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ ადმინისტრაციის, მეცნიერთა და სპეციალისტ საერთო კრების (24. X11. 2008) ოქმი №01-„ქალაქ ბათუმის მერის 2008 წლის 02 ივნისის №503 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ-ბათუმის ბოტანიკური ბაღის წესდებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 5 გვ.
6. თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 14 იანვრის №08 განკარგულება - „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ წესდების დამტკიცების შესახებ, 7 გვ.
7. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2009-20013 წლების გეგმის პროექტი, 2 გვ
8. საქართველო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ თევზაძის წერილი ქ. ბათუმის მერს რობერტ ჩხაიძეს, 1გვ.
9. „ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ მეცნიერთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის 2010 წლის 19 ნოემბრის კრების ოქმი №3-„ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის წესდებაში და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 3 გვ.
10. „ა(ა)იპ-ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ დირექტორის წერილი №01-35/331(19.X1.2010) ქ. ბათუმის მერს რობერტ ჩხაიძეს. 2 გვ.

*ЛИТЕРАТУРА***ГРУЗИНСКИЕ ЛИЧНЫЕ ИМЕНА В ЯЗЫКЕ РУССКОЙ ПОЭЗИИ****МЕРАБ АХВЛЕДИანი***Батумский государственный университет имени Шота Руставели*

Проблема освоения грузинской антропонимической лексики русским языком уже становилась предметом специальных исследований. Однако эти исследования больше касаются лингводидактических аспектов прозаических текстов. Между тем, грузинская антропонимическая лексика часто фигурирует в русской поэтической речи, которая по своей структурной и эмоциональной организации существенно отличается от научного и публицистического текста, и которая еще не стала предметом углубленного изучения.

Из всей грузинской антропонимической лексики наиболее широко представлены в русских поэтических произведениях личные имена.

Имена людей – часть истории народа. В них отражаются быт, верования, вкусы, фантазия и художественное творчество народов, их исторические контакты, отношение к природе, животному миру, друг другу, к нормам нравственности. (Суслова, Суперанская 1985:3).

Этим объясняется то обстоятельство, что в языке-источнике человеческие имена всегда функциональны и по своей семантике сближаются с чем-то прекрасным, сильным, добрым, как бы приобщая к этим понятиям и личность, которую нарекают подобным именем. Это видно в каждом имени, если докопаться до его этимологии: *Мзия, Мзекала, Мзеона, Пиримзиса, Мзисадар* – ассоциация с блеском и красотой солнца; *Ломкаца, Вепхия, Мгелика, Дзaglika* – мужские имена, ассоциирующиеся с силой, ловкостью, смелостью льва, тигра, волка, собаки. Подобные ассоциации наблюдаем в греческих, латинских, индийских, китайских, славянских, германских именах и т.д. Это, видимо, всеобщее явление.

Вековые контакты между народами приводили к тому, что человеческие имена нередко переходили из одного языка в другой. Причины могли быть разные, но чаще всего они экстралингвистические: политические, культурные, родственные, эстетические. Бывало и так, что имя из одного языка переходило в другой в двух вариантах – в транслитерации и в переводе. Такими дублетами следует считать *Богумил и Теофил, София и Любовь, ფოტობე - ბაიბელა (Фотинэ – Натэла)* и др.

Перейдя в другой язык и оторвавшись от языка-источника, имена теряют свое исконное значение и для носителей второго, заимствующего языка, они становятся привлекательными или как определенный «звучный» звукоряд, или как дань какой-то моде.

Если вкусы несколько примитивны, то в разряд личных имен переходят иноземные фамилии и даже самые неожиданные скопления звуков: *Шекспир, Бисмарк, Скрипка, Пирамида, Новелла* и другие.

В освоении русским языком грузинских имен большую роль играет художественная литература, в частности поэзия. На страницах русских поэтических произведений и переводов на русский язык нам встретились почти все наиболее распространенные современные грузинские имена, например:

**Я тоскую по Тбилиси, по домам, чей срок на слом,  
по лихому остромыслию – ну хотя бы за столом,**

по **Отару**, по **Тамазу**, по «Давльот!», «Аллаверды!»,  
 по горбтому томату на лице у тамады,  
 по **Симону** и по **Гогле**, будь земля для них легка!  
 Как они сейчас продрогли под землею без глотка.  
 По **Гюльнаре**, по **Этери**, с осторожной их игрой,  
 по малиновой метели у курдянки под метлой.

/Е. Евтушенко. «Я тоскую по Тбилиси»/

Использование грузинских имен в русской оригинальной поэтической речи имеет свои задачи и назначение и осуществляется самим автором произведения в целях создания национального колорита или выражения своего отношения к явлениям жизни или к людям. Не последнее место в таком решении автора играет и музыкальность стиха, элементом которой становится звуковой строй имени.

Иные закономерности действуют в переводах, где переводчик, подчиняясь переводимому материалу, стремится не только воспроизвести в русском переводе используемые в тексте имена, но и обязательно сохранить их образные и версификационные функции. Однако известные в переводе версификационные проблемы влияют и на функционирование в стихе личных имен, нередко ослабляя их звучание и образность. Но факт остается фактом: если русский перевод – составная часть русской поэзии, то вошедшие в перевод имена – неотъемлемый компонент поэтического произведения.

Попадая в ткань русского художественного произведения, грузинские имена подвергаются определенным изменениям. С позиции русской грамматической нормы они делятся на две группы.

К первой группе относятся имена, звуковое оформление которых соответствует нормам русского языка. В эту группу входят как мужские, так и женские имена, например: *Нодар, Мераб, Реваз, Жужуна, Циала, Натия* и другие. В русском словоупотреблении такие имена вписываются в нормы русской антропонимики. Грузинские мужские имена подвергаются формоизменению, как мужские русские имена, а грузинские женские соответственно – как русские женские имена. Сравним: *Иван, Петр, Федор и Зураб, Мераб, Отар; Надежда, Светлана, Мария и Циала, Ламара, Мзия*. Например:

**Небывалый** прошел снегопад  
 По Тбилиси – и цепи гремят.  
 На подъем поднимаются «МАЗы»,  
 За рулями **Ревазы, Рамазы...**

/А. Межиров. «Подъём»/

Грузинские мужские имена типа *Шалва, Коба, Бидзина, Мамука, Миндия, Гия* вписываются в нормы первого склонения /Сравним: *Лука, Никита, Кузьма*/, например:

На счастье **Тамуны**,  
 На счастье **Мамуки**  
**Искал я случайный**  
 Какой-нибудь знак.

/Дж. Чарквиани. «Поиск». Перевод М. Синельникова/

Однако не все грузинские имена с конечным –а подвергаются русскими авторами адаптации. Нередко русские поэты в определенных стилистических целях употребляют подобные имена в русском тексте в качестве несклоняемых существительных, например:

Знала б мать, что сын  
 Такой герой – смогла б дожидаться **Джаба**,  
 Осилила бы хворь, не умерла бы...

/Ладо Сулаберидзе. «Отец», перевод В. Соколова/

## МЕРАБ АХВЛЕДИАНИ

Особо следует отметить функционирование в русском поэтическом произведении имен великих грузинских писателей Шота Руставели и Важа Пшавела. Имена *Шота* и *Важа* употребляются в основном в несклоняемой форме. Неадаптированная форма имени *Шота* закрепилась, видимо, по аналогии с несклоняемой фамилией или же из-за переноса ударения на конец слова /**Шотá**/. Несклоняемость имени *Вáжа* также, наверное, следует объяснить переносом ударения на конец слова /**Важá**/. Например:

С одним куском заплесневелым мчади,  
дита земли, играя и мутя,  
ты выстоишь, родник,  
в любом несчастьи,  
как выстояло всё перо **Шотá**.

/Г. Леонидзе. «Родник». Перевод Евтушенко/

(В данном примере достаточно слабая рифма *мутя - Шота* явно создана для слова **Шотá**, которое является смысловой вершиной строфы).

Служу я истине всех истин,  
но, даже верно ей служа,  
я все же буду только искрой  
огня великого **Важá!**

/Г. Леонидзе. «Важа Пшавела». Перевод Евтушенко/

Адаптированные формы этих имен, в которых ударение падает на второй от конца слог, в поэтических произведениях встречаются очень редко. Например:

В тахтах вот этой вот башни –  
Я помню: я вёл Руставели **Шóгой**  
С царицей с Тамарою шашни.

/В. Маяковский. «Владикавказ – Тифлис»/

В публицистике же эти имена встречаются как в несклоняемой, так и в адаптированной форме. Причем в периодических изданиях, выходящих в Грузии, имена *Шота* и *Важа* в подавляющем большинстве случаев не склоняются, напротив – в российской прессе они, как правило, употребляются в склоняемой форме.

Грузинские имена типа *Миндиа*, *Отиа*, *Хатиа*, *Натиа* труднее переходят в русский язык. И первое затруднение возникает в создании их графического облика, так как пока еще остается не до конца решенным вопрос русского правописания имен данного класса. Встречаются двойкие формы: *Миндиа*, *Вепхиа*, *Отиа*; *Пикриа*, *Мзия*, *Натиа* и *Миндия*, *Вепхия*, *Отия*; *Пикрия*, *Мзия*, *Натия*.

От выбора графического облика таких имен во многом зависит уровень их освоения русским языком. Так, формы типа *Миндиа*, *Кудиа*, *Пикриа*, *Мзия*, чаще употребляются как несклоняемые существительные. Например:

Тьма поглотила скалы, ставни,  
Рукам своим волю дряхлым дав,  
Тупо река колотила камни,  
Замыслы **Кудиа** угадав.

/С. Чиковани. «Вечер застает у Хахмат», Перевод Н. Тихонова/

Формы же типа *Миндия*, *Кудия*, *Мзия*, *Пикрия* в подавляющем большинстве случаев склоняются по нормам русского словоизменения, а это значительно повышает информативную ценность слова и в то же время не противоречит нормам первоисточника, например:

Встречает **Миндию** село,  
Алуду лает словом бранным.

Нахмурил **Миндия** чело  
И возразил односельчанам...

/Важа Пшавела. «Алуда Кетелаури». Перевод Н. Заболоцкого/

По всей вероятности, при использовании в русском тексте имен типа *Миндия*, *Мзиа* предпочтение следует отдавать адаптированным формам, так как они лучше вписываются в звуковую строй русского языка. Да и в русском языке намечается именно такая тенденция.

В русских поэтических произведениях встречается большая группа мужских и женских имен, фонетический облик которых не позволяет отнести их к какой-то грамматической группе, в силу чего для русского языка они остаются несклоняемыми, т.е. грамматически неосвоенными. Такими являются имена с окончаниями, не характерными для русских имен: *Бондо*, *Торнике*, *Цотне*, *Гиви*, *Ушанги*; *Элисо*, *Этери*, *Ррусудан*, *Кетеван*, *Нани*, *Нуну* и другие, например:

Пусть тянутся алые розы за нами,  
фиалки к ногам упадут.  
Дары нас настигнут, как песенка **Нани**,  
что выпорхнет вскоре из уст.

/Б. Ахмадулина. «Посвящение Нани»/

В деле передачи подобных имен на русский язык особых трудностей нет, т.к. в этом случае действует одно правило - максимальное сохранение звучания имени. Зато определенной систематизации, регулирования требует их правописание. Например, правописание букв «э», «е» как в грузинских несклоняемых, так и в освоенных русским языком именах следует подвести под правила русской орфографии, а именно: в начале имен букву «э» следует писать в соответствии с произношением (Элгуджа, Элизбар, Этери, Элисо), а в середине и в конце имен после согласных и гласной «и» следует писать букву «е» (Натела, Мзевинар, Тариел, Габриел, Цотне, Махаре).

На сегодняшний день правописание грузинских имен и вообще грузинской антропонимической лексики в русском поэтическом тексте не упорядочено. Существует разнობой в их употреблении. В одних изданиях эти имена пишутся в соответствии с правилами русского правописания, в других – эти правила нарушаются.

Сравним примеры:

Не улетай, не делай жизнь короче!  
О, сколько взглядов за тобой следят!  
Ты - молодая рана этой ночи –  
То Нина, то **Натела**, то Асмат.

/С. Чиковани, «Светлячок». Перевод А. Межирова/

Зачем я вырвался, **Натэла**?  
Зачем освободил крыла?  
Когда я вышел ночь светлела.  
Была уже светлым-светла.

/Г. Табидзе. «Натэла из Цинандали». Перевод Б. Ахмадулиной/

Разнობой в написании может быть оправдан, если он наблюдается в именах грузинских литературных персонажей и исторических деятелей, т. к. максимальная близость к оригиналу грузинского имени, употребленного в русскоязычном тексте, помогает поэту или переводчику в деле создания национального колорита, что немаловажно для русского поэтического произведения на грузинскую тему и, особенно, для переводной литературы.

Так, например, имя одного из героев поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» **ტარიელ-ი** очень часто переводится в форме «**Таризэл**». Видимо, употребление подобной формы служит созданию национального колорита и призвано помочь отличить имя литературного персонажа от аналогичных имен наших современников.

## МЕРАБ АХВЛЕДИАНИ

Отклонения от норм русского правописания, т.е. написание «э» вместо «е», допустимы и тогда, когда тенденция к смягчению конечного согласного в грузинских именах очень сильна. Это происходит, как правило, под ударением, например: *Котэ', Махарэ', Иванэ', Маринэ', Саломэ', Иринэ'* и т.д.

Женские имена типа Кетеван, Дареджан, Русудан, Тинатин оканчиваются на твердый согласный так же, как мужские имена типа *Зураб, Мераб, Гурам, Отар*. Согласно общезыковой норме русского языка подобные женские имена, в отличие от мужских, употребляются в несклоняемой форме, например: *Элен, Кармен, Бриджит, Колет, Маргарет* и другие. Грузинские имена – не исключение.

Однако встречаются и «обрусевшие» формы вроде Кетевана, Тинатина, Дареджана. Подобные формы являются устаревшими и отражают тенденции первой половины XIX века. Примером может служить отрывок из стихотворения Я. П. Полонского «Над развалинами в Имеретии»:

И пронеслись... Но сквозь туманы  
Протекших лет передо мной  
Неотразимой красотой  
**Мелькает образ Дареджаны...**

Часто встречаются ошибки при передаче на русский язык мужских имен на согласный. Вместо единственно правильного *Нодар, Отар, Мераб, Зураб, Амиран* в русских текстах нет-нет да появляются примитивно ошибочные формы *Нодари, Отари, Мераби, Амирани* и другие.

При этом ошибка начинается с неправильного понимания грамматической природы этих имен в самом грузинском языке. Конечный формант **-и**, являющийся окончанием грузинского именительного падежа, ошибочно включается в основу слова. То, что это так, совершенно ясно видно из норм грузинского словоупотребления: *Нодар Думбадзе, Гурам Рчеулишвили, Зураб Капианидзе* и т.д. подобные имена только так и должны переходить в русский язык.

Особый интерес представляют имена, по-разному бытующие в русском и грузинском языках, но имеющие общее происхождение. Эти имена заимствованы в древние времена из греческого, латинского, древнееврейского языков. Они натурализировались в заимствующих языках, что нашло отражение в основном в окончаниях, однако, общность их происхождения ощущается очень сильно. Этому способствует и общность целого ряда непреходящих культурных ценностей.

Вот тут и возникает вопрос, как передавать по-русски грузинские имена *Акаки, Петрэ, Карло, Николоз, Эленэ, Нино, Тамар, Мариам* и др. В передаче подобных имен следует учитывать два аспекта: документально-регистрационный и литературный. Документально-регистрационный – если речь идет о документальной фиксации реальной личности (паспорт, анкеты, свидетельство о рождении и т.д.). В таких случаях подобные имена традиционно по-русски передаются в соответствии с нормами русского языка, например: *Акакий, Петр, Карл, Илья, Николай, Елена, Нина, Тамара, Мария* и т.д.

Что касается употребления подобных имен в художественных произведениях, в частности, в поэтической речи, то здесь поэт или переводчик волен выбирать ту или иную форму имени в зависимости от задач, стоящих перед ним (стилистических, версификационных). С этой точки зрения, сохранение грузинского звучания в именах литературных персонажей и исторических лиц оправдано. Например:

Мой **Иванэ'** был строен станом,  
А волосом – чернее туч.  
Навстречу грозным басурманам  
Летел он, весел и могуч.

/Важа Пшавела. «Бахтриони», перевод Н. Заболоцкого/

В поэтических произведениях встречается немало и таких примеров, когда сохраняется собственное звучание имен грузинских писателей, общественных деятелей и деятелей искусства, например:

Мчат нас «форды», и «роллс-ройсы», и «рено», и «кадиллаки».

Впереди маячит утро, словно **Сандро Канделаки**.

/Р. Чилачава. «Утро», Перевод Л. Смирнова/

Ничего удивительного здесь нет, т.к. у таких имен появляются функции псевдонима. А псевдонимы, как известно, не переводятся. Хотя документально эти имена передаются в соответствии с нормами русского языка.

Анализ богатого фактического материала показывает, что грузинская антропонимическая лексика является активным элементом современной русской поэзии. Однако бытование этой лексики в русском языке переводов и оригинальных произведений характеризуется сложной и во многом противоречивой спецификой, которая нередко выходит за рамки общепринятых норм употребления заимствованной лексики. Но это не нарушение языковых норм, а показатель богатства выразительных возможностей русского языка.

## **ლიტერატურა**

### **ქართული საკუთარი სახელები რუსული პოეზიის ენაში**

#### **მერაბ ახვლედიანი**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

სტატიაში გაანალიზებულია რუსი პოეტებისა და მთარგმნელების ენაში ადამიანთა ქართული საკუთარი სახელების გამოყენებისა და ადაპტაციის ტენდენციები. აგრეთვე, მოცემულია ცდა აღნიშნული ანთროპონიმების ხმარების ნორმების ჩამოყალიბებისა რუსულ პოეტურ ენაში.

გარკვეული ყურადღება ეთმობა ქართული საკუთარი სახელების შინაარსობრივი, ესთეტიკური და სტილისტიკური ფუნქციების განსაზღვრას.

კვლევა ლინგვისტურ ასპექტშია განხორციელებული, ამიტომ მასში ტექსტის წმინდა პოეტური ელემენტები არ გამოუქვბულა.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მათი გამოყენება სასარგებლო იქნება თარგმნის პრაქტიკაშიც.

#### **Литература:**

1. Калакуцкая Л. П. Склонение фамилий и личных имен в русском лит-ном языке. М., 1984.
2. Никонов В. А. Русская адаптация иноязычных личных имен. М., 1969.
3. Справочник личных имен народов РСФСР. Под редакцией Сперанской А. В., Гусева Ю. М., М., 1987.
4. Сулова А. В., Суперанская А. В. О русских именах. Л., 1985.
5. Цибахашвили Г. И., Ахвледiani М. X. Грузинская антропонимическая лексика в зеркале норм русского языка. Журнал «Русское слово», № 1-2, 1988.



## ლიტერატურა

### ზოგიერთ საკითხი ი.გოგებაშვილის „დედა ენა“-ს შესახებ

#### ზურაბ სონელიძე

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი** - განხილულია ი.გოგებაშვილის „დედა ენა“-ს ირგვლივ მკვლევართა ამჟამად წარმოქმნილი ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრებანი და დასკვნები. განსჯა მიმდინარეობს წიგნის სათაურის, სტრუქტურის, შინაარსისა და თანამედროვე სკოლასთან მისი შესატყვისობის ირგვლივ.

**საკვანძო სიტყვები:** გოგებაშვილი, სკოლა, დედა ენა, ეროვნულობა, თანამედროვეობა, საზოგადოება, პედაგოგიკა

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი. მას ხშირად აკისრებდნენ არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ინდიკატორის ფუნქციასაც. ასეა ახლაც: საზოგადოების ერთი ნაწილი მისტირის იმ დროს, როცა ქართულ წერა-კითხვას გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლობდნენ, ითხოვს მის დაბრუნებას სკოლაში, საამისოდ ხელმოწერებს აგროვებს. ხშირად მათ პოლიტიკოსებიც უერთდებიან და წიგნს განსაკუთრებულ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებენ, აპელირებენ მოსახლეობის პატრიოტულ განწყობაზე ისე, რომ თავადაც არ აქვთ გააზრებული, რომელი სახელმძღვანელო უნდა დაბრუნდეს სკოლაში და როგორ. მეორე ნაწილისთვის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მხოლოდ წარსულთან, დრომოჭმულთან, მისი სკოლაში დაბრუნება კი, ანაქრონიზმთან ასოცირდება. ეს ნაწილი სახელმძღვანელოს დაუყოვნებლივ შეცვლასა და ქართული წერა-კითხვის სწავლებაში უახლესი (ევროპული, ამერიკული) „ტექნოლოგიების“ დანერგვას მოითხოვს.

ადრეც (და ახლაც) იყო ცდები ჩაენაცვლებინათ ეს წიგნი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დროდადრო სკოლა მაინც უბრუნდებოდა თავის კალაპოტს, ანუ იმ პრინციპებს, რომლებიც ქართული წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში გოგებაშვილმა დაამკვიდრა.

საინტერესოა, განვითარების რა გზა განვლო სამოცანიწიანელთა ღირსეული თანამებრძოლის, დიდი მოღვაწისა და პედაგოგის ამ საანბანო წიგნმა, როდის და როგორ გამოიყენებოდა იგი, როგორ იცვლებოდა ის თავად ავტორის სიცოცხლეშივე, როგორ გააგრძელეს მისი საქმე გოგებაშვილის მიმდევრებმა და ქართული კლასიკური პედაგოგიკის დამცველებმა; რით არის ეს წიგნი ასე ძვირფასი და გამორჩეული ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, რატომ ითხოვენ მის დაბრუნებას დღეს, 21-ე საუკუნის ქართულ სკოლაში, რა მოთხოვნები და მოლოდინები აქვს ჩვენს სკოლას ამ კუთხით და როგორია რეალობა?

ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილს „დედა ენამდე“ უკვე ჰქონდა დაწერილი ქართველი

ბავშვებისათვის ანბანის სახელმძღვანელო („ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, 1865-1885 წლები, 1885 წლის შემდეგ კი, 1903 წლამდე იგი გამოდიოდა შეცვლილი სახელწოდებით „კოკორი“). „დედა ენა“ არ არის ი. გოგებაშვილის ერთადერთი სახელმძღვანელო, უფრო მეტიც - „ქართული ანბანი“ „დედა ენის“ პარალელურადაც გამოიყენებოდა, მაგრამ ერმა შეითვისა და შეიყვარა მხოლოდ „დედა ენა.“ რაში უნდა ვეძებოთ მიზეზი? იმაში ხომ არა, რომ ამ წიგნს დიდმა პედაგოგმა ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი სიტყვა „დედა ენა“ შეურჩია? იქნებ იმაში, რომ ასე მარტივად და გენიალურად, ლინგვისტური ფორმულით (აი ია), ენის არც ერთი სახელმძღვანელო არ იწყება მსოფლიოში, ან იქნებ იმაში, რომ სწორედ „დედა ენა“ (და არა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“) გადაამუშავეს მისმა მიმდევრებმა და ამით მას ახალი სიცოცხლე შთაბერეს?! სიტყვა „დედა ენა“ ქართული ენის ლექსიკონში მანამდეც არსებობდა, მშობლიური ენის სინონიმად, იგი ი. გოგებაშვილს არ მოუგონებია. ეროვნული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა ჩათვალა, რომ სწორედ ეს სახელწოდება მოუხდებოდა ქართველი ბავშვის პირველ წიგნს და სწორედ მისი საშუალებით, შეაღებდა მშობლიური ენის სამყაროში კარს. თავად ასე წერს: „სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედა ენა, სწავლება დედა ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1910 წ. გვ. 233). როგორც ცნობილი ლინგვისტი პროფესორი გურამ რამიშვილი აღნიშნავს, ტერმინი „დედაენა“, როგორც მშობლიური ენის სინონიმი, მსოფლიოში სულ რამდენიმე ენას მოეპოვება. მათ შორის არის ქართული ენაც. სხვა

ენები მის ნაცვლად იყენებენ ტერმინებს: „პირველი ენა“, „მშობლიური ენა“, „საბაზისო ენა“. ამ ტერმინის ენაში არსებობა მიგვითითებს იმაზე, რა უზარმაზარ დატვირთვას ანიჭებს ქართველი მშობლიურ ენას: „დედაენა მთავარია იმ გაგებით, როგორც დედამიწა, დედაბოძი, დედაქალაქი“. ჩვენთვის ის მთავარი ენაა, „ენა, რომლითაც ქართველი ბავშვი ქართული სოციალური წევრი ხდება“. (გ. რამიშვილი, 2000 წ.). ენა, რომლითაც ჩვენი სულიერი მისწრაფებები და სამყაროსადმი დამოკიდებულება, ეროვნული ცნობიერება ვლინდება.

„დედა ენის“ პირველი გამოცემა 1876 წლით თარიღდება. იგი სწორედ იმ პერიოდში გამოვიდა, როცა რუსული იმპერია ყველანაირად ცდილობდა ქართული ენის განდევნას სკოლებიდან, არისტოკრატია გაურბოდა მშობლიურ ენაზე საუბარს, ინტელიგენციის დიდი ნაწილი რუსულად აზროვნებდა. ამ პირობებში წიგნს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა! გოგებაშვილის სიცოცხლეში „დედა ენა“ სულ 33-ჯერ გამოიცა. 1906 წლამდე (21-ე გამოცემამდე) იგი გამოდიოდა 2 წლის კურსით, ხოლო 1906 წელს ავტორს ორ ნაწილად გაუყვია:

1. პირველი ნაწილი - „დედა ენა, პირველი ნაწილი პატარა მოთხრობებით და დედნით ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“;

2. „დედა ენა, მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი, ანბანის შემდეგ სკოლებში სახმარებელი“.

როგორც თავად აღნიშნავს, წიგნის ორად გაყოფის მიზეზი ის ყოფილა, რომ პირველი ნაწილი ყველა სარწმუნოების ქართველთათვის მისაღები უნდა ყოფილიყო: „წინათ ანბანში ერია ელემენტი მართლმადიდებელის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს გამაჰმადიანებულს ქართველებსა, ქართველ ებრაელებს და თვით ქართველ კათოლიკეთაც, ეხმარათ ეს ანბანი.

ოცდაპირველს გამოცემაში ეს ელემენტი გამოვტოვეთ და ამით შესაძლებელი გახადეთ ანბანის სწავლება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის” (ი. გოგებაშვილი, დედა ენა, მეორე ნაწილი, წინასიტყვაობა, 1907). ამ პოზიციაში ნათლად იკითხება დიდი ქართველების ტოლერანტული და დემოკრატიული აზროვნება, ამგვარი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროსაც კი.

„დედა ენამ“ პირველიდან 33-ე გამოცემამდე ცვლილებებისა და განახლების დიდი გზა განვლო: თანდათან იცვლებოდა საკითხავი მასალის ენა (უახლოვდებოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს), საანალიზო სიტყვები (რომელთა საშუალებითაც ბავშვი ახალ ასო-ბგერას სწავლობდა), საკითხავი და საწერი მასალა, გასაცნობ ასო-ბგერათა თანმიმდევრობა. არ იცვლებოდა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მას გამოარჩევდა ანბანის სახელმძღვანელოთა შორის: 1. თავად სახელწოდება „დედა ენა“; 2. ხალხურობის იდეა (ხალხური ნაწარმოებებით, ანდაზებით, ენის გასატყეხებით წიგნის გამდიდრება; საკითხავი მასალის ენა, რომელიც ხალხის ენასთან იყო ახლოს); 3. ახალი ასო-ბგერების სწავლების ანალიზურ-სინთეზური (დაღმავალ-აღმავალი) მეთოდი; 4. წინასწარი ვარჯიში; 5. საანალიზო სიტყვებისა და დასურათების პრინციპი; 6. ასო-ბგერათა თანმიმდევრობის პრინციპი, გავრცელებულობის, სიმარტივე-სირთული, 7. საკითხავი მასალის შერჩევისა და დალაგების პრინციპი (საკითხავი მასალა ბავშვებისათვის გასაგები, საინტერესო და ამავე დროს ფასეულობით ღირებულებებზე ორიენტირებული უნდა ყოფილიყო; 8. თემატურობის პრინციპი (საკითხავი მასალა დაყოფილი იყო თემატურ-ბუდობრივი პრინციპის მიხედვით); 9. კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება; 10. თითო

გაკვეთილზე თითო სირთულე; 11. კითხვა-წერის ხერხი; 12. უაზრო მარცვლების კითხვაზე უარის თქმა... სწორედ ეს იყო ამ წიგნის პოპულარობის მიზეზი.

მთავარი კი ის გახლდათ, რომ ი. გოგებაშვილი, თავისი დროისათვის, დიდი რეფორმატორი იყო, ფეხდაფეხ მისდევდა იმ სიახლეებს, რომელთაც ევროპული სკოლა სთავაზობდა თანამედროვეობას, ამავე დროს ითვალისწინებდა ქართული ენის თავისებურებებს, ეროვნულ ფასეულობებებს და არ ახდენდა ინოვაციური მეთოდების ბრმა კოპირებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუქმდა ქართველი განამანთლებლების მიერ დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით შექმნილი ქართული დაწყებითი სკოლა. ეს ის პერიოდი, როდესაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ უკვე წარმატებით აქვს ჩაბარებული გამოცდა, იგი აპრობორებულია და „დედა ენა“ ანბანის რიგითი სახელმძღვანელოდან ქვეყნის ეროვნული იდენტობის საფუძვლად არის ქცეული. სწორედ ამის გამო საბჭოური ხელისუფლება ამ წიგნს დიდად აღარ სწყალობს. იგი ფაქტობრივად აღარ გამოიცემოდა და ბუნებრივია, აღარც გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია (იხ. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1957), 1922-1926 წლამდე წერა-კითხვა ჩვენს სკოლებში ძირითადად სახელმძღვანელოს გარეშე ასწავლიდნენ. მასწავლებელს ევალებოდა თავად შეედგინა სასწავლო რესურსები – საანბანო წიგნაკი, პლაკატები, ალბომი და სხვ. ამავე წელს განათლების კომისარიატს გამოუშვია სახელმძღვანელო პლაკატები, რომლებსაც თან ერთვოდა მითითებანი, თუ როგორ უნდა გამოიყენებინათ ისინი სწავლების პროცესში. როგორც ჩანს, სკოლას ძალზე გაუჭირდა „უარაფროდ“ სწავლება,

ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატს 1925 წელს გამოუცია გოგებაშვილის „დედა ენა,“ შეცვლილი სახელწოდებით: „ქართული ანბანი“, რომელზედაც ავტორის მხოლოდ ინიციალებია მითითებული. ამავე დროიდან (გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან), უცხოურის ბრმად მიბაძვით, სკოლაში მონდომებით ამკვიდრებენ ქართული ენისათვის შეუსაბამო და უსარგებლო მეთოდებს, მათ შორის „ამერიკულსაც“, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი უცხოური იყო, ამდენად, ახალი და პროგრესული. ეს მეთოდი აბსოლუტურად მიუღებელია ქართული ენისათვის.

20-იან წლებში ანბანის რამდენიმე სახელმძღვანელო შეიქმნა, ამ მეთოდზე დაყრდნობით: 1. 1926 წელს - ვ. ძიმიგურისა და ა. გვახარაის „პირველი წიგნი“; 2. 1927 წელს - ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“; 3. 1928 წელს - ტ. ზაალიშვილის „ვისწავლოთ“; 4. 1933 წელს, პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა“... ვერც ერთმა ვერ შეძლო იმ ფუნქციის შესრულება, რაც ქართული ანბანის სახელმძღვანელოს ეკისრებოდა: ესწავლებინა მოსწავლისათვის გამართული კითხვა და წერა ენის ლინგვისტური თავისებურებებისა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. სწორედ ამის გამო ქართულ სკოლას კვლავ მოუხდა ი. გოგებაშვილის პრინციპებთან დაბრუნება და მათი გათვალისწინება საანბანო წიგნების შედგენისას. 1943 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა კომისია, რომელმაც განიხილა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა აგების მეთოდური რეკომენდაციები. კომისიის მიერ შემუშავებულ პრინციპებში ვკითხულობთ: „დედა ენის“ პირველი ნაწილი უნდა აიგოს ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპით, სახელდობრ, იგი უნდა შედგეს ანალიზურ-სინთეზური მეთოდის კითხვა-წერის ხერხით. სახელმძღვანელო

უნდა შეიცავდეს სასაუბრო სურათებს, სახაზავ-სახატავ ნიმუშებს, ანბანს საკითხავი სავარჯიშოებითა და წერის ნიმუშებს, მარტივ სურათებს საგნის სახელის დასაწერად, ანბანის შემდეგ საკითხავ მასალას“ (ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდისა, თბ., 1953, გვ.79). ამავე წელს გამოცხადდა ანბანის სახელმძღვანელოების კონკურსი, რომელშიც 1944 წელს გაიმარჯვა ე. ბოცვაძისა და ნ. ბურჯანაძის ანბანის სახელმძღვანელომ. წიგნს, კომისიის დადგენილებით, ეწოდა „დედა ენა“, რამდენადაც იგი სრულად მისდევდა და ითვალისწინებდა ი. გოგებაშვილის პრინციპებს, მაგრამ არ წარმოადგენდა ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ ბრმა კოპირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნის განხილვა (რასაც ჩვენ დღეს გრიფირებას ვუწოდებთ) გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ ქართველოლოგიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დარგის იმდროინდელი კორიფეები: ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. თავზიშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ვ. რამიშვილი... ავტორებს ჰქონდათ მათთან შეხვედრისა და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების უფლება. წიგნი გადაამუშავდა იმდროინდელი სასწავლო პროგრამის მიხედვით, მასში შევიდა არსებითი ცვლილებები. ეს შეეხებოდა როგორც საკითხავ მასალას, ისე ასოთა თანმიმდევრობას, საანალიზო სიტყვებს, საწერ მასალას, დასურათებას... ეს ბუნებრივად გახლდათ, რამდენადაც ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის შემდეგ 30-ზე მეტმა წელმა განვლო და ქართული საბჭოთა სკოლა სრულიად ახალი მოთხოვნების წინაშე იდგა. ავტორ-შემდგენელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოახერხეს ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობის ადაპტირება თანამედროვეობასთან და ამ წიგნს ახალი სიცოცხლე აჩუქეს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ვერც ეს წიგნი გაექცა კომუნისტურ

შტამპს (და ეს ბუნებრივად იყო იმ დროს): აქ შეხვდებით „მშრომელთა ბელადების“ სურათებს, კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღერებულ საკითხავ მასალას („კოლმეურნეობა“, „პირველი მაისი“, „შვიდი ნოემბერი“, „25 თებერვალი“...).

მიუხედავად ამისა, ამ წიგნმა უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერებით ბავშვების აღზრდასა და ი. გოგებაშვილის მეთოდის გადარჩენაში. მარტივი არ ყოფილა ამ წიგნის გზა. ავტორებს კიდევ ერთხელ მოუწიათ კომისიის წინაშე წარდგომა 1957 წელს, როდესაც ი. გოგებაშვილის იდეებსა და პრინციპებს საფრთხე დაემუქრა, ახალი საანბანო წიგნის შემოჭრისას. მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგების: ზ. ხოჯავასა და ი. მოსიავას - საანბანო წიგნის პროექტი. წიგნი ი. გოგებაშვილის მეთოდების რევიზიას ახდენდა. მაშინ კიდევ ერთხელ დაირაზმა მთელი ქართული საზოგადოება, ჩვენი მეცნიერები და ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის წიგნი „გადარჩა“. გადარჩა, რადგანაც ის, ი. გოგებაშვილის მეთოდებზე დაყრდნობით, ემსახურებოდა განახლებულ ქართულ სკოლას. აღსანიშნავია, რომ ჩვენს უფროს თაობას ამ წიგნით აქვს ნასწავლი ქართული წერა-კითხვა და დღემდე ღრმად სჯერა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ შეუცვლელია. ეს წიგნი ქართულ სკოლას წარმატებით ემსახურა 1980 წლამდე.

1969 წელს საქართველოში დაიწყო ექსპერიმენტი 6-წლიანი ბავშვების სასკოლო განათლების პროცესში ჩართვა. სასკოლო ასაკად განისაზღვრა არა 7 (როგორც ეს ადრე იყო), არამედ 6 წელი. ეს ექსპერიმენტი გაგრძელდა 1980 წლამდე, 1980 წელს კი, საკავშირო მასშტაბით, დაიწერა 6-წლიანთა სწავლება. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ექვსწლიანთათვის ანბანის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი (როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილის, ასევე ნ. ბოცვაძისა და ე.

ბურჯანაძის „დედა ენები“ 7-8 წლის მოსწავლეთათვის გახლდათ შედგენილი). ეს მისია ითავა ქართული ენის მეთოდის ცნობილმა სპეციალისტმა პროფესორმა ვ. რამიშვილმა. 1969 წელს დაიბეჭდა მისი „დედაენა“ (და არა „დედა ენა“, როგორც მის წინამორბედებს ჰქონდათ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ეს სიტყვა, როგორც ერთცნობიანი კომპოზიტი, იწერება ერთად). ბუნებრივია, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, წიგნში მრავალი ცვლილება შევიდა როგორც საკითხავ და საწერ მასალაში, ისე წერა-კითხვის პერიოდიზაციაში. გაიზარდა წინასაანბანო პერიოდი, შეიცვალა და გამარტივდა საკითხავი მასალა, იგი მოვიდა სასწავლო პროგრამის მოთხოვნებთან შესატყვისობაში, შეიცვალა საანალიზო სიტყვები, ასო-ბგერათა თანმიმდევრობა, მაგრამ ბოლომდე დაცული იყო ის პრინციპები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლებიც ი. გოგებაშვილმა დაამკვიდრა ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში. რამიშვილი გოგებაშვილის მეთოდის აქტიური დამცველი გახლდათ და ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი თაობა გაზარდა ამ სულით. იგი 1989 წელს გარდაიცვალა. მისი წიგნი ამის შემდეგაც წარმატებით ემსახურებოდა ქართულ სკოლას.

მოგვიანებით ეს წიგნი, გამომცემლობა „განათლების“ დაკვეთით, განაახლა და თანამედროვე სასკოლო პროგრამასთან შესატყვისობაში მოიყვანა მისმა მოსწავლემ ნათელა მაღლაკელიძემ. განახლებული გამოცემა სკოლას ემსახურებოდა 2000-2005 წლებში, სასკოლო განათლების რეფორმამდე. ამგვარად, 1912 წლის შემდეგ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო ფაქტობრივად აღარ გამოცემულა (თუ არ ჩავთვლით ცალკეულ წლებს, როდესაც იგი, სპონტანურად, შეცვლილი სახელწოდებით, ავტორის ინიციალებით გამოდიოდა ხოლმე), 1944 წლიდან

იგი ჩაანაცვლა ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის, ხოლო 1969 წლიდან 2005 წლამდე ვ. რამიშვილის მიერ შედგენილმა „დედაენამ“. 1998 წლიდან ამ წიგნის პარალელურად იბეჭდებოდა ვახტანგ როდონაიასა და ავტორთა ჯგუფის ანბანის სახელმძღვანელოც, სახელწოდებით „დედაენა“. წიგნს ი. გოგებაშვილის მეთოდებთან არაფერი აკავშირებს, გარდა სახელწოდებისა და ამას არც მისი ავტორები უარყოფენ. ასე რომ, როცა ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნებაზე საუბარი, ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ 2006 წლიდან დაიწყო სასკოლო განათლების რეფორმა, რომელმაც არსებითად შეცვალა სასწავლო პროცესი, დაინერგა ეროვნული სასწავლო გეგმა, ახლებური საგნობრივი სტანდარტები; ახლებური მიდგომები გაჩნდა სწავლა/სწავლების პროცესის მიმართ, შეიცვალა შეფასების სისტემა, დავალებათა ტიპები, რომელიც მოსწავლეზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. წინა პლანზე წამოიწია არა ცოდნის დაგროვებამ (როგორც ადრე იყო), არამედ მოსწავლეთა შეიარაღებამ სათანადო უნარ-ჩვევებით... სახელმძღვანელოებიც, ბუნებრივია, ამ პრინციპებთან შესატყვისობაში მოვიდა. სწორედ ამ მიზნით გამოცხადდა კონკურსი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაზე 2005 წელს. კონკურსში გაიმარჯვა და გრიფი მიიღო ანბანის ორმა სახელმძღვანელომ, სახელწოდებით „დედაენა“: გამომცემლობა „მერიდიანი“, შემდგენლები: ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე და გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, ვახტანგ როდონაია და ავტორთა ჯგუფი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ წიგნს ი. გოგებაშვილის „დედა ენასთან“ სახელწოდების მეტი არაფერი აკავშირებს და სრულიად განსხვავებული მეთოდით არის შედგენილი). ამ წიგნებმა კვლავ გაიმარჯვა 2012

წლის კონკურსში. მათ დაემატა გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის“ მიერ შედგენილი საანბანო სახელმძღვანელო, სახელწოდებით „დედაენა“, რომელიც ასევე მისდევს ი. გოგებაშვილისეულ პრინციპებს. ამ სახელმძღვანელოთაგან უპირობოდ ლიდერობდა ნ. მაღლაკელიძისა და ე. მაღლაკელიძის „დედაენა“, ის იკავებდა სასკოლო სეგმენტის ნახევარზე მეტს. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნს ჰქონდა დადებითი გამოხმაურებანი როგორც ი. გოგებაშვილის მეთოდის აქტიური დამცველებისაგან, პედაგოგის დარგის სპეციალისტებისაგან, ისე - პრაქტიკოსი მასწავლებლებისაგან. ალბათ, ესეც გახდა, მოგვიანებით, ამ წიგნის საწინააღმდეგოდ აგორებული ე.წ. შავი პიარის მიზეზი. მთავარი ნაკლი, როგორც ოპონენტები უკიჟინებენ ავტორებს, გახლავთ ის, რომ წიგნი მოძველებულია, მისდევს ი. გოგებაშვილის პრინციპებს მაშინ, როდესაც თავად ი. გოგებაშვილი უკვე მოძველდა და დღეს ის აღარავის აინტერესებს. მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა კი ვისაუბროთ იმაზე, რა საფრთხის წინაშე დადგა არა მხოლოდ გოგებაშვილის მემკვიდრეობა, არამედ ტერმინი „დედაენა“ ჩვენი მშობლიური ენის მნიშვნელობით, და აქედან გამომდინარე - ჩვენი ეროვნული იდენტობა?!

2017 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, მოსთხოვა ანბანის სახელმძღვანელოთა ავტორებს, წარედგინათ თავიანთი წიგნები კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ექსპერტებისათვის, რომელთაც უნდა დაერთოთ ნება „დედა ენის“ სახელწოდების გამოყენებისა (როგორც ი. გოგებაშვილის საავტორო კუთვნილებისა). გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ექსპერტიზა თავიდანვე არაზუსტი იყო, რადგანაც ტერმინი „დედაენა“ ი. გოგებაშვილამდეც არსებობდა ქართული ენის

ლექსიკაში, მშობლიური ენის სინონიმად. უაზრობაა აუკრძალო ვინმეს ამ ტერმინის გამოყენება, მით უმეტეს, რომ იგი ი. გოგებაშვილის არ მოუგონებია. ეს იგივეა, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს წავართვათ უფლება, დააწერონ თავიანთ წიგნს „მშობლიური ენა“, „ქართული ენა“, რადგან მანამდე იგი სხვა ავტორებსაც ჰქონდათ გამოყენებული. ამასთანავე ამ ე. წ. ექსპერტთა ნაწილი არ გახლავთ ამ დარგის სპეციალისტი და არასოდეს ჰქონია შეხება მეთოდოლოგიურ მეცნიერებასა და სასკოლო სახელმძღვანელოებთან, არ იცნობს თანამედროვე სკოლას, ეროვნულ სასწავლო გეგმას. დარგის სპეციალისტმა ექსპერტებმა ნათელა მაღლაკელიძისა და ელენე მაღლაკელიძის წიგნს დადებითი დასკვნა მისცეს და არც სახელწოდება „დედაენა“ ჩაუთვლიათ სადავოდ, ექსპერტთა მეორე (შედარებით მცირე) ნაწილმა, რომელსაც არასოდეს ჰქონია შეხება საანბანო წიგნებთან (ერთი მათგანი აღმოსავლეთმცოდნეა და მეორე ფილოლოგ-თეორეტიკოსი) და არც ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობას იცნობს ამ კუთხით, „აუკრძალა“ ავტორ-მემდგენლებს ამ სახელწოდების გამოყენება. აქვე წარმოგიდგენთ ერთ-ერთი ექსპერტის წერილს, რომელსაც ვერაფრით ჩავთვლით ვერც დასკვნად და ვერც რეცენზიად. იგი პრივატული წერილია: „მოგესალმებით, ქალბატონო მაკა! მასწავლებლის წიგნს ან მოსწავლის რვეულს და ა.შ. შეიძლება დაეწეროს მემდგენლის გვარი/გვარები, მაგრამ თავად „დედა ენა“, რომელშიც საანბანო ნაწილია განთავსებული, რედაქტორის/მემდგენლის და ა.შ. გვარის მიწერა გარეკანზე ან იმის მითითება, რომ შედგენილია იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, არ მიმაჩნია სწორად. მაშინ შექმნან ახალი ტერმინი/სათაური წიგნისთვის, ნუ გამოიყენებენ „აი იას“ და „აი თითს“ და დააწერონ თავიანთი გვარები. შიგა გვერდზე

მითითება, გამოცემულია, ვთქვათ, ლომთაძის რედაქციით ან გადამუშავებული და შესწორებული ლომთაძის მიერ და ა.შ. არავითარ შემთხვევაში, არ აკნინებს მათ შრომას. ცვლილება, სადაც საჭიროა, აუცილებლად უნდა განხორციელდეს, მაგრამ მოტივაცია უნდა ჩანდეს. თუ ათწლეულების განმავლობაში ცვლილება არ იქნება საჭირო, ეგ პირიქით, უკეთესია, მაგრამ ცვლილების შეტანა ავტორობას არ ნიშნავს. პატივისცემით. აი, ამგვარი „დასკვნების“ საფუძველზე „ჩამოართვეს“ ნათელა და ელენე მაღლაკელიძეების საანბანო წიგნს სახელწოდება „დედაენის“ გამოყენების უფლება, მით უმეტეს, რომ ისინი არც ყოფილან ავტორებად მითითებული. წიგნს სატიტულო ყდაზე აწერია: ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპების მიხედვით შეადგინეს ნათელა მაღლაკელიძემ, ელენე მაღლაკელიძემ. საინტერესოა, როგორ უკრძალავენ ავტორობას, თუ ეს პირები ავტორებად მაინც არ არიან მითითებული ან ვინ აკრძალა „აი იასა“ და „აი თითის“ გამოყენება?! ეს იგივეა, რომ ავკრძალოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, შოთა რუსთაველის... და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოყენება სკოლაში, საკითხავ მასალად ან მეთოდურად დაუმუშავებელი, ნედლი სახით, მივაწოდოთ იგი თანამედროვე მოსწავლეს. ასეთივე ბედი ეწია კულტურის სამინისტროში წარდგენილ ყველა საანბანო წიგნს, გარდა ერთისა: ეს გახლავთ მამა ზურაბ გიორგაძის მიერ გადამუშავებული „დედა ენა“, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს. ეს წიგნი, 2006 წელს გადამუშავდა და არასოდეს გამოუყენებიათ სკოლაში, უფრო მეტიც - იგი საერთოდ არ მისდევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ეს ბუნებრივიცაა: მამა ზურაბი არ გახლავთ პედაგოგიკის დარგის სპეციალისტი. დღეს სწორედ ამ წიგნის „დაბრუნებას“ ითხოვს ი. გოგება-

შვილის ზოგიერთი „დამცველი.“ საინტერესოა, როგორ „აბრუნებენ“ ისინი სკოლაში წიგნს, რომელიც არასოდეს ყოფილა სახელმძღვანელოდ გამოყენებული და აცდენილია თანამედროვე მოთხოვნებს; ან ვისგან იცავენ ისინი „დედა ენას“ - დარგის სპეციალისტებისაგან, რომელთაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ენის სწავლების კვლევასა და ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის გადარჩენას მიუძღვნეს?!

კიდევ უფრო სავალალოა გრიფირების პროცესში განათლების სამინისტროს მიერ დაქირავებული ექსპერტების დასკვნები. ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ ი. გოგებაშვილის ხედვა განსხვავდება 21-ე საუკუნის განათლებისა და პედაგოგიური პრინციპებისაგან, ამიტომ მისი მოთხოვნები შეუფერებელია თანამედროვე მოსწავლისათვის; უფრო მეტიც - თურმე ი. გოგებაშვილის ბევრი მოთხოვნა „სახიფათო მესიჯების“ შემცველია თანამედროვე სკოლისათვის. მათ დაუნდობლად გააკრიტიკეს და მოითხოვეს, ამოეღოთ საანბანო წიგნიდან გ. წერეთლის შესანიშნავი საბავშვო ლექსი „დედა“, რადგანაც ამ ლექსში გვხვდება სიტყვები: დედაბოძი, დედაქალაქი, დედამიწა, დედაენა. ეს ლექსიკური ერთეულები თურმე ძნელად აღსაქმელია თანამედროვე ბავშვისათვის.

„ჩამოვიტანე ავი ჭაობის ციება; მაგრამ თანაც ჩამოვაცოცე ვეებერთელა რვეული, გაჭიკნილი ხალხური ზღაპრებით, არაკებით, ლექსებით და შევუდეგ „დედა ენის“ შედგენასა და გამოცემასა“ - ასე აღწერს იაკობ გოგებაშვილი ქართველთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნის მომზადების პროცესს (იაკობ გოგებაშვილი, 2016 წ.). ყველა ლექსი, არაკი, ზღაპარი, მოთხრობა ავტორის დიდი ხნის ფიქრის შემდეგ შევიდა წიგნში. იგი რუდუნებით მუშაობდა სწავლების მეთოდებზე, რომ მოსწავლეს მარტივიდან რთულისკენ სვლა გაადვილებოდა

და წერა-კითხვასთან ერთად, მნიშვნელოვანი მორალური და ეროვნული კრიტერიუმებიც აეთვისებინა. გოგებაშვილი თითოეული ასოს მოხაზულობაზეც დიდ ხანს ფიქრობდა და მხოლოდ ხანგრძლივი რეფლექსიის მერე იღებდა გადაწყვეტილებას! „დედა ენა“ მისი მრავალმხრივი და მრავალწლიანი გარჯის შედეგია.

დღეს კი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობასთან ერთად გაქრობის გზაზეა შესანიშნავი ლექსიკური ერთეული „დედა ენა“. იგი ბევრს მხოლოდ წიგნის სახელწოდება ჰგონია. ამ წიგნისა და ტერმინის გაქრობასთან ერთად კი, ქართულ სკოლაში ქრება ის ეროვნული სული, რომელსაც საფუძველი ჩვენმა დიდმა განმანათლებელმა ჩაუყარეს. ამიტომაც განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ დღევანდელ საანბანო წიგნებში უპირატესობა ენიჭება არა ფასეულობით ღირებულებებზე, ეროვნულ ცნობიერებაზე ორიენტირებულ საკითხავ მასალას, არამედ აყუნასა და ბაყუნაზე, ღორების ოჯახზე, თალგამისა და კომბოსტოს ქორწინებებზე... დაწერილ ტექსტებს.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გზამ შექმნიდან გამოცემამდე, მისი საუკუნოვანი თავგადასავლის გააზრებამ ხელი უნდა შეუწყოს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას! დარგის სპეციალისტები (პირველ რიგში კი, ჩვენი განათლების აკადემიის წევრები, რომელთაც სწორედაც რომ დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ ამ კუთხით) უნდა ჩაერთონ „დედაენის“ გადარჩენის საქმეში, სწორედ მათგან უნდა მოისმინოს საზოგადოებამ კომპეტენტური დასკვნები გოგებაშვილის მეთოდოლოგიური მემკვიდრეობის ადაპტირებისა და გამოყენების შესახებ; სწორედ განათლების დარგის სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი წიგნია ღირსი ატაროს ეს სახელწოდება. ამით თავიდან ავიცილებთ დილეტანტიზმს ამ



სფეროში. იაკობის „დედა ენა“ ის საგანძურია, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიების ჭრილიდანაც არ კარგავს აქტუალობას, სწორედ მასზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას 21-ე საუკუნის საქართველოს საანბანო სახელმძღვანელო. ის მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არ უნდა დარჩეს, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს თაობების

სწორად აღზრდის საქმეში. წერა-კითხვის ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ ყველას ხელეწიფება პირველი სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა, არავის არ უნდა მივცეთ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის უფლება. თავის მხრივ, საზოგადოებასაც აქვს ამ საკითხზე არსებული პრობლემების წვდომის უფლება.

## LITERATURE

### SOME QUESTIONS ABOUT I. GOGEBASHVILI'S "DEDA ENA"

ZURAB KHONELIDZE

*Sokhumi State University*

Discusses the contradictory opinions and conclusions that scholars currently have about I. Gogebashvili's "Mother Language". The issue is being discussed around the book's title, structure, content and its relevance to the modern school.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1910 წ. .ტ. 2, გვ.37
2. გ.რამიშვილი, „დედა ენის თეორია“, თბილისი, 2000 წ. გვ. 70
3. ი. გოგებაშვილი, „დედა ენა“, მე-2 ნაწილი, 1907 წ. გვ.14
4. ი. გოგებაშვილი, „დედა ენა“ გამომცემლობა „ჭერა“. 2016 წ., გვ 74

## ლიტერატურა

### რწმენის საკითხების ლიტერატურული ასპექტები მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში

#### ბურამ ბახტაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი** - საქართველოში ქრისტეს მოწაფეებმა შემოიტანეს ქრისტიანობა. რუსთაველმა სათავე დაუდო ცხოვრებისეული მოვლენების მატერიალისტური თვალსაზრისით ახსნას, მაგრამ პარალელურად, მისი მსოფლხედველობა მყარად დგას ქრისტიანულ ნიადაგზე. შუა საუკუნეებში საქართველოს მის ფარგლებს გააჩნდა სამონასტრო კომპლექსები, სადაც სასულიერო პირები ეწეოდნენ აქტიურ სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას. მომხდური მტრის რაოდენობრივ უპირატესობას ქართველი ერი ხშირ შემთხვევაში სულიერ სიმტკიცეს უპირისპირებდა. ეს ფაქტები, თუ მოვლენები აისახებოდა ხოლმე მწერლობაში. ამგვარი ტენდენცია შენარჩუნებულია მე-19 საუკუნის ქართულ სიტყვიერებაში - რომანტიკოსებისა და რეალისტების შემოქმედებაში. თუმცა რელიგიური თემა სუსტადაა წარმოდგენილი, ან ცრურწმენის ასპექტებითაა განხილული ხალხოსანთა შემოქმედებაში. მათი შემოქმედება მატერიალურზეა ორიენტირებული და არა სულიერზეა. ისინი კომუნისტების არც ისე შორეული წინაპრებად მოსჩანან. რელიგიური თემები სრულიად ახლებურად განიხილა ვაჟა-ფშაველამ. მის პოემებში იბადება ახალი მსოფლიოს მოქალაქე. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ანალიზი ცხდყოფს ამ ხალხის ტოლერანტობასა და კულტურულ შემწყნარებლობას; ასევე ქართული კულტურის მისწრაფებას დასავლური ღირებულებებისაკენ. მართალია, ქართული მწერლობა მყარად დგას ქრისტიანულ ნიადაგზე, მაგრამ იგი არასდროს არ იყო იზოლირებული. ასე რომ, ქართული კულტურა თავისი არსით ევროპულიცაა.

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტიანობა, ქართული მწერლობა, ძველი ქართული ლიტერატურა, ახალი ქართული ლიტერატურა, რომანტიკოსები, ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“ „სტუმარმასპინძელი“, ევროკავშირი, ინტეგრაცია.

რელიგია ქართულ მწერლობაში ყოველთვის განსაკუთრებული თემა იყო, ამას გარკვეული ობიექტური მიზეზები განაპირობებდა. საქართველოში ქრისტეს მოწაფეებმა შემოიტანეს ქრისტიანობა. (ქართლის ცხოვრება, 1955:42) არაერთი ბერძნული და ქართული წყარო ადასტურებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. (იხილე სრულად: ჯაფარიძე, 2009; <http://patriarchate.ge/geo/eklesia/istoria-movlenebi>). ასე რომ, პირველივე საუკუნიდან დაადგა ქართველი ხალხი და მისი კულტურა განვითარების ქრისტიანულ გზას. საყურადღებოა, რომ მეცნიერები ქართული

დამწერლობის შექმნას ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებენ. ამ პერიოდიდანვე ჩვენს მწერლობა და ხელოვნება მჭიდროდ დაუკავშირდა ბერძნულს, დასავლურს. ქართულ მწერლობაში ვიდრე საერო მიმართულება გაჩნდებოდა, სასულიერო მწერლობამ თავისი განვითარების პიკს მიაღწია. (სრულად იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, ტ., I,- 1980.)

ქართულმა საერო მწერლობამ ჩასახვიდან საუკუნის თავზე ევროპულ რენესანსს გაულო კარი და ამით რამდენიმე საუკუნით ადრე აცნობა მსოფლიოს აზროვნების ახალი ხანის დასაწყისი. მხედველობაში გვაქვს შოთა

## გურამ ბახტაძე

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის დაწერის დრო-(1183-1213 წ.წ.) საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდს ემთხვევა. რუსთაველმა სათავე დაუდო ცხოვრებისეული მოვლენების მატერიალისტური თვალსაზრისით ახსნას, მაგრამ პარალელურად მისი მსოფლმხედველობა მყარად დგას მართლმადიდებლურ, არეოპაგიტიკულ ნიადაგზე. (ხინთიბიძე, 2009:41)

შუა საუკუნეების საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა. სირიაში, პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში და სხვ. აზიისა და ევროპის არაერთ ქვეყანაში საქართველოს გააჩნდა თავისი სამონასტრო კომპლექსები, სადაც სასულიერო პირები ეწეოდნენ აქტიურ სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ: პეტრე იბერი (ფსევდოდონისე არეოპაგელი), ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ტბელ აბუსერისძე, ანთიმოზ ივერიელი და სხვ. (კ. კველიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, ტ., I,- 1980.) ქართველი ერი სარწმუნოების დაცვას ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვასთან აიგივებდა. ქრისტიანობა მისთვის სიმართლისათვის ბრძოლის ერთადერთ იარაღს წარმოადგენდა. ძნელად მოსაპოვებელია მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელსაც იმდენი წმინდა მოწამე ეყოლება, რამდენიც საქართველოს.

მომხდური მტრის მრავალრიცხოვნების გამო, ფიზიკური ძლიერების დაძლევის ერთადერთ გზად, სულიერი სიმტკიცედა რჩებოდა. არაერთი ქართველი მეფე წმინდანადაა შერაცხული. ისტორიულმა მოვლენებმა და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, ქრისტიანობის დაცვა ისტორიულ მისიად და ფუნქციად გადააქცია. რა თქმა უნდა,

ყველა ეს ფაქტი თუ მოვლენა ასახვას პოულობდა ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა საქართველოს როლი ევროპის უსაფრთხოებაში. თუმცა, იგი კვლავ მარტო რჩებოდა არაქრისტიანული იმპერიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ([ბაქრაძე, https://core.ac.uk/download/pdf/15532035.pdf](https://core.ac.uk/download/pdf/15532035.pdf))

მე-16-მე-18 საუკუნეებში ქართული ლიტერატურა აგრძელებს წინამორბედი პერიოდის სასულიერო მწერლობის ტენდენციებს. დავით გურამიშვილის მრავალმხრივ პოეზიაში წამყვან ადგილს იჭერს იესო ქრისტესა და ღვთისმშობელის მხატვრული სახეები, ძველი თუ ახალი აღთქმის არქეტიპები. ამავე პერიოდში იქმნება თეიმურაზ I-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ პირველი კათალიკოსისა და სხვათა ნაშრომები სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში.

მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის გამდიერებამ და კიდევ სხვა გარემოებებმა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, საქართველოს ზემოთაღნიშნული ფუნქცია დააკნინა. პოლიტიკურად უკიდურესად დასუსტებულმა საქართველომ ისევ და ისევ რწმენის ერთობაზე აიღო ორიენტაცია და ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა საკუთარი ბედი. თუმცა რუსეთმა მალევე წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა და თვითონ შეიერთა გუბერნიების სახით დაყოფილი ქვეყანა.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებში ქართულ მწერლობაში აქტიურად ვითარდება ევროპეიზმი. ამ პერიოდში უმაღლეს საფეხურს მიაღწია ქართულმა რომანტიზმმა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ძლიერი შენაკადია. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის თუ სხვა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება ევროპელი რომანტიკოსების მსგავსად, ქრისტიანული მოძღვრებითაა

ნასაზრდოები. (ევგენიძე, 1982:18). ქართული რომანტიზმის აღმოცენების უმთავრეს მიზეზად სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა მოგვევლინა. შესაბამისად, ქართული რომანტიზმი გაჯერებულია წარსულის იდეალიზაციით.

რელიგიური თემა შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალურ შემოქმედებაში, თუმცა მისი თხზულებების სიღრმისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ პოეტის მსოფლმხედველობის უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო ბიბლიაა. ამ მხრივ, საინტერესოა ქალბატონ თამარ შარაბიძის სამეცნიერო ნარკვევი - „ქრისტიანული მოტივები მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ლირიკაში“, სადაც ავტორი წარმოაჩენს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკაში ჩაკარგულ ქრისტიანულ ტენდენციებს; მსჯელობს, რა ალ. ჭავჭავაძის მიერ დერჟავინის საყოველთაოდ ცნობილი ოდის - „ღმერთის“ თარგმანის შესახებ, მკვლევარი აღნიშნავს: „საფიქრებელია, რომ ალ. ჭავჭავაძის დერჟავინის ლექსით დაინტერესება და მისი თარგმნა განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ პოეტთა რელიგიური აზროვნების იდენტურობით: ეს ლექსი გამოხატავდა ალ. ჭავჭავაძის თეოლოგიურ მრწამსს, მის შეხედულებას სამყაროსა და მასში ადამიანის ადგილზე...“

რელიგიურ თემაზეა შექმნილი ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ვიხილე ძე უღმერთო“, რომლის არქეტიპი დავით წინასწარმეტყველის 36-ე ფსალმუნია. რა თქმა უნდა, ფსალმუნის გალექსვა არ წარმოადგენს პოეტისათვის უბრალო გატაცებას, ეს მისი სულიერი მოთხოვნებისა და პოეტური ნიჭის შერწყმად უნდა აღვიქვათ. ფსალმუნის გალექსვას სხვა დატვირთვაც აქვს - ეს არის შემოქმედებითი სწრაფვა ღვთისადმი (შარაბიძე, <http://www.bu.org.ge/x1235?lang=geo>).

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს, ისინი ქმნიან

ლირიკულ შედეგებს, რომლებიც ქართული ჰიმნოგრაფიის ნიმუშებად შეიძლება გამოცხადდეს. მაგალითად, ერთ-ერთი ამგვარი ნაწარმოებია გრ. ორბელიანის „ფსალმუნი“, რომელიც დავით წინასწარმეტყველის 23-ე ფსალმუნის თავისებური ტრანსფორმაციაა. ლექსით მკაფიოდ გამოხატულია მისი ავტორის რელიგიური მრწამსი და სურვილი - დავით წინასწარმეტყველის აღნიშნული ფსალმუნი ხელახლა აღმოუჩინოს რწმენის დეფიციტში მყოფ ქართველ მკითხველს და განსაკუთრებულად მძიმე ცოდვად წარმოაჩინოს მოძმის ღალატი. აქ აბსოლუტურად გამართლებულია რუსი ფორმალისტების თეორია „ხელახლა აღმოჩენის, დადგენილის, ნაცნობის გაუცნაურების, ფამილარულის გაუცხოების, ანუ დეფამილარიზაციის შესახებ“. (იხ. შკლოვსკი, ხელოვნება როგორც ხერხი; ლიტ. თეორია, 2008:20). ქართულ ლიტ. მცოდნეობაში ცალსახადაა გაზიარებული შეხედულება, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ღრმა რწმენა და სახარებისეული სენტენციები. ეს ტენდენცია ასევე რელიეფურია პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაშიც. მის მიერ ახლობლებისა, თუ მეგობრებისადმი მიწერილ პირად ბარათებში ხშირია რწმენის შესახებ საუბარი.

რელიგიური თემა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში. ის სულით მემამბოხე რომანტიკოსი პოეტია. მას კარგად აქვს შესწავლილი ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. განსაკუთრებულ დიალოგშია იგი „ეკლესიასტესთან“. მისთვის თითქოს მისაღებია ამ წერილის პათოსი ამქვეყნიური ამოების შესახებ, თუმცა საბოლოოდ კატეგორიულად უარყოფს ამგვარ სკეპტიციზმს და აქტიური ცხოვრებისაკენ მოუწოდებს მკითხველს.

სამყაროსა და უფლის არსის გააზრება წამყვანი თემაა ბარათაშვილის არაერთი

## გურამ ბახტაძე

ლექსისა. მაგალითად „შემოდამება მთაწმინდაზე“. „ჩემი ლოცვა“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“, „ჩჩვილი“ და სხვ. სათაურებიდანვე ჩანს ამ თხზულებათა მისტიკურ-რელიგიური ხასიათი. თითოეული მათგანი რელიგიურ-ფილოსოფიური თემების ფართოდ განხილვის საფუძველს იძლევა. მაგალითად, 16 წლის ასაკში დაიწერა მისი ლირიკული შედევრი „შემოდამება მთაწმინდაზე“, სადაც დასმულია პრობლემა - ჩვენ და გარესამყარო. ავტორი გამოხატავს მსოფლიო სევდას. იმის გამო, რომ ადამიანი უსუსურია, მას არ შეუძლია ბოლომდე შეიმეცნოს სამყაროს არსი. საყურადღებოა, რომ ლექსის დასკვნით ნაწილში მკითხველი ხედავს მხურვალე ლოცვით დაქანცული უმანკო სულის ხატებას. ლექსი მთავრდება მეტაფორიზებული დაბეჯითებული მოლოდინით, რომ მზიანი დილა გათენდება და ბინდი გაიფანტება. ლექსი „ხმა იდუმალი“ ეხმიანება გერმანელი ფილოსოფოსის ფიხტეს მოსაზრებას; მზერა მიმართულია საკუთარი მესაკენ. ავტორი უკიდურესი გულწრფელობით გადმოსცემს შინაგანი „იდუმალი ხმის“ ძახილს და ლირიკული წიაღსვლებით მიყვავართ სახარებისეულ სწავლებამდე - „შეიცანი თავი შენი“. სახარებისეული სწავლების - „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, - პოეტური ტრანსფორმაცია ხდება „მერანში“. „ჩემი ლოცვა“, „მამაო ჩვენოს“ შთაგონებითაა დაწერილი და მიგვანიშნებს, რომ ლირიკული გმირი მხურვალე ლოცვით დაქანცული „უმანკო სულია“ („შემოდამება მთაწმინდაზე“). ირკვევა, რომ პოეტისათვის რწმენა თავშესაფარია, სადაც აპირებს „სულიერ სიმშვიდეს ეზიაროს“. „ბოროტი სული“ (ლუციფერი) ეწინააღმდეგება, ამის უფლებას არ აძლევს, თუმცა მეტროლი სულის ლირიკოსი არავითარ შემთხვევაში არ აპირებს დამორჩილებას. პოლემიკაში, რომელიც იმართება პოეტსა და „ბოროტ სულს“ შორის, გვესმის (ისევე

როგორც ალ. ჭავჭავაძესთან,) დავით წინასწარმეტყველის 36-ე ფსალმუნის გამოძახილი. ლექსით „ჩჩვილი“, ქართველი რომანტიკოსი თავისი ქრისტიანული მსოფლმხედველობით საბოლოოდ შეუერთდა მსოფლიო რომანტიკოსთა პლეადას (ჰაინე, ჰიუგო, პუშკინი, ბაირონი). „ბარათაშვილის იდეალიზმს განსაზღვრავდა მისი ეპოქა, რომანტიკული თვალთახედვა, მისი სულიერი მისწრაფებების განუხორციელებლობა, რაც მთავარია - მისი პიროვნული ხასიათი.“ (სირაძე, 1987: 205)

ქართველ რომანტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება ვახტანგ, ორბელიანი, რომლის შემოქმედების ერთ-ერთი სამკაულად გვევლინება პოემა - „ჯვარი ვაზისა“, სადაც იდეალიზირებულია წმ.ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების პერიოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი რომანტიკოსები მისტიროდნენ იმ ახლო წარსულს, როცა ჯერ კიდევ არსებობდა დამოუკიდებელი ქართული სამოციქულო ეკლესია. რუსეთის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მორწმუნეების მხრიდან ხშირ შემთხვევაში უფლის მიერ მოვლენილ „სასჯელად“ იყო მიჩნეული.

ქართველ რომანტიკოსთა შორის თემატური და ჟანრობრივი თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ფიგურაა ალექსანდრე ორბელიანი. რაც შეეხება რელიგიის თემას, მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რომ მე-19 საუკუნის შუა წლებში, აგიოგრაფიული მოდელის მიხედვით ქმნის ნაწარმოებს - „უმანკო სისხლი“. საყურადღებოა მისი მემუარული ხასიათის ნაწერები, სადაც საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ოჯახის მიერ ეკლესიური ცხოვრების წესების დაცვის აუცილებლობაზე.

ამრიგად, ქართველი რომანტიკოსების მსოფლმხედველობა აღმოცენებულია ქრისტიანულ ნიადაგზე და ამართლებს დიდ მოაზროვნეთა შეხედულებებს (ჰეგელი,

ჰაინე, სტენდალი და სხვ.) - რომ რომანტიზმი მჭიდრო კავშირშია ქრისტიანობასთან. ცხადია, ეროვნული ლიტერატურა საკუთარი ხალხის ზოგად განწყობილებას ასახავდა და მისგან განყენებულად არ იდგა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე ცნობილი ქართველი კლასიკოსების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის აქტიური ძალისხმევით გამოვიდა თაობა, რომელსაც ეწოდა „სამოციანელები“. ამ თაობამ უპირველეს ამოცანად დაისახა მწერლობის გათავისუფლება რომანტიკულ-სენტიმენტალური ტენდენციებისაგან; შემუშავებულ იქნა ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფცია, რომელიც უარყოფდა ყოველგვარ კლიშეს, რომელიც მწერლობას რაიმე სახით ზღუდავდა. ამ პერიოდში ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა ახალ სიმაღლეებს ეზიარა. სხვა თემებთან ერთად, რწმენასა და უფლის სიყვარულს ახლებური ჟღერადობა მიენიჭა პუბლიცისტიკაშიც.

1861 წელს მომავალმა დიდმა კლასიკოსმა ილია ჭავჭავაძემ უმთავრეს ღირებულებად დასახა - „ენა, მამული, სარწმუნოება“. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ სახეთა სისტემაში აქტიურადაა გამოყენებული ბიბლიური უნივერსალური მოდელები და სტრუქტურები. მათ შემოქმედებაში ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ ირიბადაა შემოტანილი ბიბლიური პერსონაჟების: მოსეს, აბრაამის, იოზის, იერემიას და სხვათა არქეტიპები. იწერება მხატვრული ნაწარმოებები ღვთისმშობლის, ანდრია პირველწოდებულის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, წმინდა ნინოს, თორნიკე ერისთავის, ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის და სხვა წმინდანების შესახებ. კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი ჰქონდათ ეკლესიის ისტორიაში ქება-დიდებას უძღვნიან.

მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ მწერლობაში შესაშური სიუხვითაა წარმოდგენილი მრავალპლანიანი მხატვრული სახეები, რომელთა ერთ-ერთი ასპექტი, ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანული მრწამსით ანალიზირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულებები ტექსტს მიღმა დარჩებოდა. ამ ავტორთა ზოგიერთი ლექსი დღეს საგალობლებების სახით სრულდება ქართულ ეკლესიაში. ასეთი ტენდენცია ეროვნული თვითმყოფადობის იდეის პოპულარიზაციის მიზნით იყო ნასაზრდოები და სავსებით მიესადაგებოდა დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის მისწრაფებას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში განვითარებულმა მოვლენებმა დღის წესრიგში შემოიტანა ახალი საკითხი - ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების პერსპექტივით. აღნიშნულ ეტაპზე, იმ პირობებში, როცა ქვეყანაში მასმედია ფაქტობრივად არ არსებობდა, რასაკვირველია, ლიტერატურა ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა ამა თუ იმ იდეის, აზრის საზოგადოებაში გავრცელება. ეს კარგად ესმოდათ ქართველ „სამოციანელებს“. ლიტერატურის „უტილიტარიზაციის“ ხანა იდგა რუსეთშიც, რაც თავისებურად აისახებოდა ქართულ მწერლობაზეც.

ოსმალეთ-რუსეთის ომის „აჩრდილი“ უფრო და უფრო ახლოვდებოდა; დაკარგული ქართული ტერიტორიების შემოერთების თვალსაზრისით, ქართველი ინტელიგენციის მოლოდინი ოპტიმიზმითა ივსება. მიმდინარე მოვლენები აისახება პრესაში. 1877 წელს ომი იწყება და 1878 წლის აგვისტოში რუსეთის გამარჯვებით მთავრდება. რუსეთის იმპერიის საზღვრებში გადადის ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული ქალაქები და სოფლები. თუმცა გამუსულმანებული მოსახლეობის ინტეგრაციას არ-



## გურამ ხახტაძე

თულებდა განსხვავებული რელიგია. მუსლიმი ქართველობა ტოვებდა მშობლიურ მხარეს და ოსმალეთის შორეულ რეგიონებში მიდიოდა. როგორც ცნობილია, ამ პროცესს ხელს უწყობდა ერთი მხრივ ოსმალეთის რელიგიურ ნიადაგზე დაფუძნებული, აგიტაცია-პროპაგანდა, მერე მხრივ კი რუსეთის დაინტერესება, სწრაფად დაცლილიყო ქართული მიწები აბორიგენი მოსახლეობისაგან. ქართული ეროვნული ინტერესების დამცველად რამდენიმე ათეული, ან ასეული პატრიოტილა რჩებოდა. ამ შემთხვევაში გამოიკვეთა მწერლობის განსაკუთრებული დანიშნულება. მწერალთა და ჟურნალისტთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ხდება ამ მოვლენების გონივრული და პრაგმატული მართვა, ისევე და ისევე მხატვრულ-პუბლიცისტური სიტყვის მეშვეობით. ილია ჭავჭავაძე ცდილობს ტერმინი - „მაჰმადიანი ქართველი“ ჩაანაცვლოს - „ოსმალს ქართველმა“. ხოლო მის მიერვე შემუშავებული ტრიადა - „ენა, მამული, სარწმუნოება“ ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ენა, მამული, ისტორია“. ამ მხრივ, **ეროვნული ერთიანობის კონცეფციის** მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის სტატიას - „ოსმალს საქართველო“ (1877 წელი), სადაც წინა პლანზეა წამოწეული ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული რეგიონების განსაკუთრებული როლი ეროვნული კულტურისა და ისტორიის წინაშე; სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვართომობისა ისე არ შეამსჭვალეხს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა **ისტორიისა** (ჭავჭავაძე: 1987:7). როგორც მერაბ ლაღანიძე შენიშნავს „ქრისტიანობის თემა შემდგომ ისევე ჩნდება ტექსტში, როგორც ქვეყნის საერთო ისტორიაში სამხრეთ საქართველოს პირველობისა და მეწინავეობის ნიშანი“

(<https://burusi.wordpress.com/2013/06/01/ghaghanidze-2/>).

ყოველკვირეული ჟურნალ „ივერიის“ მეშვეობით, ქართული პუბლიცისტიკა აქტიურად იწყებს ილია ჭავჭავაძის **ეროვნული კონცეფციის** პოპულარიზაციას. სტატიებში, რომლებიც სამხრეთ საქართველოს შემოერთებას შეეხებოდა - რელიგიის თემას, პირობითად ტაბუ ედება; მწერლობაში, განსაკუთრებით პუბლიცისტიკაში, მატულობს ჟანრობრივი თვალსაზრისით სინთეზური ხასიათის პუბლიკაციები, მათ შორის - დოკუმენტური პროზის ნიმუშები, სადაც მჟღავნდებოდა მამულიშვილური სიტბო და თანაგრძნობა „ოსმალს ქართველებისადმი“. აპ ტიპის ნაწერებს უნდა დაეჩქარებინა ერთი ერის წარმომადგენელთა შორის რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული გაუცხოების დაძლევა.

რა ხდებოდა საკუთრივ მხატვრული სიტყვის სარბიელზე? არის თუ არა იგივე ტენდენცია შენარჩუნებული აქ? უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურა მდიდრდება რელიგიურ თემებისადმი მიძღვნილი თხზულებებით, რომელთა იდეურ-მსოფლმხედველობრივი კრედო დღემდე საკამათოა ლიტერატურის მცოდნეთათვის. მათ შორის გამოვარჩევდით ილია ჭავჭავაძის პოემას - „განდეგილი“, სადაც ავტორმა, ასკეტი ბერის ტრაგიკული ისტორიის ჩვენებით, მკითხველს თავსატეხი გაუჩინა. რა არის ამ ნაწარმოების მიზანი? დავგმოთ ასკეტიზმი, თუ მივიღოთ იგი. ამ პოემის შესახებ ათობით გამოკვლევა და სტატია დაიწერა. მის შესწავლას მკვლევარები ცდილობენ განყენებულად და ევროპელი თუ რუსი კლასიკოსების ანალოგიური პრობლემატიკის ირგვლივ შექმნილ ნაწარმოებთა კონტექსტში. თუმცა, აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე ბოლომდე ინარჩუნებს თვითმყოფადობას და აშკარაა მისი განუმეორებლობა და ორიგინალობა.

რაც შეეხება მის რელიგიური მრწამსს, ეს საკითხი სრულფასოვნად გამოიკვლია ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა და მოაზროვნემ ზურაბ კვიციანიძემ. მისი სტატია:

„მცინვარი და თერგი“ წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის საკრალურ მხატვრულ სახეთა მეცნიერულ ანალიზს, სადაც სიღრმისეულადაა ახსნილი მწერლის შემოქმედებაში გამოკვეთილი კონცეპტები. ზურაბ კიკნაძე სტატიის დასასრულს აღნიშნავს: „აჩრდილის“ ორი ვარიანტის ორი ეპიგრაფი - ერთი ფსალმუნდანი: ხოლო მეორე „ვეფხისტყაოსნიდან“ ასახავს ავტორის ყოყმანს - საკრალურისა და სეკულარულის მონაცვლეობას უკანასკნელისადმი საბოლოო უპირატესობის მინიჭებით. პირველის მიხედვით, ისტორიას წარმართავს ღმერთი და იგი არის მისი უკანასკნელი მსჯავრმდებელი და განმკითხველი; მეორის თანახმად კი, ისტორია ბუნებრივი პროცესია და ამიტომაც ბუნების მოვლენათა სახეებით აღიწერება“ (კიკნაძე, 2015:144).

სამოცდაათიანი წლებიდან საქართველოში აქტიურდება მწერალთა ჯგუფი, რომელიც მხატვრული ასახვის უმთავრეს საგნად სოციალურ პრობლემატიკას ისახავს. ეს ფრთა მოგვიანებით „ხალხოსნობის“ სახელით გამოდის და რუსული „ნაროდნიკობის“ ქართული გაგრძელებას წარმოადგენს. მათთვის მხატვრულობა და ეროვნულობა მეორე პლანზეა გადაწეული და დაბალი ფენების ეკონომიკური სიდუხჭირის მიზეზთა ახსნა-გამოძიებაა უმთავრესი მიზანი. ქართული მწერლობის ამ ფრთამ საკმაოდ მოცულობითი მემკვიდრეობა შექმნა, თუმცა მხატვრულობის თვალსაზრისით, ეს მასალა ნამდვილად ვერ არის სანაქებო. რელიგიური თემა საერთოდ იგნორირებულია ან კიდევ ცრურწმენის ასპექტებითაა განხილული. მათი შემოქმედება მატერიალურზეა ორიენტირებული და არა სულიერებაზე. ისინი კომუნისტების არც ისე შორეული წინაპრებად მოჩანან.

რელიგიური თემა განსხვავებული ასპექტით წარმოაჩინა თავის თხზულებებში ალექსანდრე ყაზბეგმა. ეს მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ ნოვატორული იყო.

რამდენადაც მწერალი ამჯობინებს თეორიული სახის მსჯელობის ნაცვლად ისაუბროს ცხოვრების სინამდვილიდან აღებული მაგალითების მხატვრული გარდასახვით. ალექსანდრე ყაზბეგის რომანებსა და მოთხრობებში ხშირია შემთხვევები, როცა დამპყრობი რუსეთის წინააღმდეგ ერთიანდებიან მაჰმადის რჯულისა და ქრისტიანული აღმსარებლობის ადამიანები; მათ მიერ რუსეთი საერთო მტრად აღიქმება. ქართველი პატრიოტებისათვის ჩეჩენი, ჩერქეზი და ჩრდილო კავკასიის სხვა ეთნიკურ ჯგუფების წარმომადგენელთა შეგნება, მათი კულტურა უფრო თავსებადია, ვიდრე ერთმორწმუნე რუსეთის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა. მაშასადამე, ალექსანდრე ყაზბეგმა ასახვის რეალისტური მეთოდის გამოყენებით აჩვენა, რომ სარწმუნოების სხვაობა არ ქმნის ბარიერს, არამედ უმთავრესია ადმიანის პიროვნული და ეროვნული ღირსების აღიარება-დაფასება.

რელიგიური თემების განხილვის თვალსაზრისით, ქართულ მწერლობაში რევოლუციური ცვლილებები შემოიტანა ცნობილმა ქართველმა კლასიკოსმა ვაჟა-ფშაველამ. მისი პოემების პერსონაჟები სახლობენ და მოქმედებენ აღმოსავლეთი საქართველოს მთების რეგიონებში, სადაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს გვერდიგვერდ არსებობენ უძველესი მითოლოგიური, წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები. დომინანტი პოზიცია, რა თქმა უნდა, ქრისტიანობას უჭირავს, მაგრამ მას არც თუ იშვიათად, უხდება უძველეს ტრადიციებთან და წარმართულ გადმონაშთებთან გარკვეული კომპრომისები. ვაჟა-ფშაველას პოემების „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვ. სიუჟეტებში ეგზისტენციალური პასაჟები ეჯახებიან რელიგიურ-მისტიკურ იდეალებს და სწორედ ამ ნიადაგზე ვითარდება კონფლიქტი, რომელთა გადაჭრა დილემის წინაშე აყენებს პერსონაჟებს. გადაწყვეტილება მეყსეულადაა მისაღები. ტრადიციული და ადათობრივ



## გურამ ბახტაძე

სამართალი ვეღარ აკმაყოფილებს ცივილიზაციის ახალ საფეხურზე ასული აზროვნების მოთხოვნებს.

ვაჟას პოემათა მხატვრული რეალობა ის ზღვარია, სადაც უნდა დაიბადოს ახალი აზროვნება, ახალი მსოფლიოს მოქალაქე. გენიოსმა მგოსანმა შეძლო ეჩვენებინა კაცობრიობის ცივილური განვითარების მეტამორფოზის ერთი ფაზა, რომელიც თავის თავში იმანენტურად იმეორებს და აერთიანებს ამ ციკლის ყველა საფეხურს, რომლის საწყისი იმთავითვე ადამიანურ ბუნებაშია ჩასახული. საჭიროა ამ საწყისის, ჰუმანიზმის გაღვივება-გამდიერება. ვინ იღებს ეპოქალური მნიშვნელობის მძიმე მისიას საკუთარ თავზე? ის, ვისაც შეუძლია საკუთარი ტანჯვის ფასად გაათავისუფლოს თანამომდინე იმ სიბნელისაგან, რომელშიც ისინი ატარებენ ცხოვრებას. ვაჟას გმირები განსხვავებული რელიგიის ადამიანები არიან, თუმცა მათში განსაკუთრებულ სიმაღლემდეა აყვანილი პიროვნული ღირსების განცდა. შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში ისინი უარს ვერ ამბობენ განსხვავებული რელიგიის ადამიანის ღირსების დანახვაზე. ასეთ შემთხვევებში მათთვის უკანა პლანზე გადადის მოწინააღმდეგის რელიგიური კუთვნილება და მის ადგილს პიროვნული ღირსება იკავებს. მათი აზრით, არაფერ შუაშია რელიგიური კუთვნილება. ამგვარი „გაუკუღმართებული“ განსჯა და ქმედება შეუმჩნეველი არ რჩება თანატომელთა მიერ და იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება პიროვნებასა და თემს შორის. **შედეგი:** ფიზიკურად იღუპება პიროვნება, მგრამ თემიც ვერ არის გამარჯვებული. იგი დათრგუნულია, გრძნობს, თავის შეცდომას, მაგრამ არ აღიარებს. იმარჯვებს დაღუპული გმირის ახლებური ხედვა, პროგრესული აზრი.

ვაჟა-ფშაველას პოემებმა და, ზოგადად, მისი შემოქმედების არაერთმა თავისებურებამ მწვავე დისკუსია გამოიწვია ქართულ ლიტმცოდნეობაში. „ეს მსჯელობა თავისი მნიშვნელობით ურთულესსა და უძველეს პრობლემებს შეეხო: საგანგებო განხილვის საგნად იქცა საკითხი ვაჟას დამოკიდებულებისა პანთეისტურ თვალსაზრისთან, საკითხი ვაჟას შემოქმედების წარმართობისა და სხვათა შესახებ“ (კიკნაძე, 1989:3). კრიტიკოსთა უმრავლესობას ვაჟას შემოქმედების მართებულ გააზრებაში ხელი შეუშალა მისი პოემების მხატვრული სინამდვილის ემპირიულ რეალობასთან მაქსიმალურმა სიახლოვემ. ასევე იმ გარემოებამ, რომ მისი პროგრესული აზრი შორეული მომავლით უფრო იყო ნასაზრდოები ვიდრე აწმყოთი; გაჭირდა იმის აღქმა-გააზრება, რომ ცხერის ტყავით (ტყაპუჭით) შემოსილ მთიელში ასეთი ჰუმანიზმით გამთბარი, უნაზესი სული შეიძლება ყოფილიყო. ვაჟამ გაასწრო თავის ეპოქას და თანამედროვე მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენლად მოგვევლინა. თუმცა მისი მსოფლმხედველობა ეფუძნებოდა სახარებისეულ ჰუმანიზმს.

დაახლოებით ამგვარია ლიტერატურული მოდელი რელიგიური თემისა, რომელიც იკვეთება მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. თუმცა აღნიშნული საკითხი უფრო ფართოდ შესწავლის საგნად უნდა ვაქციოთ სამომავლოდ.

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა-გაანალიზება საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ: ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული და რელიგიურ-ისტორიული ბაზა მზადაა ღირსეულად შეხვდეს თანამედროვე ჰუმანური მსოფლიოს გამოწვევებს, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი ტოლერანტობა და ადამიანის ღირსების დაცვაა.

## LITERATURE

### LITERARY ASPECTS OF THE BELIEF IN 19<sup>TH</sup> CENTURY GEORGIAN WRITING

GURAM BAKHTADZE

*Batumi Shota Rustaveli State University*

The religion was always an issue in Georgian literary. Georgian scholars believe that the early phase of the Renaissance began in the East, including Georgia. "The Knight in the Panther's Skin", written by Shota Rustaveli in 1183-1213 push forward the materialistic views, but in spite his outlook was relied on the Orthodoxy and Areopagite theory.

Other famous Georgians followed similar ideas: Petre Iberi, Ekvtime Athoneli etc. Generally, the history of Georgian people was based on belief that Christianity was the protection of the homeland and it was the only weapon of truth.

The downfall of Byzantium has actually completed the old historical mission of Georgia. However, it remained strongly continue to distort the religious trends, including literary in 16<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries. However, Georgian literature actively develops Europeanism since 40s of the 19<sup>th</sup> century.

Grigol Orbeliani, Nikoloz Baratashvili and other Georgian romanticists, remain the Christian worldview. Georgian classics, like Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli, a generation called Sixties, have changed Georgian literature.

In this period starts the reintegration of the territories captured by the Ottoman Empire in 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> centuries. Georgian intellectuals understood that population living in this region were already Muslims, but ethnically still retained their identities. That is Sixties merit, who played the role of mediator between the people with the different religions.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გამომცემლობა - „სახელგამი“ თბილისი 1955 წ.
2. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გამომცემლობა - „ალილო“, თბილისი 2009წელი; (<http://patriarchate.ge/geo/eklesia/istoria-movlenebi>)
3. ხინთიბიძე ელგუჯა, რუსთაველის იდეურ-მსოფლხედველობითი სამყარო, გამომცემლობა - „ქართველოლოგი“, თბილისი 2009 წ.
4. ევგენიძე იუზა, ქართული რომანტიზმის სკიოხები, თსუ-ს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) გამომცემლობა. თბილისი, 1982 წ.
5. ლიტერატურის თეორია, მე-20 საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2008 წ. / (ინგლისურად - Theory of literature, The basic methodological schools and conceptions of XXth century) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2008 წ.
6. თამარ შარაბიძე, <http://www.bu.org.ge/x1235?lang=geo>

**ბურამ ბასტამი**

---

7. სირამე რევაზ, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გამომცემლობა - „განათლება“, თბ.1987 წ.
8. რენე უელეკი, ოსტინ უორენი, ლიტერატურის თეორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2010 წ.
9. ჭავჭავაძე ილია. რჩეული თხზულებები ხუთ ტომად, ტ., IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ. 1987 წ.
10. <https://burusi.wordpress.com/2013/06/01/ghaghanidze-2/>
11. კიკნაძე ზურაბ, ცეცხლი და ბურუსი, გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, თბ., 2015 წ.
12. კიკნაძე გრიგოლ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, გამომცემლობა თსუ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) თბ. 1989 წ.

## ენათმეცნიერება

# ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის უმჯობესი და დამკვიდრების აუცილებლობა

## ანა თანიშვილი

*ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია*

**აბსტრაქტი** - დღესდღეობით საზღვაო დარგი საერთაშორისო დარგია, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. ჩვენს ქვეყანას ძირითადად სატრანზიტო ფუნქცია ეკისრება და თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მთელი ისტორიის განმავლობაში ის ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ წერტილს წარმოადგენს. ამასთან ერთად, საქართველოს, როგორც საზღვაო განათლების მნიშვნელოვან ცენტრს, შეუძლია გაზარდოს თავისი როლი მაღალკვალიფიციური მეზღვაურების მომზადების საკითხში.

ამრიგად, საზღვაო განათლებას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლასა და ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად.

ისეთი საკითხი, როგორცაა საზღვაო ლექსიკონის შექმნა ასევე, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დამუშავება, ძალზე მნიშვნელოვანია საზღვაო განათლების განსავითარებლად და საერთაშორისო საზღვაო დარგში საქართველოს ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

მნიშვნელოვანია ასევე უზრუნველყოთ ეროვნული ტერმინის და სხვა მეთოდით შექმნილი ან ენაში შემოსული ტერმინების თანაარსებობა.

არსებული ლექსიკონები (რ.რიკოვის ინგლისურ-რუსულ-ქართული და ვ.ბარათაშვილის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ლექსიკონები) არ არის სრულყოფილი ტერმინოლოგიის შექმნის და დამკვიდრების თვალსაზრისით. შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის/განვითარების მეთოდები, როგორცაა: ტრანსლიტერაცია, დერივაცია, სესხება, საერთაშორისო ტერმინების დამკვიდრება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ამ პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი გუნდის შექმნა, რომელშიც უნდა შევიდნენ საზღვაო დარგის სპეციალისტები (კაპიტნები, მექანიკოსები, ელექტრომექანიკოსები), ინგლისური ენის ფილოლოგები, ლექსიკოგრაფები, ქართველოლოგები და ტერმინოლოგიის სპეციალისტები.

ასეთი ლექსიკონი გაზრდის ქართველი სტუდენტების მოტივაციას სწავლისადმი, გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და ხელს შეუწყობს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დამკვიდრებას როგორც საზღვაო განათლების დარგში, ასევე საზღვაო დარგის სხვა სფეროებში. ეს აუცილებელია, რადგან ქართული უძველესი ენაა და საქართველო დღესდღეობით საერთაშორისო საზღვაო დარგში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

**საკვანძო სიტყვები:** საზღვაო ტერმინოლოგია, ინგლისურ-ქართული საზღვაო ლექსიკონი, ახალი საზღვაო ტერმინების შექმნა

### შესავალი

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია საზღვაო დარგის განვითარება. საზღვაო დარგის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის ძალზე დიდია, რადგან საქართველოში დღესდღეობით საზღვაო დარგი ვითარდება რამდენიმე მიმართულებით. ეს მიმართულებებია: პორტები, ლოგისტიკა, საზღვაო განათლება და

## ანა თაინიუზილი

მომზადება, რომელიც მოიცავს სანაოსნო საქმეს, საზღვაო ტრანსპორტირებას, საზღვაო მენეჯმენტს, საზღვაო მექანიკას და გემის აგებულებას. საზღვაო დარგის მნიშვნელობა აიხსნება იმით, რომ სწორედ ამ დარგს შეაქვს დიდი წვლილი საქართველოს ბიუჯეტში და ამიტომ მისი განვითარება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

ჩვენი თემის არჩევანი „ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნისა და დამკვიდრების აუცილებლობა“ განპირობებულია სწორედ იმით, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწა ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას მთლიანობაში და, განსაკუთრებით, მაღალკვალიფიციური მეზღვაურების მომზადებისათვის, რომლებიც შემდგომში ისევ საქართველოში დასაქმდებიან საზღვაო დარგში როგორც ზღვაში, ისევე, ხმელეთზე არსებულ სამუშაო ადგილებზე.

მოცემული ნაშრომის მიზანია ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა: ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწა-სრულყოფა და ახალი ინგლისურ-ქართული საზღვაო ლექსიკონის შექმნა.

### ძირითადი ნაწილი

დღესდღეობით საზღვაო დარგი საერთაშორისო დარგია, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. ჩვენს ქვეყანას ძირითადად სატრანზიტო ფუნქცია ეკისრება და თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მთელი ისტორიის განმავლობაში ის ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ წერტილს წარმოადგენს. ამასთან ერთად, საქართველოს, როგორც საზღვაო განათლების მნიშვნელოვან ცენტრს, შეუძლია გაზარდოს თავისი როლი მაღალკვალიფიციური მეზღვაურების მომზადებაში.

ამრიგად, საზღვაო განათლებას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ისეთი საკითხი, როგორიცაა საზღვაო ლექსიკონის შექმნა და, ასევე, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დამუშავება, ძალზე მნიშვნელოვანია საზღვაო განათლების განსავითარებლად და საერთაშორისო საზღვაო დარგში საქართველოს ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. არსებული ლექსიკონები არ არის სრულყოფილი ტერმინოლოგიის შექმნის და დამკვიდრების თვალსაზრისით (რ.რიჩკოვის ინგლისურ-რუსულ-ქართული და ვ.ბარათაშვილის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ლექსიკონები). შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის/განვითარების მეთოდები, როგორებიცაა: ტრანსლიტერაცია, დერივაცია, სესხება, პირდაპირი სესხება, ნასესხები ტერმინების თარგმნა, კალკირება, ნეოლოგიზმები, საერთაშორისო ტერმინების დამკვიდრება.

ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა შესაბამისი პროექტის შედგენა და განხორციელება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ამ პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი გუნდის შექმნა, რომელშიც უნდა შევიდნენ საზღვაო დარგის სპეციალისტები (კაპიტნები, მექანიკოსები, ელექტრომექანიკოსები), ინგლისური ენის სპეციალისტები, ფილოლოგები, ლექსიკოგრაფები, ქართველოლოგები და ტერმინოლოგიის სპეციალისტები.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შედგენა-დახვეწა და შესაბამისი ლექსიკონის შექმნა გაზარდის ქართველი სტუდენტების მოტივაციას სწავლისადმი, გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და ხელს შეუწყობს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დამკვიდრებას როგორც საზღვაო განათლების დარგში, ასევე საზღვაო დარგის სხვა სფეროებში. ეს

აუცილებელია, რადგან ქართული უძველესი ენაა და საქართველო დღესდღეობით საერთაშორისო საზღვაო დარგში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ენაში არსებული ტერმინებისათვის დამახასიათებელია მაღალი დონის ეკვივალენტობა. როგორც ლე სერეცი მოიხსენიებს თავის სტატიაში “Automating the compilation of specialized dictionaries”: ტერმინოლოგიის ეკვივალენტობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც „ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელ ტერმინებს შორის“ [Le Serrec, 2012:79].

ასე რომ, მოცემულ ნაშრომში უნდა დასაბუთდეს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის და დახვეწის აუცილებლობა და პერსპექტივები და ამ ტერმინოლოგიის ასახვა ახალ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში, რაც ასევე ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნა მოითხოვს სხვადასხვა ხერხს, მათ შორის ისეთს, როგორცაა, ნეოლოგიზმი. კაბრე სტატიაში “Neology in specialized communication” წერს: „ნეოლოგიზმი წარმოადგენს საზოგადოების მუდმივ ცვლილებას და არის ენის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი“ [Cabre, 2012:1]. ჩვეულებრივ, ნეოლოგიზმით ახალი ცნებები აღინიშნება, აქ ნეოლოგიზმების შექმნა არსებული ცნებების აღსანიშნავად დაგვჭირდება. ვინაიდან ქართული საზღვაო ტერმინოლოგია არის შექმნის და დახვეწის საგანი, ხშირ შემთხვევაში ეს ქმნის ე.წ. „ლექსიკურ ღრეჩოს“ (lexical gap) – ლექსიკურ ცარიელ სივრცეს, რომელიც ნეოლოგიზმით შეიძლება შეივსოს. აუცილებელია შეიქმნას ისეთი საზღვაო ტერმინოლოგია, რომელიც არსებული ინგლისური და სხვა ენების საზღვაო ტერმინოლოგიის ზუსტ ეკვივალენტს შესთავაზებს ქართველ შემსწავლელს. ჩვეულებრივსამებრ, ნეოლოგიზმები ენაში შემოდის ახალ ცნებებთან ერთად, რომლებიც ხანდახან ტექნოლოგიური მიღწევებით ან სხვა სახის ინოვაციებით არის განპირობებული. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი კი იმ თვალსაზრისით უნიკალურია, რომ საჭიროა ტერმინების შექმნა როგორც ახალი, ასევე არსებული ცნებებისათვის.

თავის სტატიაში “Terminology and terminography for architecture and building construction” ფერნანდეზი იმოწმებს კაბრეს ტერმინოლოგიის შემდეგ დახასიათებას: „ტერმინოლოგია თავისი ბუნებით არის ინტერდისციპლინური, განსაკუთრებით უახლეს გამოსახვაში. ის აერთიანებს ენის რამდენიმე მეცნიერებას, კერძოდ:

1. ცოდნის თეორიას: ურთიერთობას ცნებებსა და მათი შესაძლებელ დასახელებებს შორის;
2. კომუნიკაციის თეორიას: შესაძლებელი საკომუნიკაციო სიტუაციების და მათთვის დამახასიათებელი დისკურსი;
3. ენის თეორია: როგორ არის ტერმინოლოგიური ერთეული დაკავშირებული ბუნებრივ ენასთან (ვიმოწმებ კაბრეს მიხედვით, კაბრე, 2000) [Fernandez, 2009:15]

როგორც უკვე ვახსენეთ, ახალი ტერმინოლოგიის შექმნის სხვადასხვა ხერხი არსებობს. რიგ შემთხვევაში კალკირებაც შეიძლება დარჩეს საჭირო. ჩვენი აზრით, ვინაიდან ინგლისური ენა არის საზღვაო დარგის საერთაშორისო ენა კარგი იქნებოდა, რომ კალკირებაც სწორედ ამ ენიდან მოხდეს. ეს ხელს შეუწყობს ტერმინების ინტერნაციონალიზაციას, რაც ჩვენი აზრით გააადვილებს საზღვაო დარგის სპეციალისტების კომუნიკაციას. მნიშვნელოვანია, ასევე, უზრუნველვყოთ ეროვნული ტერმინის და სხვა მეთოდით შექმნილი ან ენაში შემოსული ტერმინების თანაარსებობა.

ინგლისური ენის საზღვაო ტექსტების კორპუსი გარკვეულწილად სასარგებლო იქნებოდა ამა თუ იმ ტერმინის ქართული ეკვივალენტების შექმნისათვის, რადგან კონტექსტი მნიშვნელოვან

## ანა თაინიუზილი

როლს თამაშობს ტერმინის სწორი გაგებისა და აღქმის დროს და ენის კორპუსი სწორედ ამას უზრუნველყოფს.

როგორც უკვე ვახსენეთ, არსებული ე.წ. „ლექსიკური ღრეჩობის“ (lexical gap) - ლექსიკური ცარიელი სივრცის შესავსებად ახალი ქართული ტერმინოლოგიის შექმნის და ლექსიკონის შედგენის საკითხები ის პრობლემებია, რომლის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, პარალელურად არის შესაძლებელი. ახალი ტერმინები შეიქმნება რეფერენციალური და სემანტიკური ფუნქციების გათვალისწინებით.

ტერმინოლოგიის შექმნა უნდა გადაწყდეს სახელმწიფო დონეზე, სხვადასხვა ორგანიზაციასა და სპეციალისტის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. როგორც ახსენებს ფერნანდეზი თავის სტატიაში “Terminology and terminography for architecture and building construction”: „აუცილებელი ბევრად უფრო ახლო კომუნიკაცია ტერმინოლოგებს, ლექსიკოგრაფებს, დარგის სპეციალისტებს და სტანდარტიზაციის ორგანიზაციებს შორის“ [Fernandez, 2009:18].

აქ აქტუალური იქნებოდა პარალელის გაყვანა ისეთ საკითხთან, როგორცაა ტერმინოლოგიური დამოკიდებულება, რომელიც ძირითადად ტერმინოლოგიურ დამოკიდებულებას ინგლისურ ენაზე გულისხმობს. როგორც პალასიოსი ახსენებს თავის სტატიაში “Neology and terminological dependency”: „ტერმინოლოგიური დამოკიდებულება გულისხმობს ბალანსის ნაკლებობას ეკონომიკურ, ტექნიკურ ან სამეცნიერო ბუნებას ნაჩვენებია ამ შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე ტერმინოლოგიური დამოკიდებულების სახით“ [Humble, Palacios, 2012:65].

მიგვაჩნია, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნისას სპეციელისტებმა უნდა იხელმძღვანელონ ქართული ენის კანონებით, მოერიდონ კალკირებას, და, ასევე, გაითვალისწინონ საერთაშორისო დონეზე არსებული ნორმები და ასეთი კომბინირებული მიდგომით მიაღწიონ გარკვეულ ბალანსს ამ საკითხში. ასე მაგალითად, ინგლისურ ენაში თავისი სპეციფიკის გამო ხშირად გვხვდება ტერმინები, რომლებიც ნაწარმოებია არს. სახელი+არს. სახელი მოდელის მიხედვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლექსიკურ კალკებთან ერთად გამოვიყენოთ გრამატიკული კალკებიც.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი რამდენიმე საორგანიზაციო მომენტს გულისხმობს, როგორებიცაა:

1. არსებული საზღვაო ლექსიკონები და სიტყვარების გადახედვა;
2. საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის პოლიტიკა;
3. საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის მეთოდების შერჩევა;
4. სამუშაო გუნდის შექმნა.

სამუშაო გუნდში, როგორც აღვნიშნეთ, უნდა შედიოდნენ ენათმეცნიერები, ლექსიკოგრაფები, ტერმინოლოგები, ინგლისური ენის სპეციალისტები, ფილოლოგები, ქართული ენის სპეციალისტები, რომელთა სამუშაო შეხვედრები რეგულარულად უნდა იმართებოდეს.

ძალზე მნიშვნელოვანია არსებული წყაროების დამუშავება და სწორი წყაროს საფუძველად შერჩევა. ეს შეიძლება იყოს არსებული ინგლისურ-რუსულ-ქართული საზღვაო ლექსიკონი, რ. რიჩკოვის რედაქციით. ჩვენი შეთავაზება რამდენიმე ლექსიკონის კომბინაცია და მათი სიტყვური მარაგის ახალი ლექსიკონისთვის საფუძველად დადება. ასე მეგალითად, საინტერესო სიტყვების მარაგს იძლევა ჰ.იუსეფის რედაქციით გამოცემული საზღვაო ტერმინების ინგლისურ-ინგლისური ლექსიკონი, რომელიც საზღვაო დარგის სხვადასხვა დარგს მოიცავს, როგორებიცაა, ნავიგაციის ტერმინები, საზღვაო სამართლის ტერმინები, მეტეოროლოგიური ტერმინები, პრაქტიკული გადაზიდვებთან დაკავშირებული ტერმინები, საზღვაო

ტრანსპორტირების ტერმინები, საზღვაო მენეჯმენტის და საზღვაო ეკონომიკის ტერმინები, საზღვაო მექანიკასა და გემთმშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინები. არსებული საზღვაო ლექსიკონები, დამუშავებული და ახლად შექმნილი ქართული საზღვაო ტერმინოლოგია შეიძლება გახდეს საფუძველი ახალი საზღვაო ლექსიკონის შექმნისათვის.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, არსებული ე.წ. „ლექსიკური ღრეჩობის“ - ლექსიკური ცარიელი სივრცის შესავსებად საჭირო იქნება ნეოლოგიზმების შექმნა არა მხოლოდ ახალი ცნებებისათვის, ასევე, ისეთი ცნებებისათვის, რომელიც საზღვაო დარგში დიდხანს არსებობს, მაგრამ ქართულ ენას არ გააჩნია ზუსტი ტერმინი ამ ცნების აღსანიშნავად. ტერმინების შექმნა შესაძლებელია ტრანსლიტერაციის გზით, როდესაც ტერმინი პირდაპირ შემოდის ენაში და თანაარსებობს ენაში არსებულ ტერმინთან, რის შედეგად იქმნება ტერმინების ვარიანტები.

მიგვაჩნია, რომ ქართული ტერმინების შექმნა უფრო მეტად არის ტერმინოლოგიის გადასაწყვეტი, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვახსენოთ ტერმინების იმგვარი დეფინიცია, რომელიც ნახსენებია როლდან-ვენდრელი სტატიაში “Emergent neologisms and lexical gaps in specialized languages”:

ტერმინების დეფინიციის სტრუქტურა უნდა შეიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

1. აღწეროს ცნება და უზრუნველყოს ექსკლუზიური რეფერენცია სპეციალიზებულ დარგში;
2. განასხვავოს ეს ცნება სხვა ცნებებისგან, რომლებიც შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს ერთმანეთთან ენის სისტემაში;
3. სემანტიკური თვისებების დადგენა, რომლის მიხედვით ჩამოყალიბდება ანტონიმის ან დამატებითი მნიშვნელობის მინიჭება;
4. ჩამოყალიბოს კავშირი ტერმინსა და თავისი „ზემდგომი და ქვემდგომ“ ტერმინებთან (რომლისგან ნაწარმოებია ტერმინი და ტერმინები რომლებიც ამ ტერმინისგან არის ნაწარმოები);
5. აჩვენოს ურთიერთობა ჰიპერონიმის, ჰიპონიმის, სინონიმის, ანტონიმის, დამატებითი მნიშვნელობის მინიჭების საკითხში, რომლებიც შეიძლება მათ შორის არსებობდეს [Roldan-Vendrel, 2012:12].

როგორც შესავალში ვახსენეთ, მოცემული ნაშრომის მიზანია, შემოგთავაზოთ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწისა და განვითარების გზები, რის შედეგად უნდა შეიქმნას ახალი საზღვაო ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვახსენოთ მარი კლოდ ლჰომის რეკომენდაციები სპეციალიზებული ლექსიკონის შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც მან განიხილა სტატიაში „The processing of terms in dictionaries”:

რეკომენდაციები სპეციალიზებული ლექსიკონების შექმნისათვის:

- ლექსიკონში უნდა გაითვალისწინებოდეს მომხმარებლის საჭიროებები და შეიცავდეს როგორც ვიწროსპეციალურ, ასევე, საერთომეცნიერულ ტერმინებს;
- ტერმინოლოგები და სპეციალიზებული ლექსიკოგრაფები უფრო ხშირად ფაქტობრივი მასალით უნდა ხელმძღვანელობდნენ და მოძებნონ ისინი კორპუსში, რომელიც ტერმინებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად საფუძვლად უნდა იქცეს;
- ლექსიკონებში უფრო მეტი მონაცემი უნდა იყოს ტერმინების თაობაზე (მაგ. სასაუბრო გამოთქმები, ვალენტობის ნიმუშები, სურათები);
- ორენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონებში გასათვალისწინებელია ენებს შორის არსებული (ინტერლინგვისტური) განსხვავებები;
- ლექსიკონში ტერმინებს შორის არსებული დამოკიდებულება უნდა აღიწეროს;



## ანა თენიუაზილი

- სპეციალიზებული ლექსიკონი ენციკლოპედიურ და პრაგმატიკულ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს;

- განმარტებები უნდა აიგოს ისე, რომ აჩვენოს ძირითადი ცნებების კომპონენტები [L'Homme, 2006:182].

ცნობილი ფაქტია ის, რომ უკვე არსებობს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის გარკვეული ნაწილი, რასაც ადასტურებს ზემოხსენებული ლექსიკონები, რომლებიც რ. რიჩკოვის და რ. ბარათაშვილის რედაქციითაა გამოცემული. თუმცა ამ ლექსიკონებს ჩვენ უფრო სიტყვარების სტატუსს მივანიჭებდით. ჩვენი აზრით, ახალი ლექსიკონის და ტერმინოლოგიის შექმნის ერთ-ერთი საჭირო საკითხი არის განვსაზღვროთ ინფორმაცია, რომელიც შევა სალექსიკონო სტატიაში. ჩვენი შემოთავაზებაა, რომ სალექსიკონო სტატია უნდა შეიცავდეს:

- 1) ინგლისურ ტერმინს;
- 2) ტრანსკრიფციას;
- 3) აუდიოფაილს;
- 4) ტერმინის თარგმანს;
- 5) ტერმინის განმარტებებს ინგლისურსა და ქართულ ენებზე;
- 6) ტერმინის გამოყენების ნიმუშს წინადადებაში ინგლისურად;
- 7) ტერმინის გამოყენების ნიმუშს წინადადებაში;
- 8) ტერმინის გრაფიკული გამოსახვა სურათის ან ნახაზის სახით.

ქართულად ამრიგად, თუ ჩვენ დავამუშავებთ ზემოხსენებულ ლექსიკონს, ახალ საზღვაო ლექსიკონში სალექსიკონო სტატია შემდეგ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს: ტერმინის განმარტებას (შესაძლებელია ინგლისურ-ინგლისური ლექსიკონიდან გადათარგმნა); მის ქართულ ეკვივალენტს (არსებობის შემთხვევაში), ტერმინის გამოთქმას მულტიმედია და აუდიოსაშუალებების გამოყენებით, ინგლისური ენის კორპუსის გამოყენებას, ტერმინის მნიშვნელობის ილუსტრირებას ინგლისურენოვან კონტექსტში; ქართული ენის კორპუსის გამოყენებას ქართული ტერმინების გამოყენების ილუსტრირების მიზნით, ტერმინის ილუსტრირება გრაფიკული გამოსახულების საშუალებით (სურათი, ნახაზი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრი საზღვაო ტერმინი ქართულ ენაში ჯერჯერობით არ არსებობს, ამიტომ, როგორც უკვე განვიხილეთ, მათი გამოგონებისა და ქართულ ენაში დამკვიდრების აუცილებლობაში დარწმუნება არის მოცემული მოხსენების მთავარი მიზანი.

ქვემოთ მოცემულია სალექსიკონო სტატიების დამუშავების ნიმუშები ზემოხსენებული მოდელის მიხედვით. განხილულია შემდეგი საზღვაო ტერმინები ნავიგაციის, საზღვაო მექანიკის და საზღვაო სამართლის დარგებიდან: seamanship, heat exchanger, cargo insurance:

სალექსიკონო სტატიების ნიმუშები:

I: Seamanship  
[ˈsi:mənʃɪp]

ნაოსნობა, ზღვაოსნობა

Seamanship is the art of handling ships in all weather conditions. Seamanship is also the practical aspect of working a ship.

ნაოსნობა არის ხელოვნება, მართო გემი ნებისმიერ ამინდში

ზღვაოსნობა არის გემის მუშაობის პრაქტიკული ასპექტი

His voyage was outstanding for his persistence and seamanship and in 1833 he was awarded the royal premium of the Royal Geographical Society.

You'll also learn how to live afloat safely, and tricks of seamanship to make life easier. There isn't time to teach you to sail on

სპარსთა ისტორიკოსები ამბობენ, რომ ფინიკიელები იყვნენ ელინთა და სპარსთა მტრობის მიზეზი, რადგან ფინიკიელები მეწამულად წოდებული ზღვიდან რომ მოვიდნენ ამ ზღვასთან და დასახლდნენ იმ ადგილას, სადაც დღესაც სახლობენ, მაშინვე შორეული ნაოსნობა მოაწყვეს, წაიღეს ეგვიპტური და ასურული საქონელი სხვადასხვა ქვეყნებში და მოვიდნენ არგოსშიც...

### II: Heat exchanger

[hi:t] [iks'tʃeɪndʒ]


თბოგამცვლელი

Any item of equipment that serves the purpose of using one fluid to heat or cool another. A radiator is a common example.

ნებისმიერი მოწყობილობა, რომლის დანიშნულება არის ერთი სითხის გამოყენება სხვა სითხის გასათბობად ან გასაგრილებლად. ზოგად ნიშნულად შეიძლება განვიხილოთ რადიატორი.

when exploiting them: local cooling, close to the heat pump or its **heat exchanger**, must be no faster than heat can flow in from the surroundings.

ასევე, გვხვდება თხევადი **თბოგამცვლელი**, რომელშიც ძრავის გამაგრილებელი სითხით გრილდება ძრავში გაცხელებული ზეთი, რაც უზრუნველყოფს ძრავის ამუშავებისას მის მალე გათბობას და შემდგომ საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებას.



Shell and tube stainless steel heat exchanger

### III. Cargo insurance

['kɑ:gəʊ] [ɪn'ʃʊ(ə)rəns]

ტვირთის დაზღვევა

Insurance to protect the financial interest of the owner of the cargo in the event of a loss during transportation.

დაზღვევა არის ტვირთის მფლობელის ფინანსური ინტერესების დაცვა იმ შემთხვევისთვის, თუ რამე დაიკარგება ტრანსპორტირების დროს.

Lloyd's had decided to include Kuwait in their definition of the War Zone was especially unwelcome. KOTC concluded that on their fleet of 23 vessels, repairs were cheaper than insurance and promptly cancelled their London cover for the entire fleet. In the case of **cargo insurance**, the GCC states as a group were particularly inventive, simply offering to replace outright any cargo lost due to the war.

## ანა თენიშვილი

**ტვირთების დაზღვევა** ითვალისწინებს ტვირთების გადაზიდვისას, მისი სრული ან ნაწილობრივი განადგურების შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურებას. დაზღვევა მოქმედებს ტვირთების როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტირებისას.

ჩვენი აზრით, სალექსიკონო სტატიების დამუშავება და შემსწავლელისთვის ასეთი სახით შეთავაზება გაზრდის სტუდენტის მოტივაციას, რომ უკეთ ისწავლოს. ტერმინის კონტექსტში სწორად გამოყენება გააადვილებს მის სწორ გაგებას და დამახსოვრებას.

### დასკვნა

ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო საზღვაო დარგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე საქართველოს იმიჯისათვის საერთაშორისო ასპარეზზე.

საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწა და დამკვიდრება ხელს შეუწყობს საზღვაო დარგის განვითარებას მთლიანობაში და, ასევე, მისი სხვადასხვა მიმართულების განვითარებას; ეს ძალზე მნიშვნელოვანია საზღვაო დარგის სპეციალისტების აკადემიური დონის ამაღლებისათვისაც.

მიგვაჩნია, რომ საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწა და განვითარება უნდა აისახოს ახალ საზღვაო ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში, რომლის შედგენა პარალელურად შეიძლება განხორციელდეს.

წინამდებარე ნაშრომში მოცემული თვალსაზრისი მხოლოდ რეკომენდაციაა ამიტომ ნებისმიერ რჩევას თუ კომენტარს დაინტერესებული სპეციალისტებისგან სიამოვნებით მივიღებთ.

## LINGUISTICS

### WHY IT IS NECESSARY TO CREATE AND ADOPT GEORGIAN MARITIME TERMINOLOGY

ANNA TENIESHVILI

*Batumi State Maritime Academy*

Today maritime field is an international field with different countries playing different roles in it. The main function of our country is a transit as it has been connecting point between Europe and Asia during all its history. At the same time Georgia being an important centre of maritime education can increase its role in preparation of highly qualified seafarers.

Consequently, maritime education is a very important factor to ensure the role of Georgia on international arena and also for development of country's economy.

The issue of creation of maritime dictionary and of development of Georgian maritime terminology is extremely important for development of maritime education in Georgia and for ensuring its decent place in the international maritime field.

It is also very important to ensure coexistence of national terms and terms created by various methods or of the terms that entered the language.

Existing dictionaries are not perfect from the viewpoint of creation and adoption of terminology (Maritime terminology dictionaries - English-Russian-Georgian dictionary by R. Richkov and Georgian-Russian and Russian-Georgian dictionary by V. Baratashvili). Therefore it is necessary to define methods for creation and development of Georgian maritime terminology.

One of the most important issues for implementation of this project is to organize a team that would comprise specialists of maritime field (captains, mechanical engineers, and electrical engineers), philologists of the English language, lexicographers, and philologists of the Georgian language and terminology specialists.

Such dictionary will increase motivation of Georgian students to study, will improve quality of educational process and will help in creation of Georgian maritime terminology as for maritime education as well for other maritime fields. It is necessary as Georgian is one of the most ancient languages of the world and nowadays Georgia plays important role in international maritime field.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cabre M. "Neology in specialized communication", Terminology, 18:1 (2012)
2. Fernandez T. "Terminology and terminography for architecture and building construction", Terminology 15:1 (2009)
3. Humble J, Palacios G. "Neology and terminological dependency", 18:1 (2012)
4. Le Serrec A. "Automating the compilation of specialized dictionaries", Terminology, 16:1, 2010
5. L'Homme Marie Claude „The processing of terms in dictionaries", Terminology 12:2 (2006)
6. Roldan-Vendrel M. "Emergent neologisms and lexical gaps in specialized languages", Terminology, 18:1 (2012)

## ენათმეცნიერება

### ზმნის კარაღიგმატული სისტემა სარფულში

#### ოგარ მამიში

*ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი*

მეგრულ-ლაზური ზმნის წარმოების თავისებურებებზე პირველი დაკვირვებები გეორგ როზენის სახელს უკავშირდება, მის ნაშრომში – „ლაზთა ენის შესახებ“ (როზენი, 1844). არის მცდელობა ზმნის პირდაპირი და არაპირდაპირი უღლების, ძირის, პირისა და რიცხვის აფიქსთა შესახებ.

ნ. მარი 1910 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“ (მარი, 1910:41) მეგრულისა და ლაზურის ენებად დაყოფის მნიშვნელოვან საფუძვლად მიჩნეულია ზმნა, კერძოდ: მყოფადის თავისებური წარმოება, რომელიც სრულიად უცხოა მეგრულისათვის; ასევე, აორისტის განსაკუთრებული წარმოება ლაზურში. მართან ზმნის დროები ორ ჯგუფად არის წარმოდგენილი; პირველ ჯგუფში მთავარი დრო – აწმყო და მისგან ნაწარმოები ნამყო უსრული. მეორე ჯგუფშია მთავარ დრო – აორისტი და მისგან ნაწარმოები კავშირებითი და მყოფადი.

ზანურ (მეგრულ-ლაზურ) დრო-კილოთა და ფორმებს ორ ძირითად ჯგუფად წარმოგვიდგენს არნ. ჩიქობავა თავის „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ (ჩიქობავა, 1936:46).

კ. დანელიას მიხედვით „ზანურში ზმნათა განაწილების პრინციპი მწკრივებში იგივეა, რაც ქართულში. სერია აქაც სამია. I სერიის ძირითადი მწკრივია აწმყო, II სერიისა – წყვეტილი“ (დანელია, 2006:147).

სამ სერიას გამოყოფს ლაზურში გ. კარტოზია (კარტოზია, 2004:95). მას წარმოდგენილი აქვს მწკრივთა ორი რიგი: 1) ძველი ანუ ძირითადი (მეგრულთან საერთო) და 2) ახალი, ძირითადად მწკრივებზე დაყრდნობილი (საკუთრივ ლაზური) მწკრივები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ ზმნის ნაკვეთულთა სისტემას სარფის მეტყველებაში (მასალა მოხმობილია ორივე სარფის მეტყველებიდან). მეტყველება ძირითადად მისდევს ხოფური კილოკავის ზმნური ფორმების წარმოებას. თუმცა გარკვეული თავისებურებები დაჩნდება უღვლილების მიმდინარეობის პროცესში.

პირის აფიქსთა სისტემა სარფულში ასე წარმოგვიდგება

#### სუბიექტური პირის მარკერები

მხ. რ.	მრ. რ.
I 0, ვ, ბ, ფ, პ, მ	– თ
II 0	– თ
III ნ, ს, უ	– ან, –ეს

#### ობიექტური პირის ნიშნები

მხ. რ.	მრ. რ.
I მ, ბ, ფ, პ,	ან, ეს, თ
II გ	ან, ეს, თ
III 0	ან, ეს

ზმნის ფორმის ანალიზისას გასათვალისწინებელია ის მორფონოლოგიური კანონზომიერებები და ცვლილებები, რაც გვხვდება პირის აფიქსებთან დაკავშირებით.

S – ნიშანი იკარგება ზმნისწინის მომდევნო და ხმოვნების წინა პოზიციაში: დოიქიფ (<დოვიქიფ) „გავაკეთებ“, დოუჯოხი (<დოვუჯოხი) „დავუძახე“, დოოხვენაფაფ (<დოვოხვენაფაფ), „გავაკეთებინებ“ (სარფი, 2015:491).

ვ-ს მჟღერთა წინ ენაცვლება ბ-(ბგიბუფ „ვხარშავ“), ფ- ენაცვლება ყრუ ფშვინიერთა წინ (ფთირუფ „ვათრევ“), კ-ენაცვლება მკვეთრების წინ (პტახუფ „ვტეხ“) და მ- ენაცვლება ცხვირისმიერთა წინ.

ზმნის უღვლილების პარადიგმაში ფუძე შეიძლება ორი სახით იყოს წარმოდგენილი: მარტივი და რთული ფუძეები.

მარტივი ფუძეები მეტყველებაში შედარებით მცირეა: იბირს „მღერის“, იბონს „იბანს“, იხირს „იპარავს“, იმგარს „ტირის“.

რთული ფუძეები მეტყველებაში თემატური სუფიქსებითაა წარმოდგენილი: ჭარ-უფ-ს „წერს“, ტახ-უფ-ს „ტეხს“, ოწირ-აფ-ს „აჩვენებს“, იქ-იფ-ს „აკეთებს, იქმს, ყორ-ოფ-ს „ყვარობს“, იჩალიმ-ეფ-ს „მუშაობს“.

ლაზურში აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა ერთგვარი უნიფიკაცია მოხდა და ამ გზით გაბატონდა –უმ/-უფ, –ამ/-აფ სუფიქსი.

სარფის მეტყველებაში რთული სუფიქსების (უწ-უმ-ერ-ს „ეუბნება“, ნი-მ-ერ-ს „მიაქვს“ ოტკო-მ-ერ-ს „ისვრის, ტყორცნის“ პარალელურად თავს იჩენს უწ-უმ-ეფ-ს, ნი-ნ-ეფ-ს, ოტკო-მ-ეფ-ს და ამგვარი ვარიანტები (მემიშიში, 2001:75). ესე იგი, –ერ მეშველი ზმნის ადგილს –ეფ იჭერს, რაც ამ –ერ ელემენტის ფუნქციის დაბნელებისა, და აქედან გამომდინარე, თემის (-ეფ) ნიშნად გადააზრიანების შედეგი უნდა იყოს (ქირია, 2014:71).

სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობასა და დროზე. მეტყველებაში გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ყველა მწკრივსა და სერიაში მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი დამატება – სახელობითში.

გარდამავალ ზმნათა პირველი სერიის ფორმათა უღვლილების პარადიგმა

#### ა წ მ ყ ო

##### მხ. რ.

პ-ჭარ-უფ მან ია	ვწერ მე მას (იგი)	
ჭარ-უფ სინ ია	წერ შენ მას (იგი)	
ჭარ-უფ-ს ემუქ ია	წერს ის (იმან) მას (იგი)	

##### მრ. რ.

პ-ჭარ-უფ-თ ჩქინ ია	ვწერთ ჩვენ მას (იგი)	
ჭარ-უფ-ფ თქვან ია	წერთ თქვენ მას (იგი)	
ჭარ-უფ-ან ენთეფექ ია	წერენ ისინი (მათმა) მას (იგი)	

#### უწყვეტელი

უწყვეტელის ნაკვთის საწარმოებლად აწმყოს ფუძეს ემატება დ-ს დაყრუებული ვარიანტი ტ სავრცობი. ტ-ს მეზობლობაში თემატური სუფიქსი –აფ წარმოდგენილია – აპ ვარიანტით: ნოჭკირ-აფ-ს/ნოჭკირ-აპ-ტუ (ქირია... 2015:435).

უწყვეტელის I და II პირის ორსავე რიცხვში ბოლოში დაერთვის უფუნქციო –ი (დანელია, 2006:148). სუბიექტური III პირის ნიშანია –უ.

##### მხ. რ.

პ-ჭარ-უფ-ტი მან ია	ვწერდი მე მას (იგი)	
ჭარ-უფ-ტი სინ ია	წერდი შენ მას (იგი)	
ჭარ-უფ-ტი-უ ემუქ ია	წერდა ის (იმან) მას (იგი)	

**მრ. რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ი-თ ჩქინ ია ვწერდით ჩვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ით თქვან ია წერდით თქვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ეს ენთეფექ ია წერდნენ ისინი (მათმა) მას (იგი)

**აწმყოს კავშირებითი**

აწმყოს კავშირებითის საწარმოებლად უწყვეტელის ფუძეს ემატება კავშირებითის მაწარმოებელი -ა, რომელიც ქართული -ე-ს კანონზომიერი შესატყვისია.

**მხ. რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ა მან ია ვწერდე მე მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ა სინ ია წერდე შენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ას ემუქ ია წერდეს ის (იმან) მას (იგი)

**მრ.რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ა-თ ჩქინ ია ვწერდეთ ჩვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ა-თ თქვან ია წერდეთ თქვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ან ენთეფექ ია წერდნენ ისინი (მათმა) მას (იგი)

უწყვეტელის ფუძისაგან -კონ-ის დართვით იწარმოება პირობითი პირველი, ქართულში „რომ“ კავშირის კონსტრუქციით გადმოიცემა. ხშირ შემთხვევაში მწკრივი დაირთავს -ნა („რომ“) კავშირსაც.

**მხ.რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ი-კონ მან ია რომ ვწერდე მე მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ი-კონ სინ ია რომ წერდე შენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-უ-კონ ემუქ ია რომ წერდეს ის (იმან) მას (იგი)

**მრ.რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ი-თ-კონ ჩქინ ია რომ ვწერდეთ ჩვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ი-თ-კონ თქვან ია რომ წერდეთ თქვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ეს-კონ ენთეფექ ია ისინი (მათ) მას (იგი).

უწყვეტელის ფუძეზე -ერე-ს დართვით იწარმოება ნაუწყვეტლარი თურმეობითი.

**მხ.რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ერე მან ია ვწერდე თურმე მე მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ერე სინ ია წერდე თურმე შენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ერენ ემუქ ია წერდეს თურმე ის (მან) (იგი)

**მრ. რ.**

პ-ჭარ-უფ-ტ-ერე-თ ჩქინ ია ვწერდეთ თურმე ჩვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ერე-თ თქვან ია წერდეთ თურმე თქვენ მას (იგი)  
 ჭარ-უფ-ტ-ერენან ენთეფექ ია წერდნენ თურმე ისინი (მათ) მას (იგი)

მეორე სერიის ფორმებისათვის მთავარი წყვეტილის მწკრივია. წყვეტილი საყრდენია დანარჩენი მწკრივების საწარმოებლად. წყვეტილს აწარმოებს სუფიქსი -ი. სუბიექტური მესამე პირის ნიშანია -უ (მხ.რ.) და -ეს (მრ.რ.).

**მხ.რ.**

პ-ჭარ-ი მან ია ვწერე მე ის  
 ჭარ-ი სინ ია წერე შენ ის  
 ჭარ-უ ემუქ ია წერა იმან ის

**მრ.რ.**

პ-ჭარ-ი-თ ჩქინ ია ვწერეთ ჩვენ ის  
 ჭარ-ი-თ თქვან ია წერეთ თქვენ ის  
 ჭარ-ეს ენთეფექ ია წერეს მათ ის.

წყვეტილს ეყრდნობა კავშირებითი II, პირობითი II, ნაწყვეტილარი კავშირებითი III. კავშირებითი მეორისაგან იწარმოება მყოფადი და პირობითი III.

კავშირებითი მეორე იწარმოება წყვეტილისაგან –ა სუფიქსის დართვით.

**მხ. რ.**

პ-ჭარ-ა მან ია ვწერო მე იგი  
ჭარ-ა სინ ია წერო შენ იგი  
ჭარ-ა-ს ემუქ ია წეროს მან იგი

**მრ. რ.**

პ-ჭარ-ა-თ ჩქინ ია ვწეროთ ჩვენ იგი  
ჭარ-ა-თ თქვან ია წეროთ თქვენ იგი  
ჭარ-ან ენთეფექ ია წერონ მათ იგი

პირობითი მეორე სარფულისაგან არ არის ნიშანდობლივი. მყოფადი იწარმოება კავშირებითი მეორისაგან მეშველი მინონ „მინდა“ ზმნის დართვით.

**მხ. რ.**

პ-ჭარ-ა მინონ მან ია ვწერო მინდა მე ის  
ჭარ-ა-გინონ სინ ია წერო გინდა შენ ის  
ჭარ-ა-ს-უნონ ემუქ ია წეროს უნდა მან ის

**მრ. რ.**

პ-ჭარ-ა-მინონან ჩქინ ია ვწეროთ გვინდა ჩვენ იგი  
ჭარ-ა-გინონან თქვან ია წეროთ გინდათ თქვენ იგი  
ჭარ-ა-ს-უნონან ენთეფექ ია წერონ უნდათ მათ იგი.

აწმყოსაგან ზმნისწინით იწარმოება მყოფადი.

**მხ. რ.**

დო-პ-ჭარ-უფ მან ია დავწერ მე მას (იგი)  
დო-ჭარ-უფ სინ ია დაწერ შენ მას (იგი)  
დო-ჭარ-უფ-ს ემუქ ია დაწერს ის (იმან) მას (იგი)

**მრ. რ.**

დო-პ-ჭარ-უფ-თ ჩქინ ია დავწერთ ჩვენ მას (იგი)  
დო-ჭარ-უფ-თ თქვან ია დაწერთ თქვენ მას (იგი)  
დო-ჭარ-უფ-ან ენთეფექ ია დაწერენ ისინი (მათ) მას (იგი).

პირობითი III ეყრდნობა კავშირებით მეორეს; დაირთავს უწყვეტლის სავრცობ ტ-ს. სარფულში უწყებული მწკრივი ფართოდ ხმარებისად არ არის.

**მხ. რ.**

პ-ჭარ-ა-ტი მან ია დავწერდი მე მას (იგი)  
ჭარ-ა-ტი სინ ია დაწერდი შენ მას (იგი)  
ჭარ-ა-ტი-უ ემუქ ია დაწერდა ის (იმან) მას

**მრ. რ.**

პ-ჭარ-ა-ტი-თ ჩქინ ია დავწერდით ჩვენ მას (იგი)  
ჭარ-ა-ტი-თ თქვან ია დაწერდით თქვენ მას (იგი)  
ჭარ-ა-ტი-ეს ენთეფექ ია დაწერდნენ ისინი (მათ) მას (იგი)

ხოფურსა და სარფულში მესამე სერია წარმოდგენილია ნაწყვეტილარი თურმეობითი პირველით, თურმეობითი მეორით და კავშირებითი მესამით. ხოფურში და ასევე სარფულშიც იწარმოება –ერე-თი (თურმეობითი I), –ურეტ (თურმეობითი II), –ერეტა (კავშირებითი III).



**თურმეობითი I****მხ.რ.**

პ-ჭარ-ელ-ერე მან ია დამიწერია მე იგი  
 ჭარ-ელ-ერე სინ ია დაგიწერია შენ იგი  
 ჭარ-ელ-ერე-ენ ემუქ ია დაუწერია მას (იმან) იგი

**მრ.რ.**

პ-ჭარ-ელ-ერე-თ ჩქინ ია დაგვიწერია ჩვენ იგი  
 ჭარ-ელ-ერე-თ თქვან ია დაგიწერიათ თქვენ იგი  
 ჭარ-ელ-ერე-ნან ენთეფექ ია დაუწეროთ მათ იგი.

**ნაწყვეტილარი თურმეობითი II****მხ.რ.**

პ-ჭარ-ელ-ერეტ-ი მან ია მიწერია თურმე მე ის  
 ჭარ-ელ-ერე-ი სინ ია გიწერია თურმე შენ ის  
 ჭარ-ელ-ერეტ-უ ემუქ ია უწერია თურმე მას (იმან) ის.

**მრ.რ.**

პ-ჭარ-ელ-ერეტ-ი-თ ჩქინ ია გვიწერია თურმე ჩვენ იგი  
 ჭარ-ელ-ერეტ-ი-თ თქვან ია გიწერიათ თურმე თქვენ იგი  
 ჭარ-ელ-ერეტ-ეს ენთეფექ ია უწერიათ თურმე მათ იგი.

**ნაწყვეტილარი კავშირებითი III****მხ.რ.**

პ-ჭარ-ელ-ერეტა მან ია მეწერა თურმე მე იგი  
 ჭარ-ელ-ერეტა სინ ია გეწერა თურმე შენ იგი  
 ჭარ-ელ-ერეტა-ს ემუქ ია ეწერა თურმე მას (მან) იგი.

**მრ.რ.**

პ-ჭარ-ელ-ერეტა-თ ჩქინ ია გვეწერა თურმე ჩვენ იგი  
 ჭარ-ელ-ერეტა-თ თქვან ია გეწერათ თურმე თქვენ იგი  
 ჭარ-ელ-ერეტ-ან ენთეფექ ია ეწერათ თურმე მათ იგი.

თუ წყვეტილი ფუძე რ-ს შეიცავს, თურმეობითის ფორმებში –ერე-ს წინ-ელ ჩაერთვის; დოპჭარი (წყვეტილი) დოპჭარელერე (თურმეობითი), ს. ჟღენტის მიხედვით, –ელ ფონეტიკური ჩანართია დისიმილაციის ასაცილებლად (ჟღენტი, 1953:85).

ლაზურში ანალოგიურად სარფულშიც რეალიზდება მესამე სერიის ინვერსიული წარმოების ფორმებიც.

**თურმეობითი I****მხ.რ.**

მიჭარუნ მან ია მიწერია მე იგი  
 გიჭარუნ სინ ია გიწერია შენ იგი  
 უჭარუნ ემუს ია უწერია იმას იგი

**მრ.რ.**

მიჭარუნან ჩქინ ია გვიწერია ჩვენ იგი  
 გიჭარუნან თქვან ია გიწერიათ თქვენ იგი  
 უჭარუნან ენთეფეს ია უწერიათ მათ იგი.

**თურმეობითი II**

**მხ. რ.**

მიჭარუტუ მან ია	მეწერა მე იგი
გიჭარუტუ სინ ია	გეწერა შენ იგი
უჭარუტუ ემუს ია	ეწერა იმას იგი

**მრ.რ.**

მიჭარუტეს ჩჰინ ია	გვეწერა ჩვენ იგი
გიჭარუტეს თქვან ია	გეწერათ თქვენ იგი
უჭარუტეს ენთეფეს ია	ეწერათ მათ იგი.

**კავშირებითი III**

**მხ. რ.**

მიჭარუტას მან ია	მეწეროს მე იგი
გიჭარუტას სიან ია	გეწეროს შენ იგი
უჭარუტას ემუს ია	ეწეროს იმას იგი.

**მრ.რ.**

მიჭარუტან ჩჰინ ია	გვეწეროს ჩვენ იგი
გიჭარუტან თქვან ია	გეწეროთ თქვენ იგი
უჭარუტან ენთეფეს ია	ეწეროთ იმათ იგი.

**პირობითი III**

**მხ.რ.**

მიჭარუტუკონ მან ია	რომ დამეწერა მე გი
გიჭარუტუკონ სინ ია	რომ დაგეწერა შენ იგი
უჭარუტუკონ ემუს ია	რომ დაეწერა იმას იგი.

**მრ.რ.**

მიჭარუტესკონ ჩჰინ ია	რომ დაგვეწერა ჩვენ იგი
გიჭარუტესკონ თქვან ია	რომ დაგეწერათ თქვენ იგი
უჭარუტესკონ ენთეფეს ია	რომ დაეწერათ მათ იგი.

ლაზურში გარდამავალი და გარდაუვალ ზმნათა უღვლილებას შორის სხვაობა მოშლილია, ასეა სარფულშიც. დროთა მესამე ჯგუფს გარდამავალი ზმნებიცა და გარდაუვალიც ერთნაირად აწარმოებენ. წარმოვადგენ გარდამავალ ზმნათა უღვლილების სქემას მთავარ დროებში და მესამე პირის ფორმებს მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში.

აწმყო: ტიბუნ „თბება“

უწყვეტელი: ტიბუტუ „თბებოდა“

კავშირებით I: ტიბუტას „თბებოდეს“

წყვეტილი: დოტიბუ, „დათბა“

კავშ. II : დოტიბას „დათბეს“

მყოფადი მეშველზმნიანი: დოტიბასინონ „დათბეს უნდა“

პრევერბიანი მყოფადი: დოტიბუნ „დათბება“

თურმ. I დოტიბერენ „დამთბარა“

თურმ. II დოტიბერეტუ „დამთბარიყო“

კავშ. III დოტიბერეტას „დამთბარიყო“

პირობ. III დოტიბერეტუკონ „რომ დამთბარიყო“.

## მრ.რ.

აწმყო: ტიბუნან „თბებთან“  
 უწყვ. ტიბუტეს „თბებოდნენ“  
 კავშ. I: ტიბუტან თბებოდნენ  
 წყვეტილი: დოტიბეს „დათბენ“  
 მყოფადი: დოტიბუნან „დათბებთან“  
 თურმ. I: დოტიბერენან „დამთბარან“  
 თურმ. II: დოტიბერეტეს „დამთბარიყვენ“  
 კავშ. III: დოტიბერეტან „დამთბარიყვენ“.

## ობიექტური წყობის ზმნები

მეგრულ-ლაზურში პირველი ობიექტური პირის ნიშანია მ მორფემა, რომელიც უცვლელად დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში. ეგვე სუფიქსი რეალიზდება სარვის მეტყველებაში: მ-იკიდუფს „მიშენებს“, მ-ოგურაფს „მასწავლის“, მ-იწუმერს „მეუბნება“.

მ- მორფემა სტაბილურია თანხმოვნის წინა პოზიციაშიც. მიუხედავად თანხმოვნის რაგვარობისა: მ-ფოფუფს „მიჭერს“. მ-ბახუფს „მცემს“, მ-კითხუფს „მეკითხება“.

ლაზურში მეორე ობიექტური პირის მარკერი გ თანხმოვნის წინა პოზიციაში ძირითადად შენარჩუნებულია. გ-ჯოხონს „გქვია“, გ-ჭკომას „გჭამოს“, მო-გ-წონს „მოგწონს“. ანალოგიური მდგომარეობაა სარფულშიც. ამავე დროს შეინიშნება ტენდენცია მორფონოლოგიური გარდაქმნისა ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვან და პოზიციაში: გ-ჩუმერ→ქ-ჩუმერ „გელოდები“, გ-კითხუფ→კითხუფ „გეკითხები“. გ-შუნს→ქ-შუნს „გახსოვს“.

ნიმუშად წარმოვადგენთ ობიექტური წყობის ზმნათა ძირითადად მწკრივებს.

## აწმყო

მიკიდუფს მიშენებს	მიკიდუფან „გვიშენებენ“
გიკიდუფს გიშენებს	გიკიდუფან „გიშენებენ“
უკიდუფს უშენებს	უკიდუფან „უშენებენ“

## უწყვეტილი

მიკიდუფტი „მიშენებდი“	მიკიდუფტით „გვიშენებდით“
გიკიდუფტი „გიშენებდი“	გიკიდუფტით გიშენებდით
უკიდუფტი „უშენებდი“	უკიდუფტით უშენებდით

## აწმყოს კავშირებითი

მიკიდუფტა „მიშენებდე“	მიკიდუფტათ „გვიშენებდე“
გიკიდუფტა „გიშენებდე“	გიკიდუფტათ გიშენებდეთ
უკიდუფტა „უშენებდე“	უკიდუფტათ უშენებდეთ.

## მყოფადი

დომიკიდუფს „ამიშენებს“	დომიკიდუფან აგვიშენებენ
დოგიკიდუფს „აგიშენებს“	დოგიკიდუფან აგიშენებენ
დუკიდუფს „აუშენებს“	დუკიდუფან აუშენებენ.

## წყვეტილი

დომიკიდუ „ამიშენა“	დომიკიდუს „აგვიშენეს“
დოგიკიდუ „აგიშენა“	დოგიკიდეს „აგიშენეს“
დუკიდუ „აუშენა“	დუკიდეს „აუშენეს“

## კავშირებითი II

დომიკიდას „ამშენოს“	დომიკიდან „აგვიშენოს“
დოგიკიდას „აგიშენოს“	დოგიკიდან „აგიშენოს“
დოკიდას „აუშენოს“	დუკიდან „აუშენონ“.

*LINGUISTICS*

## THE PARADIGMATIC SYSTEM OF THE VERB IN SARPIAN

OMAR MEMISHISHI

*Research fellow at the Niko Berdzenishvili Institute at the BSU*

The row system in Sarpian dialect follows the Khopa one in the formation of verb forms. However, some peculiarities emerge in the process of verb conjugation.

When analyzing the form of a verb, one must take into account the morphological regularities and changes that occur with a personal affixes.

The verb root may be represented in two ways in the paradigm of the verb conjugation: simple and complicated. Simple stems are relatively small in speech, and complex stems are realized by thematic suffixes.

The declension of subject and object in speech depends on the transitivity and intransitivity and tense of the verb; the subject of the transitive verb is the narrative case in every row and series, and the direct object – in nominative case. The cases of the subject and object of intransitive verbs are nominative and dative.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. როზენი, 1844: Georg Rozen, Über die sprache der Lazen, Berlin, 1844
2. მარი, 1910: И.Я. Мара, грамматика чанского (лазского языка), с.-Пб, 1910
3. ჩიქობავა, 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
4. დანელია, 2006: ვ. დანელიაზ კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006.
5. კარტოზია, 2006: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2004.
6. სარფი, 2015: ავტორები მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფაღავა, ო. მემიშიში... ბათუმი, 2015.
7. მემიშიში, 2001: ო. მემიშიში, აწმყოს ფუძის ერთი თავისებურება სარფულში, XXI რესპუბლიკური დიალექტიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.
8. ქირია, 2014: ჭ. ქირია, მეგრულ-ლაზურის მორფოლოგიის საკითხები, (ნაკვეთელთა სისტემა), თბ., 2014
9. ქირია... 2015: ჭ. ქირია, ლ.ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ.ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია, 2015.
10. ჟღენტა, 1953: ს. ჟღენტა, ჭანურ-მეგრული ფონეტიკა, თბ., 1953.

## ენათმეცნიერება

### კითხვითი კონსტრუქციები პრესის ენაში

#### ნინო ჯიკლაური

**აბსტრაქტი** - ყოველი საკომუნიკაციო აქტის ბირთვი წინადადებაა. ამავდროულად, კითხვითი კონსტრუქციის შესაძლებლობანი საკმაოდ - მრავალფეროვანი.

აღნიშნულ სტატიაში განხილულია კითხვითი მოდალობის გამოხატვის ვარიაციები თუ თავისებურებანი პუბლიცისტურ სტილთან მიმართებაში; კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია მის ნიუანსურ მხარეებსა და ფუნქციურ-სემანტიკურ ტიპებზე.

**საკვანძო სიტყვები:** კითხვითი წინადადება, სინტაქსური კონსტრუქცია.

ყოველი საკომუნიკაციო აქტის ბირთვი წინადადებაა; მოდალობის თვალსაზრისით კი, კითხვითი კონსტრუქციების შესაძლებლობანი - საკმაოდ მრავალფეროვანია და საინტერესო. ამას მოწმობს მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო და სხვა სახის სტატიები, დიალოგები თუ ზეპირი საუბარი.

როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, კითხვითი წინადადება ბევრ თავისებურებას ავლენს. მისი ძირითადი, ანუ პირველადი ფუნქცია ინფორმაციის მოპოვება-შევსება, პასუხის მიღების მოთხოვნა - კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრის დადასტურება ან უარყოფაა.

როგორც რუსუდან სალინაძე აღნიშნავს, პრესაში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ენის განვითარების რთული და მრავალფეროვანი პროცესი. მათი მეშვეობით ხდება, ერთი მხრივ, ენობრივ ფორმათა და, მეორე მხრივ, ენათმეცნიერულ შეხედულებათა პოპულარიზება; ის წარმოადგენს სალიტერატურო ენის ყოველდღიურ სარბიელს, სადაც ჩანს ენის ცვლილების ცოცხალი პროცესი (სალინაძე, 2013:207).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აღნიშნულ სტატიაში სწორედ პუბლიცისტურ სტილთან მიმართებაში არსებულ კითხვითობის პირველად და მეორეულ ფუნქციებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ხშირია შემთხვევა, როდესაც სტატიის სათაური კითხვითი წინადადებაა. მართალია, იგი გაფორმებული არ არის ბოლოში კითხვის ნიშნით, მაგრამ მასში ცალსახადაა წარმოჩენილი კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია, მთლიანი სტატია-ტექსტი, კი არის სათაურის პასუხი:

„ღირსებააყრილ ქვეყანაში „ღირსების ორდენს“ რა უნდა“ („ივერია“, 26 მარტი, 2004).

ა. დავითიანს „ქართული ენის სინტაქსში“ გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ შეიძლება კითხვა თხრობითი წინადადებით გამოიხატოს, ანუ შეიძლება თანამედროვე ქართულში კითხვითი სიტყვა შეგვხვდეს თხრობით წინადადებაშიც და რომ ეს ხშირია პერიოდული პრესის სათაურებში. მაგალითად მოჰყავს შემდეგი სათაურები: „როგორ ემზადებიან თესვისთვის“, „რა გვიამბო ქარხნის დირექტორმა“ (დავითიანი, 1966).

ავტორი თვლის, რომ კითხვითი სიტყვები მითითებას აძლიერებენ და ყოველ ასეთ წინადადებაში მითითებითი ნაწილაკი „აი“ იგულისხმება.

ზემოაღნიშნულს ეხმიანება ხ. მაჭავარიანი თავის სტატიაში „კითხვითი წინადადების სემანტიკური ტიპები.“ ავტორი ამბობს, რომ “შესაძლოა აღნიშნული მოსაზრება ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში გამართლებული იყოს, მაგრამ „ყოველ ასეთ წინადადებაში,“ არ შეიძლება იგულისხმებოდეს მითითებითი ნაწილაკი. ვინაიდან ამ უკანასკნელს სხვაგვარი ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა აქვს და სათაურს უცვლის დანიშნულებას. აქედან გამომდინარე, მსგავსი წინადადება-სათაური ვერ იქნება თხრობითი ორი მიზეზის გამო: პირველი – წინადადებაში არის ფუნქციურად დატვირთული კითხვითი სიტყვა; მეორე – წინადადება კითხვითი შინაარსისაა და მოითხოვს პასუხს. პასუხს კი თვით სტატია-ტექსტი წარმოადგენს“ (მაჭავარიანი, 2005.: 187).

ჩვენი აზრით, ხ. მაჭავარიანის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი სავსებით ლოგიკურია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში უკვე შეინიშნება ახალი ტენდენცია კითხვის წარმოებისა და შესაძლებელია, გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოიკვეთოს, ამ ეტაპისათვის კი ამაზე საუბარი ნაადრევია გვეჩვენება.

კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია კარგად ჩანს დიალოგებში, განსაკუთრებით - ინტერვიუებში, იმ კითხვების სახით, რომლებსაც ჟურნალისტები რესპონდენტებს უსვამენ.

ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე სარეკლამო ციტატები შეკითხვის სახითაა გაფორმებული. ბუნებრივია, ყოველივე ამას კომერციული ინტერესები განაპირობებს,

ანუ, რაც მეტია კითხვა, მით მეტია პასუხის მიღების მოლოდინიცა და ალბათობაც. მაგალითად: „გსურთ, თქვენი პროდუქცია ან მომსახურება აშშ-ის ბაზარზე გავიდეს? გსურთ, თქვენი საქმიანობით დაინტერესდნენ საქართველოს მოსახლეობა და მყიდველუნარიანი ამერიკელი ქართველები? ეს შესაძლებელია!“ („ივერია“, 26 მარტი, 2004).

ხშირად კითხვითი წინადადება ემსახურება ავტორის მობილიზებას წერილში დასმული პრობლემისა და გამოთქმული მოსაზრებისადმი. ამით აზროვნების კონცენტრირება ხდება სწორედ სტატიის მიზანზე.

ზოგჯერ კი მას „გადატანითი“ ფუნქცია ეკისრება, როდესაც ავტორი ცდილობს, ერთი თემიდან ან საკითხიდან მეორეზე გადავიდეს ან სიტყვა გადასცეს რესპონდენტს.

საკუთარი შეხედულებებისა და პოზიციის გამოსახატავად ავტორები ხშირად მიმართავენ რიტორიკულ შეკითხვებს, რომლებიც სინტაქსურად ჩართულის სახითაა გაფორმებული. ამასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებს ხ. მაჭავარიანი და ამბობს: „ზეპირ მეტყველებაში სიტყვის მასალად რიტორიკული შეკითხვების ინტენსიურმა გამოყენებამ, იგი დროთა განმავლობაში ჩართულად აქცია და სპონტანური მეტყველების განუყოფელი ნაწილი გახადა“ (მაჭავარიანი, 2005.: 189).

არცთუ იშვიათად ვხვდებით თანამედროვე პრესაში ალტერნატიული ტიპის შეკითხვებს, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს არჩევანის საშუალება ეძლევა, ამასთან, იგი აძლიერებს ემოციას.

მაგალითად, „ერთი კი, ალბათ, ყველას თანაზრად გვინტერესებდა: ან თავდაპირველი დაუზოგავი კრიტიკა რას ნიშნავდა, ან ბოლოს „გამოთქმული მადლიერება და ქება? ნუთუ ერთმა მოხდენილმა ხუმრობამ ყველაფერი შეცვალა?“ („ივერია“, #49, 2004 ).

კითხვითი წინადადების გაფორმების თავისებურ საშუალებაზე საუბრობს ა. დავითიანი, და კითხვის გაძლიერების შესაძლო ვარიანტებსა და შემთხვევებს განიხილავს, რაც კითხვის გაორკვევით და ჩაკითხვით ხდება. კითხვის გაძლიერებისას მეორდება სინონიმური სიტყვა, შესიტყვება ან წინადადება“ (დავითიანი, 1966.: 76). მსგავსი ფორმები ძლიერი ექსპრესიულობით გამოირჩევა და მკითხველის ემოციებზეა გათვლილი.

მაგალითად: „როცა უკან ვიხედები და წარსულს ვიხსენებ, მოსვენებას არ მაძლევს კითხვა - რატომ და როგორ მოხდა, რომ ამ ადამიანებმა თავიანთი პიროვნული ნიჭიერების ბადალი შემოქმედებითი ნაყოფი ვერ გამოიღეს? ისიც საკითხავია, ჩვენი შემოქმედებითი შრომის ნაყოფიერება რატომ არის მცირე? ამას მესამე კითხვაც ემატება - რატომ არის ქართველი ხელოვნის (მწერლისაც) ნიჭიერების გამოვლენა არასტაბილური?“ („ლიტ. საქ.“, #32, 1997)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, პრესის ენაში და არა მარტო, ვხვდებით ფრაზეოლოგიზმებად ქცეულ შეკითხვებს ექსპრესიული დატვირთვით.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მაგალითები ვერ ამოწურავს კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პუბლიცისტურ სტილზე გვაქვს საუბარი, - მაგრამ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: საკუთრივ კითხვით წინადადებებს აშკარად სჭარბობს რიტორიკული წინადადებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს პუბლიცისტურ სტილს, წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

## LINGUISTICS

### QUESTION STRUCTURES IN MEDIA LANGUAGE

NINO TSIKLARI

The core of every communication act is a sentence. At the same time, the possibilities of question structures are quite diverse.

This article discusses the various possibilities and features of question modality in relation with the publicist style; In particular, it focuses on its nuances and functional-semantic types.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითიანი, 1966 \_ აკაკი დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ.,
2. ქართულში”, კრ. V, ბათუმის უნივერსიტეტი, ბათ.,
3. მაჭავარიანი, 2005 - ხ. მაჭავარიანი, კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური ტიპები საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ.,
4. სალინაძე, 2013 - რუსუდან სალინაძე, სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ.
5. [http://psnews.ge/index.php?m=68&news\\_id=11879](http://psnews.ge/index.php?m=68&news_id=11879)
6. „ივერია“, 26 მარტი, 2004.
7. „ლიტ. საქ.“, #32, 1997.

## ლინგვისტიკა

### ფრაზეოლოგიკა აკა მორჩილაძის მადათოვის ციკლის მოთხრობების მიხედვით

#### თათია ცაცხლაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი, სპეციალობა: ლინგვისტიკა*

**აბსტრაქტი** - ნაშრომში შესწავლილია აკა მორჩილაძის მადათოვის ციკლის მოთხრობების ფრაზეოლოგიკა, სადაც საგანგებო ადგილი უჭირავს სასაუბრო სტილის ფრაზეოლოგიკებს. ტრილოგია მადათოვი ხასიათდება ორმაგი კოდირებით, განსხვავებული ენობრივი კოდების შერწყმით, კოლაჟით.

რომანში ტრანსფორმირდება ქართული ფრაზეოლოგიკები, ავტორი მთავარ კომპონენტებს ცვლის: ჯიბეში ყვავი ჰყავს (შდრ: თაგვი ჰყავს), ან მიმართავს კონტამინაციას: თვალის გდება (თვალის მიდეგნება, ყურის გდება), ასევე, ქმნის ახალ ერთეულებს, რომლებიც ადამიანის ღრმა განცდებს უკავშირდება, ესენია: სიყვარული, სიმპათია, გაბედულება, დარდი, შებრალება, ემპათია. კომპონენტების შეცვლით ავტორმა გაზარდა ექსპრესიულობა და სათქმელი უფრო დასამახსოვრებლად გადმოგვცა.

უდარდულობის, გულგრილობის, უპასუხისმგებლობის აღმნიშვნელი ჟარგონული ფეხებზე დაკიდება ფრაზეოლოგიკის გვერდით გვაქვს იმავე შინაარსის გავრცობილი და ჰიპერბოლიზებული გამოთქმა: ბატინკების ჭვინტებზე დაკიდება (ფეხზე დაკიდება).

საკუთრივ მწერლისაა, ინდივიდუალურ-საავტორო რამდენიმე ფრაზეოლოგიკაში: თავში ჩაინიკის მიღება, გულის გაცხელება, გულ-გვამში სიცხის დავლა, ყურში კოდალა ჰყავს, მის პირში გემოს ვერ გააჩენდა, თვალები გირაოში გაქ?თავში შედიტინება.

აკა მორჩილაძე სასაუბრო სტილის ფრაზეოლოგიას, ძირითადად, ექსპრესიის გაზრდის მიზნით, ირონიის გამოსახატვად იყენებს, რაც პოსტმოდერნისტული ტექსტების მთავარი ნიშანია.

**საკვანძო სიტყვები:** ორმაგი კოდირება, დისკურსი, ექსპრესიულობა, ირონია, ემპათია, სასაუბრო სტილი.

ფრაზეოლოგიკები ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ისინი უშუალოდ უკავშირდება მისი შემქმნელი ხალხის ყოფას, კულტურას, იდენტობას, ამიტომ მათი კვლევა გასცილდა კულტურულ-ტექსტოლოგიურ პარადიგმას, მათ შეისწავლიან ანთროპოლოგიური და ლინგვოკულ-ტუროლოგიური კუთხითაც, ის ინტერდისციპლინური შესწავლისაა.

მხატვრულ დისკურსში, გარდა ლოგოპისტიკებისა, ლინგვოკულტურებისა,

გვხვდება ახალი ერთეულებიც. ისინი შესაძლოა დამკვიდრდეს, რაც ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების წინაპირობაა.

ფრაზეოლოგია რეალობის ერთგვარი სიტყვიერი მირაჟია. „ფრაზეოლოგიური თეზაურუსი კულტურის ვერბალური თეზაურუსიცაა და ენის გამდიდრებას ემსახურება“ (ცეცხლაძე, 2018:13).

ფრაზეოლოგიკების შესწავლა მეტად საინტერესოა სხვადასხვა ტიპის დისკურსში, განსხვავებულ ავტორთან, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებსა თუ მიმდინარეობაში.



## თათია ცეცხლაძე

რუსი მეცნიერი ი. ნ. კარაულოვი აღნიშნავს, რომ „ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებას, მატარებელსა და მომხმარებლებს, ადამიანებს, კონკურენტულ ენობრივ პიროვნებას“ (Караулов, 1987:7).

ჩვენი სტატიის მიზანია ფრაზეოლოგიუმების შესწავლა თანამედროვე პოსტმოდერნისტი მწერლის, აკა მორჩილაძის (გიორგი ახვლედიანი), მადათოვის ციკლის მოთხრობების მიხედვით. პოსტმოდერნიზმის დისკურსი საკმაოდ რთული ლინგვოკულტუროლოგიური პროცესია. გარდა საზოგადო ნიშნებისა, მხატვრულ დისკურსში მწერალი ქმნის სამყაროს ხატს, რომელშიც ერთიანდება საკუთარი ყოფა, თვითგამომსახველობა და მასობრივი აღქმის დისკურსიც. პოსტმოდერნიზმმა „მაღალი“ და „დაბალი“ ჟანრები ერთმანეთს გაუტოლა, მოშალა იერარქია.

მადათოვის ციკლის მოთხრობებში გასული საუკუნეების **სტილი, მანერა და სალაპარაკო ენა** გვაქვს. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული პროზის სტილისა და პუბლიცისტიკა-ესეისტიკის თავისებურებათა ნაზავია, მეტატექსტია. საერთოდ, პოსტმოდერნისტულ ტექსტში გვხვდება მრავალი დაუმთავრებელი კოდი, რაც საგანგებო მიზნებს ემსახურება. ეს რომანი ხასიათდება **ორმაგი კოდირებით**, განსხვავებული ენობრივი კოდების შერწყმით, კოლაჟით. ის ერთდროულად არის ნოვატორულიც და ტრადიციულიც, კომიკურიც და ტრაგიკულიც, ძველიც და ახალიც, ღრმაც და ზედაპირულიც. ეს უკანასკნელი შეპირობებულია სოციოკულტურული გარემოთი.

ნაშრომში გავანალიზებთ, რომელი სტილის ფრაზეოლოგიას ანიჭებს ავტორი უპირატესობას, რაა მისეული, როგორ ტრანსფორმირდება მადათოვის ციკლის

მოთხრობების დისკურსში ქართული ფრაზეოლოგიუმები, რა მიზნით გამოიყენება ისინი და როგორ ცვლის მათ კონტექსტი.

ფრაზეოლოგიური ფონდის ცვალებადობა დამოკიდებულია მეტაფორულობაზე, რის მეშვეობითაც ადამიანი აღიქვამს გარესამყაროს, შეიმეცნებს საკუთარ თავს ამ სამყაროში. „მეტაფორულობა კი, თავის მხრივ, თვალნათლივ ჩანს სომატურ ფრაზეოლოგიუმებში. მათში ძირითადად მონაწილეობს სხეულის ნაწილები, ორგანოები, როგორებიცაა: **გული, თვალი, ხელი, ნაღველი** და ა.შ.“ (ცეცხლაძე, 2017: 226).

მადათოვის ციკლის მოთხრობებში არაერთი ასეთი ფრაზეოლოგიუმი გვხვდება. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სომატიზმები დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ თვისებებთან, საკვებ-გადამამუშავებელ სისტემასთან, ფსიქიკურ მდგომარეობასა თუ გონებრივ უნარებთან.

ფრაზეოლოგიუმების კომპონენტთაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა-კონცეპტია **გული**. ამგვარ ფრაზეოლოგიუმებს მკვლევრები პირველ რიგში ემოციების დიფერენციული შესწავლის დროს ეხებიან. „მიაჩნიათ, რომ კონცეპტი **გული** ემოციების ქართულენოვანი სურათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი არის ორგანო, რომელსაც უკავშირდება შემეცნება, აზროვნება, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგიური შეგრძნებები“ (ცეცხლაძე, 2017:226). თ. სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში“ დადასტურებული აქვს 150-ზე მეტი ასეთი გამოთქმა.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, **„გული“** წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ფუნქცია, ტვინის,

გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს - სიცოცხლის მატარებელი გულია“ (ჩიქობავა, 1938:66).

მიუთითებენ, რომ ეს არის „უარყოფით-დადებით ემოციათა ასიმეტრიულობა ენაში“ (ფონიავა, 2011:36).

აკადემიკოსის ავტორის ციკლის მოთხრობებშიც ამგვარი ფრაზეოლოგიკები ადამიანის ღრმა განცდებს უკავშირდება: ესენია: სიყვარული, სიმპათია, გაბედულება, დარდი, შებრალება, ემპათია:

აკაკი იმდენს გვაცინებდა, რომ საჭმელზე **გული არ მიგვდიოდა** (მორჩილაძე, 2011:41); მამა ზაქარიას **გული** მაინც **არ გაგრძობდა** და წერილიც შეედგინა თვით ეგზარხოსის, მგონი ივანეს სახელზე (იქვე, 17); თვალეები ამ კაცისა იყო ღია და უყურებდა კაცს, თითქო **დიდი გულით** (იქვე, 48); კიდევ იმაზე **დამწყდა გული**, რომ ნათელა არ იყო იქ, გამიხარდებოდა იმათი ერთად ნახვა (იქვე, 488); დიახ, - წარმოთქვა ყორღანოვმა და **გული დაეწვა** (იქვე, 54).

საინტერესოა **გულის გაცხელება** (გაბოროტება, შურისძიების დაუოკებელი წყურვილი): რა მიზეზია, რომ **გული აგრე გაცხელება?** (იქვე, 122).

მეტად ექსპრესიულია „**სიცხის დავლა გულ-გვამში**“ პოლკოვნიკ ყორღანოვს **გულ-გვამში დაუარა სიცხემ** (იქვე, 60).

საინტერესოა ფრაზეოლოგიკაშია **გულმა არ მომცა** (ვერ მოვისვენე): ის მოდიფიცირებულია, მასში ერთი კომპონენტი გამოტოვებულია: **გულმა არ მომცა** და ავიღე თავი და კითხვა-კითხვით მივედი იმავე დღეს არამ ნიკალაევჩის სამუშაო ადგილას (იქვე, 311).

ამ მოთხრობებში **გულს** უკავშირდება აკვიატება, მტკიცე გადაწყვეტილება, რომელიც გონების პრეროგატივაა: ოსმალოსთან ბოლო ომის გმირს, პოლკოვნიკს, მეორე ცოლის შერთვა **ამოეჭრა გულს** (იქვე, 98). ავტორი ამით ერთგვარ ირონიასაც

გამოხატავს მოხუცებული პერსონაჟისადმი, რომელსაც გადაუწყვეტია ახალგაზრდა ცოლის შერთვა.

მიჩნეულია, რომ ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნალველი, წყენა, ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები** ძირითადად **გულს**, მის მოძრაობას უკავშირდება“ (ცეცხლაძე, 2018:43).

**თვალს** უკავშირდება ქართულში შემდეგი ფრაზეოლოგიკები: **თვალი დაადგა, თვალში ამოიღო, თვალიდან ამოიგდო, თვალს ადევნებს, თვალში ეცოტავა, თვალი უჭირავს, თვალეები დაუბრმავდა და ა.შ.**

ახლა კი მეღბორის ქვრივს **დავადგი თვალი** (მორჩილაძე, 2011:499); თალღობას მისდევ და **ნაცარს აყრი თვალეებში** ბნელ ხალხს (იქვე, 435).

ჩვენს მასალებში გამოვლინდა **თვალის გდებაც (თვალთვალი, ყურადღება)**: ეს **თვალის გდება** მეტათ ფრთხილი უნდა გამოსულიყო (იქვე, 18).

მომდევნო მაგალითშიც **თვალთვალი** იგულისხმება: ჩვენს ბატონ პედერსენს დიდად **მახვილი თვალი** აქვს... ეგებ ის ჯაშუშადაც გამოდგეს (იქვე, 23).

მეტად ექსპრესიულია ადამიანის მიერ ღვთის სიტყვის შეუსმენლობა: ის **არ უშვებს ღვთის სიტყვას თავის ყურამდე** (იქვე, 21);

ფრაზეოლოგიკაში **ენის მიტანა** ავტორმა გაავრცო და საგანგებო სემანტიკა მიანიჭა: ინტრიგების გადმოსაცემად გამოიყენა: **ენას მიიტანენ** და ვიღაცა ნაბიჯს გადაადგამს (მორჩილაძე, 2011:66); **მწარე ენები მოჰქონდათ...** (იქვე, 40).

ამავე შინაარსს გადმოსცემს იდიომი **შხამის აგორებაც: ...შხამი აგორდა** და ყიფიანს, სხვათა შორის, ოდინდელ თავადაზნაურობის მარშალს, ლიკვიდაცია გადაუწყვიტეს (იქვე, 95).

გავრცობილია **ორი ყურით დაჭერაც**, ის მიემართება აგენტს: მადამ ჟუჟუ, ჩვენი ძველი აგენტი იყო და თანაც უცდომელი,

## თათია ცეცხლაძე

ჩვენს გადმოხილებას განყოფილებას ის **ორთავ ყურით** დიდი ხანია **ეჭირა** (მორჩილაძე, 2011:304).

ყურებით დაჭერა მონობას, ყმად გახდომას ნიშნავს (სახოკია, 1979:727), **ორი ყურით დაჭერა** კიდევ უფრო ექსპრესიულია.

ავტორი ზოგჯერ ცვლის ფრაზეოლოგიზმის მთავარ კომპონენტს: **თავის გაყოფის** ნაცვლად გვაქვს **ცხვირის გაყოფა**: მე ისეთ **საქმეში გამაყოფინეს ცხვირი**, რომ შენი მოწონებული (მორჩილაძე, 2011:57).

აჰა მორჩილაძის მადათოვის ციკლის მოთხრობების დისკურსში საგანგებო ადგილი უჭირავს სასაუბრო სტილს. გვხვდება ამავე სტილის ფრაზეოლოგიზმებიც, რომლებიც არცერთ ლექსიკონში არ დასტურდება. ამით იზრდება ექსპრესია:

- **ყურში კოდალა გყავსთ?** - ჩაეკითხა ფარვანოვი (ყრუ ხომ არ ხარ? რატომ არ გაიგონე ჩემი ნათქვამი?) (იქვე, 162).

კიდევ უფრო საინტერესოა საპასუხო ფრაზეოლოგიზმი: -შენა, **ჯიბეში ყვაფი გყავს**, ჩემი კოდალა რა გასაკვირი მოგიხდა? (იქვე). **ჯიბეში თავგების ყოლა/თამაში** სიღარიბეზე მიუთითებს. მეტად საინტერესოა ლაზური ფრაზეოლოგიზმი - **ჯიბეში თავი ჰყავს ჩამკვდარი** (ჯიბეშია ჭუკი აფუ ალაღურელი ღარიბია (შენგელია, 2013:66).

კომპონენტების შეცვლით ავტორმა გაზარდა ექსპრესიულობა და სათქმელი უფრო დასამახსოვრებლად გადმოგვცა. აქვე გვხვდება **ცხვირის წამტვრევაც** მარცხის ან შეცდომების გადმოსაცემად: ბევრი შემძინა ცხოვრებაში გამოცდილება, ოღონდ კი **ცხვირიც** ბევრჯერ **წამამტვრევინა** (მორჩილაძე, 2011:253).

ქელეხის აღსანიშნავად გამოიყენება **ჭირის პურის ჭამა: ჭირის პურსა სჭამდნენ** (მორჩილაძე, 2011:13).

რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი საკუთრივ მწერლისაა, ინდივიდუალურ-საავტოროა: „ინდივიდუალურ-საავტორო

ფრაზეოლოგიზმები იწვევს სიახლის, მოულოდნელობის განცდას, ამაღლებს ექსპრესიულობას და ავტორის ხალას ნიჭსა თუ შემოქმედებით ინდივიდუალურობაზე მიგვითითებს“ (ცეცხლაძე, 2018:136).

დარდის ვერგაქარვებას, მოურეველობას, მის დაუძლეველობას გადმოგვცემს ფრაზეოლოგიზმი: გაღმა გასვლა, ან კუნძულებსა და ბაღებზე ქეიფი ამის **პირში გემოს ვერ გააჩენდა**, ან რა გემო უნდა გაეჩინა, როცა ერთი ორჯერ ეცემნათ კიდევ მთვრალეებს? (მორჩილაძე, 2011:14).

**თავში ჩაინიკის მიღება** (ჩარტყმა) კრახს, ფიასკოს განცდას ნიშნავს: თხელიძეშვიც ჩაისვარა და **ჩაინიკი მიიღო თავში** (იქვე, 305).

**ჩანგალზე აგება** დამონება, გაწვალება, ფულის გამოძალვაა: მაძამ ჟუჟუს ბადალი არა ჰყავდა დაშამათებულთა **ჩანგალზე აგებაში** (იქვე, 307).

უდარდელობის, გულგრილობის, უპასუხისმგებლობის აღმნიშვნელი ჟარგონული **ფეხებზე დაკიდება** ფრაზეოლოგიზმის გვერდით გვაქვს იმავე შინაარსის გავრცობილი და ჰიპერბოლიზებული გამოთქმა: **ბატინკების ჭვინტებზე დაკიდება**. ესე ყოველი ჩემი **ბატინკების ჭვინტებზე მეკიდა**, მაგრამ დონ ხუანისას საჩვენო ვერაფერი მოვნახე (იქვე, 429).

გაოცების, მოულოდნელი შეხვედრის აღმნიშვნელია **თვალეების გირაოში ქონა**: რასა შვრები, **თვალეები გირაოში გაქ?** (იქვე, 181).

მეტად საინტერესოა **თავში შეღიტილება**, რაც სიმთვრალეზე, არაფხიზელ მდგომარეობაზე მიუთითებს: ვიშნიოვკა ღვინოს მიემატა და გვარიან **შემიღიტინა თავში** (იქვე, 186).

აჰა მორჩილაძე, როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი, მადათოვის ციკლის მოთხრობებში უკვე ცნობილი ქართული ფრაზეოლოგიზმების მთავარ კომპონენტებს ცვლის: **ჯიბეში ყვაფი ჰყავს** (შდრ: თავი ჰყავს), ან

მიმართავს კონტამინაციას: **თვალის გდება** (თვალის მიდევნება, ყურის გდება).

კომპონენტის შეცვლას ემატება ჰიპერბოლიზაცია: **ბატინკების ჭვინტებზე დაკიდება** (ფეხზე დაკიდება). გავრცობის ნიმუშია **ორი ყურით დაჭერა** (შდრ: ყურით დაჭერა).

მეტად საინტერესოა ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები: **თავში ჩაინიკის მიღება**, **გულგვამში სიცხის დავლა**, **ყურში კოდალა ჰყავს**, **მის პირში გემოს ვერ გააჩენდა**, **შემილიტინა თავში**, **თვალეები გირაოში გაქ**, **ბატინკების ჭვინტებზე დაკიდება**.

უკანასკნელ ფრაზეოლოგიზმებს ახლავს ირონია, რაც პოსტმოდერნისტული ტექსტების მთავარი ნიშანია.

აკა მორჩილადე ამ ტრილოგიაში სასაუბრო სტილის ფრაზეოლოგიას ანიჭებს

უპირატესობას. ქართული ფრაზეოლოგიზმები არც თუ ხშირად ტრანსფორმირდება მადათოვის ციკლის მოთხრობების დისკურსში, ისინი ძირითადად პაროდულად გამოიყენება და კონტექსტის გარეშე მათი გაგება ძნელია.

ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების შექმნით ავტორი ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების შესაძლებლობას იძლევა.

მოკლედ, აკა მორჩილადემ არსებული ფრაზეოლოგიზმების ხელახალი წაკითხვით, მოდიფიკაციით, მათთვის დამატებითი სემანტიკური და სტილისტიკური ნიუანსების მინიჭებით, ახლებური კონტექსტით, ახალი ერთეულების შექმნით მადათოვის ციკლის მოთხრობებში მეტად საინტერესო დისკურსს მოგვცა.

## LINGUISTICS

### PHRASEOLOGISMS ACCORDING TO STORIES OF MADATOV CIRCLE BY AKA MORCHILADZE

TATIA TSETSKHLADZE

*Batumi Shota Rustaveli State University, Student of doctoral studies, Linguistics*

Discourse of post-modernism is quiet complicated lingvo-culturological process. Despite general qualities, the writer creates the world icon in art discourse in which his life, self-expression and mass precision discourse are untied.

In discourse of Stories of Madatov Circle by Aka Morhciladze special place takes speech style Phraseologisms, it creates new units, which are not fixed in any dictionaries. This increases expression and they can be introduced in language and become the source of enriching a language.

Several Phraseologisms belong to specially writer they are individual and created by author: taking a tea-pot in head, warming heart, he has a woodpecker in ear, cannot create any taste in his mouth.

Aka Morchiladze as a post-modernist writer changes main components of well-known Georgian Phraseologisms: to stick one's nose in (comparison: to stick one's head), he has a corvus in pocket (comparison: he has a mouse);

The sample of spreading is to hold with two ears (comparison: to hold one's ear).

Changing a component is added by hyperbolization: to hold on one's boots (comparison: not to care).

Hence, the author has given a very interesting discourse in Stories of Madatov Circle by reading it ones more, modification, conferring additional semantic and stylistic details, new context and creation of new units.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **მორჩილაძე აკა**, „მადათოვი“, ტრილოგია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი. 2011;
2. **სახოკია თედო**, ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1979;
3. **ფონიავა ნათია**, გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში XXXI რესპუბლიკური დიალექტო-ლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს), თბილისი. 2011;
4. **შენგელია ეთერ**, სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი. 2013;
5. **შენგელია ვაჟა**, გერიშ გემახვენჯი, XXXIII რესპუბლიკური დიალექტო-ლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ გამომცემლობის სტამბა, თბილისი. 2013;
6. **ჩიქობავა არნოლდ**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი 1938;
7. **ცეცხლაძე ნანა**, ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი. 2018;
8. **ცეცხლაძე ნანა**, გულ’ კომპონენტის ფრაზეოლოგიზმები ქართულ-ში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები II. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი. 2017;
9. **ცეცხლაძე ნანა**, ინდივიდუალურ-საავტორო ფრაზეოლოგიზმები მხატვრულ დისკურსში, II საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მასალები, სმამ სტამბა, თბილისი. 2018;
10. **Караулов Юрий**, Русский язык и языковая личность, Publisher hause Наука, 1987.

## ენათმეცნიერება

### გვარის განუტოებათა ზოგიერთი სახელწოდების შესახებ აჭარაში

თეიმურ ავალიანი, ეკატერინე ბარამიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი** - გვარის განუტოებები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში. ზემო აჭარაში გავრცელებული გვარსახელები ძირითადად მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში შემორჩენილი თურქული *-ოღლის* დამატებით მიღებულ განუტოებებად იყოფა, რითაც ისინი სხვა რეგიონებში გავრცელებული განუტოებებისგან მნიშვნელოვნად გამოირჩევა, თუმცა ამით მათი ფუნქციური დატვირთვა არ იცვლება. გვხვდება სხვა მოდელის განუტოებებიც, თუმცა ყველაზე პროდუქტიულია სწორედ ამ სახის განუტოებების სახელები, რომლებიც თავისუფლად შეიძლება იქნეს მიჩნეული შტოგვარებად. საკითხი განხილულია ავტორთა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მოძიებული რამდენიმე გვარის წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** ანთროპონიმი, ანთროპონიმური სურათი, შტოგვარი, გვარი, სახელი

**Keywords:** Anthroponym, anthroponomic Picture, Branch-surname, Name, Family Trees, Surname.

თანამედროვე ონომასტიკის საკვლევ პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გვარის განუტოების სახელებს, რადგან ისინი ქმნიან სოციუმის (ერის, ეთნოსის, სუბეთნოსის, ეთნოგრაფიული ჯგუფის) ყოფისა და ისტორიის ამსახველ ფასდაუდებელ ლექსიკურ პლასტს. მათ უამრავი ტერმინით მოიხსენიებენ. ასე მაგალითად, ქართულში მათ ეწოდება „**შტოგვარი**“, „**გვარის დანაყოფის არაოფიციალური სახელი**“, „**ქვეგვარი**“, „**მეტგვარი**“, „**მამიშვილობა**“ [თოფჩიშვილი, 2010: 260]; მეგრულში - „**თური**“ (მოგვარე; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი), „**გიმნარყი**“ (განაყოფი), „**გიმნაჭყანი**“ (შთამომავალი, შთამომავლობა), „**ნარყი**“ (გამონაყარი, შთამომავალი), „**ნოცო**“ (ნაყარი; განუტოება), „**დინო**“ (დიდი პაპის შთამომავლობა ერთ გვარში) და სხვა; (კეკელია და სხვ., 2013), ინგლისურში - **Branch-surname, Family Trees**; რუსულში - „**разветвления фамилии**“, „**ветки фамилии**“ [Брокгауз Ф., Ефрон И.] და ა. შ. მათში მოიაზრება საერთო გვარის მეტსახელური განტოტება, განაყოფი: „გვარი ერთია, გამონაყოფი - რამდენიმე. განტოტებები, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩათ“ [ლლონტი, 1988: 199]. ამავე დროს, ლინგვისტთა ნაწილის აზრით „რა იგულისხმება ტერმინებში შტოგვარი, მეტგვარი - დღემდე გაურკვეველია“ [მგელაძე, 2001: 25]. ასე, რომ საკითხი პრობლემურია, თუმცა უდავოა, რომ ის არა მხოლოდ საერთო ქართველური [ლლონტი, 1988: 200], არამედ სხვადასხვა ენაში ფართოდ გავრცელებული, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მოვლენაა. საქართველოში ის დაფიქსირებულია თითქმის ყველა კუთხეში, რის კვლევასაც უამრავი

## თეორიული აკადემია

ნაშრომი მიემდვნა [კობიაშვილი, 1995; მჭედლიშვილი, 1998: 254; ნატროშვილი, 2004: 307-308; კეკელია და სხვ., 2013 და სხვა].

ჩვენ დავინტერესდით გვარის განშტოების პრობლემით **აჭარაში**, სადაც მას **ნოგროს, ნეგროს, ნაგრამს, თახუმს, ყებილეს, ოჯახის სახელს** უწოდებენ [ჯორბენაძე, 1993: 40; მგელაძე, 2004]. ამავე დროს, მისი არსი, წარმოშობის საფუძვლები და ფუნქციური დატვირთვა აქ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში ეს საკითხი იგნორირებული იყო. ასე მაგალითად, შ. ნიჟარაძე აჭარული დიალექტის თემატური ჯგუფების ანალიზისას სახელებს, გვარებს და შტოგვარებს საერთოდ არ ეხება, აფიქსირებს მხოლოდ მეტსახელების ჯგუფს: *დარღალაი, დარბაზანაი, კელემენჯუხაი, კენკრემაი, ჩარხიტარაი, დოლენაი, დღლაფაზანაი, ჭარჭყალაი, ჟვავირეკიაი* [ნიჟარაძე, 1971: 31-72]. პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, რაც ანთროპოცენტრული მიმართულების ლინგვისტური კვლევების გააქტიურების შედეგია. ამ პერიოდში აღნიშნულ საკითხს ეხება ბ. ჯორბენაძე, რომელიც გელაძის გვარის განშტოებების ანალიზისას ციტირებს ვ. მგელაძის და ნ. მგელაძის მოსაზრებებს: „ვინმე გელაძეს ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი: *ყასუმი, ყურბანა, ჭყარტი* (მეტსახელია) და *მამუჭა // მუჭა* (მეტსახელია). გელაძის ამ ოთხმა ვაჟმა საწყისი მისცა საგვარეულოში ოთხ **მამობას**; ესენია: *ყასმაღლიენთი, ყურბანიენთი, ჭყარტიენთი, მუჭიენთი*, შემდგომ ყველა მათგანი **ბუდობად** ყალიბდება, რაც საფუძველი ხდება ნათესაობის (მამობის) ახალი საფეხურების წარმოქმნისა; მაგალითად, *მუჭიენთი* თავად ქმნის ახალ შტო-გვარებს (*პანკიენთი, ისკანდერდედიენთი და სხვ.*)“ [ჯორბენაძე, 1993: 53]. ავტორები აკეთებენ დასკვნას: „აჭარული გვარი ერთ ან სხვადასხვა **ნეგროს** მოითვლის, ხოლო თვით ნეგრო კი **საძმოებად**, ძველ და ახალ მამობად იყოფა, მამობაში, თავის მხრივ, ერთი ან რამდენიმე **ხანე** ან **კვამლი** შედის. ზოგი მათგანი ადრე დიდი ოჯახი ანუ ერთიანობის სახელი ყოფილა ... **ნეგრო გამრავლების გზით შტოებად იყოფა...** ძველი ნეგროს ადგილს ახალი ნათესაური ერთეული იჭერს, რომელიც დროთა განმავლობაში თვითონ გახდება ნეგრო... სისხლით მონათესავე ერთეულში პირველი საფეხურია **მამაშვილობა**, მეორე — **მმობა**, მესამე — **ღვიძლი ბიძაშვილობა**“ [ჯორბენაძე, 1993: 41]. როგორც ვხედავთ, გვარის განშტოების სახელთა მაწარმოებელ ფორმანტად, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აქაც დაფიქსირებულია -**ენტ(ი)**, -**ანთ(ი)**. ვხვდებით აგრეთვე ფორმანტებს: -**ნ-ებ(ი)** - (*ხალვაშნები, ნაკაშიძნეები*); -**სან(ი)**; -**სანებ(ი)** (*დურსუნასანი, უზეირასანები*), **თუმცა საერთოდ ვერ ვხვდებით ფორმანტს -ოლი**, რომელსაც ყველაზე მეტი დატვირთვა ჰქონდა ოსმალეთის დროინდელი აჭარული გვარ-სახელების წარმოებაში. როგორც ჩვენი კვლევა ადასტურებს, მისი ფუნქცია დღემდე არ ამოწურულა, პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ის გვარის განშტოების აჭარულ სახელწოდებათა ყველაზე პროდუქტიულ მაწარმოებელ ფორმანტად იქცა და ტერმინ „შტო-გვარის“ კლასიკური გაგების ნიმუშის წარმოადგენს**. ამის ნათელი დასტურია, ერთი მხრივ, აჭარაში მე-20 საუკუნის 20-იან და მომდევნო წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მასალები, მეორე მხრივ, მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების ჩვენი კვლევის მონაცემები.

აჭარული შტოგვარი ყურადღების ცენტრში მეტნაკლებად მოექცა მას შემდეგ, რაც ფართოდ გაიშალა საზღვრისგაღმელი ჩვენებურების ენის, ყოფისა და კულტურის კვლევითი საქმიანობა. ერთ-ერთმა პირველმა მას ყურადღება მიაქცია მკვლევართმა ექსპედიციამ მ. ფაღავას ხელმძღვანელობით, რომელიც კლარჯეთში გავრცელებული გვარ-სახელების ანალიზისას წერს: შტოგვარის ფუნქცია თავს იჩენს მაშინ, როცა აუცილებელი ხდება გვარის ქვემ გაერთიანებული სხვადასხვა განშტოების ერთმანეთისგან გარჩევა: „*მოლოდლი, ჩილოდლი*

*(შლაპოლღებ ეტყვიან).... ყარაბდოღლი, ჭუხა (ქვაბითაველებს ეძახიან)*“ [ფაღავა, 2017: 205]. ეს ფუნქცია კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მკვლევრის მიერ ქვემო აჭარაში დაფიქსირებულ შტოგვარებში: *ჯასიმბეგაშვილები, ომერალიშვილები, ხუსეინბეგიშვილები, შვექეთბეგიშვილები, მიქათბეგიშვილები* და სხვა [ფაღავა, 2017(ბ): 17]. ავტორი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ სოფელში გვართა განსახლების თვალსაზრისით ტაო განცალკევებით არ დგას. ანალოგიური ვითარება გარკვეული სხვაობით დასტურდება შავშეთში, კლარჯეთში, მაჭახელში, აჭარაში [ფაღავა, 2017(გ)]. აღნიშნული მოსაზრების მართებულობის დასტურია ჩვენი კვლევაც, რომელიც აჩვენებს, რომ ამგვარი შტოგვარები დღესაც მრავლად არის შემორჩენილი ზემო აჭარის მცხოვრებთა მეხსიერებაში, რასაც მყარი ეთნო- და სოციოკულტურული საფუძვლები აქვს. როგორც ცნობილია, აქაურმა ანთროპონიმამ (ისევე როგორც მთლიანად მეტყველებამ) არაერთგზის განიცადა ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული პარადიგმების ცვლის ზეგავლენა. ჯერ იყო და განხორციელდა ქართული (უფრო სწორად კალენდარული) სახელების და ქართული გვარსახლების **ჩანაცვლება მუსლიმური სახელებით და თურქული გვარსახელებით (ოღლებით)**. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან კი იწყება ადგილობრივი მოსახლეობისთვის **ქართული გვარსახელების დაბრუნების პროცესი**, რომელიც ძირითადად მისი კოლექტიური მეხსიერების მონაცემების საფუძველზე მიმდინარეობდა. ვისაც ახსოვდა, დაიბრუნა თავისი ადრინდელი ქართული გვარსახელი. თუმცა ბევრმა აბსოლუტურად მექანიკურად შეარჩია ისინი, რის გამოც ამა თუ იმ კონკრეტული ქართული გვარსახელის ქვეშ რამდენიმე **თურქული -ოღლი აღმოჩნდა გაერთიანებული**. **ამკარაა, რომ დროთა განმავლობაში მათ იკისრეს სწორედ შტოგვარების ფუნქცია**, ვინაიდან დღემდე მათი დანიშნულება არის ერთი ქართული გვარსახელის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა შტოს ერთმანეთისგან გარჩევა.

აჭარაში გავრცელებული შტოგვარები სტრუქტურული თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, ძირითადად მაინც თურქული **ოღლის** დართვით ნაწარმოები შტოგვარებია ყველაზე პროდუქტიული. ასე მაგალითად, ფუტკარაძეებს დღემდე კარგად ახსოვთ, რომ შუახველ *ფუტკარაძეთა გვარი* აერთიანებს *მუსტაფოღლებს, გოჩიოღლებს, მაზანოღლებს, ბობოლოღლებს, შირინოღლებს, ონბაშოღლებს, ქუჩქალოღლებს, ქურთასანოღლებს, მემედაღიშვილებს* და სხვებს. გადმოცემის თანახმად, პირველი სამი - ძმების სახელებისგან წარმოქმნილი გვარებია და შესაბამისად, ისინი ერთი სისხლ-ხორცისანი არიან. *ბობოლოღლები* კი ადრე *ზოიძეები* ყოფილან და შემდგომში მათთვის *ფუტკარაძე* მექანიკურად შეურქმევიათ. ანალოგიურად აჭარელ **ბოღუჯაძეებში** - ერთმანეთისგან განასხვავებენ *ყადიოღლების, ომაროღლების, ჯალაბოღლების, ხათიბოღლების, მოლაქესუმოღლების, ჩახალოღლების, სალოღლების, საბძელოღლების, ფარფაროღლების* და სხვა განშტოებებს. ხულოში მცხოვრები **აბაშიძეების** გვარი აერთიანებს *ჭრელოღლებს, ესედოღლებს, ისმეილოღლებს, ალიბაბაოღლებს* და სხვებს; **აბულაძეების** გვარი - *ოსმანოღლებს, ჯინოღლებს* და სხვებს; **ბერიძეების გვარი** - *ქოროღლებს, ბეჩიროღლებს, სილოროღლებს, ყაზანჯოღლებს, ყარამეძეოღლებს, ფეიზოღლებს, ყურწოღლებს, ჰაჯიოღლებს, სელიმოღლებს, დემირჩოღლებს, ხაბაზოღლებს, აბუქეთელოღლებს, ჩახალოღლებს, თელიქოღლებს* და სხვებს.

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აჭარაშიც შტოგვარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სისხლით ნათესაობის გარკვევაა. ეს საჭირო ხდება, პირველ რიგში იმისთვის, რომ საერთო ქართული გვარსახელის წარმომადგენელი ქალ-ვაჟები ოჯახების შექმნის შემთხვევაში



## თეზურ აკალიანი

მყარად იყვნენ დარწმუნებულნი მათ შორის სისხლით ახლო ნათესაობის არარსებობაში. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული შტოგვარების მკვლევრებიც: „კახეთში შტოგვარებს ხშირ შემთხვევაში თავ-თავისი ზედაშეები აქვთ, თავისივე გვარის სხვა შტოგვარებთან ნათესაობა უკვე გამქრალია და მათ შორის ქორწინებაც დასაშვებია“ [მჭედლიშვილი, 1998: 255]. წარსულში აჭარაში, ისევე როგორც დღევანდელ მუსლიმურ სამყაროში, ამ საკითხს დიდი ყურადღება არ ექცეოდა, დროთა განმავლობაში კი სისხლით ახლო ნათესავეებს შორის ქორწინებას ტაბუ დაედო, ამიტომ საერთო გვარის მატარებელი საქმრო-საცოლეები (განსაკუთრებით მათი მშობლები და ბებია-ბაბუები) წინასწარ გულდასმით არკვევენ, იყვნენ (არიან) თუ არა ისინი გვარის სხვადასხვა განშტოების წარმომადგენელნი. უფროს თაობაში მსგავს შემთხვევებს ვხვდებით ისეთ მრავალრიცხოვანი გვარში, როგორც არიან, მაგალითად, *ბერიძეები*. ზოგიერთ ოჯახში ცოლიც ბერიძეა და ქმარიც. როგორც ჩვენი გამოკითხვებიდან ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას *ფუტკარაძეებზე*, *ზოიძეებზე* და სხვებზე. ოღონდ ისინი სხვადასხვა განშტოების (*ოღლის*), შესაბამისად სხვადასხვა გენეტიკური წარმომავლობის არიან. მეორე მხრივ, მაგალითად, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არის სოფელი ბალაძეები, სადაც მხოლოდ ბალაძეები ცხოვრობენ, რომელთაც ასევე სხვადასხვა „ძველი გვარები“ აქვთ: *კატაროღლები*, *კუდოღლები*, *საცეროღლები*, *ჩხაკოღლები*, *ლეღოღლები*, *კირკიტოღლები* (თუ *კერკეტოღლები* და *სხვ.*). ამავე დროს, აქ ერთ ოჯახსაც კი ვერ ნახავთ, სადაც ორივე მეუღლე ბალაძე იქნება, ეს არის მცირერიცხოვანი, კომპაქტურად ერთ სოფელში მცხოვრები გვარი, რომლის წარმომადგენელთა კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად არის შემორჩენილი მათი სისხლით ახლო ნათესაობის აღქმა. და პირიქით: სოფელ დანდალოშივე მცხოვრებ *ჯორთმენაძეებს*, *ბოლქვაძეებს* და მახუნცეთში მცხოვრებ *კურცხალიძეებს* საერთო თურქული გვარსახელი ჰქონდათ - *გურჯიოღლი*, რომელიც ქართული გვარების მიღების დროს ამ სამ შტოდ გაიყო. რა იყო მანამდე, დღესდღეობით ძნელი დასადგენია. იგივე შეიძლება ითქვას აქაურ *მგელაძეებსა* და *განდელიძეებზე*, რომლებიც დღეს სხვადასხვა გვარისანი კი არიან, მაგრამ ერთი შტოს - *ყასუმოღლების* განაყოფები არიან.

იმის დასტურად, თუ რამდენად შემოინახა ზემო აჭარაში მცხოვრებთა კოლექტიურმა მეხსიერებამ გვარების სახელწოდებათა დინამიკა და როგორ წარიმართა გვარისა და შტოგვარების მიმართებათა (ვერტიკალური, ჰორიზონტალური) ფორმირების პროცესი, მოვიყვანთ ფრაგმენტს ჩვენ მიერ ერთი კონკრეტული გვარის - დავითაძეების წარმომადგენელთა გამოკითხვიდან.

**გვარსახელი დავითაძე** მთელ აჭარაშია გავრცელებული, თუმცა თითქმის ყველა დავითაძე თავისი გვარის წარმოშობას შუახევს უკავშირებს. დაბა შუახევსა და მის მიმდებარე სოფლებში ის აერთიანებს შტოგვარებს: *უზეიროღლები*, *დელიმემიშოღლები*, *ტათლიოღლები*, *გულიამედოღლები*, *აბდიოღლები*, *მათარაჯოღლები*, *ველიოღლები*, *ბაირახტაროღლები*, *ბუძგიოღლები*, *ხაზინადაროღლები*, *ხინველოღლები*, *იშიოღლები*, *ხეძემოღლები*, *დურსუნოღლები*, *ბოლოჩოღლები*, *სელიმოღლები*, *ბულუთოღლები*, *ყაზანჯოღლები*, *იაოღლები*, *ლაზოღლები* და სხვები. სოფელ თერნალში წარმოდგენილია *აბდიოღლების* შტოგვარის წარმომადგენლები, რომლებიც სახლობენ აგრეთვე სოფელ ჩანჩხალოში. დაბა შუახევში მცხოვრები დავითაძეები სამ შტოგვარად არიან დაყოფილი: *ბუძგიოღლებად*, *ველიოღლებად* და *მათარაჯოღლებად*. სოფელ სხეფელაში მცხოვრები დავითაძეების სამი შტოა: *ყარაბდოღლები*, *ბაირახტაროღლები* და *მათარაჯოღლები*. როგორც ისინი ამბობენ, მათი წარმომავლობა იმერეთიდანაა და თავდაპირველი გვარიც დავითაძე იყო. სოფელ თერნალში

მცხოვრები დავითაძეები კი სვანეთს თვლიან წარმოშობის ადგილად. ისინი *ბუძგიოლლები* იყვნენ, ვინაიდან მათი ერთ-ერთი წინაპარი დიდი წვერით დადიოდა თურმე. სოფელ ოქროპილაურში ორი შტო ცხოვრობს: *უზეიროლლები* და *დელიმემიშოლლები*, ისინი განსახლებულან ქედაში, კერძოდ, სოფლებში: გობრონეთს, წონიარისს, აქუცასა და დოლოგანში. სოფელ დოლოგანში მცხოვრები დავითაძეები, მათი აზრით, *მელექოლლების*, *ხაჯიოლლების* და *დაუთოლლების* შტოგვარებს მიეკუთვნებიან. სოფელ დანდალოში მცხოვრები დავითაძეები - ყარაბდოლლების განშტოებას, სოფელ აქუცაში მცხოვრები დავითაძეები კი *ველიოლლები* არიან და ყველანი ახლო ბიძაშვილებად თვლიან თავს. ბუძგიოლი დავითაძეები სახლობენ ასევე ქობულეთში სოფელ ციხისძირში, მახოსა და ჩაისუბანში, რომლებიც სოფელ სხეფში მცხოვრები ბუძგიოლების შტოს მიაკუთვნებენ თავს.

გთავაზობთ ფრაგმენტს ჩვენ მიერ წარმოებული გამოკითხვებიდან, რომლის ანალიზსაც ვეყრდნობით შტოგვარების დასადგენად:

1. **გიორგი დავითაძე**, დაბა შუახევი - „ჩვენი შტოს დავითაძეები სამ შტოგვარად დაყოფილა: ბუძგიოლლებად, ველიოლლებად და მათარაჯოლლებად, ჩემი ბაბუა მათარაჯოლად მოიხსენიება, მისი ძმის შთამომავლები კი ბუძგიოლლებად და ველიოლლებად“.
2. **დავით დავითაძე**, დაბა შუახევი - „ჩვენი წინაპარი ღორჯომიდან ჩამოსახლებულა, თავდაპირველი გვარი ხოზრევანიძეა, თურქობის დროს აბდიოლლები შეურქმევიათ, მას შემდეგ დავითაძეებად ვიწერებით, რატომ არ დავიბრუნეთ პირვანდელი გვარი, არ ვიცი“.
3. **ოთარ დავითაძე**, შუახევი, სოფ. სხეფი - „ჩვენი ძველი გვარი *სელიმზაირახტაროლია*, სოფელ სხეფში მცხოვრები დავითაძეები რამდენიმე შტოგვარად დაყოფილა: *ბუძგიოლლებად*, *ხილალოლლებად*, *ველიოლლებად*, *ყარაბდოლლებად*, *მათარაჯოლლებად*“.
4. **თემურ დავითაძე**, შუახევი, სოფ. ოქროპილაური - „ჩვენი თავდაპირველი გვარი დავითაძეა, თურქობის დროს შტოს ნაწილს *დელიმემიშოლი*, ნაწილს კი *უზეიროლი* შეარქვეს. მემში დიდი ბაბუას სახელია, მის ძმას კი უზეირა რქმევია, ამიტომ დაურქმევიათ ეს გვარები. დავითაძეები, რომლებიც ჩვენი შტო არ არიან, *ველიოლლებად*, *ბუძგიოლლებად* და *უჩიოლლებად* მოიხსენიებიან, გვარის დაბრუნების შემდეგ ყველა ამ ოღლმა გვარი დაიბრუნა და დღეს დავითაძეებად იწერება“.
5. **ლევან დავითაძე**, შუახევი, სოფ. სხეფელა - „წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა, თავდაპირველი გვარი დავითაძეა, სოფელში მცხოვრები დავითაძეები სხვა შტოა და მათ სხვა ოღლი ჰქონდათ - ისინი *მათარაჯოლლები*, *ხილალოლლები*, *ბუძგიოლლები* იყვნენ, ჩვენ *ჰაჯიოლლებად* ვიწოდებით“.
6. **გივი დავითაძე**, შუახევი, სოფ. თერნალი - „წინაპარი სვანეთიდან ჩამოსულა, დიდი წვერით დადიოდა თურმე და ამიტომ შეურქმევიათ ბუძგიოლი“.
7. **ნოდარ დავითაძე**, ქედა, სოფ. აქუცა - „წარმოშობით შუახევიდან ვართ, სოფელ სხეფიდან. ყველანი ერთნი ვართ, ახლო ნათესავები, ძველი ველიოლლები“.
8. **რევაზ დავითაძე**, ქედა, გობრონეთი - „ჩვენი თავდაპირველი წარმომავლობა ოქროპილაურია, შტოს ნაწილი *დელიმემიშოლლად*, ნაწილი *უზეიროლლად* დაწერილა“.
9. **გოჩა დავითაძე**, ქედა, სოფ. დოლოგანი „წინაპარი წონიარისიდან ჩამოსახლებულა, ჩვენი გვარი სხვა ოღლებად არ დანაწევრებულა, თუმცა სხვა ოღლები [*ხაჯიოლი*, *დაუთოლი*] დავითაძედ დაიწერნენ, ოღონდ მათი თავდაპირველი გვარი დავითაძე არაა“.

ამრიგად, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, გვარის განშტოებები ფართოდაა გავრცელებულია აჭარაშიც. მათი ფუნქციური დატვირთვა გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს,

თუმცა, მათ ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა ერთობის წარმოშობის, წარსულის, ისტორიის და გენეტიკური ერთიანობის/სხვადასხვაობის აღქმის თვალსაზრისით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აჭარაში მე-16 საუკუნიდან ქართული ანთროპონიმის მთლიანად თურქულით ჩანაცვლებამ, ხოლო მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართულზე დაბრუნებამ განაპირობა ის, რომ მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში *თურქული გვარსახელები (ოღლები)* დღემდე არაა მივიწყებული და შტოგვარის ფუნქციას ასრულებს. მათ მნიშვნელოვანი დატვირთვა ეკისრებათ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის საერთო გვარსახელის ქვეშ გაერთიანებული სოციუმის გენეტიკური სტრუქტურის განსაზღვრის მიზნით.

## LINGUISTICS

### ON SOME NAMES OF FAMILY TREES IN AJARA

TEMUR AVALIANI, EKATERINE BARAMIDZE

*Batumi Shota Rustaveli State University*

Branch-surname is spread almost in all the regions of Georgia, especially in mountains. The surnames which are spread in Zemo Adjara are mainly divided into the branches which are derivate by the addition of the Turkish word “-oghl” and it is existed in the memory of population, so why they are different from other branch-surnames spread in another regions but their functional load is not changing by this. We come across another kind of branch-surnames too. In a work the question is discussed according to the base of information analyses fixed in the collective memory of some representatives of surnames and resulted of survey conducted by the authors.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბარამიძე, ავალიანი, 2017** - ბარამიძე ე., ავალიანი თ. ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ერთი სასოფლო თემის მაგალითზე). აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია). VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. „უნივერსალი“. 2017. გვ. 385-399;
2. **ბერიათობა, 2017** - „ბერიეთობა“ - დღესასწაული, რომელსაც ბაღდათში, ნასოფლარზე აღნიშნავენ <http://topnews.com.ge/index.php?newsid=12036>
3. **კობიაშვილი, 1995** - კობიაშვილი მ. შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში. თბ. 1995. საკანდ. დის.
4. **კეკელია ი. და სხვა, 2013** - კეკელია ი., ფონიავა ა. კოლხური გვარებისა და შტოგვარების ეთნოისტორიისათვის. თბილისი. 2013. <https://www.facebook.com/notes/მარგალური-ნინა-მეგრული-ენა-megrelian-language/კოლხური-გვარებისა-და-შტოგვარების-ეთნოისტორიისათვის/> 726150890745940.
5. **თოფჩიშვილი, 2010** - თოფჩიშვილი რ. სახელების ეთნოლოგია და ისტორია (მსოფლიო ხალხთა ანთროპონიმული სისტემები). თბილისი. „უნივერსალი“ 2010.

6. **მგელაძე, 2001** - მგელაძე ნ. პატრონიმული ორგანიზაცია: გენეზისის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიის საკითხები//ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ისტორიის ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი (მოხსენებების მოკლე შინაარსი). გვ.23-36.
7. **მგელაძე, 2004** - მგელაძე ნ. აჭარული ნოგრო და გვარი. ბათუმი. „აჭარა“.2004.
8. **მელიქიძე 1987** - მელიქიძე ს. მეტეგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართულურში. კრებულში ონომასტიკა, I, 1987. გვ.291-299.
9. **მჭედლიშვილი, 1998** - მჭედლიშვილი მ. შტოგვარები სოფელ ზემო მადაროში. ქართველური ონომასტიკა. I. თბ. 1998. გვ. 253-257.
10. **ნატროშვილი, 1987** - ნატროშვილი თ. გვარები და შტოგვარები სოფელ ქვემო მადაროში. ქართველური ონომასტიკა. II. თბ.2004.
11. **ნიჭარაძე, 1971** - ნიჭარაძე შოთა. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათუმი. 1971.
12. **ფაღავა, 2017** - ფაღავა მ. კლარჯული ჩანაწერები. თბ., „უნივერსალი“, 2017.
13. **ფაღავა, 2017(ბ)** - ფაღავა მ. მეტსახელი ჭოროხის ხეობიდან. ბსუ. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი. ფილოლოგიური მაცნე. თბილისი. 2017.
14. **ფაღავა, 2017(გ)** - ფაღავა მ. ექსპედიციები ტაოში, შედეგები და კვლევის პესპექტივები. <https://www.google.com/search?q=%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98&oq=%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98&aqs=chrome..69i57.9313j8&sourceid=chrome&ie=UTF-8>
15. **ღლონტი, 1988** - ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბ. „განათლება“. 1988.
16. **ცხადაია, 1988** - ცხადაია პაატა. ონომასტიკურ ტერმითა განმარტებული ლექსიკონი. თბ. 1988.
17. **ჯორბენაძე, 1993** - ჯორბენაძე ბ. ონომასტიკური გულანი. თბილისი. 1993
18. **Брокгауз Ф. А., Ефрон И.А.** Энциклопедический словарь. <http://www.infoliolib.info/sprav/brokgaus/index.html>

## **ნებისყოფა - ფსიქოლოგიის ტრადიციული და გარე აქტუალური პრობლემა**

**გამოხმაურება ნოდარ ბარამიძის წიგნზე, „ნებისყოფის ფსიქოლოგიის საკითხები“  
ბათუმი, 2019**

ორი სპეციფიკურად ადამიანური ფსიქიკური ფუნქცია გამოარჩევს ადამიანს სხვა სულიერ არსებათაგან - აზროვნება და ნებისყოფა. პირველი მას სამყაროს ცნობიერი შეცნობის (შემეცნების) საქმეში ემასახურება, მეორე კი პიროვნებად აყალიბებს, ანუ საკუთარი მრწამსისა და ღირებულებების შესატყვისად ცხოვრების სუბიექტად ხდის. აზროვნების გარეშე ადამიანი ცხოველთა სამყაროს ვერ მოწყდებოდა და ცივილიზაციას ვერ შექმნიდა, მაგრამ ნებისყოფის გარეშე იგი მხოლოდ მოაზროვნე ცოცხალი არსება იქნებოდა და პიროვნების დონემდე ვერ ამაღლდებოდა. ყველა ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, ვინაც კი ამ საკითხს შეხებია, თანხმდება, რომ სადაც არაა ნებისყოფა, იქ არც პიროვნებაა. ამდენად, ნებისყოფის პრობლემებისადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ფსიქოლოგიური ნაშრომი დიდად საინტერესოა არა მარტო ფსიქოლოგებისთვის, არამედ მრავალი მოსაზღვრე მეცნიერების წარმომადგენელებისათვის. ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება მაშინ, როდესაც ნაშრომის ავტორი ნებისყოფის ფსიქოლოგიის ცნობილი სპეციალისტია. პროფესორი ნოდარ ბარამიძე, ვის ნაშრომსაც წინამდებარე წერილი ეძღვნება, ქართულ სინამდვილეში ნებისყოფის მაღალკვალიფიციურ მკვლევართა არცთუ მრავალიცხოვან ელიტას მიეკუთვნება. მისი მონოგრაფია, „ნებისყოფის ფსიქოლოგიის საკითხები“, რომელიც ს.ს. „გამომცემლობა აჭარამ“ გამოაქვეყნა, პრობლემის ორიგინალურ გააზრებად გვესახება და ვფიქრობთ, ქართულ ფსიქოლოგიაში კიდევ არაერთხელ გახდება მსჯელობის, აკადემიური დისკუსიის და მრავალგვარი შეფასების საგანი, ხოლო ჩვენი სარეცენზიო წერილი მხოლოდ მისი ზოგად ხაზებში წარმოჩენის და პირველი შთაბეჭდილების მიხედვით შეფასების მცდელობაა.

ნიშანდობლივია, რომ ავტორი ნაშრომს იწყებს ნებისყოფის ფსიქოლოგიური კატეგორიის აუცილებლობის დასაბუთებით. ეს საჭირო ხდება იმის გამო, რომ, თუ ტრადიციულად ნებისყოფა უმნიშვნელოვანეს ფსიქოლოგიურ კატეგორიად იყო აღიარებული და აქტიურად შეისწავლებოდა, თანამედროვე ფსიქოლოგიაში იგი თავისებურად ჩანაცვლა მოტივაციის და თვითრეგულაციის ცნებებმა, რომელთა გვერდითაც, ერთი შეხედვით, თითქოს აღარ რჩება ადგილი ნებისყოფისათვის. ბარამიძის თანახმად, გარდა იმისა, რომ ნებისყოფის კატეგორია აუცილებელია ფსიქოლოგიისათვის და მის გარეშე „ძნელი წარმოსადგენია ადამიანის ფსიქოლოგია და ცხოვრება“, ქართული ფსიქოლოგია მორალურადაც ვალდებულია ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს ამ საკითხს, რადგან მის დამუშავებაში ძალიან დიდი როლი შეასრულეს ქართველმა ფსიქოლოგებმა, დ. უზნაძემ და შ. ჩხარტიშვილმა. ამ უკანასკნელის ორიგინალური თეორიის მიხედვითაა განმატებული ნებისყოფის ცნება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა „ნაცმენი“ მკვლევარების აღმოჩენებისა და მიგნებებისადმი მოსკოვის გულგრილი დამოკიდებულების პირობებში.

მონოგრაფიაში მოკლედ, ლაკონურად და სრულყოფილადაა განხილული ნებელობითი ქცევის უზნაძისეული და ჩხარტიშვილისეული თეორიები და ნაცადია იმის დასაბუთება, რომ ისინი, მთელი რიგი კარდინალურად დაპირისპირებული მომენტების მიუხედავად,

თავისებურად ავსებენ ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებელობითი ქცევის ფენომენური აღწერის სურათი, რასაც აღნიშნული ავტორები იძლევიან. დ. უზნაძის თანახმად, ნებისყოფის აქტის შედეგად, რაც გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე ხორციელდება, სუბიექტს უჩნდება მოცემული ქცევის შესრულების ნდომის განცდა, ანუ „მე მინდა“ (ან „ახლა მე ნამდვილად მინდა“) განცდა. უზნაძისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების შედეგად ქცევა ჩაერთო პიროვნების ზოგად მოთხოვნილებათა სისტემაში და ახლა იგი თავისუფლად წარიმართება ამ მოთხოვნილებათა ძალით. შ. ჩხარტიშვილი ასაბუთებს, რომ ზოგადი შეიძლება იყოს მხოლოდ აზრი (იდეა) მოთხოვნილების შესახებ, რომელიც ქცევის გამართლებას (მოტივის განსაზღვრას) კი ემსახურება, მაგრამ მის მამოძრავებელ ძალად ვერ გამოდგება, რადგან აზრს (ფსიქიკურ პროცესს) ძალა არ აქვს. ამისთვის მოთხოვნილების ცოცხალი პროცესია საჭირო. „მე მინდა“ განცდა მოთხოვნილების პროცესის თანმხლები, მისი ბუნების გამომხატველი, განცდაა. მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას კი ნებისყოფა არ ესაჭიროება, იმის მიუხედავად, თუ რა რანგისაა ეს მოთხოვნილება (დაბალი თუ მაღალი, ბიოლოგიური თუ სოციალური და სხვ.). ნებისყოფით ორგანიზებული (ნებელობითი) ქცევის არსი ისაა, რომ იგი ითვალისწინებს არა იმას, თუ რა უნდა სუბიექტს ამჯერად, არამედ იმას, თუ რა არის საჭირო მისი სამომავლო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი ქცევა ნებისყოფის ძალით წარიმართება პიროვნების მიერ. ნებელობითი ქცევის სუბიექტს აქვს განცდა, რომ მან, იმის მიუხედავად, თუ რა უნდა მოცემულ მომენტში, მაინც ისე უნდა იმოქმედოს, როგორც საჭიროა და როგორ მოქმედებასაც უფრო მეტ ობიექტურ ღირებულებას ანიჭებს. ამდენად, ნებელობის არსი „მე უნდა“ განცდაშია მოცემული.

გდილობს რა ამ კარდინალურად დაპირისპირებული პოზიციების შერიგებას, ნ. ბარამიძე ამტკიცებს, რომ ნებელობითი (ნებისმიერი) ქცევის სუბიექტისთვის არცერთი ეს განცდა („მე მინდა“ და „მე უნდა“) უცხო არაა. პიროვნებას ორივე ეს განცდა უჩნდება, მაგრამ ქცევის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, „მე უნდა“ განცდა ფიგურირებს ნებისმიერი ქცევის მოსამზადებელ (შეფასებისა და მოტივაციის) პერიოდში. ნებისყოფის სუბიექტი სწორედ ამ განცდის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, ხოლო გადაწყვეტილების შემდეგ უკვე ჩნდება შეწყნარებული (გადაწყვეტილი) ქცევის შესრულების ტენდენცია, რაც ფენომენურად „მე მინდა“ განცდაში აისახება. ავტორის თანახმად, „მე მინდა“ განცდა გადაწყვეტილების შემდგომი განწყობის გამომხატველია, „მე უნდა“ განცდა კი გადაწყვეტილებამდელი განწყობის. აქვე ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ ნებისყოფის აქტის თანმხლები „მე მინდა“ განცდა პრინციპულად სხვა განცდაა, ვიდრე იმპულსური (მოთხოვნილებით აღძრული) ქცევის თანმხლები „მე მინდა“ განცდა. ეს უკანასკნელი აწმყოს ინტერესების მიხედვით მოქმედი სუბიექტის განცდაა. ამ სუბიექტს იმიტომ უნდა გარკვეული ქცევის განხორციელება, რომ ასე მოქმედება მისთვის მიმზიდველი და სასიამოვნოა. იგი წინ არ იხედება, მომავალს ანგარიშს არ უწევს. ნებელობის სუბიექტის „მე მინდა“ კი სწორედ მომავლის ინტერესებზე ორიენტირებული სუბიექტის განცდაა. მაგალითად, შრომა მინდა არა იმიტომ, რომ ეს ამჟამად რაიმე სიამოვნებას მანიჭებს (შრომითი ქცევის მოტივაციიდან ეს მომენტი, ცხადია, არ გამოირიცხება, მაგრამ იგი გადამწყვეტი არაა, რადგან ადამიანი შრომობს მის მიუხედავადაც), არამედ იმიტომ, რომ ვხედავ ამის დიდ ობიექტურ, ანუ საზოგადოებრივ ღირებულებას. ვხედავ, რომ მე, როგორც სოციალური არსება, ვალდებული ვარ ვიშრომო და რომ ამის გარეშე ჩემი მომავალი ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

ნ. ბარამიძის ეს ახალი ნაშრომი ამავე და მოსაზღვრე საკითხებზე მისი ადრე გამოქვეყნებული ნაშრომების თავისებური შეჯამება-განზოგადება, შევსება და დაზუსტებაა. რა თქმა უნდა, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გამოთქმული ორიგინალური აზრები არ დარჩენილა სათანადო გამოხმაურების გარეშე. ქართველი ფსიქოლოგები, თავიანთ ნაშრომებში აქტიურად იყენებენ და განიხილავენ ნ. ბარამიძის შეხედულებებს ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ, მიუთითებენ მის ძლიერ მხარეებზე და სადისკუსიო და დასაზუსტებელ საკითხებზეც ამახვილებდნენ ყურადღებას. ამ ასპექტით, განსაკუთრებით საინტერესოა დისკუსია, რომელიც დღეისათვის საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სარეცენზიო წიგნის ავტორსა და განწყობის ფსიქოლოგიის ცნობილ მკვლევარს, პროფ. ირაკლი იმედაძეს შორის, რაც განსახილველ წიგნშიც სათანადოდ აისახა. ითვალისწინებს რა თანამედროვე ფსიქოლოგიის განვითარების ძირითად ტენდენციებს, იმედაძე უარს ამბობს ქცევის ერთ-ერთ ენერგეტიკულ წყაროდ ნებისყოფის მიჩნევაზე და ყოველგვარი ქცევის აღმძვრელად მოთხოვნილებას მიიჩნევს. მისი აზრით, იმპულსურ და ნებისმიერ ქცევებს შორის მთავრი განსხვავება ქცევის სუბიექტისმიერი რეგულაციის დონეში გამოიხატება. ამიტომ ენერგეტიკული პარადიგმა უნდა შეიცვალოს რეგულაციური პარადიგმით. ორივე ავტორს მოჰყავს საკუთარი პოზიციის სასარგებლო მნიშვნელოვანი არგუმენტები, რაც მათ მეცნიერულ დაპირისპირებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

სარეცენზიო წერილში თავს ვიკავებთ ამ დისკუსიის მონაწილეთა პოზიციების უფრო ვრცელი დახასიათება-შეფასებისაგან, მით უმეტეს, რომ იგი არ დასრულებულა და ჩვენი ფსიქოლოგიური საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება მის გაგრძელებას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ შეუძლებელია არ მოიხიბლო, ერთის მხრივ, დისკუსიის მაღალი მეცნიერული დონით და მეორეს მხრივ, მის მონაწილეთა დელიკატურობით და ერთმანეთისადმი პიროვნული პატივისცემით. კრიტიკულად აფასებს რა ბარამიძის შეხედულებებს, იმედაძე ყოველთვის ხაზს უსვამს მათი ავტორის მაღალ კვალიფიკაციას და მას ნებისყოფის აღიარებულ მკვლევარად მოიხსენიებს. თავის მხრივ, ბარამიძე იმედაძეს „ქართული ფსიქოლოგიის გალაკტიონს“ უწოდებს. ასეთი ურთიერთობა განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ფონზე, სადაც მეცნიერული დისკუსიის პირადულ დაპირისპირებაში გადაზრდის არაერთი მაგალითი არსებობს.

ნ. ბარამიძის მონოგრაფია ნათლად გვიჩვენებს, რომ ნებისყოფის თემაზე მუშაობა, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგიაში სათანადო ყურადღება აღარ ეთმობა, ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული ხაზია, ხოლო ნებისყოფის ცნების გარეშე ადამიანის, როგორც პიროვნების, ქცევის აღწერა და ახსნა უძნელესი საქმეა და მთელ რიგ ახალ პრობლემებს წარმოშობს. მართალია, არ კმარა, მაგრამ ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის არსის გამოსარკვევად ფენომენოლოგიური ანალიზი რომ ძალზე მნიშვნელოვანია, ეს უდავოა. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, აქაც ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასაზუსტებელი.

ჩვენი შეფასებით, ნ. ბარამიძის ნაშრომი ნებისყოფის ფსიქოლოგიის კარგი შენაძენია, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ნებელობის ფენომენოლოგიის განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით დამუშავების საქმეში.

**პროფ. მერაბ მაღრაძე**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



## მეზუსრი ავტორთათვის

1. წარმოდგენილი სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე ორი ინტერვალით, ზედა და ქვედა არეები – 30-30 მმ, გვერდითი არეები – 25-25 მმ. სტატიის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 12 ნაბეჭდ გვერდს, ფორმულების, ცხრილებისა და სურათების ჩათვლით.

2. სტატია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე მთავარი რედაქტორის სახელზე. სტატიას უნდა ახლდეს აგრეთვე:

- ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ, მოცემულ შრომაში მისი წვლილის აღნიშვნით;
- ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან;
- მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა;

სტატიას განიხილავს სარედაქციო საბჭო და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- მეცნიერების დარგი;
- სტატიის სათაური;
- ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;
- სამუშაო ადგილი, საფოსტო მისამართი, ელ. ფოსტა;
- ნაშრომის წარმომდგენი აკადემიის წევრის გვარი;
- რეზიუმე;
- საკვანძო სიტყვები;
- ტექსტი. ტექსტის ბოლოს დაფინანსების წყაროს და მადლობების ჩამონათვალი;
- ინგლისური ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), მოცულობა ერთ გვერდამდე;
- დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);
- ნახაზები და ცხრილები მოცემული უნდა იყოს ცალკე გვერდებზე. ფოტოები – ორიგინალის სახით;

- სურათებს უნდა ახლდეს წარწერები;

- სტატიის ბოლო გვერდზე უნდა იყოს ყველა ავტორის ხელმოწერა (გარკვევით).

4. ელექტრონული ვერსია: CD-ROM, შრიფტი Times New Roman. ტექსტი: Supply – Word, Word Perfect, RTF. ცხრილები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ფაილად, ნახაზები უნდა შესრულდეს TIFF, EPS, მაღალი ხარისხის PDF, JPEG, ცხრილები: Word, Word Perfect, RTF.

5. სტატიის ტიპოგრაფიული თუ ელექტრონული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა;

- მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება.

- სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.

- ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.

6. რუსული ტექსტის ტრანსლიტერაცია მოცემულია ლათინური ასოებით კონგრესის ბიბლიოთეკის სისტემის მიხედვით.

7. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის 35,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი 306

ტელ.: 576 262687; 599 380626

E-mail: [vano-papunidze@mail.ru](mailto:vano-papunidze@mail.ru)



---

---

## GUIDE FOR AUTHORS

Manuscripts should be presented in the following form:

1. Two double-spaced copies of the manuscript, printed on a white paper A4, margined 30 mm below and above, 25 mm on the sides, must be provided. The length of the manuscript should not exceed 12 printed pages, including all text with figures, tables, and equations.

2. Manuscripts can be written in Georgian, English and Russian and sent to the Editorial Board. Attached to the manuscript should be:

- Short information about the research work by the author(s), including specific contribution to the published work;

- Qualified references from different Institutions;

Articles will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review.

### 3. Manuscript order:

- Classification;

- Title;

- Full name(s), surname(s) of the author(s);

- Affiliation(s), postal address, e-mail;

- Abstract;

- Key words;

- Text, including acknowledgements and funding sources;

- References in the order of citation (square brackets used);

- Figures and Tables must be given on separate pages. Pictures and photos must be original;

- Figure legends;

- The last page of the manuscript must be signed by the author(s).

4. **Electronic version:** CD-ROM in Times New Roman. Text: Supply Word, Word Perfect, RTF. Figures and Tables must be submitted as separate files, not imbedded in manuscript text. Provide figure images in TIFF, EPS, high resolution PDF, JPEG. Tables: Supply Word, Word Perfect, RTF. Include one Table per file. Do not use tabs or spaces to separate columns in Word or Word-Perfect Tables.

5. **The author will be asked to give consent to publish the manuscript in print and electronic version.**

- Corrected version is not returned to the author(s).

- The Editorial Board reserves the right not to consider the paper, if the instructions are ignored.

- For symbols and style conventions, authors should consult current issues of the Journal.

6. **Transliteration of the Russian text into Roman letters should be given according to the LC system.**

7. **Publication is free of charge.**

35 Ninoshvili Street, Batumi

Batumi Shota Rustaveli State University, Room 306

Tel.: 576 262687; 599 380626

E-mail: [yano-papunidze@mail.ru](mailto:yano-papunidze@mail.ru)